

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ԳՐԱԴԱՐԱՆ



ՅՆԿՅՈՒՆ
1965

ՄՈՆԻՏՈՐ 3



შავოღომა



სილსუაჩი



შინაარსი

პროზა

კონსტანტინე ლორთქიფანიძე — ნა- ტვრის თვალი. რომანი	3
გიორგი კეჭაღმაძე — მეტორმეტე ზა- რი. რომანი. გაგრძელება	52
თენგიზ ვოგოლაძე — კაცი კაცითა. რომანი. გაგრძელება	72
კონან დოილი — მოცეკვავე კაცუნები. მოთხრობა	88



პოეზია

ზაურ ბოლქვაძე — გახედე, კახეთი!	47
რეზო ამაშუკელი — აპრილი	69
ვახტანგ ძნელაძე — ღუი ბრაილი	71
ალექსანდრე კუშკინი — რუხლანი და ლულაძილა. პოემა. გაგრძელება	106

გ

მ ა რ ტ ი

1965

გამომცემლობა

„ლიტერატურა და ხელოვნება“

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
შურნალი

საპარტვილოს ალკა ც. კ.სა და
შვირალთა კავშირის ორგანო

მწერლის ვარიანტი

როსტომ ბეჟანიშვილი -- მხატვრული სახეების საკითხისათვის 111

ქრიზია და პუბლიცისტიკა

ბრიგოლ შანიძე — მოყვანილი სიტყვების გარკვევისათვის	123
კორნელი კინწურაშვილი — პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი	132
მისხილ სვანიძე — ერთი ფურცელი საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან	140
მასილ გოგოლაძე — ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია	143
მარლამ დონაძე — აფრიკის მომავალი სოციალიზმია	146
ყოველი მხრიდან	155

რედაქტორი კონსტანტინე ლორთქიფანიძე

სარედაქციო კოლეგია:

გურამ გვერდწითელი, კარლო კალაძე, როინ მეტრეველი, გურამ ფანჯიკიძე (პ/მგ მდივანი), გიორგი ციციშვილი, ვლადიმერ ჭავჭავაძე, ვახტანგ ჭელიძე, სერგი ჭილაია, თამაზ ჭილაძე, ლაშა ჯანაშია.



D. Hozar

ნაცვრის თვალი

რომანი

ნაწილი მეორე

გახსენება

იმ წელიწადს ჩვენი სოფლის ზვრებს ერთი ძირი ვაზი არ შემატებია.

სიმინდისა და ლობიოს ნათესებიც შეამცირეს, ზოგან ბალ-ბოსტანიც აკყარეს და ყველგან პური მოიყვანეს. გეგმა მინც ვერ შეასრულეს და ახლა ზაქარია ნადიბაიძემ თვითონაც აღარ იცოდა, კიდევ სადღა დაეთესა პური.

გათენდება თუ არა, დანა-ყელზე მისული კაცი ცხენს მოახტება და კალოთუბნის მინდვრებს ერთხელ კიდევ შემოუვლის და თუ სადმე ბალახმორეულ ნაურმალს იპოვნის, ან ნასახლარს

წააწყდება, იმ დამეს მოხუც ზაქარიას ტკბილად დაეძინება, — ერთი გუთნის გაშლა საყანე კიდევ ვიშოვნეო...

განა მარტო „გლეხის იმედის“ თავმჯდომარე იყო ამ დღეში.

რიონის ქალებში, სადაც ძველთაგან იმერელ გლეხკაცს სიმინდი და ლობიო მოჰყავდა, მიწას რჯული შეუცვალეს და პურის თესვა დაიწყეს.

საქართველომ თავისი პური უნდა იმყოფინოსო, — ასეთი იყო ახალი გეზი და ჩვენი სოფელიც ამ ახალ გზას უნდა გაჰყოლოდა.

თავი პირველი

მიღიან

ადრე დაიძინა დაბა-ქალაქმა. მკათათვის ნამგალა მთვარე აგერ-აგერ ამოსცილდა ლეკიძთის ჩაშავებულ ხეობებს, ქუჩაში კი კაცი არსად ქაჭანებს; ზამთარ-ზაფხულ გაციებულ დარაჯის

ხველებაც კი აღარ ისმის საქანეთის საწყობთან.

მხოლოდ ერთი პატარა ელსადგური დაუცხრომლად მუშაობს ხევგალმა და თითქოს ამხნეებს მარტო მიტოვებულ

დამეს. მისი დაგადუგი ხან მინელდება, ხან ისევ გაძლიერდება და ქუჩებში სინათლეს ასევე უხიაკად თამაშობს: ლამპიონები ჯერ უგემურად ბუტყავენ, მერე ერთბაშად გაბრწყინდებიან და ბნელში მიჩქმალულ სახლებს წუთიერად გამოაჩენენ.

უეცრად მლაშე ტბის მხრიდან გრუხუნი მოისმა. მალე იმ გრუხუნს ძლიერმა შუქმა გამოასწრო და გზისპირას მიგდებულ ნავაზს ძილი დაუფრთხო.

— მიდიან!

სიმონ ჩოხელმა ფანჯარა გამოაღო და გზას გახედა. მეწინავე კომბაინი გაჩირადღებულნი მოდიოდა. მესაჭეს ყველაფერი ანთო, რისი ანთებაც კი შეიძლებოდა.

— რა უხარია იმ სულელს! — გაიფიქრა ჩოხელმა.

ამ გაბრდღვიალებულმა მანქანამ დამრებში მოშალა ისედაც დამძარებული კაცი.

ჩოხელმა იცოდა, ახლა ვერავითარი ფიცი და მტკიცე იმ კომბაინებს უკან ვეღარ დააბრუნებდა — ვაკონები ჯერ კიდევ შეზინდებისას ჩამოაყენეს წნორის სადგურზე, მაგრამ ჩოხელს გული მანაც მოეწვა, მათი გამოსათხოვარი გუგუნი რომ გაიგონა.

იმ წელიწადს გვალვამ სული არ მოატქევეინა შირაქს.

პური ჩაიწვა. დამშეული ყანები საქონელს გამოაძოვეს გლეხებმა. ამიტომ შირაქის მანქანები ქართლს მიაშველა მთავრობამ. ამბავი მოვიდა, ტირიფონაზე კომბაინები ყანას ვერ ერევიან და ნახევარ ხედერზე მუშაობენო. ორმოცდასამი მანქანა სხვაგან მიდიოდა სამუშაოდ. სხვაგან, სადაც წილებზე ფეხი დაიდგეს და ყანაში ღვთის თვალი დაატრიალეს.

როგორ ეხვეწებოდა ზაქარია ნადიბაიძე ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელს რუსიკო ყამარაულს, ერთი თვითმავალი კომბაინი მანაც დაგვიტოვეთო, ხალხს უხარია იმ ჯეირანს რომ ხედავსო!

არ დაუტოვეს.

იმ ჯეირანს სარბიელი არა ჰქონდა

„გლეხის იმედის“ გადამწვარ მინდვრებზე. გუშინ დილიდან საღამომდე ორჯერ ვერ გაავსო ბუნკერი კოლია დეტალი კომბაინმა...

გრუხუნი გაძლიერდა. მანქანები ლენინის ქუჩაზე შემოვიდნენ, ოთახის ფანჯრებმა ზრიალი დაიწყეს.

დაღონებული გასცქეროდა ჩოხელი გალა-გალად მიმავალ მანქანებს. ჩიქროლეს თვითმავალმა კომბაინებმა. მათი ზოლიანი, ჯერ კიდევ გაუხუნებელი ქოლგები სწრაფად მიიმალნენ მოსახვევში და უმაღლვე ვეება სტალინეცების გრიალი მოისმა. აგერ ტურია ლეკაშვილის წითელი კომბაინი. შარშან ოცდარვა ათასი ფუთი ხორბალი გალევა მისხანელმა ტრაქტორისტმა, წელს კი...

მეტე სირცხვილი იქნება?! ჩემი მანქანები ქართლს მიდიან საკალოოდ, შენ კი, ჩოხელო, ადეტი და ძველი ნამგალი გალესე შენი დაღეული ყანის მოსაჭრელად, მანქანებს ტყუილუბრალოდ ნუ მოაძღენო.

ეს ვინ უთხრა სიმონ ჩოხელს?

მგონი რუსიკო ყამარაულმა. რუსიკოს თურმე ტურია ლეკაშვილი დაუკითხავს და ცენტრალური კომიტეტის სახელზე გაგზავნილ მოხსენებაში შავი ფერი არ დაუზოგავსო. მეორე დღესვე ამბავი მოუტანეს სიმონ ჩოხელს.

არა უშავს, რუსიკო ყამარაულო, ერთი ქორი ყველას ჩამოუვლის ცხოვრებაში.

ისევ ის ჩუმი ნაღველი შემოედნო გულზე სიმონ ჩოხელს. ამ ბოლო დროს შირაქში პურის ხევამა დაიკლო, აქაურ კაცს გული გაუტყდა, ლამის ხელი ჩაიქნიოს კოლმეურნეობაზე...

ომამდე კალოთუნელმა გლეხმა ღობე რა იყო, არ იცოდა. ღობე კი არა, სამანი სად იწყებოდა, ან სად თავდებოდა, ის არ ადარდებდა.

ახლა კი ქორია ხელაშვილი ამდგარა და ქოჩებიდან ისეთი ქაფათარი ძეძვი ჩამოუტანია, ეშმაკი ვერ მიეკარება. საკარმიდამო ნაკვეთს ჯერ ერთი დიდი ვალავანი შემოავლო, მერე ის ეზო ხუთნაირად გადაღობ-გადმოღობა. ვაზიც ჩაჰყარა, სიმინდიც დათესა, ბაღ-ბოსტანიც გააშენა, არაფერი არ დაიკლო,

თითქოს ეს ქვეყანა ამ ერთ მტკაველ მიწაზე თავდებო.

ვინ-ვინ და ჩოხელმა კი იცის, რა ძნელია კაცის გული დაიბრუნო...

ერთბაშად იგი კარისაკენ მიტრიალდა, ოთახში სინათლე ჩააქრო და ჩუმად ამოიხრა: „რა დღეში ხარ, ჩოხლო?! ხალხს ემალები, გრცხვენია, ქუჩიდან არ დამინახონო!“

მერე სიბნელეში ტელეფონი მოძებნა.

— ყანჩაშვილი მინდა, თამრიკო; თუ სძინავს, ნუ გაადვიძებ.

— რა დააძინებს, ბატონო სიმონ, ქვეყანა ინგრევს! — უთხრა ქალმა.

„ვგი ჩემი ბრალი! ეს პატარა გოგოც კი იმათ მისტირის!“ — გაიფიქრა ჩოხელმა.

— გისმენ, ამხანაგო სიმონ, — მოისმა ტელეფონის მიღში არჩილ ყანჩაშვილის ზარიანი ხმა.

ეტყობა, თამრიკომ უკვე მოასწრო მისი გაფრთხილება, უფროსი გეძახისო.

— ერთი ეს მითხარი, არჩილ, კაცი ქვეყანაზე რისთვისა ცხოვრობს? — ჰკითხა ჩოხელმა.

— ამ შუალამისას ცოტა გამიჭირდება, ამხანაგო სიმონ, მაგაზე პასუხის გაცემა! — როგორც სჩვეოდა, დაუხანებლად მიუგო არჩილმა.

„დრო უნდა მოიგოს, რომ მერე ხელიდან დამისხლტეს!“ — მიუხედა ჩოხელი. ამიტომ აღარ დააცალა და პირდაპირ უთხრა:

— ეშმაკობ, არჩილ! სიტყვა ბანზე ნუ ამიგდე!

— არა, სიმონ, დედას გეფიცები! ილიას სიტყვები მინდა გავიხსენო. მგონი ასე ამბობს: „კაცი ქვეყანაზე იმიტომ ცხოვრობს, რომ ორი მარცვალი მოიყვანოს იქ, სადაც მანამდე მხოლოდ ერთი მარცვალი მოდიოდაო.“ — სთქვა ყანჩაშვილმა.

— რაო, რაო? კარვად ვერ გავიგე, — ჩაჰკითხა ჩოხელმა, თუმცა ყველაფერი მშვენივრად გაიგო და პასუხიც ძალიან მოეწონა.

— ორი მარცვალი მოიყვანოს იქ, სადაც მანამდე მხოლოდ ერთი მარცვალი მოდიოდაო! — გაიმეორა არჩილმა.

— მაშ, ჩვენ კაცები აღარა ვყვებით ვართ, ჩემო არჩილ! ეს მიწა ტყუილად გვილახნია. საცა ერთი მარცვალი მოდიოდა, ჩვენ იმ ერთსაც ვეღარ მოვუარეთ!

— ვიცი, ამხანაგო სიმონ! ახლა დანა რომ დამკრან, წვეთი სისხლი არ გამომივა, მაგრამ მერწმუნე, სიცოცხლეს არ დავიშურებ, რომ ეს სირცხვილი შირაქს მალე მოვწმინდო!

— სიცოცხლეს? — ჩაიცინა ჩოხელმა. — ძალიან ხომ არ გაშალე ბაქები, არჩილ?

— დიახ, სიცოცხლეს! — უყოყმანოდ მიუგო არჩილ ყანჩაშვილმა.

მან იცოდა, რომ ახლა ჩოხელის დარდიან გულს სწორედ ასეთი უყოყმანო და ყველაზე მაღალ თაროდან ჩამოღებული სიტყვები სჭირდებოდა.

— აგაშენა ღმერთმა, — ჩაილაპარაკა ჩოხელმა და ყურმილი დადო. მერე ფანჯარა მიხურა და ოთახიდან ისე გავიდა, სინათლე არ აღუნთია.

არჩილი კი ერთი-ორი წუთი მაგიდასთან პირგანაცრებული იდგა და ყურმილი ისევ ხელში ეჭირა, თითქოს ვერ დაეჯერებინა, რომ ეს ძნელი საუბარი დამთავრებული იყო. მხოლოდ ახლა შეეტყო, როგორ დასცალა სულთავან ამ უდროო გამოცდამ.

განა მისი ბრალია, რომ წელს შირაქში პური არ მოვიდა? გვალვა იყო, გვალვა. გვალვა...

მართალია, გვალვა იყო, მაგრამ მიმინოს ხევიც გაიხსნენ, არჩილ ყანჩაშვილო. განა იმ ფერდობზე სასუქის დაყრა შეიძლებოდა? რომელმა ჰკუისკოლოფმა ამოარჩია ის ადგილი მანქანების გადმოსაცლელად. ერთხელ მანაც რატომ არ მიიხედ-მოიხედა, ამას რას ვაკეთებო.

მერე ადგენ და თვალის ასახვევად ერთი-ორი კალთა სასუქი მინდორში მოაბნიეს, დანარჩენი კი წყალს გაატანეს. ხევეში მოვარდნილმა ნიაღვარმა იტაურობა ისე ჩარეცხა, მიწისპირზე ნამცეცი აღარ დაარჩინა.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ნატერის თვალი



„გაზაფხულის“ ქალები სათოფედ არ გაეკარნენ მინერალურ სასუქს, ხელები დაგვეწვა, საბუხარი მოგვეცითო.

ოცი-ორმოცი წყვილი საბუხარი ქალების გულს სამუდამოდ მოიგებდა, მაგრამ გამკითხავი არავინ გამოჩნდა. ეგ კი არა, წითელმა დათამ პატარა შუქოი სასაცილოდ აიგდო, ხელთათმანს თეატრში იცმევენ და არა ყანაშიო.

ყანჩაშვილმა იცოდა ეს ამბავი, მაგრამ პირზე ბოქლომი დაიდო და ჩოხელს არაფერი უთხრა.

რატომ?

არჩილ ყანჩაშვილს არაფერი ისე არ ეძნელება, როგორც ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

იგი მხოლოდ ტურია ლეკაშვილს მოელაპარაკა, იქნებ სასუქი სხვაგან გადავიტანოთო.

იმ საღამოს ურმები ვეღარ იშოვეს, მორე დღეს ყანჩაშვილს უფრო საშური საქმე გამოუჩნდა, მერე ის კოკისპირული წვიმაც მოვიდა და მთელი ფერდობი ალაზანში ჩაიტანა.

წელან, როდესაც ტელეფონისტმა ქალმა არჩილს დაურეკა და უთხრა, უფროსი გეძახისო, არჩილი შეცბა, ვაითუ ლეკაშვილმა გამთქვაო. მაგრამ, მადლობა ღმერთს, ყველაფერი კეთილად დაბოლოვდა. ჩოხელი აინუნშიც არ არის.

არჩილმა ყურმილი ჩამოკიდა, მერე პერანგი გაიძრო, გაოფლიანებულ თავკისერზე ჩამოისვა და საძინებელ ოთახში შევიდა.

ლოჯინში ქალი იწვა. იგი წელამდე ზეწარში იყო გახვეული. თეთრი, ღამაში მკლავები ბალიშზე დაეწყო, თვალეები დაეხუჭა, მაგრამ, ეტყობა, არ ეძინა. არჩილის ფეხის ხმა რომ გაიგონა, ზეწა-

რი შიშველ მკერდზე დაიფარა და ისევ გაისუა.

— გძინავს? — ჰკითხა არჩილმა.

— მძინავს კი არა... ერთი სიკვდილი გადავიტანე! ის მეგონა, — სთქვა ქალმა და ისეთი მორჩილი, საწყალი თვალებით შეხედა არჩილს, რომ კაცმა თვალი არ გაუსწორა.

არ დაინახა, რისი დანახვაც არ უნდოდა.

მორჩილება ქალ-ვაჟის ურთიერთობას წმინდა სიყვარულის ელფერს აძლევდა. ეს კი არჩილ ყანჩაშვილს სათვალავში არ ჰქონდა.

საწოლზე ჩამოჯდა, ფეხისგულები ერთმანეთზე შეიწმინდა და ქალს გვერდით მიუწვა.

გაიციანა: — სულელო, ის ჩემთან რატომ დარეკავს?

— რა ვიცი, რა ვიცი! ასე მეგონია, მან ყველაფერი იცის და არაფერს მეუბნება. რაღაცას უცდის! — სთქვა ქალმა და იმწამსვე გაიფიქრა: „თუ კიდევ მითხრა, ცოტა ხნით ერთმანეთს ნუ შევხვდებითო, ჩემი საქმე ნამდვილად წასულია!“

— თუ ასე გეშინია, ცოტა ხნით ერთმანეთს ნუ შევხვდებით! — უთხრა არჩილმა.

— აღარ გიყვარვარ, აჩი! ნუ მაწვავლებ, პირდაპირ მითხარი!

— ცხელა, ნუ მეხვევი.

— ეს არის შენი პასუხი?

— აბა, ყოველდღე სიყვარულს ვერ აგისნის! დამაძინე ახლა, ხვალ ადრე ასადგომი ვარ.

ქალმა აღარაფერი უთხრა, მერე უცერად ოთახში ჩუმე ტირილი გაისმა.

არჩილს ხმა არ გაუღია.

ვითომ ჩაეძინა?

თავი მიორა

შპილო ღამე

1

ფურკამეჩმა ნაზიბროლამ ზაქი მოავლო.

დღენაკულულ ზაქს და ავადმყოფ დე-

დას დაღამებამდე თავს დასტრიალებდა გოგოლა. მერე პირუტყვი არველოდის ჩააბარა და შინ წავიდა.

უმთავრო ღამე იყო. სანამ ორღობეს გაიგიღა, გოგოლას ერთი სული არ მოუბრუნებია. ჩქარობდა: თრიალეთიდან ცხვარი ბრუნდებოდა, ქოფაკი არსაიდან გამომიხტესო.

ეოს რომ მიატანა, რაღაც ხმაური შემოესმა. ნაჯახის ცემას ჰგავდა. ქალს გაუხარდა, სტუმარი გვეყოლია, შეშას აპოვნო.

საოცარია, როგორ უყვარდა სტუმარი ამ დალოცვილ ოჯახს. მანუჩარ უგრეხელიძეს ვერავითარი გაჭირვება ვერ გამოუღევედა სტუმრის ღვინოს და სტუმრის ქვეშავებს.

გოგოლამ ნაბიჯს მოუჩქარა, ვერხვის წყაროს ჩაუარა და... სახტად დარჩა: ბნელოდა უგრეხელიძის კარმიდამოში. სტუმარი კი არა, სინათლის ჭიატიც კი აღარსად იყო.

მხოლოდ ის ნაჯახი ისეც ისე გამწარებული ებრძოდა ბნელში რაღაცას, ჩახ, ჩახ, ჩახ.

ჭიშკარი სწრაფად შეაღო. ნაჯახი მაშინვე გაჩუმდა და სახლის წინ ვიღაცამ ღრმად ამოიხრა.

მანუჩარი იყო — ოხვრაზე შეიცნო გოგოლამ,

მოსუცი ცაცხვის ხეს სჭრიდა. ნაჭრევი თეთრად აჩნდა ცაცხვის ძირში ჩახშირებულ ღამეს.

...ამ ოციოდე წლის უკან, როდესაც იმერელ ხიზნებს სამოსახლო ადგილი მისცეს, ეს ვეება ცაცხვი მანუჩარ უგრეხელიძის ეზოში მოხვდა. სიხარულისაგან მანუჩარმა მიწისმზომელი შვიდჯერ გადაკოცნა, მერე ცაცხვს ხელი მოუთათუნა და სთქვა, კარგმა ხემ კარგი კაცი მოსძებნაო.

ყველაფერი ტკბილი იყო ამ ცაცხვის ძირში: სადილ-ვახშამი, სტუმართან მუსაიფი, შვილიშვილის აკვანთან ჯდომა, ძილი თუ ხელსაქმე.

ამ ხის ძირას ფიქრითაც კი უკეთესად ფიქრობდა მანუჩარ უგრეხელიძე. საღამოხანს ჩამოჯდებოდა მიწიდან ამოსულ ფეხზე, კეფაზე ხელებს შემოიწყობდა და ქვეყნის ასავალ-დასავალს კირკიმალს დაუწყებდა.

აქედან, ამ კუზიანი ფესვიდან, ქვეყანა

უფრო ღამაზი და მკვიდრად წაგებო
სჩანდა.

მაშ, ახლა სასხლავის წვერზე ვინ დაჰკიდა მანუჩარი, რომ ეს ცაცხვი მოსაჭრელად გაიმეტა?

გოგოლამ ბნელს გასძახა: — რა მოხდა, მამავ?

— ამის ჩრდილი ნახევარ ეზოს ფარავს, შვილო! ახლო-მახლო არაფერს გაახარებს, — წყნარად მიუგო მოხუცმა.

— სიმინდი გინდა დათესო?

— მაშ, რა ვქნა, შვილო! ვიცადო, სანამ ცივი მშაღი სანატრელი გამიხდება?!

— ხომ გითხარი, მამავ, გაისად...

— გამიგონე, შვილო, — შეაწყვეტიანა მანუჩარმა, — წითელი დათას ხელში მე არც მაისისა მჯერა და აღარც გაისისა. სანამ იგი ჩვენი თავმჯდომარე იქნება, ნახუქის სუნი არც მე დამახრჩობს და არც ჩემს მეზობელს.

— ხალხი? ხალხი რას იტყვის, მამავ?

— ხალხი?

მანუჩარმა ისეც ამოიხრა და ნაჯახი შტამბიდან ამოიღო.

განა ხალხმა არ იცის, რომ გაზაფხულზე მანუჩარ უგრეხელიძემ ცოლის ნაშვითი სპილენძის ქვაბები სადახლოში წაიღო და ლეკებს სიმინდში გადაუტყვალა?

სამი წელია, „გაზაფხულში“ ღალიანი ყანა ვერ მოიყვანეს. ხორბალს მისხალმისხალ ანაწილებენ. გუშინდამ ჩვენი კომბაინები ტირიფონაზე გაგზავნეს...

— მე კი მეგონა, ჩემი მამიკო მანც არ შეშინდება-მეთქი! — სთქვა გოგოლამ.

— ვითომ შეშინდი? — არეულად მიუგო მოხუცმა. მერე ჩუმად ჩაახველა და სთქვა: — არ გაცივდე, გოგო! შედი ოთახში.

არ გაცივდეო!

გოგოლამ თვალი ჰკიდა ბნელში აწურულ მამის ლანდს. „ჩემი რცხვენია და თავიდან მიშორებს. ხალხისაც ერიდება და ცაცხვის მოსაჭრელად ბნელი ღამე

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ნატვრის თვალი

შეურჩევია,“ — გაიფიქრა ახალგაზრდა ქალმა და მამას უსიტყვოდ გაეცალა.

ძილი დიდხანს არ მიეკარა.

მანუჩარის თავზე სიღარიბეს კალო არ გაუღეწია, თორემ სხვა არაფერი დაუკლია, შიმშილიც ბევრი უნახავს და სიცოცხეც, მაგრამ სული ბურდოში არ გაუხვევია.

მაშ, ახლა გული რამ დაუფრთხო. ორმა-სამმა მოუსავლიანმა წელიწადმა? დაუჯერებელია.

განა ეკადრება მანუჩარ უგრეხელიძეს, გარე-გარე მავალ გლეხებს აპყვეს და ეზოში მიწის ჩიჩქნა დაიწყოს?

რამდენი წელიწადია, მამას ეზოში სიმინდი არ დაუთესია. რა შავქვად უნდოდა ეს ნაცოდვილარი სიმინდი, როცა კოლექტივში შრომადღეზე თორმეტიცამათლი კილო მარცვალი მოდიოდა.

მლოობის დროს ოჯახში პერანგის გამოსაცვლელად თუ შვირბენდა, ეზოში ყანის მოსაყვანად როგორღა მოიცილიდა!

ეგ კი არა, იმ ზაფხულს. ცხელი კერძი მონატრეს მანუჩარს. დედაკაცი შინ ველარ გააჩერა. მაგდანამ სახლის კარი გამოკეტა და ლეკაშვილის ბრიგადაში ჩაეწერა. ორი ხელი არ ყოფნიდა, იმდენი საქმე გამოუჩნდა.

— ე, ქალო, დამახრჩო ამ რიყის ქვამ! (მანუჩარი კიდობნის პურს რიყის ქვას ეძახდა). ვკვდები კაცი! წადი სოფელში და კეცები ჩამოიტანე, იქნებ ცხელი ჭადის სუნმა მომაბრუნოს, — ეხვეწებოდა მანუჩარი საშოვარზე დახარბებულ ქალს, მაგრამ გამგონი ვინ იყო.

სანამ ხორბლის განიავებას არ მორჩნენ, მაგდანამ კალოდან ფეხი არ მოიცივალა. სამაგიეროდ ზამთრის პირზე გლეხებს ანგარიში რომ გაუსწორეს, უგრეხელიძის ცოლმა წიფლის წყაროდან საკერავი მანქანა და წითელი ატლასის საბნები ჩამოიტანა.

ასე იყო დათა ყანჩაშვილის ჩამოსვლამდე.

ჩამოვიდა წითელი დათა და... უფარგისი მეთაურის ხელში ვერც კაცმა იკაცა და ვერც მიწამ იმიწა.

ჩახ. ჩახ. ჩახ. ისმის გარედან ნაჯახის ცემა. ეზოს ძაღლები თემშარაზე მიმავალ ფარებს უყეფენ. ძილგამაფრთხილებს გოგოლა ჭერს მისჩერებია და ფიქრობს... ფიქრობს იმ ერთ გაუთავებელ საფიქრალს.

„ნუთუ მამას ისე ძალიან გაუჭირდა, რომ ბრიგადა მიატოვა და ეზოში სიმინდის თესვა დაიწყოს?“

გაუჭირდა, თუ?..

სთქვი, გოგოლა, რისი გეშინია!

...თუ მანუჩარს ის ძველი ჯადო მოერია და საკუთარი ყანა მონატრა? საკუთარი. ამ სიბერის დროს.

ამ უცაბედმა აზრმა გული მოუწამლა ახალგაზრდა ქალს.

არა, ეგ შეუძლებელია... კაცი კოლექტივს შეაბერდა, ძველ გზას როგორ დაუბრუნდება! გოგოლას დღემდე არ დავიწყებია ერთი წასული ამბავი: მანუჩარს საბჭოში დაუძახეს და უთხრეს, საკარმიდამო თუ კიდევ მოაცდინე, უშველად ჩამოგართმევთო.

მანუჩარს გაეცინა.

— რა გაცინებს? — გაჯავრდა თედო ხელაშვილი.

— ერთი მეცა მკითხე, თავმჯდომარეც, ვინ ვის აცდენს! — მიუგო მანუჩარმა, — წაიღე, ჩემი თავი მოგიკვდეს, თუ მადლობა არ გითხრა.

გოგოლა ცოტა დაწყნარდა, მამის სიტყვები რომ მოაგონდა. თუმცა ვინ იცის...

ხვლიდან მამას თვალყურს მიადევნებს. ცეცხლი თივაში არ დაიმალება.

ძაღლების ყეფა და ცხვარ-ბატკნის პეტელი ორღობეში ერთბაშად მისწყდა. ფანჯრებს ისევ დუმილი შეჩოადგა.

თვლემა მოერია. დაღლილი ქალი ძილს აღარ გაუძაღლიანდა.

თვალეგის დახუჭვა ვერ მოასწრო. უხამსი რამ ზმანება აედევნა გოგოლას ძილისპირს.

ორნი არიან სადღაც მდიდრულად მორთულ ოთახში, გოგოლა და — მეორეს ზნელში პირისახე არ უჩანს, მაგრამ ეს უშეშველად ლევანი იქნება. სხვა ვინ შემოვიდოდა მასთან ამ შუალამისას.

— დაბრუნდი, ჩემო სიცოცხლე? —

ჩუროლებს უსაზღვროდ გახარებული გოგოლა და საქმროს კისერზე ეხვევა, მკერდზე მინდობილად ეხუტება...

მაგრამ, ღმერთო ჩემო, ეს არა ჰგავს ლევანის აღერსს! ეს ვიღაც სხვა არის. რა ურცხვად უფათურებს ხელს ძუძუ-მკერდზე, შიშველ მუცელზე... თან ჩუმად ხითხითებს.

მეხი დაეცა ყმაწვილი ქალის უმანკო სიზმარეთს. გოგოლას თურმე არჩილ ყანჩაშვილის მკლავზე უდევს თავი. საზიზღარი არჩილი ეაღერსება უგრეხელიძის ქალს.

ელდნაცემი გოგოლა წამოვარდა, მოძალადეს ხელიდან გაუსხლტა. ზედ კართან მიუსწრო არჩილმა, ცალი ხელი წელზე მოხვია, მეორე ხელი პირზე დააფარა და ტახტისაკენ გაიტაცა.

„ხელი გამიშვი! ვიყვირებ, მამას დავუძახებ!“ — ემუდარება გოგოლა...

არჩილი კი ისევ ხითხითებს, გახედვებული კოცნის ტურქებში, კისერზე, მკლავებზე, სადაც მოხვდება, სადაც მოასწრებს.

ცხელი ტალღები ზედიზედ ეხლებიან ქალის გულს.

„რატომ გაჩუმიდი. შე უნამუსო, რატომ?“ — ჩასძახის ვიღაცა უგრეხელიძის ქალს, მაგრამ ახლა გოგოლამ თვითონაც არ იცის, ხმა რამ ჩაუწყვიტა, საშველად რატომ არავის ეძახის...

რალაც ხმაურმა გამოაღვიძა.

ძილიდან გამოყოლილი შიშისაგან მთელი ტანი უცახცახებდა. სტიქიოდა ორივე მაჯა და მარცხენა ფერდი, თითქოს ის ბრძოლა არჩილ ყანჩაშვილთან მართლა გადაეხადოს.

ოფლიან ყელ-კისერზე ხელი ჩამოისვა და ღამეს ყური მიუგდო. არსაიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა, მხოლოდ სადღაც ბნელში ოდნავ გასაგონად წკრიალებდა ფანჯრის მინა.

— ცაცხვი წააქცია, — მიხვდა გოგოლა. ოხვრით წამოდგა, კამოდის უჯრაში თავის ტკივილის წამალი მოძებნა, აბი მშრალად გადაყლაპა და ისევ საწოლს მიუბრუნდა.

ორთქლიან ბელტებს ქათმები დახვებიან.

აგერ ერთმა დაჰკრა ნისკარტი ყანჯისფერ ჭიაცყელას და ღობისაკენ მოუსვა. დანარჩენები იმწამსვე დაედევნენ, ღობის ძირში წამოეწვივნენ და შეიქნა ერთი წიოკი და ქიჩავე-ქიჩავი. ნადავლი ნისკარტიდან ნისკარტში გადადის.

ჭიშკართან დაგდებულმა ნავაზმა თავი წამოსწია, ქათმებს გადახედა და გულში გაეცინა, ერთი ჭიაცყელას გამოამ სულელებს რა ამბავი აქეთო...

მანუჩარს ხენა უკვე დაუწყია.

გუთნის კულზე წახრილ მოხუცს თავზე ფაფანაკი ახურავს, მარცხენა ხელში გრძელი სახრე უჭირავს. ჟამიდან ჟამზე იმ სახრეს ისე ხმიანად გაუტყაცუნებს საძირის ხარებს, გეგონება, თოფი დასცალდოს.

მაგდანა შეკაზმულ ცხენს ფაფარა უწნავს და გოგოლას გასძახის:

— გამოეტიე, გოგო, დაგავიანდება!

გოგოლას ფეხი მაინც უკან რჩება. რა არ მოიმიზეზა ექვისაგან გულაფორიაქებულმა ქალმა, რომ დღეს სახლიდან რაც შეიძლება გვიან გასულიყო.

ხან შრატის ვერ იბოვა პალატში, ხან კიდევ თოქალთო სადღაც გაეზნა. მერე დაიჩემა, ფეხსაცმელი მიჭერსო და მთელი ნახევარი საათი ძველი ქოშების ძებნას შეაღია.

კიბზე აღმა-დაღმა დარბის და ცალი თვალი მამისაკენ უჭირავს. არა, არ დღინებს მანუჩარი საყვარელ სიმღერას, —

ჩემო გუთნის ბარსავეთო,

ვაზაფხულის სარკე ხარო!

წარბები შეუკრავს, ტურქები მაგრად მოუკუმავს — რალაც დიდ საგონებულში ჩავარდნილა დროული კაცი. ზედვე ეტყობა, გუთნისდედას არ უხარია ბარსაკვეთის შრიალი შვე ერბოში.

„მომეჩვენა, ცილი დავწამე! რა ხულელი ვარ!“ — ფიქრობს გოგოლა და მზად არის, ნახნავეში შევარდეს, მოხუც

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ნატერის თვალი

მამას მოხევიოს და მოწყენილი შუბლი დაუკოცნოს, თუმცა... ის ცაცხვი ძალიან კი დააკლდა ეზოს, ძალიან.

ჭილის ქუდს ხელი დაავლო და ცხენთან მიიღბინა.

— ჭირიმე, ხაზარაგ! — ჩუმად უთხრა პირუტყვეს, თავზე ხელები მოხვია და სასწრაფოდ აკოცა შავ ხაოიან დრუნჩზე. მერე დედას აღვირი გამოართვა და უნაგირს მოახტა.

ჭიშკრის გაღებას არ მოუცადა, ცხენი ყალბზე შეაყენა და ალაგზე გადააღწია. გადააღწია
წიქნესული
გზისკითხვა

— გაგიჟდი, გოგო? — მიაძახა დედამ.

— გათხოვება უნდა, ძალო, გათხოვება! — შეეხმაურა მაგდანას გზად მიმავალი შაქრო-ფოსტალიონი.

ორღობეში კარგა ხანს ისმოდა ცხენის თქარათქური და ძაღლების ყეფა.

თავი მისამი

თაღია ფონს არ ექვას

გარდამავალი საძოვრების მხრიდან კალოთუბანს მიმინოს ხევი ჩაუდის. მისი სიგანე ზოგან ნახევარ კილომეტრს აჭარბებს.

გაზაფხულზე თოვლი დნობას რომ დაიწყებს, ხევში ღვარცოფი მოვარდება. მერე ძილი აღარ უწერია ფერდობზე დასახლებულ ხალხს. გადარეული წყალი ქვეყანას აყრუებს. დამფრთხალი ძაღლები მთელი ღამე ხევის პირებზე დგანან და გამწარებული უყევენ ბნელში აღანდულ ბობოქარ ტალღებს.

მოგრიალებს და მოაგორებს ღვარცოფი ვეება ლოდებს, გარუჯულ კუნძებს, ძირიანად მოგლეჯილ ხეებს. კაცმა არ იცის, საიდან მოაქვს, ან სად მიაქვს ამოდენა ბარგი-ბარხანა.

მერე წყალი თანდათან დაწდება და მომავალ გაზაფხულამდე ეს თვალშეუღვამი არემარე არც ამ მთისაა და არც იმ მთისა.

ხშირად უფიქრია ჩოხელს, მთელი ხევის სიგრძეზე გოდორ-ყურები დაეგო და გაზაფხულის ნიაღვარი ვიწრო კალაპოტში მოემწყვდია.

რამდენი საყანე მიწა შეემატება კალოთუბანს. მერედა, როგორი მიწა! ორას ფუთ ხორბალს თამამად დაუძახებს ჰექტარზე.

ამ საქმეს დიდი ტარჭრელი კოვზი არ უნდოდა და ამ დილას ჩოხელმა ინჟინერი თაღია რაინაული მანქანაში ჩაისვა და მიმინოს ხევს მიაშურა.

მანქანაში რომ ჩასხდნენ, ჩოხელმა

სიყრმის მეგობარს მხარზე ხელი მოუთათუნა და ჩუმად ჩაულაპარაკა:

— კარგი კაცი ხარ, თაღია.

რაინაული გაოცდა. როდის იყო, ეს პირქუში, გულჩახვეული კაცი ასე აზიზ-მაზიზად ეპყრობოდა ვინმეს. მეტადრე თაღია რაინაულს.

წიფლის წყაროს რაიკომის პირველი მდივანი ხანდახან ისეთს დაჰკვილებდა სიყრმის მეგობარს, პირში ალისქარს ჩაუგდებდა.

„ძალიან გაუჭირდა საწყალს!“ — გაიფიქრა თაღიამ და ჩოხელს გადახედა.

უზომოდ დაღლილი და მოტეხილი სჩანდა სიმონ ჩოხელი. ჩუმ ნაღველს უხვად მოებნია წვრილი ძაფები საფეთქლებსა და ღაწვისთავეებზე. თვლებში ნაცარი მეტი ჰქონდა, ვიდრე ნაკვერჩხალი... და უეცრად ეს ამპარტავანი კაცი გულწრფელად შეეცოდა კიბის ძირში დარჩენილ კაცს.

შეეცოდა იმიტომ, რომ თავისი უქმური და უტუბეღელი ხასიათის გამო, ჩოხელმა ერთი ახლო მეგობარი ვერ შეიძინა წიფლის წყაროში. ეცვი იყო თუ ზრახვა, ბოლომდე ვერაგის გაუზიარებდა, გულში ვერაგის ჩაახედებდა.

თაღია რაინაულიც დედაქალაქს სწორედ იმიტომ დაემშვიდობა, რომ ჩოხელთან ახლო ყოფილიყო და რაიონის მართვა-გამგეობაში დახმარებოდა.

სიმონ ჩოხელი და ინჟინერი თაღია რაინაული ერთი სოფლიდან იყვნენ.

პატარაობისას ერთად დაჰქროდნენ

ჩალის ცხენებზე ნარიანის მტერიან ორ-
ლობებში, ერთად დაძვრებოდნენ პაპა-
ლევანას ბაღში კომშის დასაკრეფად,
მერე ასევე ერთად დასხდნენ პატარა
მერხზე წიფლის წყაროს საშუალო სკო-
ლაში.

შირაქის დასახლება... შირაქში ალაზ-
ნის წყალი!

ამ გაუნელებელმა ოცნებამ უფრო გა-
ნამტკიცა ჭაბუკების მეგობრობა და მათ
ცხოვრებას იმთავითვე დიდი კალაპოტი
მისცა.

ისინი ჯერ კიდევ პირტიტველა კომ-
კავშირელები იყვნენ, როდესაც ფშა-
ხეცსურეთში სიარული დაიწყეს. ერთ
ზაფხულს რამდენიმე ახალგაზრდა მთიე-
ლი შეაგულიანეს და ნარიანში სტუმ-
რად ჩამოიყვანეს, ურწმუნო ხეცსურებს
ახალი შირაქი აჩვენეს.

მერე მათი გზები გაიყარა. თადია
რინაული რუსეთს გაემგზავრა უმაღ-
ლესი განათლების მისაღებად, ჩოხელმა
კი კომკავშირის რაიკომში დაიწყო მუ-
შაობა და მხოლოდ ათას ცხრაას ოცდა-
თექვსმეტ წელს ჩაირიცხა თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლო-
გიურ ფაკულტეტზე.

სამამულო ომი რომ დაიწყო, ცნობი-
ლი ინჟინერი, დიდი ალაზნის პროექტის
ავტორი თადია რინაული და ასპირან-
ტი სიმონ ჩოხელი ქერჩის მთავორებში
შეხვდნენ ერთმანეთს. ორივენი ქართუ-
ლი დივიზიის ოფიცრები იყვნენ. მათი
შეხვედრა ხანმოკლე გამოდგა. აჯი-მუშ-
კაის გვირაბებთან რინაული მძიმედ
დაიჭრა და დიდ მიწაზე გადაგზავნეს.
დამთავრდა ომი...

რამდენჯერ შესთავაზეს თადია რინა-
ულს დიდი ადგილი თბილისში, წყალთა
მეურნეობის სამინისტროში. ვერ უღა-
ლატა ინჟინერმა დიდი ხნის ნაოცნებარ
გულს, — ვერც სიყრმის მეგობარს შეე-
ლია და ველარც შირაქის მტერიანსა და
სიცხიან მინდვრებს.

ჩოხელის მანქანამ კვამლში გახვეულ
საკირეს ჩაუჭროლა და კალოთუბნის
განიერ ორლობეში შევარდა.

როგორ მოღეულო იყო. ჩოხელი ხე-
დავდა ჩათელილ ღობეებს, მიწაზე დატ-
კეპილ ფოთლებს, მარგილებზე ჩამოც-
მულ ძირგავარდნილ კალათებს, ჩამო-
მტვრეულ ტოტებს...

ხედავდა, როგორ თამამად შესეოდნენ
ფრინველები ნაგერალს.

მოკრეფილი ბალ-ვენახები რალაც გა-
მოუცნობ სევდას ახვევდა გულზე სიმონ
ჩოხელს. თითქოს ებრალებოდა დარბე-
ული, ნაყოფისაგან გაცლილი ბუნება,
თუმცა თვითონვე ხშირად იტყოდა ხოლ-
მე, თუ ძალა არ იხმარე, ბუნება თავისი
ნებით წინ ტაბლას არ დაგიდგამს.

სოფელს რომ გასცდნენ, ჩოხელმა
სთქვა:

— დიდი ხანია ერთი რამ მინდა გითხ-
ხო და სულ მაგიწყდება. თუ ძმა ხარ,
ნუ დამიმალება, პირდაპირ მითხარი!

— ეპ, — ცოტა ყასიდად ამოიხორა
თადია რინაულმა, — შენ დაიწყე ჩუ-
მათობა ამ ბოლო დროს, ჩემო სიმონ,
თორემ მე რა მაქვს შენგან დასამალავი!

რინაულს პასუხი ჯერ კიდევ ენის
წვერზე ეკიდა, რომ იგი უკვე მიხვდა,
ჩოხელი საითკენ უხვევდა; ამიტომ გულ-
ში აიფხორა, ეკლიან სიტყვას დაუწყო
ძებნა.

— რატომ არ გიყვარს ყანჩაშვილი?
დაგიშავა რამე? — ჰკითხა ჩოხელმა.

— მე პირადად არაფერი.
— მაშ ვის?

— არ ვიცი. შეიძლება არცავის...
— ვერაფერი გამიგია!

— უნდა გამოგიტყდე, სიმონ, ჯერ მე
თვითონაც არ ვიცი, მაგ ბიჭი თვალში
რატომ არ მომდის! არც სიტყვით, არც
საქმით არჩილს ჩემთვის არა დაუშავე-
ბია რა. გზაში სალამს ვერ მოვასწრებ.
ძალიან თავაზიანად და მეგობრულად
მეტყევა. მცოდნე და ჭკვიანი ბიჭი უნდა
იყოს...

— მაშ, რა გინდა, კაცო? — სასვე გუ-
ლით ჩაიცინა ჩოხელმა. ამ ბოლო დროს
ძალიან უხაროდა, არჩილ ყანჩაშვილის
ქებას რომ გაიგონებდა.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ნატვრის თვალნი



— რა მინდა? — თადიამ სათვალე მოიხსნა და ჩოხელს თვალეში შეხედა.

„როგორ გამოიყვალა, სათვალე რომ მოიხსნა. თითქოს უცნობი იყოს!“ — გაიფიქრა ჩოხელმა.

რაინაულმა სთქვა:

— გეტყვი, რაც მინდა, თუ ისევ ყვირილს არ დაიწყებ!

— აბა, გისმენ! — ჩოხელმა ძეწნას ბიჭს მხარზე ხელი დაჰკრა, ნელა წადიო.

— ყანჩაშვილი იმიტომ არ მიყვარს, რომ ძალიან მალე მოარგო გასაღები შენს ხასიათს. ქვეყანა რომ დაიქცეს, ერთ უსიამოვნო ამბავს არ მოგოტანს.

— ჩემი ხასიათი რა შუაშია?!

— შენი ბრალია, სიმონ, რომ ყანჩაშვილი და ზოგჯერ სხვებიც სიმართლეს გიმაღავენ, ყველაფერს არ გეუბნებიან...

ჩოხელმა შუბლი შეიკრა. რა არის ეს? კადნიერება თუ გადამეტებული გულწრფელობა.

ასე მოურიდებლად ძმა-ბიჭები ელაპარაკებიან ერთიმეორეს. ჩოხელი და რაინაული, მართალია, სიყრმის მეგობრები არიან, მაგრამ ეს თუ გახსოვს, ისიც უნდა გახსოვდეს — ახლა შენი სიყრმის მეგობარი რაიკომის მდივანია და მასთან სათქმელ სიტყვას შალაშინი სჭირდება.

„თადია რაინაულს ბოლო დროს ცოტა თავს გაუვიდა!“ — გაიფიქრა ჩოხელმა, მაგრამ როგორც ყველა ჭკვიან კაცს სჩვევია, საწყენი გულში მალე დაიდულა და სთქვა:

— შენ მართლა აღარ ხუმრობ, თადია! გეტყობა, რაღაცას არ მეუბნები!

— გეტყვი, მხოლოდ ახლა არა.

— რატომ? — ჰკითხა ჩოხელმა.

— დღეს ბევრი საქმე გვაქვს და არ მინდა ერთმანეთს წავეჩხუბოთ.

— ასეა საქმე?

— შეიძლება ასეც იყოს.

ჩოხელმა ჩუმად ჩაიციინა და მინდორს გახედა.

„დამცინის! — გაიფიქრა რაინაულმა, — რახან პირველი მდივანია, ასე ჰგონია, პირველი ჭკუის პატრონია და ყველაფერში მართალია!“

სათქმელი კი ბევრი ჰქონდა თადია რაინაულს.

დიდი უღელი დაიდგა კისერების წყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა სიმონ ჩოხელმა.

შარშანწინ აპრილის პლენუმზე ენამწინ გაუსწრო ჩოხელს, ცენტრალურ კომიტეტს ისეთი რამ შეჰპირდა, რაც მისი კისრისა არ იყო.

დინჯი, დაფიქრებული კაცი იყო სიმონ ჩოხელი. მაშ, როგორ მოუვიდა, რომ ასე უანგარიშოდ ამოდენა ტვირთს ხელი წამოჰკრა. არც რაიონის ძალ-ღონე ასწონ-დასწონა, არც ამხანაგებს დაეკითხა... ავიდა ტრიბუნაზე და წარბშეუხრებლად განაცხადა — ტარიბანას ჯაგნარს ამოძირკვავენ, მიმინოს ხევს ნაპირებს გაუმაგრებენ და შირაქში პურის ხეავს ერთი-ორად გაამრავლებენ...

„გაისად წიფლის წყაროს რაიონს თორმეტი ათასი ჰექტარი საყანე მიწა შეემატებაო“, — სთქვა ჩოხელმა.

პლენუმმა ტაში დაუკრა ჩოხელის განცხადებას. ის ტაში ძვირად დაუჯდა სიმონ ჩოხელს. წელეზე ფეხი დაიდგა, არც თვითონ მოისვენა, არც სხვები მოასვენა — პირობა მიანიც ვერ შეასრულა.

ვერც ტარიბანას ჯაგნარი ამოძირკვა, ვეღარც მიმინოს ხევს მერვია. სამარაგო ნაწილების უქონლობის გამო თერთმეტი დიზელი ზამთარ-ზაფხულ უძრავად იდგა ფარდულში.

მოურეგენელმა ტვირთმა მალე მოქანცა სიმონ ჩოხელი და შეიძლება სწორედ ამიტომ იყო, ჩოხელს პირდაპირ ზნედა მოსდიოდა, როდესაც უსიამოვნო ამბავს მიუტანდნენ.

ცუდი ამბავი განა ვის უყვარს, მაგრამ ჩოხელი ყველაფერს მწარედ განიცდიდა. პატარა ურიგობა ისე გადარედა, თითქოს წარღვნის წვიმა მოდიოდა. მღელვარებისაგან ქვედა ბაგე ცახცახს დაუწყებდა.

ერთხელ ენამთის ფერმიდან შეატყობინეს, ჯოჯის თვალს — გამახარეს რძე გაუსწრაო. ჩოხელმა ჯაგრისაგან ტელე-

ფონის მილაკი ბუდეს დაახეტქა, ერთი-
ცა და მეორეც ნამსხვრევებად აქცია.

მცირე რამ საწყენი იმრიგად შესძ-
რავდა ამ მოწიფულ კაცს, პირშავ მახა-
რობელს მერე მთელი დღე სანანებლად
ჰქონდა, ნეტა არ მეთქვა და ასი-ორასი
ლიტრი რძე სახლიდან მომეტანაო.

ზოგიერთს მართლაც მოჰქონდა.

დუბოვის ახალთახალ კომბაინს რა-
ღაც ფარსავად ღერძი გაუტყდა. ეტყო-
ბა, ქარხნიდან გამოყოლილი მანკი
ჰქონდა, მაგრამ დუბოვმა მიწა გახეტქა
და ახალი ღერძი იწოვა, რომ ჩოხელს
ელად არ სცემოდა.

ბეგრ საქმეს ბეგრნაირი ჰქუა უნდა.

სიმონ ჩოხელი კი ცოტა შეზღუდული
კაცი იყო და რაკი იმთავითვე იმედი
გაუცრუვდა და პლენუმზე მიცემული
სიტყვა დროზე ვერ შესარულა, სულის
მშვიდობა თანდათან დაჰკარგა, თვითო-
ნაც აფორიაქდა და ხელქვეითების გულ-
შიაც ფორიაქი შეიტანა.

ბოლო დროს ისეთი ფიცხი და გულ-
ნამცეცა ვახდა, ზოგიერთი ხელმძღვა-
ნელი მუშაკი პირში სიმართლეს ვედარ
ეუბნებოდა.

ჩოხელი სათქმელს განა ბოლომდე
მოვისმენდა, როგორც თავკაცს მართებ-
და.

პირველსავე სიტყვაზე წარბებს შეიკ-
რავდა და ისე მწყურალად შემოგხედავ-
და, თითქოს არც მეტი, არც ნაკლები—
ქვეყნის დამტყვევი და ამომგდები იყავი.

ბანსა და ერდოს თავზე დაგამტვრე-
და, ერთი სიტყვა რომ შეგებრუნებინა.

ჩოხელის ხასიათში მომხდარმა ცვლი-
ლებამ არჩილ ყანჩაშვილიც ისე გათალა,
სიმართლის ლაპარაკს გადააწვია.

შირვანში ბატკანი გაწყდებოდა თუ
მწარე წყალთან ყანას ცეცხლი გაუჩნ-
დებოდა, ან ქალები სასუქს ხეფში გადა-
ყრიდნენ, მთავარი აგრონომი ჩოხელს
ყველაფერს უმალავდა, ან არადა, უსია-
მოვნო ამბავს ისე შეაფურადებდა, მერე
სიმართლეს ფასი აღარ ჰქონდა.

სწორედ ამიტომ ეჯავრებოდა იგი
ინჟინერ რაინაულს და ხანდახან გულში
ბუნდად გაუელვებდა, წითელი დათას
ვაჭი ოდენსე მახეს დაუგებდა თავის
ყოფილ მასწავლებელს.

პირველ ხანში ჩოხელსაც თვალში არ
მოუვიდა ახალგაზრდა აგრონომი.

სიმონ ჩოხელს არ უყვარდა მეტის-
მეტად დაუზარებელი და თავაზიანი ადა-
მიანები, სულ თვალეებში რომ მოგჩერე-
ბიან და რით გაამონ, აღარ იციან.

ამავე დროს ხელმოსაკიდი მიზეზიც
ვერაფერი ეპოვნა ახალგაზრდა აგრონო-
მის გასამგუნებლად.

„მარჯვე კაცია! რას დაეცემბ, დღეში
თვალეებში რამდენჯერ შემომხედავს,
ოღონდ საქმეს მიხედოს!“ — ფიქრობდა
ჩოხელი. ამიტომ იყო, იგი ვედარც
ემხრებოდა და ვედარც ეყრებოდა მკე-
ლივით დაუღლელ ყანჩაშვილს.

მიწის ზურგს კანი აჰყარა, იმდენს
დადისო, იტყოდა ხოლმე ზაქარია ნადო-
ბაძე, როდესაც მლაშე ტბასთან თვალს
მოჰკრავდა ყანჩაშვილის ჭილის ქულს.

თავი მიოთხა

„დამაპყროფილვაელი“

1

უცერად ჩოხელმა ძეწნას ბიჭს მხარ-
ზე ხელი დაჰკრა.

გახურებულმა მუხრუჭებმა უსიამოდ
დაიწივლეს. მანქანა ერთბაშად დადგა
და რულმორეული თადია საქარე მინას
კინალამ შეასკდა. თვალეები სჭყიტა.

ჩოხელს მანქანის კარი გაეღო და

მოღუშული გასცქეროდა რომელიღაც
გლეხის კარმიდამოს.

— ხედავ! — სთქვა მან.

რაინაულმა თვალი გაადევნა ჩოხელის
თვალს.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ნატერის თვალი

ვაზის ლერწმისაგან შეკრული ღობის გადამა მანუჩარ უგრეხელიძე ეზოს ხნავდა. ყვევარ ხარ-კამეჩს მარდად მიჰქონდა გუთანა ნაწვიმარზე.

ამ სურათმა გული აუშდგარია ჩოხელს. ყველაფერს იფიქრებდა კაცი, მაგრამ თუ მანუჩარ უგრეხელიძე ალოობის დროს კოლექტივის ზურგს შეაქცევდა, ეს კი აღარ ეგონა წიფლის წყაროს რაიკომის პირველ მდივანს.

უეცრად გაახსენდა, გასულ კვირას პარტიულ კონფერენციაზე დამაკმაყოფილებლად შეაფასეს მისი მუშაობა.

„დამაკმაყოფილებლად!“ — ჯავრიანად დამარცვლა მან და ისევ უგრეხელიძის ეზოს გახედა.

მანუჩარი საქცევზე გასულიყო და დაზეზეურებულ გუთანს მიწაში აღრმავებდა.

— არა, ჩემო თაღია! — მიუბრუნდა ჩოხელი თუთუნის ბოლში გახვეულ ინჟინერს, — ჩემი მუშაობის ნამდვილი შემფასებელი აი ეს არის, კოლმეურნე მანუჩარ უგრეხელიძე. მე რომ კარგად ვმუშაობდე, იგი აქ მიწის ჩიჩქნას არ დაიწყებდა!

— მაშ, კონფერენცია...

— ისევ ძველ ნაკვალევს გაჰყვა, ჩემო თაღია! — მოუთმენლად შეაწყვეტინა ჩოხელმა, — სანამ მთლად კისერს არ მოვიტებს, მანამ სულ დამაკმაყოფილებელი ვიქნები! ეს არის უბედურება!

— მაშ, რა გინდოდა, კაცო! შერცხვენა და გაშაგება?

— არც შერცხვენა და არც გაშაგება! — ხმა შეიმაღლა ჩოხელმა, — მაგრამ არც საქმის წახედენა მინდა. შენ ხომ იცი, თაღია, როგორ მოხდა ყველაფერი? იცის, როგორ არ იცის, ომი ახლახან დამთავრებული იყო. ბერლინიდან ჩამოსულ ჩოხელს ჯერ კიდევ სამხედრო ტანსაცმელი ეცვა.

რომელიღაც თათბირზე ცენტრალური კომიტეტის მდივანს ირაკლი ყიფიანს მისი სიტყვა მოესმინა და ძალიან მოსწონებოდა.

თათბირი რომ დამთავრდა, ყიფიანმა დაუძახა და ჰკითხა, შენ რომელი ჩოხე-

ლი ხარ, ომამდე ახვლედიანის ახპირანტი ხომ არ იყავი.

— ვიყავი, — მიუტო ჩოხელმა ახლა სადა ხარ, რას აპირებო.

— მაშინ დისერტაციას ვწერდი, ახანაგო მდივანო. მინდა ისევ იმას ჩავუჯდე და წელსვე დავამთავრო.

— თემა? — ჰკითხა ყიფიანმა.

ჩოხელი ცოტა შეიშმუშნა, ნირი შეეშალა.

— გრძელი სათაური აქვს... ზეპირად ვერც კი დაიმახსოვრებს კაცი!

სათაური მართლაც გრძელი ჰქონდა სიმონ ჩოხელის სადისერტაციო შრომას:

„ძ ბ გ ე რ ი ს ზ ბ გ ე რ ა დ ც ვ ლ ი ს ზ ო გ ი ე რ თ ი პ რ ი ნ ც ი ბ უ ლ ი ს ა კ ი თ ხ ი ს ა თ ვ ი ს ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ი ს ი ნ გ ი ლ ო უ რ კ ი ლ ო ს ა ლ ი ა ბ ა თ უ რ კ ი ლ ო კ ა ვ შ ი“.

ყიფიანს ღიმილი მოერია.

— რა დროს ალიაბათური კილოკავია, შე კაცო, როცა ნახევარი შირაქი უპატრონოდ გდია, მოუხვენელი და დაუთესელი. ქვეყანა არ დაიქცევა, შენი დისერტაცია ცოტა ხანს გვერდზე რომ გადასდო და აი, ამ გაჭირვებულ მიწას მიხედო! შენ თვითონ კარგად იცი, ვინც ამ შირაქის მიხმედავი იყო და მისი მადლი იცოდა, ისინი ახლა იქა წვიანან, ქერჩის მინდვრებში... შირაქი გაივსო შავი ქალღღებით. შენ, ძმაო, შირაქში ყველა ბუჩქის ძირი გცოდნია! ან ეს ამოდენა მეტსახელი რამ დაგამახსოვრა? გეტყობა, იქაურ ხალხსაც კარგად იცნობ!

კარგა ხანს ესაუბრა ირაკლი ყიფიანი მომავალ ენათმეცნიერს, მერე ოჯახის ამზავი გამოჰკითხა და დაემშვიდობა.

— თურმე იმ ხანებში ჩვენი რაიკომის მდივნის შეცვლას აპირებდნენ და რაღაც ეშმაკად ხელში მე არ მოგხვდი ამხანავ ყიფიანს?! შემასახელა, ხელი ჩამტაცა, ომიდან ჩამოსულმა კაცმა ახლა ქვეყანას სული უნდა მოუბრუნოს! მეც უარი ვეღარ ვუთხარი. არ გასულა ორი კვირა, პირველ მდივნად ამირჩიეს.

— ჩემი ოცნებაც ეს იყო, სიმონ, შენ

აქ მენახე, აქაურობის პატრონად, — სთქვა რაინაულმა.

— მერე რა გამოვიდა? „დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს!“ შეიძლება ჩაითვალოს? არ შეიძლება. ჩემი ტვირთი უფრო მძიმე გამოდგა, ვიდრე ჩემს მხრებს შეეძლო. მიიდა ეს უღელი კისრიდან პატიოსნად მოვიხსნა და ისევ ჩემს დისერტაციას დავუბრუნდე, მაგრამ...

ჩოხელმა ხელი ჩაიქნია და ისევ უგრეხელიძის კარმიდამოს მიაჩერდა.

— ცაცხვი მოუჭირა! ამიტომ წეღან უცბად ვერ ვიცანი უგრეხელიძის კარმიდამო! — სთქვა ჩოხელმა.

— შენ რაღაც გინდოდა გეთქვა, — შეახსენა რაინაულმა.

— ამას წინათ თბილისში ყოფიანს სიტყვა ჩამოვუგდე, ინსტიტუტში მიიდა დავბრუნდე-მეთქი...

იცო, რა მითხრა?

„რაო, ამხანაგო, თავს გინდა უშველო? თვალი გაქცევაზე გიჭირავსო! გახსოვს, იმ პლენუმზე ტაშისციემით ხელისგულეები რომ დავგახეთქინე, აქო და ორ-სამ წელიწადში შირაქს ავაყვავებო! ჯერ ის შენი სიტყვა შეასრულე, გაქცევაზე მერე იფიქრო! ასე ადვილად მყუდროზე ვინ გაგიშვებს, ჩოხელო! და თუ პირს შეირცხვენ და საქმეს წაახდენ, მაშინ შენ აღარ შეგეკითხებით, სად წახვალ და როგორ წახვალო!“

თადია დაღვრემილი უსმენდა სიმონ ჩოხელის აღსარებას.

„დაიძალა, თუ გული გაუტყდა? თუ ორივე უბედურება ერთად ეწია?!“ — გაიფიქრა მან და ჩოხელს ნამალევად გადახედა. დიდი ხანია, მას ამდენი ნაღველ-ჭირი ერთად არ გადმოუყრია. ჩხირი კედელს! იქნებ ჩვენი ბუხარი ისევ გამხიარულდეს.

რაინაულმა სთქვა:

— აქ უშენობა მაინც არ ივარგებს, სიმონ! რაც არ უნდა იყოს, შენ გეში უკვე აიღე და მორევში შესული ხარ. სანამ ახალთა კაცი თავიდან ყველაფერს გაიკებს, ჩვენ ჩვენი დაგვემართება.

ჩოხელმა ხმა არ გასცა.

იგი რატომღაც ფიქრობდა, ათასში

ერთხელ მაინც მიუბრუნდებოდა თავის დისერტაციას. საამისო დრო როგორც და მარჩებო, აიმედებდა ჩოხელი ურებს, მაგრამ ის ორი წელიწადი ისე გავიდა, თბილისიდან მალტანილი წიგნები ერთხელაც არ გამოუფურცლავს. ეს კი არა, ამ გაზაფხულზე იმდენი ვედარ მოიცალა, თბილისში ჩასულიყო და ავადმყოფი ვაჟი სამკურნალოდ აბასთუმანს წაეყვანა.

გომეწრის ხეობაც ვედარ მოიარა სიმონ ჩოხელმა. სამჯერ შემოთვალა თადიამ, ერთი ამოდი, შე დალოცვილო, ალაზნის არხის სათავეს თვალი დაგვრათო.

უძილობისაგან თვალები მუდამ შეშუპებული ჰქონდა. მაგრამ მარტო ღამის თვეა და მარტო მონდომება დიდ უღელს ვედარ ერეოდა. შირაქში პური ცოტა მოდიოდა.

გლეხკაცობას მაინც უყვარდა სიმონ ჩოხელი. უყვარდა იმიტომ, რომ პირად ცხოვრებაში ჩოხელი უადრესად წესიერი, თავმდაბალი და თავისებური ხასიათის კაცი იყო. მისი ხასიათის გამო ბევრი არაკი გამიგონია წიფლის წყაროში.

შირაქი რომ ჩაიბარა, ჩოხელმა მეორე დღესვე ხელმძღვანელ მუშაკებს დაუძახა და სთხოვა, გამაცანით რაიონში რა მდგომარეობა არისო.

ხალხი კულტურის სახლში შეიკრიბა. საუბარი დაიწყო თუ არა, შხაპუნა წვიმაც მოვიდა. არ გასულა დიდი ხანი, დარბაზში რაღაც ჩოჩქოლი ატყდა.

ჩოხელმა თავი ასწია. დარბაზში რამდენიმე ადგილას წვიმა ჩამოდიოდა. თათბირის მონაწილენი წამოშლილიყვნენ და სკამებს კედლისაკენ მიაჩოჩებდნენ. აღმასკომის თავმჯდომარე არსენა დეისაძე და სასაკლავო დირექტორი რეზო ვარამაშვილი საიდანღაც ტაშტებს მოარბენინებდნენ.

ჩოხელმა ერთ ხანს უტყპირა აფუისფუ-

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ნატვრის თვალი

სებულ ხალხს, მერე ზარი დარეკა და სთქვა:

— ამხანაგებო, გავიგე რისი გავებაც მინდოდა. ახლა წადით და თქვენს საქმეს მიხედეთ. კრებას დახურულად ვაცხადებ!

ხმაური მაშინვე მისწყდა და უფრო მკაფიოდ მოისმა ტაშტებზე წვიმის წვეთების წკაპუნი. ჩოხელმა ქული დაიხურა, სახტად დარჩენილ ხალხს დაემშვიდობა და წავიდა.

„მაგარი ბრჭყალები ჰქონია!“ — მაშინვე გულში გამოსიკვნა არჩილ ყანჩაშვილმა.

ერთხელ თურმე ჩოხელი სახლიდან უხემსოდ გავიდა. მთელი დღე მინდორში ტრიალებდა. საღამოს შიმშილისაგან გული კინაღამ შეუწყუნდა. ისიც ადგა და მილარში ჩავიდა, ფერმის გამგეს ცოტა პური და მაწონი სთხოვა.

სიტყვის დასრულებაც ვერ მოასწრო, ფერმის გამგე მალხაზ ბერუჩივი ადგილიდან ისე მოსწყდა, თითქოს გრივალმა მოიტაცაო. არ გასულა ორი წუთი, უკან ეზოდან გოჭის ყვირილი მოისმა.

ჩოხელი მაშინვე წამოდგა და ფერმიდან წავიდა. ელდანაცემი მალხაზი უკან დაედგნა. გოჭი უკვე დაეკლა და გრძელი, შეგტარიანი დანა ჯერ კიდევ ხელში ეჭირა.

— ტყუილად მომსდევ, მალხაზ! — უთხრა ჩოხელმა, — მაგ გოჭის ღირებულება დღესვე გადაიხადე, თორემ მერე გვიანდა იქნება!

შირაქი ძალიან დაბეჩავებული დახვდა სიმონ ჩოხელს. მერე ეს წლებიც ისე ჩაეწყო, მიწის მუშა წელში ვეღარ გაიმართა.

ზემოქედელი და ნარიანელი გუთნისდღეები გარე სამუშაოს დაეძებნენ საჭივთის სარეწაოებზე.

ჯერ ისედაც არ უყვარდა სიმონ ჩოხელს მინდორ-მინდორ სიარული და გულის წამღები კირკიმალი, ეგ რატომ ასეა და არა ისეო. აპრილის პლენუმმა კი ხალხს ისეთი საფიციხი დააყენა, ჩოხელი ზოგჯერ დილიდან საღამომდე

კაბინეტიდან ვეღარ გამოდიოდა. ეგონა, მიწა ჩაუსკდებოდა, თუ ერთ-ორი საათით თავის პირად და პატარა მაგიდაზე ლამაზად ჩამწკრივებულ ტელეფონებს მოშორდებოდა. თათბირი თათბირს მისდევდა, გამოძახება — გამოძახებას.

თადია რაინაული ხედავდა, როგორ უჭირდა ჩოხელს ახალი გზით სიარული. ეხმარებოდა, რითაც კი შეეძლო და არავითარ სამუშაოს არ თაკილობდა. მისი მრჩეველიც იყო და თანაშემწეც, შიკრიკიც და შავი მუსტაც.

„სიმონს რომ ხელი შეეშალოს და აქედან გულა-ნაბადი აუკრან, აქაურობას ვინლა მიხედავსო!“ — ფიქრობდა იგი.

შირაქზე გადამკედარ ინჟინერს გულწრფელად სწამდა, ჩოხელზე უკეთესი გამგებელი წიფლის წყაროს არცა ჰყოლია და არც ეყოლებათ. მხოლოდ ეს კი იყო, რაც ეს არჩილ ყანჩაშვილი წიფლის წყაროში ჩამოვიდა, ჩოხელი თანდათან ჩამოშორდა სიყრმის მეგობარს. ამიტომ რაინაულს დღევანდელი მგზავრობა ძალიან უხაროდა. ამ დილას ჭიშკართან ჩოხელის ხმა რომ გაიგონა, ხელდახელ ჩაიცივა და ჩოხელს მანქანაში ჩაუჯდა.

ჩოხელმაც ამიტომ უთხრა, კარგი კაცი ხარო. ამით მადლობაც გადაუხადა და შეწყნარებაც სთხოვა.

— არა, თადია, მე გამქცევი და უბირო კაცი არა ვარ! — განაგრძო ჩოხელმა და ძეწნას ბიჭს ისევ შეახსენა, ნელა წადიო, — შენ კარგად გახსოვს, შირაქის დასახლება ჩვენი ძველი ოცნება იყო. ამიტომ შეგები ამ დიდ პარტიულ სამუშაოს... და გვიან მიგხვდი, რომ ნიშანი შემეშალა! მინდა ჩემი შეცლომა გამოვასწორო, მინდა აქედან წავიდე, მაგრამ ახლა ყიფიანი აღარ მიშვებს!..

— შენც ადექი და კაცურად უთხარი ყიფიანს, რომ სიტყვა გადაგიბრუნდა, მეტი წამოიკიდე, ვიდრე მოერეოდი. განა ვერ მიგხვდებ!

— ვერ ვეტყვი, თადია. ეგ კი არა, ხანდახან გხედავ, ლამის საქმე წამიხ-

დეს... არ ვიცი, საიდან შემოგუარო!
მაშინვე ყიფიანი გამახსენდება. მინდა
მივიდე და რჩევა ვკითხო, მაგრამ ვერ
მივსულვარ, გული ვერ გადამიშლია. ან
როგორღა ვუთხრა, საქმე წამიხდა-
მეთქი, როცა კარის გაღებას ვერ მოვას-
წერებ, ყიფიანი შორიდანვე მიცინის და
მეუბნება, აბა, რა ამბავი ჩამოგვიტანე,
დროშა მოგილოცო თუ არაო? ამას რომ
გავიგონებ, ენაზე მოსული სიტყვა უკან-
ვე გამშქტყევა და მინდა თუ არა, მეც
ყიფიანის კალაპოტს უნდა გავყვე. ჩემი
გაჭირვება გვერდზე უნდა გადავდო და
კარგი ამბები ვილაპარაკო!

რაინაულმა ხმა არ გასცა, მხოლოდ
გაიფიქრა, ვინ გეხვეწებოდა, შე მამა-
ცხოვრებულო, პლენუმს ქვეყნის აშენებას
რომ შეპირდი. ახლა კეთილი ინებე და
პირობა შეასრულეო.

რაინაული იმთავითვე გრძნობდა, ჩო-
ხელი გულში არ ეთანხმებოდა აპრილის
პლენუმის გადაწყვეტილებას — საქარ-
თველომ თავისი პური უნდა იმყოფი-
ნოსო. არ სწამდა, რომ ეს ახალი გზა
საქართველოს სიკეთეს მოუტანდა. რწმე-
ნის უქონლობა კი სიმონ ჩოხელს ძალ-
ღონეს უნახევრებდა. კაცი თვითონაც
ვერ ხედავდა, ისე უნახევრებდა.

ბოლო დროს სწორედ ამიტომ დაუმ-
ძიმდა ტვირთი წიფლის წყაროს რაიკო-
მის მდივანს. რაინაულმა ისიც კი იცო-
და, როგორ სწუხდა ჩოხელი, რომ კა-
ლოთუბანში დასახლებულ მთიელებს
იმედი ვერ გაუმართლა.

იმ გაზაფხულზე ვაჟა-ფშაველას მიმ-
დევარმა მთელი კვირა დაჰყო ხეგსუ-
რეთში, კარდაკარ ჩამოიარა რამდენიმე
სოფელი; საღამო ხანს საღმე ქოხში შუა-
ცეცხლს მიუჯდებოდა... მასპინძელს რომ
არა სწყენოდა, მასთან ერთად გულის-
ამრევ ჭიბიტატურს სვამდა და შირაქის
ამბავს ჰყვებოდა. მაშინ ჩოხელმა კალოთ-
უბანში ოცდაშვიდი კომლი ჩამოიყვანა,
სახლები აუშენა, წყალი გაუყვანა,
მაგრამ შარშან რაღაც ფარსავად ტრაქ-
ტორები დროზე ვერ მიაშველა. ამიტომ
პური გვიან დათესეს. ახლად გაღივე-
ბულ მარცვალს ყინვამ მოუსწრო და
გაალაყა...

ჩოხელმა სთქვა:

— ამ ხარ-ზეიმსა და ზიზილ-პიბილო-
ებს ისე შევეჩვიეთ, ადამიანს დარდნილ
ექვი ხმამაღლა ვერ გამოუთქვამს.

გუშინწინ ზემოქედში ერთი მწყემსი
ბიჭი კინაღამ შემომელახა. ცხვარი კარ-
გად დაადოლა და ფერმის გამგეს ახალი
ჩექმები უჩუქნია.

ბიჭს ის ჩექმები იქვე დაუყრია და
უთქვამს, ეგრე დაჯილდოება არ მინ-
დაო...

დავუძახე და ვკითხე, მამ, როგორ
გინდა-მეთქი.

— მაგისტანა ჩექმები ფარეზში შვი-
დი მიგდია. თუ გინდა მადლობა გით-
ხრათ, ეს ჩექმები საზეიმო ვითა-
რებაში გადმომეცითო!.. ხალხმა დაი-
ნახოს და ტაში დამიკრასო... ხედავ, ჩექ-
მებსაც ტაში უნდა!

რაინაული ისევ გაუჩუმდა. „რაც არ
უნდა გითხრა, ახლა ყველაფერი გეწყი-
ნება და დღევანდელი საქმე ჩაგვეშლე-
ბა, ჩემო სიმონ. მე ვარ მოსაკლავი, რომ
შარშან შეგიბრალე და რასაც შენზე
ფიქრობდი, პირში არ გითხარი. მა-
გრამ გეტყვი, თუ კაცი ვარ! ისეთ სარკე-
ში ჩაგახედებ, პირზე ხელი აიფარო!“

2

ორღობე ჩუმად გალიეს. მანქანამ პა-
ტარა ხევი გადასერა და ტარიბანაზე
ამოჰყო თავი.

ხელმარცხნივ, საითაც კი გახიდავდი,
ნაწევრალი ყველგან მოხსული იყო.
ვეება შავი ხელტები ჯერ კიდევ ვერ
გამოეშრო დილის მზეს. მინდორს ორ-
თქლი ასდიოდა.

გზის მეორე მხარეს კი ნაპურალებს
ბალახი მორეოდა. მხოლოდ ერთგან მოს-
ჩანდა პატარა შავი ხანხავი, თითქოს მე-
კალოე დედაკაცს მინდორში თავშალი
დარჩენილი.

იმ ნაპურალიდან ხუთიოდე ურემი
ნამჯას ეზიდებოდა. უღელზე დასკუბე-
ბული პატარა ბიჭები ომახიანად დაჰკი-
ოდნენ ლაფში ამოვლებულ კამეჩებს.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ნატერის თვალი

— ვისი ხარ, ბალო? — გასძახა ჩოხელმა წინა მუხრმეს.

— გაზაფხულისა! — მკვირცხლად მიუგო ბიჭმა.

ჩოხელმა ამოიოხრა და თადიას გადახედა.

— წითელ დათას ჯერ ნამჯა არ გაუტანია. ხენას როდისღა დაიწყებს?!

— რა ვქნა, სიმონ! ერთი შესავალი კარი ვერ ვუპოვნე მაგ კაცს!

რაინაულს არ უყვარდა წითელი დათა, მაგრამ ჩოხელის გასაკონად მისი აუგი დღემდე არ ეთქვა. პირსუკან ლაპარაკი წესად არა ჰქონდა თადია რაინაულს, თუმცა ბოლო დროს თავს ვეღარ იკავებდა, ვერა და ვერ დაევიწყნა ვერხვის წყაროსთან მომხდარი ამბავი.

— იმ დღესაც ვუთხარი... — განაგრძო თადიამ, — ნამჯა გზისპირებზე მოაქუჩე, წვიმა რომ მოვიდეს, მანქანები ადვილად მიუდგებიან—მეთქი.

არ დამიჯერა.

ორი თვეა, მინდორზე ღრუბლის ჩრდილს არ გადაუფლია, ახლა რა ღმერთი გაუწყრებო!

აკი გაუწყრა! ნაშუალამეგს ისეთი დაუშვა, გვალვისაგან დაფშენილი მიწა ერთბაშად ალაფდა, ნაპურალში მანქანები ვეღარ შევიდნენ. ურმები შეაბეს ნამჯის გამოსატანად.

— თვითონ სად არის?

— სადახლოში ერთი ძმადნაფიცო ლეკი ჰყავს, იმასთან წავიდა, მუხის კოჭებს შემპირდაო. კარდანახში სახლს უშენებს პატარა სიძეს.

ჩოხელს ფერმა გადაჰკრა. ქვედა ბაგემ ცახცახი დაუწყო.

მინც არ დაზოგა რაინაულმა წითელი დათა.

— გუშინ ბოლნისში მანქანა გაუგზავნია ქვის ჩამოსატანად. გზაზე შოფერი დამთვრალა და ლოჭინის ხევში მანქანა დაუმტვრევია.

ჩოხელმა ჯავრიანად გაატკაცუნა ერთმანეთში ჩახლართული თითები.

— დადის წითელი დათა ამ ქვეყანაზე ნაჯოგარ ხარივით გაღალღებული! — სთქვა მან.

— ერთი ამბავი კიდევ უნდა ვითხრა სიმონ!

ასე თამამად და პირუთენელად მიულოდ რაინაულს შეეძლო ჩოხელთან საუბარი.

— არ გეცოდები, კაცო? — გაუღიმა ჩოხელმა და როგორც წელიან, მანქანაში ჩასხდომისას, მეგობარს მხარზე ხელი მოუთათუნა.

რაინაულს გული შეეკუმშა. ის ხელი და ის ღიმილი რაღაც შეველას ითხოვდა მისგან. ითხოვდა გაუბედავად, უხერხულად, თითქოს ეთაკილებოდა, რომ თავის სისუსტეს ამჟღავნებდა.

და რაინაულიც გულისხმას აპყვა. პირდაპირ უთხრა ჩოხელს:

— მართლა ძალიან დაღლილი ხარ, სიმონ! ცოტა დაისვენე, თავს მიხედე, თორემ...

— თორემ რა? — იფეთქა ჩოხელმა. — შენ მკითხაობას თავი მიანებე და საქმეზე მელაპარაკე!

„ახლოს არ გამიკარა! სანამდე იქნება ასე მარტოდ?“ — გაიფიქრა რაინაულმა. წყენით მიუგო:

— რა გაყვირებს, შე კაიკაცო! არ გინდა და ხმას არ ამოვიღებ.

— ახლა შენ დამიწყე ბუტიაობა, — ჩოხელი უკვე მოლბა. — მითხარი, რა მოხდა.

— კარგი არაფერი.

— მინც?

— ნინია მოზაიძეს წერილი მოუწერია, ბრიგადაში აღარ დავბრუნდებიო.

— ესლა მაკლდა! — ჩაილაპარაკა ჩოხელმა.

— „გლეხის იმედში“ ტრაქტორისტებს პატრიეს არა სცემენო. მთელი ზაფხული ხმელა პურზე და უნდილ საზამთროზე დაგვამყოფისო!

რაინაული გაჩუმდა, ვერ გადაეწყვიტა, აქ დაესვა წერტილი თუ ბოლომდე გაჰყოლოდა სახიფათო ბილიკს.

— კიდევ რაო? — ჰკითხა ჩოხელმა.

— შარშანდელი ანგარიში ჩემთან გეზრაც არ გაუსწორებიათო...

— კარგი, თადია, მაკმარე! — შეაწყვეტინა ჩოხელმა, მერე პირი დამუწვა და მთელი გზა ხმა არ ამოუღია.

ზაქარია ნადიბაიძე



ანუკა მარანში პურის ცომს აგუნდა-
ვებს. გიორგი თხას ატყავებს გულის
ამოსაღებად.

ეს ვეება ვაცი წუხელ მიმინოს ხევში
კლდიდან გადავარდა. გიორგიმ ჯერ კი-
დეც ცოცხალს მიუსწრო, ყელში დანა
გამოუსვა და მანქანაზე დააგდო. ამ დი-
ლით საჩენში ჩანგალზე ჩამოჰკიდა და
კარგად გასინჯა, — ტყავი მთელი იყო,
ერთი პატარა ნასკლომი ვერსად იპოვნა.
ერბოჭვა გამოიტანა და დანას ბირი აუ-
წყო, მერე თხას ორი ღერი ბეწვი ამოს-
წიწვნა, დანისპირს დაადო და სული შე-
უბერა. შუაზე გადაჭრილი ბეწვები ნი-
აგმა მალა აიტაცა. გიორგიმ ჩაიღიმა,
გაუხარდა, რომ დანა ასეთი ფხიანი იყო.
გულის ამოღება შეიძლებოდა.

ზემოდან კი ისევ ისმოდა იატაკის
ჭრაჭუნი და სკამების ხრიგინი; მერე,
როგორც იყო, სკამებმა მოისვენეს და
ჯერი ტახტზე მიდგა. გააჩოჩეს, გამოა-
ჩოჩეს, მერე ისევ კედელს მიადგეს...

„სულ დამიფხაჭნის ახლად შეღებილ
იატაკს!“ — გაიფიქრა ანუკამ.

ხმაური თანდათან მისწყდა. შუშაბან-
დიდან ზაქარიას გაჯავრებული ხმა მო-
ისმა:

— ანუკა!

ანუკამ ხმა არ გასცა. იგი მაშინვე მი-
ხვდა, მოხუცი ქალამნებს ეძებდა. წელან
ძეწნას ბიჭმა ჩამოიარა და ზაქარიას შე-
მოსძახა, ჩოხელი გიბარებსო.

— დედაკაცო, ჩემი ქალამნები მომი-
ტანე, თორემ...

კიბის თავზე საგარეოდ გამოწყობილი
ზაქარია გადმოდგა. ხელში მათრახი
ეჭირა. ანუკამ ფეხებზე შეხედა. სიცილი
წასკდა. მოხუცი წინდების ამარა იყო.

— დედაკაცო!

ანუკამ ისევ წაუყრუა. რა მისი ბრა-
ლია, რომ ბიჭები ახირებულ მოხუცს ქა-
ლამნებს უმალავენ. გათენებისას იმ და-
საწვავ „ღორის ტყავს“ მოპარავენ და
საწოლთან ახალთახალ ჩექმებს დაუ-
წყობენ. გაეგონია? ზაქარია იმ ჩექმებს

ზედაც არ დახედავს. ანუკას შეხვეწი-
ბა, ქალამნები მომიტანეო.

— თავი მოგვეჭრა, მამავ! ეზოში ავ-
ტომობილი გვიღვას, მინდორში კომბაი-
ნი დაგვიდის... შენ კი ისევ ქალამნებში
დადიხარ! განა ყველამ იცის შენი გუ-
ლის ამბავი! — ეუბნება გიორგი, მაგრამ
ცხენისა და ქალამნის სიყვარული ვერ
იქნა და ვერ მოაშლევინეს ზაქარია ნა-
დიბაიძეს.

„თუში ცხენზე იბადება და ცხენზე
უნდა მოკვდესო!“ — ამბობს იგი და
თუმცა გამგეობის ეზოში შინდისფერი
ავტომობილი უღვას, ქორისას უნაგირი
რომელი მანქანის რბილ სავარძელს არ
ურჩევნია გაუგონარ მოხუცს.

კალოზის დროს ხარიპარიას გაერთო-
მამდე წამოდგება ზაქარია, ხელდახელ
ჩაიცვამს, კვერცხისებრ ჩარგვალეზულ
ულაყს შეკაზმავს და კომბაინებს ჩამო-
უვლის.

როგორც კი ქორისა გზას გაივსებს
და თოხარიკს გააბამს, ზაქარიას მაშინ-
ვე თვლემამ მოერევა და უნაგირზე ისე
ტკილად გამოშუშდება, მერე ღმერთმა
შეარცხენოს ნაწაჯზე გაშლილი ნაბადი.
ერთხელ მოხუცს კბილის ტკივილმა
ძილი გაუტეხა. ვერც არაყმა უშველა და
ვერც დასაძინებელმა წამალმა. ჩუმად
კენსოდა, რომ შინაურები არ შეეწუხე-
ბინა.

— ქორისა ხომ არ შეგიკავზმო, მა-
მავ? — გამოსძახა გიორგიმ აატარა ოთა-
ხიდან.

— ამ შუალამისას ექიმი როგორ შე-
ვაწუხო, ბიჭო?

— არა, მამავ! — ჩაიციხა გიორგიმ, —
განა ექიმთან გიშვებ! ცხენზე რომ შეჯ-
დები, იქნებ დაეძინოს!

ზაქარია ნადიბაიძის შინდისფერი ავ-
ტომობილი მთელი შირაქის გაჭირვების
ტალკვესი იყო. მისი დაუღლეი მანქა-
ნა ხან შირვანის საზამთრო საძოვრებზე

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ნატერის თვალი

მიაქროლებდა აღმასკომის თავმჯდომარეს, ხან კიდევ ექიმი დაჰყავდა ახლომახლო სოფლებში. ცხენს არ გათხოვებდა ზაქარია ნადიბაიძე, თორემ ავტომობილს როგორ დაგიკავებდა!

ქალამანიც ასევე უყვარდა. მაგრამ ქალამანიც არის და ქალამანიც. ზაქარია ნადიბაიძე ღორის ტყავს რომ გამოქნიდა, მერე შოლტებად დასჭრიდა და ფეხზე ამოისხამდა, თვალი ზედ დაგრჩებოდა. მაშინ იორღა ვერ დაეწყოდა ზაქარია ნადიბაიძეს, ეგრე ჯეველად მიჰქონდა მხარბეჭე ტარიბანას აღმართზე.

სწორედ ამის გამო იყო ერთი გაუთავებელი დავა და ბუზლუნი ნადიბაიძეების ოჯახში...

— დედაკაცო!

ცომაზე ხელის ტყაპუნი შეწყდა. მარნიდან ანუკამ გამოიხედა.

— თონე გამიცვიდება, კაცო!

— იცოდე, ანუკა, ქორისას უნაგირს მოვხდი და ეზოდან ფეხს არ მოვიცვლი! მერე შენ გაეცი პასუხი სიმონ ჩოხელს! — მოხუცმა მათრახი რტაზე ჩამოჰკიდა და ქუდი მოიხადა.

— რა ვქნათ? — წასჩურჩულა ანუკამ მარნის კართან მომდგარ გიორგის.

— მართლა ჩოხელი ეძახის? — ჰკითხა გიორგიმ.

ანუკამ თავი დაუქნია.

გიორგიმ ამოიხხრა, მერე მიტრიალდა და პირმომტვრეულ კოკასთან მივიდა. ეს კოკა საწვიმარ ღართან იდგა. ანუკა შიგ ხანდახან წვიმის წყალს აგროვებდა თავის დასაბანად. კოდის წყალი ძალიან მარილიანი იყო და საპონს ცუდად აშორებდა. გიორგიმ კოკაში ხელი ჩაჰყო და ერთმანეთზე დაკრული ქალამნები ამოიღო.

— მიუტანე.

ზაქარია ისევ კიბის თავზე იდგა.

— რა გაყვირებდა, შე კაცო! — უთხრა ანუკამ, — ძაღლს ჩაუტანია ეზოში.

— მოველაგ იმ სამგლეს! — სთქვა ზაქარიამ.

ვითომ ვერ ხედავდა, რომ ბოლო დროს ცოლ-შვილი ძალიან შეუთამამდა ოჯახის უფროსს.

„გლეხის იმედის“ თავმჯდომარის მოლოდინში სიმონ ჩოხელი ფანჯარასთან შუბლშეკრული იდგა და ეზოს ვახსენებდა.

მან დაინახა, როგორ აუჩქარებლად ჩამოხტა ცხენიდან ზაქარია და ასევე აუჩქარებლად კიბისაკენ წამოვიდა.

ერთი პირფერი სიტყვა არ დასცდენია ამ ხნის მანძილზე ზაქარია ნადიბაიძეს, მის პირისახეზე ერთი ლაქტუცა ღიმილი არ დაუნახავს სიმონ ჩოხელს... ყველაფერზე ეტყობოდა, კერპი, დაუყოლიებელი კაცი იყო „გლეხის იმედის“ თავმჯდომარე. შენს ჭკუაზე ეგრე ადვილად არ გაივლიდა. „ეს ყოველთვის უნდა მახსოვდეს“, გაიფიქრა ჩოხელმა.

კარი გაიღო.

— შეიძლება?

ჩოხელმა თავი დაუქნია.

— გამარჯობა, ამხანაგო სიმონ!

— იცოცხლე, ზაქრო!

ხელი ჩამოართვა, სკამი მიაწოდა.

— სად დაუწყია მოზაიქის მუშაობა?

— საქნავთში. საბარგო მანქანაზე.

— ხალხს მოვლა უნდა, ზაქარია...

ყველამ თავ-თავის საქმეს უნდა მიხედოს, თორემ ერთი და ორი კაცი ყველაფერს როგორ გასწვდება!

— ამ ამზავმა მეც ძალიან გამაკვირვა, ამხანაგო სიმონ. წესიერი კაცი იყო, მუყაითი, ვერ გამიგია, ახლა რამ გადარია!

— წესიერი კი არა... — ჩოხელმა ხელი ჩაიქნია, — ტრაქტორს თავი მიანება და საშოვარზე დაიწყო სიარული... ხვალ საღამოსვე საერთო კრება მოიწვიე, ვინც ასე გან-გან დადის, იმათი საკითხი დააყენე! მეც ჩამოვალ.

— ჯერ იქნებ მოველაპარაკო...

— არავითარი ჯერ იქნებ... ეს მარტო ჩემი აზრი არ არის, სხვებიც ასე ფიქრობენ!

ცხელოდა. ჩოხელმა ფანჯარა გამოაღო. ზაქარიას ცხენი რომ დაინახა, ჩაიცინა და სთქვა:

— გამხდარა შენი ქორისა, ზაქარია! კაცს როგორ მოუვლიდი, ცხენისათვის ვერ მოვივლია!

ჩოხელმა თვალი ვერ მოატანა, რო-

გორ შეუთამაშდა მარცხენა წარბი ზაქარია ნადიბაიძეს. მხოლოდ მისი მშვიდი პასუხი გაიგონა:

— გახდება, მა რა იქნება, ამხანაგო

სიმონ! კვირაში სამჯერ, დღიდან სამომდე, ცხენი რაიკომის ეზოში მიბია. სულ აქა ვარ, თათბირებზე. ან კაცობრივად გორდა მივხედო, ან პირუტყვის!

თავი მიქმსამ

ხარი უღელში უნდა გამოიქნას

ნადიბაიძე კარგა ხანია წავიდა. ჩოხელი კი ისევ ფანჯარასთან იდგა და გულამღვრეული ფიქრობდა, ზაქარია ნადიბაიძეს თავს გაუვიდა, მუშაობას მიწუნებს, ყველაფერზე საკუთარი აზრი გაუჩნდაო.

ფანჯრის მინაზე თითებს მოუთმენლად ათამაშებდა. მერე ჩაიცინა და გულში სთქვა: „ვაი ჩემი ბრალო! კაცმა სიმართლე მითხრა, მე კი ის კაცი შუაზე მინდა გავგლიჯო!“

მაგიდის უჯრიდან ქალღლები ამოალაგა და წერა დაიწყო. გასულ კვირას ჩოხელს თბილისიდან ნაცნობმა რედაქტორმა დაურეკა და წერილი წაუკითხა საზაფხულო საქოვრების თაობაზე. ხუთგვერდიანი მასალა სულმოუთქმელად ჩამოფქვა ტელეფონის მილში და ბოლოს ჰკითხა, როგორი წერილიაო.

კარგიო, მიუგო ჩოხელმა.

შენი ხელმოწერით მინდა გაზეთში წავიდესო, უთხრა რედაქტორმა.

ჩოხელმა ხმა არ გასცა.

— მგონი გავეთიშეს, — ჩაილაპარაკა რედაქტორმა.

— ჯერ არა, — მაშინვე შეეხმინა ჩოხელი, — ისე, კარგი კი იქნება, რომ გავეთიშავდნენ!

— რათა, შე კაიკაცო?

— ძალიან მაწყენინე, გურამ!

— რა მოხდა, სიმონ, ხომ არაფერი ჩაგძახეს?

— მეტი რაღა უნდა ჩამძახონ, კაცი უწიგნური გამომიყვანე!

— ჰოო, — გულზე მოეშვა რედაქტორს, — მე რაღაც მეგონა... ამაზე რას მიწყობი, სიმონ! შენთვის გავაკეთე. ამ განხურებულ ალოობაზე საწერად სად მოცდის-მეთქი.

— არა, თუ ძმა ხარ, ჩემი სათქმელი

მე თვითონ მათქმევინე. მოვახერხებ როგორმე!

— კი, ბატონო! იყოს ნება შენი! აბა, კარგად იყავი. — რედაქტორმა კიდევ რაღაც წაიბურღელა და ტელეფონის მილი ორკაპზე დაავლო.

ახლა სწორედ ამ წერილს ამთავრებდა ჩოხელი. დაღამებამდე თავაუღებლად მუშაობდა. მერე სინათლე ჩააქრო და კაბინეტი დაკეტა. მოსაცდელ ოთახში, სადაც მდივანი-მემანქანე იჯდა, ერთ ხანს უაზროდ შეჰყურებდა ჯამისოდენა საფერფლეს. იგი პირამდე საგსე იყო ათასგვარად ნაღვჭი ნამწვავებითა და მზესუმზირას ჩენჩოთი. ერთ-ორ ნამწვავს ტუჩების საღებავის წითელი რკალი აჩნდა. „პატარა პელო ყოფილა“, — გაიფიქრა ჩოხელმა და მაყვალას გულში მადლობა გადაუხადა, რომ დღესაც უჩხუბრად მორიდა რაიკომის მდივანი დურგლის ცოლთან უსიამოვნო საუბარს.

„ეს ჯამი კი ეგრე არ უნდა დაეტოვებინა!“ მაყვალას გულმაგიწყობა არ მოუწონა და ოთახიდან გავიდა.

ახლახან გამართული ლამპიონები უგემურად ბჟუტავდნენ. ჩოხელმა ქუჩიდან გადაუხვია და ქადრების ხეივანში მიმალულ ბილიკს გაჰყვა.

მისი შემხედვარე ვერ იტყოდი, ამ კაცმა იცის, სად მიდისო.

მარტო ცხოვრებამ თავი მოაბეზრა სიმონ ჩოხელს. დაღამება და შინ წასვლა ეზარება, როდესაც გაახსენდება მაგიდაზე გაზეთგადაფარებული ცივი სადილი (სასადილოდან მოტანილი), უმზობისაგან დანესტიანებული ქვეშავეები და

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ნატვრის თვალი

სიჩუმე, უსიამოვნო სიჩუმე მარტოხელა კაცის ბინისა.

და ვინ იცის, ამ დაუსრულებელ თაბორებსაც იქნებ იმიტომ დაეჩვია სიმონ ჩოხელი, რათა იმ გამოყრუებულ ბინაში რაც შეიძლება გვიან მივიდეს...

ვინ იცის!

არავითარი ვართობა და თავშექცევა მან არ იცოდა. ხუთი წელიწადი შესრულდა, რაც ჩოხელი წიფლის წყაროში ჩამოვიდა. იგი ერთხელაც არ გაპყოლია სათევზაოდ ზაქარია ნადიბაძეს. ალაზნში სავსე იყო ლოქო. ტინის ხიდიდან მკაფიოდ სჩანდა, კამკამა წყალში როგორ აქნევდნენ ბოლოებს ვეება შავი ლანდები.

კალოობას რომ მოათავებდნენ, არჩილ ყანაშვილი და მისი ამაღა ყოველ შაბათ-კვირას დადესტინის ტყეებისაკენ გაუტევედნენ გარეულ ღორზე სანადიროდ.

სიმონ ჩოხელს გული არც ტყისაკენ ეძახდა. ალაზნზე მხოლოდ ორჯერ იყო ნამყოფი. ერთხელ — როდესაც შირვანიდან მოდენილ ცხვარს ყუთური დაემართა და სასწრაფოდ კრეოლინი უნდა ეშოვნა... მეორედ კი — ჩანკაანთ ხევთან გზა დაგზნა და გათენებისას ალაზნის ხიდთან ამოჰყო თავი. არ ეცალა. პური კი შირაქში მიიწი ცოტა მოდიოდა. მართალია, წლეულს გვაღვა იყო, მაგრამ შარშან? შარშანწინ?

გასულ კვირას ჩოხელმა ძველ გუთნისდედებს დაუძახა და რჩევა ჰკითხა. ზაქარია ნადიბაძემ პირდაპირ უთხრა, მიწას ძარღვი საიდან ექნება, მეექვსე წელიწადია, ნაპურალზე ისევ პური ითესებაო.

— აქაური კაცი ხარ, სიმონ. განა არ იცი, შირაქის ურწყავ მინდვრებს ანეულნი აცოცხლებს! ანეულნი გვაღვისა არ ეშინია. ვინდ ხუთი წელია მოსულა, ვინდ მიწა ხუთჯერ მოვიხნავს.

იცის, როგორ არ იცის შირაქში დაბადებულმა და გაზრდილმა ჩოხელმა, რომ ერთმინდვრიანობამ მიწას სული ამოხადა, მაგრამ რა ექნა. „საქართველომ თავისი პური უნდა იმყოფინოსო“, — ასე განსაჯა აბრილის პლენუმმა. გამოფი-

ტულ ნიადაგს იმდენი სასუქიც ვეღარ მისცეს, ცოტა ღონე და სიფიტბე მომატებოდა.

შარშან ტარიზანაზე დიდი ტრაქტორები ახოებსა სტეხდნენ. ამიტომ პური გვიან დათესეს. ახლად გაღივებულ მარცვალს ყინვამ მოუსწრო და გააღაყა.

უჭირდა ჩოხელს ახალი გზით სიარული, თუმცა პარტიულ წრეებში ჯერ კიდევ კარგი მეთაურის სახელი ჰქონდა დაგარდნილი.

საოცარია?!

არა, არ არის საოცარი, თუ გაიხსენებ, მკითხველო, რომ ჩოხელი უაღრესად პატიოსანი, უანგარო და პარტიის ერთგული კაცი იყო.

სწორედ ეს ადამიანური მაღლი მალავდა ჩოხელის მთავარ ნაკლს — რომ იგი არ იყო გამოკედილი ხალხის მეთაურად, არ შეეძლო ერთსულად და ერთხორცად შეეკრა სხვადასხვა ზნისა და ხასიათის ადამიანები.

მალე ისევ შარაგზაზე გამოვიდა.

ასფალტის დამგებ მანქანას პატარა ბიჭები დასეოდნენ და ზედ ოთურმას გადადიოდნენ.

ხელმარცხნივ, პატარა ფერდობზე, ორი ახალი სახლი იდგა. გუშინ და გუშინწინ ოცდაშვიდი ოჯახი ჩაასახლეს ოროთახიან ბინებში. შეღამებულში ეს ახალი სახლები მეტისმეტად გამოირჩეოდნენ მთელი იმ ქუჩის დაყოლებზე. იქიდან უფრო ხმამაღალი სიცილი მოისმოდა, რადიომიმღებსაც უფრო ხმამაღლა აყვირებდნენ, ვიდრე ძველ სახლებში და არც სინათლეს ზოგავდა გახარებული ხალხი. ფანჯრებს ჩახჩახი გაჰქონდა. ისინი იმითაც გამოირჩეოდნენ, რომ მათი პატარა აივნები სავსე იყო ათასგვარი ძველმანით, — ფეხმოტეხილი სკამებით, ბოცებით, თაროებით, წილებგადმოყრილი მუთაქებით... მათი მილაგება ჯერ კიდევ ვერ მოესწროთ მუმბარაქით გართულ დიასახლისებს.

აჯერ, განაპირა აივანზე, ვიღაც ქალმა უტბად თავი უკან გადააგდო და ისე გადაიკისკისა, მთელი ქუჩა მისკენ მიტრიალდა.

ჩოხელს გაეღიმა. ამ უცნობი ქალის სიცილმა კარგ გუნებაზე დააყენა.

„კაცმა თავი როგორ უნდა დაზოგო, როცა შესაძლებელია, რომ მთელი ქვეყანა აი ასეთი ბედნიერი სიცილით გაიყოს! გახარებულ ადამიანზე უფრო ლამაზი ცხოვრებაში რა შეიძლება იყოს?“ — ჰკითხა მან თავის თავს.

ამ უცაბედმა ფიქრმა ჩოხელს გული გაუკეთა და ახლა სასაცილოდ არ ყოფნიდა წუხანდელი შიში და ეჭვი, გაისად მიწის მუშა სანთლით საქმბარი გამიხედებო. მაგრამ ხალისი ისევ წაუხდა, — როგორც კი ღვინის სარდაფთან შეუხვია და თავისი სახლის შესასვლელს მიადგა. მისი ორთახიანი ბინის ფანჯრებზეც ისე ბრდღვიალებდნენ, როგორც დიდი წვეულების დროს იციან ხოლმე.

რამდენი თვეა, ის ფანჯრები განათებული არ დახვედრია სიმონ ჩოხელს და ისიც ისე შეეჩვია ამ თვალებდათხრილ, ჩაბნელებულ ბინას, რომ ახლა უცბად ეგონა, შესასვლელი ამერიას.

„ელისო ჩამოსულა“, — გაიფიქრა მან. კაცს მუდამ უხარია, როდესაც შინ დამიანად დაბრუნდება და წინ მისი სახლის განათებული ფანჯარა შეიგებება. ჩოხელს კი...

„ვიცი, როგორ შემხედება, რას მეტყვის... შედეგილ ტურებს ლოყაზე ფრთხილად მომადებს და კი არ მაკოცებს, რაღაცნაირად დამყნოსავს, თითქოს სხვა რაღაც სუნი მოედინაო. მერე საწერი მაგიდისაკენ მიბრუნდება, დამტვერიანებულ რვეულებს ხელს დაჰკარავს და მკეხედ მომაშაგებს: — კიდევ არ დაგიწყია მუშაობა? სანამ პირველი მდივანი ხარ, მოასწარი და ხარისხი მიიღე, თორემ მერე შენმა დისერტაციამ ჩაილურის წყალა არ დალიოს!

— მდივნობა რა შუაშია? — გაცეცხლდება ჩოხელი... და ისევ ჩხუბი, შელაპარაკება, გადაკრული სიტყვა...

მათ ოჯახში უსიამოვნება იმ დღიდან დაიწყო, როდესაც სიმონ ჩოხელი სამუშაოდ წიფლის წყაროში გაამწესეს.

შირაქის სიცხემ და მტვერმა, ულამაზო და ქუჭყიანმა დაბა-ქალაქმა, წყენმა, ერთფეროვანმა ბუნებამ, ნალექმა გაუსივა ელისოს. როგორ უნდოდა წერეთლის ქალს, რომ სიმონს რაიკომის მდივნის მოუსვენარი ცხოვრება მყუდრო კაბინეტზე გაეცვალა, სამეცნიერო ხარისხი მიეღო და თბილისში დაეწყო მუშაობა. მეტადრე ახლა, როდესაც ჩოხელმა ახალი ბინა მიიღო ვარაზის ხევში. ეს იყო ელისოს ძილისპირული ოცნება... კარგი ხელფასი, სადამოს თეატრი ან წვეულება, — რატომ არ უნდა იცხოვროს ელისომ ადამიანურად, როგორც მისი მეგობარი ქალი თამუნია ჯაყელი ცხოვრობს? ენატრება ელისოს თბილისის რჩეულ საზოგადოებაში გამოჩენა, ახალიერზე შეკერილი კაბებისა და მაცდუნებლად დამრგვალებული თქოების გამოშეურება.

ხშირად უსაყვედურებდა ქმარს:

— არ გებრალები, შე კაცო, უდროოდ რომ დამაბერე ამ ჯურღმულში!

უდროოდ დამაბერეო! ჩოხელს გულში გაეცინება ამის გავიხედავზე. ოცდათვრამეტი წელი შეურსულდა ელისოს, მაგრამ თვალტანად ბევრად უფრო ახალგაზრდა სჩანდა. ქუჩაში რომ გაივლიდა, კაციც და ქალიც სიამოვნებით თვალს გააყოლებდა.

— მთელი დღე ჩემი მუხლი არ ჩაიხრება! ჯერ მარტო შენი შვილების გაკვეთილების სწავლამ და ოთახების დალაგებამ გამათავა. ერთი გოგო არ მიშოვნე. პირველი მდივანი ვარ და მოახლე როგორ დავიყენოთო! დალაგება მეზარება. ამ ჩაბნელებულ ქუჩებს რომ გავხედავ, აღარ ვიცი, რა წყალს მიცვეთავი. მე შენ გეტყვი, კინოში წახვალ ან თეატრში, ცოტა გაერთო და ქვეყანაზე მთლად არ გამოყრუვდე! პირველი ვარო, იძახი და... რასა ჰგავს თქვენი კულტურის სახლი! ადამიანს იქ არ შეეხვლება. ნასვამი ავარა ბიჭები იქაურობას იკლებენ, დარბაზში ყურთასმენა აღარ არის! არ იცი, ვინ მზესუმზირას ჩენჩოს გად-

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ნატერის თვალში



მოგაყრის, ვინ პაპიროსის ნამწვავს მოგადგებს. ჯურღმულია, სიმონ, შენი წიფლის წყარო. ნამდვილი ჯურღმული!..

მზე რომ ჩავა, ასე გეგონება, სიცოცხლე თავდებაო. ხალხიც ამიტომ სვამს, ლოთობს. საქართველოში სად არ მიცხოვრია, მამაჩემი ლექტორი იყო და ქალიშვილობისას ხშირად დაეყავი რაიონებში, მაგრამ აქ რომ სვამენ, შირაქში, ეს არსად მინახავს. სვამენ ოჯახში, დუქანში, მატარებელში, ალაზანზე! გუშინ ნავთის საწყობში ვიყავი, უთოს ნახშირი მინდოდა. იქაც კი სვამდნენ. ყველგან სვამენ, სადაც კი წაეწევიან და მოასწრებენ. იცი, რა გითხრა, პირველო მდივანო? სწორედ ამ მოწყენილობის ბრაღია, რომ უბრალო ქელებიც კი დროსტარებად აქციეს, წარმოდგენად გახადეს... მამ რა ჰქნან? კაცის თვალს სანახავი უნდა! თუ გინდა სერიი იყოს, ისიც უნდა! მშვიდი სულს მამლარი კუჭით ვერ დააბამ!

— ერთი-ორი წელიწადი კიდევ გაიჭირვე, ჩემო ელისო, მერე ყველაფერი გექმნება! აქ მარტო ნუ დამტოვებ, — ეხვეწებოდა ჩოხელი, მაგრამ როდესაც ტყუპები სასკოლო ასაკში მოვიდნენ, ელისომ წიფლის წყაროში ცხოვრება აღარ მოისურვა.

დაიჩემა, მანანას მუსიკის ნიჭი გამოაჩნდაო (პირდაპირ ვადარია პროფესორი!) და რადგან წიფლის წყაროში მუსიკალური სასწავლებელი არ იყო, შვილებს ხელი დაავლო და თბილისში გადაბარგდა. შირაქში იშვიათად ჩადიოდა, იქნებ სიმონს მარტო ცხოვრება მობეზრდეს და თბილისზე იფიქროსო.

ზარი დარეკა. გასაღები ჯიბეში ჰქონდა. მაინც დარეკა. ნუ წამეჩხუბებო, სთხოვა ელისოს იმ ზარის წკრილაშმა, მაგრამ თავგასულ ქალს ვინ მისცა ამდენი სიფაქიზე და გულისხმიერება. კარი გააღო თუ არა, ჩოხელს ზედაც არ შეხედა, ცივად მიბრუნდა და შუშაბანდში გავიდა, საიდანაც ახლად მორეცხილი იატაკის სუნი მოდიოდა.

„დაუკრიალებია ყველაფერი!“

სიმონმა ხალათი გაიხადა, თავ-პირზე ცივი წყალი შეისხა, მერე ^{შუშაბანდში} შეიხედა. ფანჯრის რაფაზე ელისო შემდგარიყო და გაზეთის ქაღალდს გამწარებული უსვამდა ფარუგის მინას. ის მიანაც ისე წიოდა და კვნესოდა, რომ ჩოხელს გული ჩასწყდა, წერეთლის ქალს უჩუბრად ვერ გადაუტრიალებო.

ცხელოდა. ელისოს შლიოფად ეცვა. თხელი კაბის კალთები წელში ჩაებნია და ლამაზად ჩამოსხმული სავესე ფეხები რაფაზე ისე ჩამოეწყო, სიმონს უეცრად გული აუფრიალდა, ძარღვებში ტკბილი ქრიაშული ჩაუდგა. მივიდა, ელისოს გრილ, გამოწყებულ წვიგებზე ხელი მოხვია, ქალი მალლა აიტაცა...

— გამიშვი! — უთხრა ელისომ.

ფანჯრის ალათან მოებლაუჭა და სიმონს ხელი გააშვებინა. კაბის კალთა ჩაუშვა და ისევ ფანჯარას მიუბრუნდა, და ისევ გაისმა მინის ამაზრუნენი წივილი.

— დამელაპარაკე, შე ქალო! მაგას ხვალაც მოეწრები, — სთქვა სიმონმა.

— ხვალ თბილისში მივდივარ. ბიჭს მამა აღარა ჰყავს და მეც აღარ მივხედო?!

— ასე უდროოდ მიწაში რატომ ჩამდე, ჩემო ელისო?

— ჩემი დეპეშა მიიღე?

— მივიღე.

— მერე?

— ვერ მოვიცალე. ხომ შემოგიტვალე?

— რაიკომის მდივნები სხვებიც არიან, მაგრამ ცოლ-შვილი არავის მიუტოვებია.

— შენ მიმატოვე, ელისო!

— ბიჭს მალე გამოცდები დაეწყება.

ტყუილა მაინც გამოეჩნდებოდი სასწავლებელში. დაგინახავდნენ და პატარა ხათრს მაინც დაკლებდნენ.

— მოცილდი ფანჯარას. მომკლა მაგის უა-უამ, — სთქვა სიმონმა.

— კაცი დაბერდა და ხალხი ვერ შეგირჩევია. შენი არსენას შემხედვარე ჩვენთვის საიდანაც მოივლი?!

ბრაზისაგან ელისოს კისერზე ძარღვები დაებერა. ამ დაბერილმა ძარღვებმა

და მინის უსიამოვნო წივილმა კაცი ერთბაშად ჩააქრო და წელანდელი მძაფრი სურვილი გაუნელა.

„ოლონდ რაიმე მაწყენინოს, გული გამიხეთქოს... მეტი არაფერი უნდა! მუდამ ასე კრიჭაში მიდგას!“ — გაიფიქრა სიმონმა.

ხმამალა კი ეს უთხრა:

— მე აღარ მიკმარე და ახლა არსენას გადასწვდი?! იმან რაღა დაგიშავა?

— აღმასკომის თავმჯდომარეს მუცელზე ამოდენა ქონი რომ დაედება, მერე მისი აღარაფერი მწამს. იგი არაფრის გამკეთებელი არ არის. ეს უნდა იცოდე!

ელისომ ოფლისაგან შუბლზე მიკრულ კულულებს მკლავი აუსვა, ქაღალდის ნაგლეჯი ხელისგულში დაჭმუჭნა და ისევ ფანჯარას მიუბრუნდა.

„ეს კი გულში მომხვედრა!“ — უსიამოვნოდ გაიფიქრა სიმონმა.

არსენა დეისაძე ცოტა ზარმაცი კაცი იყო, პირის პატივი უყვარდა. ეს კიდევე არაფერი. ბოლო დროს დეისაძემ ერთი რამ კიდევე აიჩემა: სოფლებზე თვალი და ყური რომ უფრო კარგად მიედევნებინა, ხვნა-თესვა იყო თუ კალოობა, დოლი, თიბვა თუ სესხზე ხელის მოწერა, ადგებოდა და ყოველ უბანს ცალკე კაცს მიუჩინდა ხოლმე, პასუხისმგებელ მუშაკს „მაიამაგრებდა“, როგორც რაიონში ამბობენ.

„ეგ საქმე უნდა წამოგვიწიო, ამხანაგო. წადი „გლეხის იმედში“ და თავმჯდომარე ერთი მაგრად შეახურე! სული ამოართვი, მუხლი არ ჩახაროს, სანამ კალოობას არ მოათავებს!“ — ეტყოდა იგი გამომძახებულ კაცს. და ისიც, ვიდრე პურს არ დააბინავებდა, იქიდან ფეხს ვერ მოიცივლიდა, ღამის გასათევად შინ ვერ მობრუნდებოდა.

მთელი მისი ხელმძღვანელობა ამ „შემხურებლების“ მხრებზე იყო გადატანილი. ისინი კი, დეისაძის თვალში პირშავად რომ არ გამოუსულიყვნენ, საქმეს მუდამ თეთრად აჩვენებდნენ. ესეც იყო, — ალოობის დროს დეისაძეს საიდან გაეჩინა იმდენი პასუხისმგებელი მუშაკი, რომ ყველა მინდორსა და ფარას გასწვ-

დენოდა. მაშინ იგი დაბალ თაროებს ჩამოუვლიდა და იქ ეძებდა შემხურებლებს... და როცა მოძებნიდა და მუშაკებს კაცებს ყველგან დაგზავნიდა, მერე მოგეტა ღებდა, იმ ღამეს დეისაძე ლუკმასაც შეირგებდა, ღვინოსაც მაღლი მიეცემოდა და ძილიც უმანკო ყრმასავით უშფოთველი ჰქონდა.

ერთხელ წიფლის წყაროს სასადილოს გამგეს სანდრიკა ბერიშვილს აღმასკომიდან დაურეკეს, დეისაძე გეძახისო.

სანდრიკა აფორიაქდა.

— ალბათ თბილისიდან ვინმე ტუზი ჩამოვიდა, თორემ თავმჯდომარე თვითონ არ დამიძახებდა! — სთქვა მან და მზარეულს გასძახა, ერთი სუკი შეინახეთო.

მერე საწყობის გამგეს დაუბარა, „გლეხის იმედში“ ჩაირბინე, ზალიკოს უთხარი, ათი-თორმეტი ლიტრი ჩვენი თეთრი გამომიგზავნოს. მაცივარში შუშა კიტრები და სასალათე პომიდორები შეჰყარა, ქუდი დაიხურა და დეისაძეს ეახლა.

აღმასკომის კიბეზე ფეხს რომ შედგამდა, მუდამ რაღაც შიში და მოკრძალება შეიპყრობდა სანდრიკა ბერიშვილს. ისე ეზარებოდა ამ შენობაში შესვლა, როგორც ცოდვილს ეკლესიაში შესვლა ეზარება.

— როგორაა საქმე, ამხანაგო ბერიშვილო? — შესვლისთანავე ჰკითხა დეისაძემ კართან ატუხულ სანდრიკას.

— არა უშვავ, ბატონო!

კაცმა არ იცოდა, რა როგორ იყო და რას არა უშავდა.

ასეთი ცარიელი კითხვა-პასუხი ჩვეულგებრივი ამბავი იყო დეისაძის კაბინეტში.

— ერთი დავალება უნდა მოგცე, ამხანაგო ბერიშვილო!

— მიბრძანე, შენი ჰირიმი. აქამდე

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ნატვრის თვალი



არ შემირცხვენია პირი და ახლა რა დმერთი გამოიწყება!

— „გაზაფხულში“ უნდა წახვიდე...

— სადაც მიბრძანებ!

— ხალხი სამუშაოზე გვიან გამოდის, და აბა, შენ იცი, თავმჯდომარე ჭკუაზე მოიყვანე!

ყველაფერს წარმოდგენდა სანდრიკა ბერიშვილი, მაგრამ თუ ისიც ოდესმე მიმაგრებული ამხანაგი ვახდებოდა, ეს კი აღარ ეგონა. ამიტომ ახლა არ იცოდა, გახარებოდა თუ სწყყენოდა ამ მაღალ ტოტზე წამოსკუბება.

— ვეცდები, ბატონო არსენ! — მხნედ მიუფო სანდრიკამ და იმავე საღამოს ზემოქედისაკენ მიმავალ მანქანას გაჰყვა.

იმ დამეს შირაქში დიდმა ავდარმა გადაიარა.

გათენებისას წვიმამ გადაიღო თუ არა, სანდრიკა კოლექტივის კანტორაში გამოცხადდა. თავმჯდომარე იქ არ დაუხვდა — შინდორში არისო. სანდრიკამაც შინდორს მიაშურა.

წუხანდელ ქარწვიმას პური ალაგ-ალაგ ერთმანეთში ჩაეხვია და მიწაზე დაეწვინა.

ყანა ჯერ კიდევ სველი იყო და ბილიკზე მიმავალი სანდრიკა წელამდე ისე გაილუმბა, შარვალი გასაწურავად მოქცა.

ყანის პირას თვითმავალი კომბაინი იდგა. სანდრიკამ ბევრი უტრიალა მანქანას — კაცი არსად სჩანდა. მხოლოდ ყანის ბოლოში ერთი პატარა ბიჭი ცხენს დასდევდა დასაჰერად.

სანდრიკამ ბიჭს დაუძახა და ჰკითხა. ეს კომბაინი ვისი არისო.

— დუბოვისაა.

— თვითონ სად არის?

— ვაგონში იქნება.

— აბა, კუჭი, გაიქე და უთხარი, აქ მოვიდეს!

ბიჭი გაიქცა. არ გასულა დიდი ხანი, დუბოვიც გამოჩნდა. ეტყობა, ნამძინარევი იყო, თვალეზი დაბერილი ჰქონდა. ნახესხები თმა გვერდზე სასაცილოდ ჩამოშლოდა.

— სანდრიკას ვახლავარ! — დანვე დაუძახა დუბოვმა.

— გაგიმარჯოს! — მოლუქდა მითყისა სალმა სანდრიკა.

— სად ყოფილხარ, კაცო? ე, როგორ დასცელებულხარ!

— თავმჯდომარეს ვეძებდი! — სანდრიკამ შარვლის ტოტზე მოკიდებულ ბირკას ხელი ჩაჰკრა, — ეს კომბაინი გზის პირას რომ დაგიყენებია, რას ფიქრობ, კაცო, ჩოხელმა რომ ჩამოიაროს?

— ჩამოიაროს, მერე რა?!

— შუადღე მოვიდა, ჩემო ძმაო, მუშაობა არ უნდა დაიწყო?! — უთხრა სანდრიკამ.

დუბოვი მოიღუშა და როგორც გაჯავრების დროს იცოდა, ნიკაპი მაგრად მოისრისა. მერე უცბად ჩუმად გაიღიმა. სანდრიკას ეგონა, დანაშაულზე რომ მივუსწარი, იმიტომ გაიღიმაო. ცოტა გაიბღინდა და პირქუშად უთხრა:

— სირცხვილია, კოლია! ქედლებს სწორედ ამას ვესაყვედურებოიან, შინდორში გვიან გამოდიანო!

— რა ვქნა, სანდრო-ჩემო! დღეს რაღაც გული მეხურება და მუშაობის გუნებაზე არა ვარ! — უთხრა დუბოვმა და პატარა ბიჭს გადახედა.

ის პატარა ბიჭი სანდრიკას თვალეზი დაჰყვებოდა და სახელოში ჩუმად ფრუტუნებდა.

— რას ამბობ, კაცო? — სანდრიკამ წარბები შეჰყარა და იმგვარად ჩაიციინა, კაცი ურიგოდ ნათქვამ სიტყვაზე რომ ჩაიციინებს ხოლმე, — ყანა შენს გუნებას მოუტდის?!

— რა ვიცი, ეს ოხერი, ხანდახან ასე რაღაც მომივლის... მომკალი და იმ დღეს მამუშავე, — მშვიდად მიუფო დუბოვმა.

მისი არხენი ხმა ცეცხლად შემოენთო სანდრიკა ბერიშვილს.

„ეს ხალხი მართლა წასულა ხელიდან“, — გაიფიქრა მან.

სუსხიანად უთხრა დუბოვს:

— შენ რა ძალიან აგოწყვეტია თავი, ამხანაგო! კომბაინი დასძარი, თორემ კაცი არ ვიყო, თუ ახლავე ჩოხელს არ დაეურეკო!

— მე ჯერ უნდა გამოვიძინო, ძმაო, მერე ვნახოთ, რა გუნებაზე ავდგები! — მიუგო ღუბოვი. პატარა ბიჭს თვალი ჩაუკრა და წაივია.

გამოვიძინო!

სანდრიკა კინალამ გაგიჟდა, ეს რომ გაიგონა, და უეცრად ისეთი ქოშინი აუვარდა, პატარა ბიჭმა შეშისაგან პირი დამუწწა და სერზე ზანტად მიმავალ ღუბოვს გასედა.

— შენ რას იკრიჭები, შე მიიმუნო?! — ახლა იმას მივარდა პირკატანაცემი ბერიშვილი, — ეს არის თქვენი ნაქები ბრიგადირი? დილას აქეთ ერთი კვალი არ გაუტანია!

— ყანა სველია, ბიძია! — დინჯად მიუგო ბიჭმა, თავთავის ღერო თითზე დაიხვია და სანდრიკას გაუშვირა, — სანამ კარგად არ გაშრება, პური არ გაიჭრება!

მაშინ კი მიხვდა სანდრიკა ბერიშვილი, რომ ტყემალზე იჯდა, მაგრამ უკვე გვიანდა იყო. საღამოს მთელმა სოფელმა იცოდა მისი გაპამპულების ამბავი. დღანებულში, ხვავებთან, დიღანს ისმოდა მეკალოვ გოგო-ბიჭების ხარხარი. პატარა არველოდი დიდი მონდომებით ატლკინებდა ენას:

— მერე მე მომვარდა, რატომ დროზე არ გამაფრთხილეო! რა ჩემი თქმა უნდოდა! აკი თვითონაც ქათამივით იყო ამოწყუმპლული...

ამ ფათერაკმა ჩოხელის ყურამდეც მიადღწია. ბრიყვი სანდრიკა სოფელს დაღესვე მოაშორეს.

ღეისადე კი...

— რამდენჯერ ვუთხარი, ამ შუაკაცებს მოეშვი-მეთქი! — შესჩივლა ჩოხელმა თადია რაინაულს.

— ან ეს ხალხი ისე მაინც შეარჩიოს, ვინ სად გამოდგება და არა ისე, ვის სად კარგი მასპინძელი ეგულება! — უთხრა რაინაულმა.

შეძლო მეტიც ეთქვა, მაგრამ თავი შეიკავა. „ჩოხელმა არ იფიქროს, მისი ადგილი უნდა და ბერაში ატარებდეს!“

„ვერ ივარგა არსენამ, სხვაგან უნდა გადავიყვანო“, — გაიფიქრა ჩოხელმა და მაშინვე თვალწინ დაუდგა გუთნის კუდზე წახრილი მანუჩარ უგრეხელიძე... მოაგონდა ტრაქტორისტი ნინია მოზაიძე. მისი მანქანა ახლაც ყანაში გლია უპატრონოდ.

„დღევანდელმა დღემ საბოლოოდ დამარწმუნა, თუ მინდორს ერთბაშად არ ვუშველე, საქმე ძალიან ცუდად წამივა... არსენა ღეისაძის ადგილას ერთი მარჯვე კაცი სულზე მომისწრებდა, მაგრამ ვინ?!“

ჩოხელს თვალი ვერავისზე დაუდგამს. ხან არჩილ ყანჩაშვილი წამოვლანდებოდა თვალწინ, ხან კიდევ თადია რაინაული გულში ჩაუჯდებოდა და ყველა პო იმის მხარეზე გადადის.

თავი მეთხუთმედი

თეთნულდიდან ჩამოსული ჯეირანი

— ცოლი არ გინდა, შვილი არ გინდა... არც შენი თავი გინდა?! — ისევ წამოიწყო ელისომ და ჩოხელს ფიქრი გაუწყვიტა. — ეგ შენი ალიაბათური კილო ჩქარა მაინც მოათავე, ჩემო ქმარო, თორემ დაიხსომე ჩემი სიტყვა — მერე მაგას თავზე დაგახევენ და ხელცარიელი დამარჩები!

ჩოხელმა ყურები დაცქვიტა:

„დამცინის თუ გულწრფელად სწუხს,

ორ საქმეს ერთად რომ ვერ მოვერიე?“ — გაიფიქრა და ცოლს შეხედა.

ელისო ორივე ხელით თმას ისწორებდა:

რკინის პატარა სარკეებს პირიდან თითო-თითოდ იღებდა და თმაში სწრაფად იკეთებდა.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე ნატვრის თვალი

აკვანში ცუდად წოლისაგან ელისოს
პატარაობიდანვე მარცხენა ყური გაუბრ-
ტყელდა და ოდნავ ჩამოეკეცა. ამ ყურ-
მა სიცოცხლე გაუმწარა ლამაზ ქალს.
თმა მულანდლე ისე უნდა დაეფარცხნა,
რომ დაუშნოებული ყური დაემალა.

პრანჭია ქალი ქმარსაც კი ერიდებოდა,
მასთან პირს არ დაიბანდა, ლოგინში
უთავსაბუროდ არ დაწვებოდა. ახლა კი
გავჯვრების ბრალი იყო, თუ ელისოს
უკვე საჭიროდ აღარ მიაჩნდა ქმართან
კეკლუცობა, — ქალს თმა მაღლა აეწია
და ის ყური მოურიდებლად გამოეჩინა.

„დამცინის, ჩემი აღარაფერი სწამს,“ —
გაიფიქრა ჩოხელმა.

ელისო ისევ ფანჯარას მიუბრუნდა და
ისევ მოისმა გულის შემაწუხებელი
ზმუილი: „დაგახევენ! დაგახევენ! დაგა-
ხევენ!“

— როგორ თუ დამახევენ?! — წყნა-
რად ჰკითხა ჩოხელმა და სკამზე გვერ-
დულად ჩამოჯდა, რომ მისკენ არ ემზი-
რა.

ამ წუთში კაცს დასანახავად შეეზარა
იგი, ვისაც წედან ნდომისაგან სულმეტა-
ცებული მოესხია და საალერსოდ წა-
აქეზა.

ელისო მოტრიალდა.
— როგორ და...

გამსჯელი ქალი იყო ელისო წერეთე-
ლი. იგი ხედავდა, პარტიული მუშაობა
ჩოხელის კისრისა არ იყო და ქმარს აჩ-
ქარებდა, დისერტაცია ჩქარა მოათავეო.
სანამ მისი ქმარი რაიკომის მდივანი
იყო, მოკამათეები დიდ გამოძიებასა და
კირკიმალს არ დაუწყებდნენ ჩოხელის
დისერტაციას და პაექრობა მშვიდობიანად
ჩაივლიდა, მაგრამ დასწყევლოს
ღმერთმა, იმ პლენუმის მერე სიმონს
წიგნი არ გადაუშლია.

ელისო უფრო გაწიწმატდა, ეს ძველი
ამბავი რომ გაახსენდა, და რაც დღემ-
დე გულში უბრად გამოესკვნა, ადგა და
ქმარს ყველაფერი პირში მიახალა.

— უიღბლო კაცი ხარ, ბედშეკრული!
შენგან არც პარტიული მუშაკი დადგება
და არც მეცნიერი! შენ სოფლის მასწავ-
ლებლობა უნდა დაგეწყო, მერე გეთხოვა
ერთი დანდრახა ქალი... ბოსტანს და-

გითვისდა, საზამთროდ ღორს გაგისუქე
და, ბედნიერად იცხოვრებდი...

დაიწყო და აღარ გაათავა
პირმოხეული ლაპარაკი.

ფერნაქცევ ჩოხელს გულში მწარედ
გაეცინა. „ნუთუ ერთ ღროს ამ ქალზე
ამომდიოდა მზე და მთვარე? ერთხელ
უნივერსიტეტის კლუბში ელისომ ჩემთან
არ იცეკვა და იმ ღამეს კინალამ თავი
მოვიკალი, არ ვუყვარვარ-მეთქი! იქნებ
მართლაც არ ვუყვარდი და ის ყველაფე-
რი ჩემი სიბრძნე იყო.“

ცოლისაგან საყვედური ჩოხელს უწი-
ნაც ბევრჯერ გაუგონია, მაგრამ დღეს
ელისოს მეტისმეტი მოუვიდა. ენას კბი-
ლი ვედარ დააჭირა. „როგორ შემაძულა
თავი!“ — გაიფიქრა ჩოხელმა და გვერდ-
ზე მიიხედა. ქალი თუ შეიბრალა და
თვალები იმიტომ დამალა. ახლა იმ
თვალებში ზიზღის მეტი არაფერი იყო.

უკუღმართად წასულმა ფიქრმა კიდევ
ერთი რამ გაახსენა ჩოხელს.

— ცოლმა დიდი შემწეობა იცის, ბი-
ჭო! — უთხრა შვილს ქორწილის წინა-
დღეს დიდმა ელისაბემა (ჩოხელების
გვარეულობაში ასე ეძახდნენ სიმონის
დედას). — ცოლი რომ შეგეშველება და
გაგიტანს, მასთან ვერ მოვა ვერც ღვიძ-
ლი ძმა, ვერც მამა მშობელი, ვერცავინ
შენი ხორცი ხორცთავანი! ცოლს დიდი
მეგობრობა შეუძლია, შვილო, მაგრამ
გახსოვდეს, დიდი მტრობაც მისი მოგო-
ნილია!

ახლა ჩოხელმა თვითონაც არ იცოდა,
მეხსიერებამ რატომ ამოატივტივა ეს
უსამართლო განაჩენი.

განა ისინი მართლა მტრები არიან?!
ელისოს გაუჭირდა თბილისში მარტო
ცხოვრება და შეიძლება საყვედურში ცო-
ტა მეტი სიმწარე გაურია.

რა მოხდა მერე, ცოლ-ქმარს შორის
რა არ ითქმის!

— არ მეგონა, თუ ასე გძულდი, ელი-
სო! — სთქვა სიმონმა და თვითონვე
გაუკვირდა: იგი სხვას ფიქრობდა, ენამ
კი სხვა ამოსთქვა.

— მე არა, სიმონ... შენ შემიძულე, — ვიუჯო ელისომ ისეთი ხმით, კაცს გულზე უეცარი ნაღველი რომ შემოაწვება.

— არა გრცხვენია, ელისო? ჭირიმე-გენაცვალეს მეტი ენაზე სხვა არაფერი მაკერია!

— სწორედ მაგ შენმა ჭირიმე-გენაცვალემ დამაბა და საყვარელ საქმეს ჩამომაშორა! — ელისომ უშუბლზე ხელი ვადასხვა და ლაპარაკი რომ დაიწყო, თვალები ისევ ისრიმისფერი გაუხდა. ასე იცოდა გაჯავრების დროს. ლაქვარდით სავსე ლამაზი თვალები თითქოს ფერს იცვლიდნენ, — გამოუცივდებოდნენ. — ნეტა ყოველდღე გეყვირა, გეჩხუბა, მწარე სიტყვა გეთქვა... მეც ვიყვირებდი, ვიჩხუბებდი და...

— ჭეშმარიტება ჩხუბში იბადება, არა? — ჩაიცინა ჩოხელმა.

— ყოველ შემთხვევაში, შენი დასაცინი მაინც არ ვიქნებოდი! ჩემი ადგილი მეც მექნებოდა ცხოვრებაში.

— ახლა კი არა გაქვს?

— რა მაქვს, შე უსინდისო, რა მაქვს! — ელისომ ჩვარი იქვე მიაგდო და ჩოხელს წინ დაუდგა. — გახსოვს, დათუნია რომ მეყოლა, იმ წელიწადს შეკრებაზე დამიძახეს. ვარჯიშობა რომ დავიწყე, ძუძუსი რძე დამეკარგა. ავდექი და წყნეთელ ქალს გავურთიგდი, დილასადამოს ძროხის ახალი რძე უნდა მოეტანა. შენ მხარი არ დამიჭირე. „შენი ჭირიმე, ელისო, ამ ბიჭს ნუ დამიჩაგრავ, დედის ძუძუს ნუ მოაკლებო!“ მე დავიჯერე და... საქართველოს პირველობა უჩემოდ ჩატარდა!

ზღვაზე გაიცივნეს ერთმანეთი. ქობულეთში.

ცხელი დღე იყო. სიმონმა და თალია რაინაულმა ის იყო ტანთ გაიხადეს და ზღვას მიაშურეს, რომ უეცრად ქაფქაფა ტალღებმა ერთი ვილაც გოგო ნაპირზე გამოაგდო.

ადგომა რომ დააპირა, ტალღამ ისევ მოუსწრო და წააქცია. იმწამსვე წამოხტა, კისკისით გამოიქცა და ვილაცას ხელი დაუქნია: ლალი, სურათი გადამიღეო.

ისეთი მოხდენილი გოგო იყო, ტანადი, ხორცვალადებული, და ისე ქველცად იდგა კენჭებზე აჭაფებულ შიშაში, რომ სიმონი ადგილზე გაშეშდა, გოგოს თვალი ვერ მოსწყვიტა.

— ნუ მიყურებ, — უთხრა უეცრად გოგომ.

სიმონი ჯერ შეცბა, მერე გულიანად გაეცინა. ზღვისპირზე ტევა არ იყო, კალათაში თევზებს რომ ჩააწყობენ, მობანავე ხალხი ისე იყო მიჭუჭკული ერთმანეთზე.

— მთელი ქვეყანა გიყურებს, მე რაღად გამიწყერი, გოგო? — შეიკვირვა სიმონმა.

— ჯერ ერთი, მე შენი გოგო არა ვარ! — ეს რომ სთქვა, თვალები ეშმაკურად აუციმციმდა, კიდეც უფრო ლამაზი და სანატრელი გახდა, — მეორეც: სხვებმა მიყურონ. შენ ნუ მიყურებ!

სიმონი მაშინვე თალიას მიუბრუნდა:

— თალია, დამთხარე თვალები!

— არ გეცოდება ამისთანა ბიჭი? — ჰკითხა თალიამ იმ უცნობ გოგოს.

— არა.—გოგოს პირზე სიცილი მოუვიდა, სწრაფად მიბრუნდა და წყალში თევზივით შესრიალდა...

ის დაუღიწყარი დღე ჩოხელს ყოველთვის მაშინ მოაგონდება, როდესაც ცოლქმარი ერთმანეთს ვერ გაუგებენ და ბეწვის ხიღზე შედგებიან.

ჩოხელი თითქოს სითბოს და სინაზეს დაესესხება იმ კარგ დღეს და მაშინ მას ბევრი რამის პატიება შეუძლია.

— მერე ტყუბები შემეძინა და ისევ შენი ჭირიმე-გენაცვალე გადამელობა წინ! მოსკოვში შეჯიბრებას გამოვაკლდი. გავიდა ერთი წელიწადი, ახლა შენი ალიაბათური კილო წამომეწია.

ერთხელ რომ დაგითმე, მერე ვეღარ მოვბრუნდი და კალაპოტში ვეღარ ჩავდექი. და მეც ყველაფერზე გული აგიყარე, ოღონდ შენ ხელი არ შეგშლოდა. შენ რომ შინ იჯექი და მეცადინებდი,

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ნატერის თვალი

მე ბავშვებს კუდში დაესდევდი: აი, არ ჩხუბონ, ხმამაღლა არ გაიციონონ, შუშაბანდში არ ირბინონ, თორემ მამათქვენს მუზა გაუფრინდება-მეთქი...

მერე ეს ჯანდაბა ომი დაიწყო და ყველაფერი აირია, ამდენი წლის შრომა წყალში ჩამყარა...

და როდესაც ის გოგო ზღვაზე გაბნეულ მოცურავეებს შეერია, სიმონს ჩუმად აღმოხდა:

— ეს რა მოჩვენება იყო, ბიჭო!

— იცი, ვინ არის?

— თეთნულდიდან ჩამოსული ჯეირანი...

— ანუ ტანმოვარჯიშე ქალი ელისო წერეთელი. შარშან არ გახსოვს? ქუთაისის გუნდში გამოდიოდა „დინამოს“ პირველობაზე. ჩამოდი, რას უყურებ!

სიმონმა ხმა არ გასცა, სილაზე ფეხი მოიკეცა და ზღვაში ჩასულ თაღიას დაბნეულად გაუღიმა.

თალიამ ჩაიციხა: — ტყუილად უტყდი, ბიჭო! შენი ჯეირანი აქ არ გამოვა. მაგათ ტანსაცმელი, ხედავ, აი იმ ჩარღახთან გაიხადეს...

— გინდა სანაძლეო? — თითქოს იხუმრა და არც იხუმრა ჩოხელმა.

— არა, ბიჭო, კალთაში ჩავიგორდებ! — თალიამ მკერდზე წყალი შეისხა, ახლო მოსულ ტალღას ქეჩოზე შეახტა და ყირაზე გადავიდა.

რა იცოდა მაშინ თაღია რაიანაულმა, რომ მალე იგი ჩოხელისა და თეთნულდიდან ჩამოსული ჯეირნის მეჯვარე იქნებოდა...

ახლა, ეტყობა, ქალმაც გააცოცხლა ის შორეული დღეები. ეს იქიდან სჩანდა, რომ უეცრად ელისოს ხმამი ნაღველი გაერია და როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ამ უეცარმა ნაღველმა წედანდელი ჯავრი და ბოლმა ერთ წამში გაუწელა. ახლა მან ის გაჩახახებული დარბაზი დაინახა:

გრიალებს ორკესტრი. დიდი ხალიჩის კიდები და მწკრივებული დგანან ტანმოვარჯიშე ქალები.

ჩუმი მღელვარებისაგან ელისოს სული ყელში ებჯინება, მაგრამ ეს არაფერია... როგორც კი ხალიჩაზე შესაფრთხილად შოდ ფეხს შედგამს, მღელვარება მაშინვე გაუელის და მისი ტან-იოგი ისე აეწყობა, მერე თუ გინდა მკლავი გაშალე და გაფრინდი, შიში ნურაფრისა გექნება...

ბუნებას ჯერ არ შეუქმნია ისეთი არაფერი, ქალის სხეულზე ლამაზი იყოს, მაგრამ როცა ეს სხეული ხუთი-ექვსი წუთის განმავლობაში, აგერ შენს წინ, თავბრულდამხვევ ჩანჩქერად იქცევა, ამაზე მეტი საოცრება კაცის თვალმა რა უნდა იხილოს. ახლა სწორედ ეს მოელოდა ელისო წერეთელს და შეიძლება მის ყურთასმენას შორეული ტაშის გრილიც მისწვდა...

მან სთქვა:

— ჩემი თავი მეცოდება, სიმონ, რომ ახლა ქვეყანაზე სადილ-ვახშმის კეთების მეტი არაფერი მეკითხება! ერთ დროს კი თეთნულდიდან ჩამოსულ ჯეირანს მუცხანდი! ჩემი მწვრთნელი საქართველოს ჩემპიონობას მიქადა. იქ იყო ჩემი სიცოცხლე... ჩემი სალოცავი ხატი. იცი, რა მემართებოდა, ვარჯიშს რომ მოვთავებდი და ტრიბუნებიდან ტაში წამოვიდოდა? იმ ერთი წუთის სიხარულს ათი წლის სიცოცხლეზე არ გავცვლი! შენ კი ერთხელ, გახსოვს, რა მითხარი? „გაჭყდილ დარბაზში ნახევრად შიშველი რომ შემოხვალ, ასე მგონია, შენ მაშინ ყველასი ხარ, ყველასი, ვინც ტაშს გიკრავს და აღტაცებული მოგჩერებიაო. იმ წუთებში შენ ჩემთან აღარა ხარო.“ ამიტომ ხელი არ შემოწყვე და მაიძულე ყველაფერი მიმეტოვებინა. შენ გგონია, სიმონ, თუ ქალს კარგი ქმარ-შვილი ჰყავს, მის ბედნიერებას მეტი აღარაფერი უნდა!..

ჩოხელი ისევ ზღვას გასცქეროდა. ამიტომ ელისოს სიტყვას არ ჩაუჭრა, სათქმელი ბოლომდე ათქმევინა. მერე ჩუმად ამოიხორა და ელისოს შეხედა. ეტყობოდა, პასუხი ენის წვერზე ეკიდა. ქალმა დაასწრო:

— ყველაფერს გავიცებ, სიმონ, ახლა ნურაფერს მეტყვი! არ მინდა... — თვალები ცრემლით ავესო. ტაშტს ხელი

დაავლო და საძინებელ ოთახში გავიდა. მალე იქიდან ტელეფონის წკრიალი მოისმა.

— შინ არა ვარ! — გასძახა ჩოხელმა ელისოს და ყური მიუგდო, ტელეფონთან მივა თუ არაო.

„თუ მივიდა — შემირიგდება“, — გაიფიქრა მან, მაგრამ ტელეფონი რეკავდა და რეკავდა, თითქოს იმ ოთახში კაცი არავინ იყო.

ენამთის ფერმიდან გოგოლა ეძახდა. ქალიც ისე ღელავდა, ტელეფონიც ისე ხრიალებდა, რომ ჩოხელმა პირველად სიტყვები ვერ გაარჩია და გული გადაუქანდა, გასამდა და ეგ არისო, გაიფიქრა.

დილიდანვე (უღე ამბავს ყური ისე შეაჩვია, სასიკეთოს არას ელოდა.

ბოლოს, როგორც იქნა, ხრიალი შეწყდა.

— სამახარობლო მერგება, ბატონო სიმონ! — მკაფიოდ გაიგონა ჩოხელმა ქალის გახარებული ხმა.

— მოგკლავ, გოგოლა, პატარა რამეზე თუ გადამატარე! — უთხრა სიმონმა.

ჩოხელს მუდამ უხაროდა, გოგოლას რომ დაინახავდა და იმის დუღუნა ხმას გაიგონებდა. ეს იყო რაღაც უანგარო სიხარული, თითქოს კაცი სახლიდან გამოვიდა და მზიანი დღე დაინახაო.

— მოსკოვიდან ვალიკო ჩამოვიდა, დიდი ოქროს მიდალი ჩამოიტანა!

— რას ამბობ?! —

— გამარჯობა არც კი მითხრა, ზაგაში შევარდა, მარგალიტას შუბლზე აკოცა და უთხრა, ეგ მიდალი მე კი არა, შენ უნდა გეკიდოსო!

— ჩამოვიდა? — ჩასძახა ჩოხელმა ისეთი ხმით, თითქოს თვითონაც ოცდასამი წლისა იყო და ამ წუთში ოცდახუთის ბის მეტი არაფერი უნდოდა.

— ჩამოვიდა, — ჩაიკისკისა გოგოლამ.

— ეგრე! სხვებმა რაო?

— ჩვენმა ფურ-კამეჩებმა ყველას აჯობესო. ყუბანსაც, აფხაზეთსაც, ლენქორანსაც. დიპლომში პირდაპირ ჩაუწერიათ, კამეჩს ამდენი რძე მოეწველოს, ჯერ არ გვინახავსო.

— იცი, როგორ გამახარე, გოგოლა? ამ წამხდარ ხასიათზე! სულზე მომისწარი! — უთხრა სახეგაბადრულმა ჩოხელმა. მერე უცბად ელისოს მიუბრუნდა, ქალი ტახტის კიდეზე მხრებჩამოყრილი იჯდა. ხელები უღონოდ კალთაზე დაეწყო და იატაკს დასჩერებოდა.

ჩოხელი მივიდა, ხელი მოხვია და სინანულით სავსე დიმილით უთხრა:

— ნუ გეშინია, ელისო, ყველაფერი კარგად იქნება! კაცი არ ვიყო, თუ რამეზე გული დაგწყვიტო!

იმ წუთში ჩოხელს გულწრფელად სჯეროდა, ცოტა ხანში რაღაც სასწაული მოხდებოდა და ყველაფერი გამოსწორდებოდა.

ამ სასწაულის მოლოდინში თმა რომ გაუთეთრდა, ეს აღარ ახსოვდა. ისე კი, კაცმა მართალი რომ სთქვას, ელისოს ჩივილი და აღსარება ჩოხელს არასდროს გულთან ახლოს არ მიუტანია.

„ყველა ქალი ასე წუწუნებს, თამარ-მეფობა მინდაო!“ — ფიქრობდა იგი.

თავი მირვი

პირველი ნაბული

1

ცხელოდა.

დარბაზში ისეთი ჭედვა იყო, გოგოლამ სანიაგოდ გაღებულ ფანჯარასთან თავისუფალი სკამი ვერ იპოვნა. კედელზე მიდგმულ სკამფიქარზე ჩამოჯდა, სახლიდან წამოღებული წიგნი გადაშალა

და თვალეები უგულისყუროდ სტრიქონებს მიადევნა.

გუშინ ხმა გავარდა, კრებას ჩოხელიც

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ნატურის თვალი

დაესწრებაო. ხალხი სეტყვასავით მოაწყდა კულტურის სახლს.

შირაქის ოთხივე ემტევისის ტრაქტორისტები დარბაზში გუნდ-გუნდად შემოდოდნენ და ყველანი წინა რიგებს ეტანებოდნენ. იყო ერთი ყაყანი და სკამების ხრიგინი.

ამჯერად პატარა პელოც კი არ გამოაკლდა ამ დიდ საზოგადოებას. ძალიან წვრილი და ძალიან მოუსვენარი თვალები ჰქონდა დურგლის მეუღლეს. მუდამ ისე გაფაციცებული იტყირებოდა, თითქოს ეშინოდა, ამ ქვეყანაზე დაუნახავი არაფერი დამჩნესო.

პატარა პელოს რალაც უცნაური სენი სჭირდა— ყოველ ორსულობაზე მუცელი წაუხდებოდა.

გამოკეთდებოდა თუ არა, ძუძუდამწვარი დედაკაცი ორთვალს შეაბამდა და ალავერდის ტაძრისაკენ გაუტევედა— რომელიმე მეზობელი ხატზე უნდა გადაეცა: „თვალი მკრა და მუცელი მომწყვიტაო“.

მისი ქმარი ნასყიდა გოჩიტაშვილი კარგი დურგალი იყო. ხელებიდან ცეცხლი გასდიოდა, საქმეზე რომ იდგა, მაგრამ რად გინდა, კოლექტივში სახბორეს კარს ვერ შეაკვრევიანებდი, — წელიწადში თორმეტი თვე გარე სამუშაოზე დაწინაურდებოდა.

პატარა პელო ხშირად იტყოდა, შრომაღლეებზე მოსაცდენი ქმარი სადა მყავსო.

აღიკუდა ქალი გაზაფხულზე შეატყობდა თუ არა, მოსავალს ცუდი პირი უჩანსო, ნასყიდას საგზაღს გაუწყობდა და სახლიდან გააგდებდა.

დურგალი კერძოდ მუშაობდა თელავისა და გურჯაანის შინამრეწველებთან. თვითონ პატარა პელო კი წილებზე ფეხს იდგამდა, რომ საკარმიდამო ნაკვეთი შეენარჩუნებინა. გაზაფხულზე „ბიძაშვილ-მამიდაშვილს“ დაიქირავებდა და კოლექტივში თავის მაგივრად ამუშავებდა, ხან კიდევ წიფლის წყაროდან ავადმყოფობის მოწმობას ჩამოიტანდა.

გოგოლას ჩუმად გაეღიმა, პატარა პელო რომ დაინახა. უხდებოდა თუ არ უხ-

დებოდა, ჩაცმა-დახურვა ახალიცა უყვარდა დურგლის მეუღლეს. დღესაც ტანზე ვიწროდ მოყენებული კაზახურა და იმ სიმაღლე ქუსლებზე შემდგარიყო, სიარულის დროს წელში ორად იკეცებოდა:

ამ ვიწრო ტანსაცმელში მეტისმეტად უარშიოდ გამოიყურებოდა ისედაც ფარგასავით ხმელი და მკერდჩარცხილი ქალი.

— გამარჯობა, პელო!

გოგოლამ ღიმილი ვერ შეიკავა და დურგლის მეუღლემ მაშინვე ამოიკითხა, რაც იმ ღიმილში ფარულად ეწერა.

თვალები უფრო დაუპატარავდა.

— რა გიხარია, გენაცვალე? შენს სახანავად კი არ მოვსულვარ! — მკვახედ მიუგო და გოგოლას მედიდურად ზურგი შეატყია.

უგრეხელიძის ქალმა თავი ჩაღუნა და ჩუმად მიიხედ-მოიხედა. „მადლობა ღმერთს, ამ ჭედვაში კაცმა ვერ დაინახა, როგორ შემატეხა პირში სალამი უზრდელმა დედაკაცმა!“

ერთბაზად ხალხის ქოთქოთი მისწყდა—დარბაზში სიმონ ჩოხელი შემოვიდა, კართან მიჭუჭკულ გლეხებს ჩუმად მიესალმა და პირდაპირ სცენისაკენ გაემართა. სანამ იქამდე მიადწევდა, ქალებმა რამდენჯერმე შეაჩერეს და სიტყვა გაუბეს.

ჩოხელს ორი კაცი ახლდა. კომკავშირის მდივანი, — გამხდარი, სუსტი ავებულების ყმაწვილი ირაკლი არაბული და შირაქის უძველესი ემტევისის „წითელი ვარსკვლავის“ დირექტორი ტარიელ მეტრეველი.

წიფლის წყაროში იგი ყველაზე მაღალი, ტანშედგმული კაცი იყო და სწორედ ამიტომ ემდუროდა ბედს ტარიელ მეტრეველი. ნაღვლიანად გაიხუმრებდა ხოლმე, ჩემი სიმაღლის კაცს ცხოვრება გამწარებული აქვსო.

„ცეკვა მინდა — ვერ მიცეკვია, მაშინვე იტყვიან სილოსის კოშკმა კუნტრუში დაიწყო!“

დათრობა მინდა — ვერ დავმთვრალვარ! მთელი ქვეყანა შეიყრება, ჩემოდე-

ნა კაცმა ქუჩაში ბარბაცი რომ დაიწყო.

ქალმა პაემანი რომ დამინიშნოს, ვერა და ვერ წავალ. ყველა ღობეზე მაღალი ვარ, ვერსად დავიმალები“.

უეცრად გოგოლამ არჩილ ყანჩაშვილი დაინახა. იგი კართან იდგა და ზაქარია ნაღობაძეს ელაპარაკებოდა. აქედან კარგად მოჩანდა მისი თეთრი კულუღი და კრივში ძვალგატეხილი, ცოტა გაბრტყელებული ცხვირი.

ყანჩაშვილს ჩაღისფერი დარაიის კოსტუმი ეცვა, გაქათათებული და პირწმინდად დაუთოვებული.

მისი დანახვა და წუხანდელი სიზმრის გახსენება ერთი იყო.

გოგოლამ სული ვერ მოითქვა, ის ავიზმანება თვალწინ ისე ცხადად დაუდგა. ტანში უსიამოვნო ყრკოლამ დაურბინა. ზიზღისაგან ტუჩები მოებრცია. მაინც არ დაინდო მესხიერებამ უგრეხელიძის ქალი. გაახსენა, შეუბრალებლად გაახსენა, წუხელ სიზმარში მოძალადეს წინააღმდეგობა რომ არ გაუწია...

„ნეტა არ მოვსულიყავ! წავალ!“ — გაიფიქრა დაზაფრულმა ქალმა. სკამიდან წელი კი ვერ წამოიღო, რალაც უცნაურმა მღელვარებამ სულთაგან დასცალა... თანაც ისეთი გრძნობა მოერია, თითქოს არჩილმაც იცოდა მისი წუხანდელი სიზმარი თავიდან ბოლომდე.

თავი დახარა, თვალწინ არეულ სტრიქონებს დააცქერდა... უეცრად ის სტრიქონები ერთმანეთში ჩახლართულ ჭიეზივით დაიკლაკნენ, გასივდნენ და... გოგოლას თავბრუ დაეხვა, კედელს მიეყრდნო და თვალები დახუჭა.

ზარის ხმამ გამოაფხიზლა. თავი ასწია. ძალიან არ უნდოდა კარისაკენ გაეხედა, თვალი მაინც იქითკენ გაექცა. არჩილი ხალხში გზას მიიკვლევდა. ნაცნობ-უცნობები წამდაუწუმ ესალმებოდნენ მთავარ აგრონომს და ისიც, როგორც სჩვევოდა, საპასუხო სალამს რიხიანად არიგებდა მარცხნივ და მარჯვნივ.

— არჩილ, ჩვენთან! — დაუძახა დუბოვმა და ხელი დაუქნია.

არჩილმა მოიხედა. სწორედ მაშინ მო-

ატანა თვალი კედელთან მიყუჟულ გოგოლას. მობრუნდა, სკამებს შუა ძლივს გაატანა და უგრეხელიძის ქალთან მივიდა და.

— გამარჯობა!

ხარბად შემოველო გოგოლას მისი ანთებული თვალები, სწორედ ისევე, როგორც წუხელ, სიზმარში...

გოგოლამ თვალი ვერ გაუმართა ყანჩაშვილს, მხოლოდ თავი დაუქნია და საცოდავად მოიკუნტა. საიდანაც შიგნიდან წამოსული მხურვალემა ლოყებსა და საფეთქლებზე შემოქონით. ლტოქონები ისევე დაიკლაკნენ, დასივდნენ...

ქალი დაიბნა, რატომღაც წამოდგა და მაშინვე მიხვდა, არ უნდა ამდგარიყო.

„ჩემი სიკვდილი! ეს რა მემართება!“

ისევე დაჯდა, მუხლებზე კაბის კალთა კინალამ გადაუსკდა, ქვემოთ ისე ჩასწია და ჩაიხვია.

მხარმარცხნივ გოგოლას დისწული უჯდა, პატარა არველოდი. არჩილმა ყმაწვილს მოურიდებლად ზურგზე ხელი წაჰკრა და სკამიდან წამოაგდო. ეწყინა გოგოლას... ყანჩაშვილი გვერდზე ისე უბოდიშოდ მოუჯდა, როგორც სოფლის დარღიმიანი ბიჭები თავიანთ გოგოებს მოუსხდებიან ხოლმე.

დისწულს გადახედა. პატარა ბიჭი კედელთან ატუზულიყო და ისე დაბღვერილი იცქირებოდა, გოგოლას გაელიმა.

„ერთი მტერი კიდევ მოვემატა, ბატონო არჩილ!“ — გაიფიქრა მან.

— თქვენ რამ მოგიყვანათ ამ სიცხეში? — ჰკითხა კაცმა.

გოგოლას თავ-კისერზე შეეფრქვია არჩილის ცხელი სუნთქვა და მზით გაჯერებული დარაიის სურნელება.

არეულად მიუგო:

— მე... ნინია ჩემი დისწულია.

— პო-ო! — ყრუდ ჩაიდუღუნა ყანჩაშვილმა, — რა წიგნია? — პასუხს აღარ მოუცადა, ქალის კალთიდან წიგნი მოურიდებლად აიღო და გადაფურცლა. — „ქალბატონი ბოვარი“. მოგწონთ?

— დღეს გამოვიტანე სამკითხველო-

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ნატერის თვალი

დან, — იცრუა გოგოლამ. არ უნდოდა ამ უდიერ კაცთან საუბრის გაგრძელება. ხალხის ყურადღებას მიიქცევს, თორემ ახლავე სხვაგან გადაჯდება.

— წაიკითხეთ და მითხარით, ამართლებთ თუ არა ქალბატონ ბოვარის?

— თქვენ რად გინდათ ჩემი აზრი?

— ლამაზი ქალის აზრი სიყვარულზე მუდამ საინტერესოა! — წასჩურჩულა არჩილმა.

გოგოლამ ხმა არ გასცა.

— მეტყვი?

— არ ვიცი... ასე მალე ვერ წავიკითხავ. არა მკაცლია.

გოგოლას თავბრუ ეხვეოდა. ყანჩაშვილის ჩურჩული, მისი თილისმით სავსე თვალელები წუხანდელ სიზმარს ყოვლად უსირცხვილოდ აცოცხლებდა.

ზარმა გაიწკრიალა. არჩილი წამოდგა.

— მგონი იწყებენ. აბა, უჩემოდ არ მოიწყინოთ! — გამოთხოვების ნიშნად გოგოლას ხელზე ხელი მოუჭირა და წავიდა.

მზით გაჯერებული დარაიის სუნი დიღხანს არ მოსცილებია უგრეხილიძის ქალს.

ბევრი მწარე სიტყვა გააგონეს იმ საღამოს გოგოლას დისწულს ნინია მოზაიძეს. გაჰკიცხეს, ხალხში გააწითლეს და შეიძლება დღევანდელი სჯა-ბაასი ამგვარად დამთავრებულიყო, რომ ანაზღად ტარიელ მეტრეველს სიტყვა არ მოეთხოვა.

წიფლის წყაროში ტარიელ მეტრეველმა დიდი მჭევრმეტყველი კაცის სახელი დაიგდო. ქორწილი იყო თუ ქელები, უბრალო თათბირი თუ უცხო სტუმრის პატივისცემად გამართული ნადიმი, პირველი სიტყვა ყველაგან და ყოველთვის მეტრეველს უნდა წარმოეთქვა.

მეტრეველმა ზეპირად იცოდა რამდენიმე აფორიზმი „ვეფხისტყაოსნიდან“, იცოდა აგრეთვე ათიოდე კარგი ქართული ანდაზა. ამ ანდაზებს ტარიელი ძველი ქალამანივით ყველა ფეხს მოარგებდა ხოლმე.

იგი ცოტა მსახიობიც იყო. ლაპარაკად დროს ვითომ უეცრად გული მოუვიდალ, შუბლზე ჩამოშლილ ქოჩორს ~~სხეცს~~ ^{შეუქცევდა} რავად და თავმოწონედ შესძახებდა:

— არა თუ?!

მეტსახელების მოყვარულმა ქიზიყელებმა „ართუ“ შეარქვეს სახელგანთქმულ ოქრობირს.

ჩოხელს დღემდე ვერ გაეგო, საიდან გაჩნდა ემტევისში ასეთი დირექტორი. ტარიელი არც იწყინებდა იყო და არც აგრონომი. მაგრამ, ეტყობა, თავის დროზე ამას აღარავინ მიხედა, უთუოდ იფიქრეს — კაცი მთელი სიცოცხლე მუდამ რაღაცას ხელმძღვანელობდა, ხან სასაკლავოს გამგე იყო, ხან ავღურხანას უძღვებოდა, ერთხელ სადღაც მილიციის უფროსადაც მუშაობდა; ხელმძღვანელი მუშაკების სიიდან ხომ ვერ ამოეშლიათ... ამიტომ დიდი ადვილი სხვაგან რომ ვეღარ უშოვებს, შირაქის ემტევისი ჩააბარეს.

— ვაი ჩვენი ბრალო! — ჩაილაპარაკა გოგოლამ, როდესაც ტრიბუნაზე მეტრეველი დაინახა.

ტარიელს მალალ ფარდებში უყვარდა ლაპარაკი და ზოგიერთ სიტყვას ისე უნაიროდ წარმოსთქვამდა ხოლმე, გოგოლას ტანში გააზრიალებდა და იმ სიტყვას სამუდამოდ შეაჯავრებდა! მიუხედავად ამისა, ბევრს მოსწონდა მეტრეველის ოქრობირობა, მეტადრე მოსწავლე ახალგაზრდობის იმ ნაწილს, ქიზიყეში ტაშვანდურის ხალხს რომ ეძახიან. მათ ხიზლავდა მეტრეველის სიტყვის გარეგნული ბრჭყვიალი, დარბაზში მის სახელს რომ გააგონებდნენ, ტაშისცემით ხელებს დაიმტრევედნენ.

შეიძლება ცოტა საწამლავიც ერიო ამ გადაჭარბებულ ტაშისცემაში, მაგრამ მეტრეველის თვალში ყველაფერი რიგზე იყო და კეისარს კეისრისას უზღავდნენ.

— მეგობრებო! — ტარიელმა ხელები ტრიბუნის ძგიდეებზე შემოაწყო, თავი გვერდზე გადახარა, თითქოს

1 მაგალითად, მზიური, მშობლიური... შრომითი აღმავლობა.

ყურს უვადებდა საკუთარი ხმის ყლე-
რას. — რა ჩაიღინა ნინია მოზაიძემ?!
მშობლიური ტრაქტორი მიატოვა და
საქნავთის საბარგო მანქანაზე დაბრ-
ძანდა. რატომ? ვეკითხები ამ პატიოსან
საზოგადოებას! ნავთის წარმოებამ მი-
იზიდა მისი გული?! არა, მეგობრებო,
ასეთმა ადამიანებმა მხოლოდ ერთი ან-
გარიში იციან — რაც შეიძლება მსუ-
ქანი ნაჭერი ჩამოათაღონ ცხოვრებას.
და ეს ხდება იმ დროს,

როდესაც წყნარი ოკეანის ნაპირები-
დან კასპიის ზღვამდე

ჩვენი მშობლიური სამშობლო
შრომითი აღმავლობის ფერხულშია
ჩაბმული

და ამ ფერხულს ვერავინ შეაჩერებს.

სანამ ჭადარა კავკასიონი,

სადაც, სხვათა შო-

რის, ჩვენი დიდი ამირანი

იყო მიჯაჭვული...

არა თუ?!

მეტრეველმა პირის ქარი გაშალა და
ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების კორიან-
ტელი დააყენა.

არსენა დეისაძე მოხიბლული მისჩე-
რებოდა წიფლისწყაროელ ოქროპირს.
ერთი-ორჯერ მეტრეველმა პრეზიდენ-
ტის მაგიდისკენ მოიხედა. არსენამ ხან
ღიმილი შეაგება, ხან კიდეც თავი დაუ-
ქნია გასამხნეველად, მერე ვეღარ მო-
ითმინა და ჩოხელს წასჩურჩულა:

— სიმართლეს ლაპარაკობს!

— არც ასეთი სიმართლე მინდა და
არც ასეთი გატყუარებული ლაპარაკი! —
უკმუნად მიუგო ჩოხელმა.

არსენა სახტად დარჩა...

— მე აქ ხმას არ ამოვიღებდი, — გა-
ნაგრძო მეტრეველმა, — რომ იმ კვირას
ნინია მოზაიძე წნორში არ მენახა!
მანქანა მყუდროში გაეჩერებინა, თვი-
თონ კი სადგურზე დაფუსფუსებდა,
წიფლისაკენ მიმავალ მგზავრებს ეძებ-
და. კომკავშირელი მოზაიძე (კომკავში-
რელი ბრჭყალებში! — შესაძახა ტარი-
ელმა) საშოვარზე დადის, ჩვენ კი
ხელები აღარ გვყოფნის ყანის გასაჭ-
რელად!

— ხომ გითხარი, ბატონო ტარიელ,

რატომ ვიყავი სადგურზე, — დაუძახა
ნინიამ.

იგი სადღაც სცენის ახლოს გოგოლა
დისწულს ვერ ხედავდა, მხო-
ლოდ დროდადრო მისი წამოძახილი
ესმოდა.

ხმაზე ეტყობოდა, ნინია უზომოდ ღე-
ლავდა.

გოგოლა სწუხდა, ვაითუ ჯეელ კაცს
ისეთი რამ წამოსცდეს, ხალხს არ მოე-
წონოს და კალაპოტში ჩამდგარი ნია-
ღვარი ისევ ნაპირიდან გადმოიქცესო...

„მარტო არ უნდა დამეტოვებინა,
მაგრამ რა მექნა! ახლო არ გამიკარა!
პატარა აღარ ვარ, ჩემი საქმისა მე ვი-
ციო. მაშინ ის კაცოც გვერდზე
ვერ მომიჯდებოდა!“ — გაიფიქრა გო-
გოლამ.

ის კაცო გულიდან ვერ ამოედო
ახალგაზრდა ქალს.

— რატომ იყავი? — კითხვა შეუბ-
რუნა მეტრეველმა.

— თბილისიდან ბიძას ველოდი. ბრი-
გადირს ვთხოვე და გამიშვა.

— გუშინწინაც ბიძას ელოდი?! —
გაისმა დარბაზში მჭექარე ხმა.

ნინია წამოდგა. ეტყობოდა, პასუხის
გაცემა უნდოდა, მაგრამ ხალხს რომ
გადახედა, მისი თვალები იმდენ დამ-
ცინავ თვალს შეეფეთა, ყმაწვილს გული
შეუკრთა, ხმა ვერ ამოიღო. როგორც
ჩუმად წამოდგა, ისევე ჩუმად დაეშვა
სკამზე.

გოგოლას შვება მიეცა: არეულ-და-
რეულ პასუხს ისევ გაჩუმება სჯობდა.

— რატომ გაჩუმდი, ნინია? შენ თუ
მართალი კაცი ხარ? — მეტრეველმა
ხმა შეიმაღლა და პრეზიდენტის მაგი-
დისაკენ მიიხედა, — მოზაიძე სამაგა-
ლითოდ უნდა დაისაჯოს, რომ სხვებმა
ჭკუა ისწავლონ და გარე-გარე სია-
რულს თავი მიანებონ! ჩვენ კი, მეგობ-
რებო, ლმობიერად ვეპყრობით

იმ ადამიანებს,

რომელთა შეგენებაში სდულს და გა-
დმოდულს

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

ნატვრის თვალი

დამპალი კაპიტალიზმის გადმონაშთები! არა თუ?!

მთელი ნახევარი საათი ტარიელ მეტრეველი ამოდებულ ხმალივით იდგა ტრიბუნაზე და ნინია მოზაიძის კისერს დასტრიალებდა.

— შენ რას მოითხოვ, ამხანაგო ტარიელ? — დაუძახა დეისაძემ.

„უსინდისო! — გაიფიქრა გოგოლამ, — თავის სათქმელს მეტრეველს ათქმევინებს, რომ ხალხში აგვაციის სახელი არ დაიგდოს!“

— ჩამოერთვას საკარმიდამო ნაკვეთი! — უყოყმანოდ მიუგო მეტრეველმა. გოგოლას ელდა ეცა.

ნინიას დედას საკარმიდამო რომ ჩამოართვან, ქვრივმა ქალმა სამი პატარა შვილი რითღა შეინახოს! იმ ნაკვეთში ნინიას დედას საადრეო კიტრი და პომიდორი მოჰყავს. ხენდროც ისეთი მოსდის, პირდაპირ გამოფენაზე შეგიძლია წაიღო.

სანამ კიტრი და პომიდორი მამასისხლად ფასობს, ნინიას პატარა ძმები ბაღისაკენ ტყუილად კისერს ვერ მიაბრუნებენ, ხენდროთი პირს ვერ გაისვენებენ. ყველაფერი ქორვაჭრებს შიამტვთ. მხოლოდ ივლისის დამლევის, როდესაც ბაზარზე კიტრი კიტრის ფასად იყიდება, პატარებს ბაღის კარს მაშინღა გაუღებენ.

ნინიას დედა სოფელში თავჩაღუნული დადის. რცხვენია, რომ გულში ეშმაკი შეუშვა და ვაჭრობა დაიწყოს. ნინიას ეხვეწება, ხომ ხელავ, შენი მონაგარი არ გვყოფნის! სანამ ფეხზე ვარ, ერთი შენი კოლი მადირსე. სხვა თუ არაფერი, შინ ბავშვებს მაინც მოწყობსავს, მე კი გოგოლასთან ფერმაში ვიმუშავებო...

— სამი ღლაპის ძიძად მე არავინ წამომყვება, დედაჩემო! სხვა გზა უნდა ვეძებოთ, — მიუგო ნინიამ.

კმაყოფილი დეისაძე ზაქარია ნადრბაიძეს მიუბრუნდა:

— შენ რას იტყვი, ზაქარო?

ზაქარიამ ამოიოხრა და ჩოხელს გადახედა. ეტყობა, მის თვალეში სათავისო ვერაფერი ამოიკითხა და ისევ ამოიოხრა.

მერე წამოდგა და სთქვა:

— კოლმეურნეობა ჩვენი ოჯახია: ვისაც ეს ოჯახი არ უყვარს, რა თქმა უნდა, იმას თავზე ხელს ვერც მე გადავუსვამ, მაგრამ...

— რა მაგრამ?! — დასტეკა იმავე ხმამ, წედან ნინია მოზაიძეს სიტყვა რომ გაუწყვიტა.

სტენაზე ასასვლელ კიბეს კოლია დუბოვი მოადგა, მაღლა არ ავიდა, იქვე დაეყუდა და ხმამაღლა სთქვა:

— ტრაქტორი მინდორში უპატრონოდ დააგდო... მეგუთნე მაინც გაეფრთხილებინა, მივდივარო. საღამოს ამბავი მომიტანეს, ნინია მოზაიძე მირზაანში ვნახეთო. მე მგონია, ჩემი ტრაქტორისტი ტარიბანაზე ყამირს აბრუნებს, ის კი თურმე ამ დროს საქანეთის კანტორაში ზის და ანკეტას ავსებს! ამას ვერავითარი „მაგრამ“ ვერ უშველის, ბატონო ზაქარია!

ძალიან კეთილი კაცი იყო კოლია დუბოვი. უბრალო რამეზე კრიჭაში არავის ჩაუდგებოდა. ამიტომ ხალხი დაედო ბრიგადირის სიტყვას და თუ აქამდე ზოგიერთები ცოტა ზერეღედ უტყერდნენ მოზაიძის დანაშაულს, ახლა ვითარება ერთბაშად შეიცვალა, შეხუთული პაერი წყრომით საგსე ხმებმა შეარხია:

— სირცხვილი, ნინიავ!

— კომკავშირელი მაინც არ იყოს!

— ჩამოერთვას საკარმიდამო!

„კარგია, რომ ხალხი დანაშაულს არ გაუჩუმდა“, — ჩაიწერა უბის წიგნაკში სიმონ ჩოხელმა.

თავი მირვი

პირველი ნაბული

ვაგრძელება

გოგოლა გულმოკლული უსმენდა ამ წამომძახილებს. რასაკვირველია, ნინიამ

ძალიან დააშავა, მაგრამ ნუთუ არ შეიძლება სხვანაირად დასაჯონ? რაღა მა-

ინცადამინც საკარმიდამო ნაკვეთს ჩა-
აცივდნენ!

შეცრაღ ტრიბუნაზე არჩილ ყანჩა-
შვილი აღიმართა. გოგოლას არ გაუგო-
ნია, თავმჯდომარემ როდის გამოაცხადა
მისი სახელი და გვარი. არც ის დაუნა-
ხავს, სანამ არჩილი ტრიბუნასთან მი-
ვიდოდა, მისმა თვალებმა როგორ მო-
ძებნეს ის ადგილი, სადაც უგრეხელი-
ძის ქალი იჯდა.

მზე ჩადიოდა, ფანჯარაში შემოსული
დასის ზოლი ლამაზად ასხივებდა არ-
ჩილის შუბლზე ჩამოშლილ თეთრ კუ-
ლულს.

— ერთ ქვას ესეც მიაყოლებს! —
ნაღვლიანად გაიფიქრა გოგოლამ.

მკვახედ დაიწყო სიტყვა არჩილ ყან-
ჩაშვილმა:

— არა, მეგობრებო, ტარიელ მეტრე-
ველის წამალი ჩვენ არ გამოგვადგება.
მგელს რა ენაღვლება, ცხვარი თუ ძვი-
რად ღირსო!

— ზოგჯერ სიტყვას დაუფიქრდი,
ამხანაგო არჩილ! — ნელი ხმით დაიძა-
ხა მეტრეველმა.

არჩილი მაშინვე მისკენ მიტრიალდა:

— რაო? ვერ გავიგონე!

ტარიელმა პირში წყალი ჩაიგუბა.
მისი წადილიც ეს იყო, არჩილ ყანჩა-
შვილს მისი წამოძახილი არ გაეგონა.
რა შეგქვად უნდოდა მთავარ აგრონომ-
თან წალაპარაკება!

მაგრამ არც ის ვარგოდა, საწყენი
სიტყვა მთლად უხმოდ გადაეყლაბა.
ამიტომ გამოცდილმა ოქროპირმა ხმა
ისე მოზომა, ის წამოძახილი მხოლოდ
ჩოხელს გააგონა, ვითომდა, თავისი კა-
ცური ღირსება დაიცვა.

გოგოლამ ლოყაზე ხელი მიიღო; პი-
რისახეზე აღმური ასდიოდა.

„ნუთუ ის კაცი ნინიას გამო-
ესარჩლება? ნუთუ გაბედავს და ყოფ-
ლისშემძლე მეტრეველს წინ გადაუდგე-
ბა...“

მტკიცედ, შეუვალად განაგრძო ყან-
ჩაშვილმა:

— შარშან საკარმიდამო ნაკვეთი
ჯერ ამაღლებას ბიჭს ჩამოაჭრეს, მერ

ლეკაშვილს მიადგნენ და ნახევარი
ალარ დაუტოვეს, მიდი-მოდი ხალხი
ჭკუას ისწავლისო, როგორც აქ მატრე-
ველმა მეტრეველმა გვითხრა! მერე-
და, ისწავლეს?! თუ პირიქით მოხდა?
ოთხივე ემტეესში მუშახელის მისვლა-
მოსვლა უფრო გახშირდა. გაიხვდავ-
დღეს კაცი აქ არის და მინდორს ხნავს,
ხვალ კი სადღაც საწყობში გუდურებს
დაათრევს. მეტრეველმა უნდა გაიგოს,
რომ ამ სახადს შიში და ყვირილი ვერ
მოერევა! ამხანაგებმა საქმეს ძირში
უნდა ჩახედონ. რა მიზეზია, რომ ჩვენი
ტრაქტორისტები მაქოსავით გარბი-გა-
მორბიან ერთი ადგილიდან მეორეზე?

— კარგი დამცველი იპოვნეს და რა-
ტომ არ ირბენენ? — არ დაუგვიანა პა-
სუხი ტარიელ მეტრეველმა.

ეს ვეება კაცი აღელვებისაგან კანში
ველარ დატეულა. ცმუკავს, ხან სკამზე
წამოიწევა და სცენის წინ ჩარიგებულ
ტრაქტორისტებს გადახედავს, ხან კი-
დეგ ოფლისაგან სველ ცხვირსახოცს პა-
ერში შეაფრიალებს და ისევ თავ-კისერ-
ზე ჩამოისვამს.

მკაფიოდ ისმის მისი სკამის გაბმული
ჭრიალი. სწორედ ამ ჭრიალმა უთხრა
ყანჩაშვილს, აღელვებულ კაცს სიტყვას
ნუ შეუბრუნებო.

არ შეუბრუნა. მშვიდად განაგრძო
ლაპარაკი...

ტარიელი კი მოსტყუვდა. რახან მო-
კამათე გაუჩუმდა, მან ეს ამოცანა უბ-
რალოდ გამოიყვანა, პირში ალის ქარი
ჩაეუგდე და უკან დავახეინეო. და რო-
გორც ჭკუამოკლე კაცს სჩვევია, ტარიე-
ლი ერთბაშად გათამამდა, გულსყური
დაჰკარგა და არჩილ ყანჩაშვილს ისე-
თი რამ წამოსძახა, ხალხი გააცინა.

— შე დალოცვილო, ამდენი თუ იყო-
დი, მამაშენს ჭკუა ვერ ასწავლი?! ეგ
რომელი თავადიშვილი მყავდა, სახელ-
მწიფო მიწები ვიდაც-ვიდაცეებს რომ
დაურია!

„თუ გზიდან გადაუხვია და თავის
მართლება დაიწყო, ბრძოლას წაა-

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ნატვრის თვალი

გებს!“ — გაიფიქრა ჩოხელმა და არჩილ ყანჩაშვილს შეხედა.

არჩილის პირისახეზე ერთი ხაზი არ შერხეულა. მშვიდად მიუბრუნდა სახე-გაბადრულ მეტრეველს და ხმამაღლა უთხრა:

— რა მოგივიდა, ტარიელ, წუხელ ხატის ღვინო ხომ არ დაგიღვევია?

ხატის ღვინო! შეიქნა ერთი სიცილი და ჟრიამული. ჩოხელმაც კი ვერ შეიკავა ღიმილი. ფუხკიან მეტრეველს კარგად მოადგა ძველი ხალხური გაქილიკება.

არჩილმა ხალხის გული იმითაც მოიგო, რომ მეტრეველს არ შეეპუა და მუშაობა დაუწუნა. ერთი ამბავი კიდევ მოხდა, რამაც ტრაქტორისტები არჩილისაკენ შემოაბრუნა. როდესაც მთავარმა აგრონომმა სიტყვა მოითხოვა, ბევრი ფიქრობდა (და არა მარტო გოგოლა), ახლა იგი მიხედვება ნინია მოზაიძეს და გულდად ამოიღებოს.

არა, არჩილ ყანჩაშვილი არ გაპყვა თათბირის კალაპოტს და წაქცეულს გაბედულად მხარში ამოუდგა. საჩივილი მოუწონეს და პასუხად ისეთი წამახალისებელი ჩურჩულ-ბუტბუტი ასტეხეს, რომ ტარიელი უფრო გაიბერა და მისი სკამის კენესამ ყურთასმენა წაიღო.

ყანჩაშვილმა სთქვა:

— შარშანწინ, ჯარიდან რომ დაგვი-თხოვეს, გზაში ერთი ამხანავი გადა-მეკიდა, მალე ჩემი სტანიცა იქნება. გინდა თუ არა, ჩემი სტუმარი უნდა გახდეთ...

ასე შორიდან დაიწყო არჩილმა თავისი სათქმელი. მისმა ზარიანმა ხმამ გოგოლას მალე დაავიწყა წედანდელი წყენა. ახლა მხოლოდ ერთი რამ აწუხებდა, ნეტა ამ კეთილ კაცს არაფერი შეეშალოს, თორემ მტრისას, თუ ტარიელ მიჭარბევილი ვინმის გადაეკიდაო.

სწუხდა და თვითონვე უკვირდა, იმ კაცის ავ-კარგი გულთან ასე ახლოს რომ მიჰქონდა.

„ის იმის ბრალია, ნინიას რომ გამო-ესარჩლა!“ — გული დაიწყნარა ახალ-გაზრდა ქალმა.

— ამხანავს მადლობა გადავუხადე და უარი ვუთხარი, შინ მიმჩქარებდი. მეტქი. მაგრამ გაჩერდა თუ არა მტრე-მეტი, მასპინძელმა თვალი ჩაუკრა ჩვენთან ერთად მომავალ კახაკებს. მტაკეს ხელი და ცივად ჩამომსვეს რომელიღაც ბაქანზე. მთელი კვირა დავრ-ჩი იმ სოფელში, დიდი პატივი მცეს...

— ზღაპრებისათვის არა გვცალთა, ამხანავო თადია! — დაუძახა ტარიელმა კრების თავმჯდომარეს.

— დაგვცა, ტარიელ! — მაშინვე შე-მოსწყრა მეტრეველს მოხუცი ნადიბაი-ძე.

არჩილმა სთქვა:

— ეს ძველი ამბავი დღევანდელმა თათბირმა გამახსენა. ჩემი მასპინძლის სოფელში ერთი საქვეყნოდ ცნობილი ემტევის იყო დაბინავებული. მეტრე-ველმა ალბათ იცის ყუბანის „რთვე-ლი“...

— მე ვითომ ვიცი რამე? — შეულ-რინა მეტრეველმა.

არჩილმა ჩუმად გაიღიმა და სიტყვა განაგრძო:

— ერთ დილას ჩემი მასპინძელი გა-ვიყოლე და სადგურის დასათვალღირე-ბლად წავედი. სამი თუ ოთხი ვეება სახელოსნო ცარიელი დაგვიხვდა, კაცის ბაიბური არსად იყო.

გამივიკირდა.

მინდვრად გახსურებული ხენა-თესვა მიდის, ასი-ორასი მანქანა ერთად მუშა-ობს... ტრაქტორს სად რა გაუჭირდება, გუთანს სად რა გაუტყდებო, — მანქანას სახელდახელოდ როგორღა შეაკეთებენ, როცა სადგურში მორიგე ხელოსნებიც არ არიან-მეთქი, ვკითხე დირექტორს.

იცით, რა მითხრა? ჩვენ დიდი ხანია ცალკე ხელოსნები აღარა გვყავსო. აქ ყოველმა კაცმა რამდენიმე ხელობა იცი-სო. ჩვენი ტრაქტორისტი იმავე დროს კარგი ზეინკალიც არის, კარგი ხარატი, მჭედელი, შემდულღებელი... მანქანებს თვითონვე მართავენ და თვითონვე მკურ-ნალობენო. ახლა თოფი რომ ესროლო, აქედან კაცი ფეხს არ მოიცივლის! ამი-ტომ ჩვენ პური ბევრად იაფი გვიჯდე-ბაო!

არჩილმა სული მოიბრუნა, გოგოლას-
კენ მიიხედა...

— ჩვენთან კი რა ხდება, ამხანაგე-
ბო! ტრაქტორისტმა მხოლოდ ტრაქტო-
რის მართვა იცის. თავის მანქანას უბ-
რალო საყელურს ვერ გამოუჩარხავს.
ხენა-თესვა რომ მოთავდებდა, ასეთი
ტრაქტორისტი, რა თქმა უნდა, უსაქ-
მოდ რჩება და სამუშაოს სხვაგან ეძებს.
თუ სადმე ხელსაყრელი საქმე გამოუჩნ-
და, უკან აღარ ბრუნდება. მერე ადექი
და ეძებე მისი შემცველი!

„კარგი ლაპარაკი სცოდნია“, — გა-
იფიქრა გოგოლამ.

მართლაც, ყანჩაშვილი სიტყვას არ
სტკეპნიდა, არც ეძებდა, თითქოს ხალხს
დიდი ხნის ნაფიქრსა და ნაგულეებს
უამბობდა.

— მე არ ვამართლებ ნინია მოზაი-
ძეს...

— ამართლებ! ცუდ საქმეს აკეთებ!—
დაუძახა მეტრეველმა.

— ცუდი საქმე შენ გააკეთე, ამხანა-
გო ტარიელ! სულ შენი ბრალია, რომ
ნინია მოზაიძე სოფლიდან წავიდა.

— რაო?! — ერთად წამოიყვირეს მე-
ტრეველმა და მისმა სკამმა.

— მოზაიძე სულ იმას გეხვეწებოდა,
დამეხმარე, კურსებზე გამგზავნე, ზეინ-
კლობა მინდა ვისწავლო, რომ მთელი
წელიწადი სამუშაო მქონდესო. შენ კი
დახმარების მაგივრად მოზაიძეს ერთი
ჯაბახანა ტრაქტორი მიუგდე, ნახევარ
საათს იმუშავებდა, მერე დადგებოდა...
დაეხვევოდა სამი-ოთხი ხელოსანი და
იყო ერთი ჭაბანწყვეტა. ეგრე იყო თუ
არა, ამხანაგო არაბულო? — მიუბრუნ-
და არჩილი კომპაეშირის რაიკომის
მდივანს.

— ეგრე იყო, — მაშინვე დაუდას-
ტურა მან.

— მთელი ეს გაზაფხული ნინია თავ-
ჩაღუნული დადიოდა. კაცი არ შეეკი-
თხა, რა მოგივიდაო. განა ნინიას უხა-
რია, რომ დეიამისი ბაზრის ვაჭრუკა-
ნად გადაიქცა? ხანდახან კაცის გულში
თუ არ ჩაიხიდიოთ, ამხანაგო ტარიელ,
ხვალ შეიძლება ამ სოფელში მიწის მუ-
შა აღარ დაგვრჩეს!

— მართალია! — ხმა მიაშველა ჯაო
გოჩიტაშვილმა.

— რა არის მართალი, ჯაო? — სწრაფად
ფად შეეკითხა მეტრეველი.

როგორც თითქმის ყველა ენაბლუ
კაცი, კომპანიერი გოჩიტაშვილი ძალი-
ან წყნარი და მოკრძალებული მოხუცი
იყო. კრებაზე ერთ სიტყვას არ იტყოდა,
რადგან ენას ძალიან უკიდებდა. რაც
არ უნდა ეთქვა, ხალხი მაინც უზაკე-
ლად გაიცინებდა.

მეტრეველმაც ამიტომ შეუტია, გო-
ჩიტაშვილს ბლუკუნს დაგაწყებინებ და
ხალხი გაიცინებსო. სიცილი კი ხალხის
წყრომას, რა თქმა უნდა, ცოტათი მაინც
გაანელებდა. მაგრამ საოცარი ამბავი
მობდა: გოჩიტაშვილს ერთი სიტყვა არ
წაბორძიკებია. რაც უნდოდა, ყველაფე-
რი გულიანად ჩამოკენჭა და ხალხმაც
კარგად მოუსმინა. მეტრეველის სკამიც
კი გაჩუმდა.

გოჩიტაშვილმა სთქვა:

— წელიწადში სამი თვე ვმუშაობ.
სამი თვე. თუ ასე გაგრძელდა, მეც ჩე-
მი გზა უნდა მოვხახო! აი, რა არის
მართალი, ამხანაგო...

აღლევებისაგან მეტრეველის სახელი
ვერ გაიხსენა და სწრაფად დაჯდა.

— ყოჩაღ, ჯაო! — დაუძახა ნადი-
ბაიძემ.

— ეგრე, კაცო! ერთხელ კიდევ გაბ-
რაზდი და ენა სულ გაგისწორდება!

— ჩვენ საქმე რკინასთან ვვაჭვს, მე-
ტი ყურადღება გვჭირდება! — წამო-
ეშველა ხალხი გოჩიტაშვილს და ისეთი
ღრიანცელი ასტეხეს, გოგოლამ ყურებ-
ზე ხელი მიიფარა და არჩელოდის გაუ-
ცინა. ბიჭმაც თვალი ჩაუკრა, საქმე კარ-
გად მიდისო.

— სიტყვა გამიგრძელდა, მეგობრე-
ბო, მაგრამ მერწმუნეთ, რაც მაწოხებს,
ის მალაპარაკებს! — სთქვა არჩილმა და
ის ტრიბუნა რაღაც ისე უჩივრად, მოუ-
ლოდნილად დატოვა, რომ ხალხი ერთ
ხანს ჩუმად მისჩერებოდა პრეზიდიუმის
მაგიდისაკენ მიმავალ ყანჩაშვილს.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ნატვრის თვალი



მერე კი მოსწყდა ტაში... ეზოში ბალღებმა დახლა-ბურთის თამაშს თავი მიაწებეს და ფანჯრებს მოასკდნენ, ასეთი რა მოხდაო.

სანამ ტრიბუნას დატოვებდა, არჩილმა ერთხელ კიდევ მოსძებნა გოგოლა და შორიდან ისე გაუღიმა, თითქოს მასთან რაღაცაში პირშეკრული იყო.

რას ფიქრობდა სიმონ ჩოხელი

„ცუდს კაცს კარგი შვილი ჰყოლია!“
„პირდაპირი, პირუთენელი, საქმეში ჩახედული“, — ჩაიწერა უბის წიგნაკში რააკომის მდივანმა.

სიმონი იმითაც მოიხიზლა, რომ ეს ახალგაზრდა კაცი მეტად მომთმენი და თავდაჭერილი გამოდგა. ჩოხელს ეგონა, წილან მეტრეველთან პაექრობის დროს, არჩილ ყანჩაშვილს შიშმა თუ სიფრთხილემ ლაგამი ამოსდო და უკან დაახვეინაო. მერე უეცრად თვალი მოათა-

ნა არჩილის ტურპირზე მიმალულ დიმილს.

არა, ეს არ იყო მშვიშარა კაცის დიმილი... და იმ წამიდან სიმონი გაფაციცებული ადევნებდა თვალყურს ორთა ბრძოლას.

„აზრი უნდა შეიცვალო, ჩემო სიმონ! — უთხრა მან თავის თავს, — ასეთ კაცს შეიძლება დაენდო!“

რას ფიქრობდა გოგოლა უგრეხელიძე

„ეს ჩვენი აგრონომი არც ისე ცუდი კაცი ყოფილა, როგორც დღემდე მეგონა. გაბედული, პირში მოქმელი, ჭკვიანი... და თანაც როგორ უხდება თმაში ის თეთრი კულული!“

რას ფიქრობდა ავტორი

„სწორედ იმ დღეს გადადგა გოგოლა უგრეხელიძემ პირველი ნაბიჯი უფსკრულისაკენ...“

თავი მეცხრე

არჩილის სიტყვამ ყველაფერი პირუკუ შეატრიალა. ვინც წილან მეტრეველს ტაშს უკრავდა და ნინიას დასჯას მოითხოვდა, ახლა ყველანი მისი ქომაგები გახდნენ. დარბაზი აირია. ზოგი სიტყვას ითხოვდა, ზოგი ისევ ტაშს უკრავდა, რაღაცას გაიძახოდა.

რაინაული ზარს მისწყდა.

ჩოხელმა შეაჩერა: — დაიცა, თადია, დაიცა! ყვირილს კაცი არ მოუკლავს! სანამ ადამიანები ყვირიან, დავობენ და კამათობენ, ისინი წინ მიდინან!

წამოდგა, დარბაზს თვალი გადაავლო და ერთი ბიჭი ამოარჩია. იგი სკამზე იდგა და უსაშველოდ ყვიროდა. ყელ-კისერზე ძარღვები ისე დაბერვოდა, თითქოს ასხლეტას ლამობენო.

ჩოხელმა ხელი დაუქნია, აქ მოდიო.

ბიჭმა ჯერ მიიხედ-მოიხედა, მერე მკერდზე თითი მიიღო და ჩოხელს მიაჩერდა.

„შენ, შენ!“ — დაუდასტურა ჩოხელმა.

ბიჭმა მხრები აიჩჩა, სკამიდან ზანტად ჩამოვიდა და ასევე ზანტად სცენი-

საკენ გაემართა. სცენაზე ასასვლელ კიბეს რომ მიუახლოვდა, წუთიერად შესდგა და ხელი ისევ მკერდზე მიიღო.

სწორედ შენ გეძახითო, უთხრა ჩოხელმა და ტრიბუნისაკენ მიუთითა.

ბიჭი სცენაზე ავიდა და პრეზიდუმის მაგიდის წინ ისე ფრთხილად ჩაიარა. ეზოში დაბმულ ძაღლს რომ ჩაუვლიან ხოლმე, ვაითუ მომწყდესო.

ჩოხელმა ჰკითხა:

— რა გვარი ხარ, ბიჭო?

— ქავთარაძე, — უგულოდ მიუგო ბიჭმა.

— სახელი?

— ბერდია.

— აბა, გვითხარი, ბერდიავე, რა გინდა?

— მე... არაფერიც არ მინდა!

— მაშ, იქ რა გაყვირებდა!

— განა მარტო მე ვყვიროდი?!

— შენ შენი გვითხარი, შე კაიკაცო!

სხვები თავისას იტყვიან!

— რა უნდა ვთქვა! მე არაფერი არ ვიცი...

„ეგ ბიჭი ისე მოქმედებული იყურება, ზედვე ეტყობა, სათქმელიც ბევრი აქვს და საყვირალიც!“ — გაიფიქრა ჩოხელმა და თადიას გადახედა.

— ვერ გამოგია, ერიდება თუ ეშინია, — მიუგო თადიამ.

— შეიძლება წავიდე? — იკითხა ბერდიამ.

ჩოხელმა თავი დაუქნია, წადიო. მერე ხმამაღლა დაადევნა: — მე მეგონა, შენ რაღაც გაწუხებდა, ჩემო ძმამო! შენ კი აქ თურმე კრების ასარევად მოსულხარ!

ბერდია სწრაფად მოტრიალდა.

— მე... მე! — ენა დაება, თითქოს უცარმა ტკივილმა სული შეუკრა, — მე მოვედი ასარევად?

— როგორც სჩანს, — წარბშეუხრელად მიუგო ჩოხელმა. მან იცოდა, რასაც აკეთებდა.

— ხალხი მიცნობს, რაცა ვარ.

ბერდია კანკალებდა, ეტყობოდა, ჯაგრი ყელამდე ჰქონდა მოყრილი. ჩოხელი მაინც დაადგა პირზე:

— ჩემი თვლით დავინახე, ბიჭო, აგერ იქ რა ამბავში იყავი!

ბერდიამ ღრმად ამოისუნთქა, არეული პირისახე ოდნავ დაუღაგდა, ფერიც დაუბრუნდა.

მკაფიოდ სთქვა:

— ეს თუ დაინახე, ამხანაგო მდივანო, ის რატომ არ დაინახე, დედაჩემი პურის სასესხებლად მეზობლებში რომ დადის?

ლაპარაკი რომ დაიწყო, ხალხი მაშინვე მიჩუმდა. ყველანი მიხედნენ, თავმოყვარე ბიჭი ჩოხელის ანკესზე წამოეგო და ახლა მოქმედებს აღარ მოზომავდა.

— მე კი ემტეესიდან ჯერ კიდევ შარშანდელი ხორბალი არ მიმიღია...

ჩოხელი მეტრეველს მიუბრუნდა:

— რამდენი ერგება?

— სულ წაიღო, ამხანაგო სიმონ! ერთი მარცვალი არა მმართვეს მაგისა!

ჩოხელმა წარბები შეჰყარა:

— შენ რაო, შარზე ხარ, ბიჭო?!

— არა გმართვეს? — ბერდია წელში გაიმართა და რაღაც სხვანაირად

ჩაიცინა, — მაშ, ის თვრამეტი ჰექტარი სადღა წავიდა?

მიმხედრი კაცი იმ სიცილს მეტრეველს რაღებას მიაქცევდა, ჩაუფიქრებოდა, მეტრეველმა კი აინუნშიც არ ჩააგდო, ბერდია ქვეთარაძეს სიტყვა პირზე შეატეხა:

— რაც გერგებოდა, ყველაფერი გავისწორე!

— პანტიშარაზე... თვრამეტი ჰექტარი! ისიც გამისწორე?!

— მინდორი აგრევია, ბიჭო! პანტიშარაზე კომბაინს რა უნდოდა! იქ პური ჩაიწვა და ქალები დამშეულ ყანას ნამგლითა მკიდნენ.

— ქალები ნაურზე მკიდნენ, ტარიელ! — დაუძახა დუბოვმა.

— ნაურზე, — მაშინვე დაუდასტურა ბერდიამ.

— ასე არ შეიძლება, ამხანაგო სიმონ, — სთქვა მეტრეველმა.

— რა არ შეიძლება?

— მე მასამართლებთ თუ ნინია მოხაიძეს, ვერ გამოგია!

— გული ნუ მოგდის, კაცო! ადექი და ხალხს პირდაპირ უთხარი, ეს ბიჭი მართალს ამბობს თუ არა.

— ესენი სულ ასე იძახიან, დამაკლეს... ცოტა მომცესო, — წაიბურღლუნა მეტრეველმა.

— ეგ რა პასუხია, ტარიელ! — გაიკვირვა ჩოხელმა. მერე ისევ მეტრეველს დააკვირდა. „ნუთუ სტყუის ბერდიასთან?“

— შეიძლება ერთი სიტყვა?

ქალის ხმა იყო, ჩოხელმა თავი მოაბრუნა. ის ქალი დარბაზში უცბად ვერ იპოვნა და თადიას გადახედა.

— აგერ იმ ფანჯარასთან... უგრეხელიძის ქალი უნდა იყოს, — წასჩურჩულა თადიამ.

— გოგოლა! — ჩოხელს გაუხარდა მისი დანახვა და მაშინვე გაახსენდა ელისოს სიტყვები:

ლამაზ ქალს რამდენი ჭკუა სჭირდება, რომ ხანდახან თავისი სილამაზე

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ნატვრის თვალთ

დაივიწყოს და ქარაფშუტა ქალის სახელი არ დაიგდოსო.

„სწორედ ასეთია გოგოლა! ძალიან ლამაზი და ძალიან ქკვიანი!“ — გაიფიქრა ჩოხელმა და ერთი რამ კიდევ მოაგონდა:

ერთხელ ალაზნიდან ფერმაში გამოვიარე. ეზოში არავინ იყო და პირდაპირ ბოსელში შევედი. ვეება შავი კამეჩები ჩალას ახრამუნებდნენ. ბაგის კარს პატარა ზაქი მისდგომოდა და ნელი ხმით ყოყინებდა. უეტრად სლუკუნი გავიგონე. გვერდზე მივიხედე, კუთხეში დაყრილ ჩაღაზე გოგოლა დამხობილიყო და ჩუმი ცრემლით იხრჩობოდა. მივედი, წამოვაცენე... ტირილისაგან დასივებულ თვალებში მუჭი ამოისვა და დაბნეულად გამიღიმა. ჯერ ვიფიქრე, ვინმემ თუ აწყენინა-მეთქი, მერე ხელში სამკუთხად ვაკეცილი წერილი რომ დავუნახე, მაშინვე მივხვდი, ასე მალულად რატომ ტიროდა...

ხელი მოვხვიე და ვუთხარი:

— ნუ ტირი, გოგოლა! დაბრუნდება, უექველად დაბრუნდება! ვისაც შენისთანა გოგო უცდის, იგი არ შეიძლება არ დაბრუნდეს!

მან ისევ დაბნეულად გამიღიმა, ერთი კიდევ ამოისლუკუნა და გაიქცა. ფერმიდან რომ მივდიოდი, გოგოლამ გამომაცილა და ყურში ჩამჩურჩულა, რა კარგი კაცი ხარ, ბიძია სიმონ, რომ იცოდეთო...

„შენ ხარ კარგი, ჩემო გოგოლა და ამიტომ ყველანი კარგებად გეჩვენებით-მეთქი!“ — გავიფიქრე მე...

— მოდი, გოგოლა! — დაუძახა ჩოხელმა.

— აქედან ვიტყვი, თუ შეიძლება.

— სთქვი.

— შარშან ნაურზე მეც ვიყავი. ალაგ-ალაგ ყანას ხელითა გვლეჯდით, იქ ნამგალმაც ვერ იმუშავა! — სთქვა გოგოლამ.

ჩოხელი მეტრეველს მიუბრუნდა.

— გაიგონე?

— შეიძლება ასეც იყო, ამხანაგო სიმონ. ზებირად არ მახსოვს. ხვალ შენებს გავსინჯავ და ყველაფერს მოგახსენებ.

— მოდი, ამ საქმეს სახვალიოდ ნუ გადავდებთ, — სთქვა ჩოხელმა, — ვარდიკო აქ არის?

— აქა ვარ, ბატონო სიმონ!

— ეზოში ჩემი მანქანა დგას. ჩაჯექი და შენი დავთარი ახლავე აქ მომიტანე.

— მე თვითონ წავალ, ამხანაგო სიმონ, — სთქვა მეტრეველმა.

— შენ რად უნდა შეწუხდე, კაცო? ვარდიკო ვერ მოიტანს?

— როგორ ვერ მოიტანს...

— გამიშვი, ბიჭო! — დაუტია ვარდიკომ ვიღაც ოინბაზ ბიჭს და კარს მიაშურა.

„როდის იყო ჩოხელი ასეთი აჩქარებული... დაჩემებული!“ — ფიქრობდა თადია რაინაული და სიყრმის მეგობარს თვალს არ აშორებდა: „იქნებ დალანდა რამე“...

— მანამდე გამოდი, ზაქარიავ, შენი მუხლები წავგვიკითხე, — უთხრა ჩოხელმა „გლეხის იმედის“ თავმჯდომარეს, — ცოტა ფრთხილად კი იყავი... ისეთი არაფერი ჩასწეროთ, რასაც ვერ მოერევიტო. „კოლხეთის ცისკარს“ ნუ ეხუმრებთ! მექი ვაშაკიძის კაბინეტში რომ შეხვიდე, მუზეუმი გეგონება! დრომები გინდა, სიგელები გინდა, თასები გინდა... რას არ დაინახავს კაცი! ბროლის კოშკიც კი უდგას მაგიდაზე...

— ბროლის კოშკიც გვინახავს!

ზაქარია წამოდგა, რვეული გაშალა და კითხვა დაიწყო. დარბაზში მაშინვე ბუტბუტი ატყდა. ზოგიერთები წამოდგნენ და პაპიროსის მოსაწვევად ეზოში გავიდნენ. ეტყობოდა, ახლა, ამ ცეცხლკიდებაში, ზაქარიას ყურს არავინ დაუგდებდა. ამიტომ ზაქარიასაც თავი არ მოუკლავს, ხელშეკრულება, როგორც იყო, ჩააბუღბულა და რვეული თავმჯ-

დომარეს წინ დაუდო. ამ დროს კული-
სიდან ვილაცამ თავი გამოჰყო და ჩო-
ხელს ანიშნა, ტელეფონზე გთხოვეთ.

ჩოხელი გავიდა. წუთი არ გასულა,
უკანვე დაბრუნდა. რაინაულის გარდა,
კაცმა ვერ შეატყო, რომ იგი ელდანაცე-
მი იყო.

ჩოხელი მაგიდის კიდესთან გაჩერდა.

— ჩვენი საუბარი უნდა გადავდოთ...
მე უნდა წავიდე, ისეთი საქმე გამომიჩნ-
და! — ხმამაღლა სთქვა მან.

— რა მოხდა, სიმონ? — ჰკითხა თა-
ლიამ.

თავი მათე

გზა საით მიდის

ზაქარიამ აღარ მოიცადა, სანამ კრე-
ბა დამთავრდებოდა. ტრაქტორებს საწ-
ვავი უნდა ჩავუტანოთო, უთხრა დეისა-
ძეს, წამოდგა და ბნელი კულისის კედ-
ლებს ხელის ფათურით გაჰყვა.

დამდებოდა. კიბის მოაჯირს ვილაცე-
ბი მიყუდებოდნენ და ხმადაბლა მუსაი-
ვობდნენ.

— თავი გამანებე, თუ ძმა ხარ, —
ამბობდა ერთი, — ამ ქვეყანას შენ გაას-
წორებ?

— არც ვარბა, რომ გასწორდეს, —
შეეხმინა მეორე, — ქვეყანა ცოტა მრუ-
დე და ოღრო-ჩოღრო უნდა იყოს, ცხოვ-
რება მაშინ არის საინტერესო!

ზაქარიამ ხმაზე შეიცნო. ეს მეორე —
არჩილ ყანაშვილი იყო. დარბაზიდან
სანიავოზე გამოსულიყო.

კილოზე ეტყობოდა, არჩილი ხუმრობ-
და, მაგრამ ზაქარიას რატომღაც მისი
ხუმრობა არ მოეწონა. „ნეტა ერთი
გამაგებინა, ეს კაცი მართალს როდის
ამბობს და როდის სტყუის!“ — გაი-
ფიქრა მან. მერე ეზოს ბოლოში კადონ-
თან მივიდა, ბნელში ქორისა იპოვნა,
მოსართავი მოუჭირა და ამხედრდა.

ჭიშკართან მანუჩარ უგრეხელიძე დაე-
წია. ზაქარიას მუხლზე ხელი დაადო და
უთხრა:

— შენ დაგეძებ, ზაქრო! სიტყვა მაქვს
შენთან.

— მილიციიდან დამირეკეს, ჩემი მან-
ქანა საკირესთან გადაბრუნებულა! მეწ-
ნას ბიჭი და ვარდიკო საავადმყოფოში
წაუყვანიათ, — ხმადაბლა მიუგო ჩო-
ხელმა, მერე უეცრად მეტრეველს მიუბ-
რუნდა: — ენამ ხომ არ მიყივლა, კაცო?
იმ გოგომ მართლა ვერ მოიტანა შენი
ღავთარი!

და ახლაც მხოლოდ რაინაულმა შე-
ატყო — ჩოხელს გუმანმა რაღაც ისეთი
ჩასძახა, კაცი გულის სიღრმემდე შეძ-
რული იყო.

— მეჩქარება, მანუჩარ. ცოტაზე გა-
მომყე, გზაში ვილაპარაკოთ.

— იცი რა მინდა? ოღონდ არ გამ-
ცინო.

— რატომ, შე კაცო?

— არც კი ვიცი, საიდან დავიწყო...

— რა მოხდა ასეთი? — ხმა მიაშველა
ზაქარიამ და ცხენიდან ჩამოვიდა. იგი
ხედავდა, როგორ ღელავდა ეს დროული
კაცი და ეჩოთირა, რომ ცხენდაცხენ ელა-
პარაკებოდა.

— გახსოვს, ზაქრო, ერთხელ ზილი-
ჩაში წყალი რომ ვერ დავლიე? — ჰკით-
ხა მანუჩარმა.

— მახსოვს. კარდალა უკან დამიბ-
რუნე და მითხარი, სულიც რომ ამომხ-
დეს, ამას პირს ვერ დავაკარებო! — მიუ-
გო ზაქარიამ. თან ეს გაიფიქრა, ამ კაცს
ახლა ძალიან უჭირს და ყური ათხოვეო.

— ასე რამ დავამახსოვრა, კაცო? —
გაუხარდა მანუჩარს.

— გინდა ისიც ვითხრა, მე რას ვიძახ-
დი? „შენ არ იცი შირაქის ჯადო, მალე
ეს კოდის წყალი შენი თამარის წყარო-
ზე გემრიელი გახდება-მეთქი!“ არ ას-
რულდა? არ გახდა გემრიელი?

— ახლა ყველაფერი ჩამამწარეს, ზაქ-
რო! წითელმა დათამ სიცოცხლე შემე-

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ნატერის თვალში

ძულა! იმ კაცს ჩვენთვის არა სცალია! შარშან ორსართულიანი სახლი წამოიწყო და იმას გადაჰყვა. ხან ლაგოდებში დარბის ხე-ტყის საშოვნელად, ხან კიდევ ალაზანზე აგურს აჭრევენებს. კოლექტივიში კი ეს ალოღლექტია ხალხი თანდათან მომრავლდა. შარშან გაიგეს თუ არა, პური ცოტა იქნებაო, ცეტი ლევანას ბიჭი საქნავთში მოეწყო სამუშაოდ, ალექსი არაბულმა ურიკაში ცხენი შეაბა და ქირაზე დაიწყო სიარული. ვისაც სამი ჩარექი საკარმიდამო ჰქონდა, ისინი კიდევ ადგნენ და ეზოებში პურის თესვა დაიწყეს. იქაურობა ისე გადახნეს, ბაღლებს პატარა ადგილიც კი არ დაუტოვეს დახლა-ბურთის სათამაშოდ...

მანუჩარს ხმაში ყოყმანი დაეტყო.

— მითხარი, კაცო! — გაამხნევა ზაქარიამ.

— გეტყვი.

ცოტა ხანს მაინც იყუჩა, მერე ზაქარიას მაჯაში ხელი წაავლო, თავისკენ მოაბრუნა და გულიდან წამოსული ხმით უთხრა:

— კაცი ვარ ახლა მე? სხვებს დავცინოდი, ეშმაკის კვალს დაადგენ-მეთქი... მე კი მთლად გამიწყრა ღმერთი! გუშინდამ ჩემი დიდი ცაცხვი მოვჭერი და ბრიგადას ხარ-გუთანი გამოვართვი... კვალში რომ ჩავდექი და ეზოს ხენა დავიწყე, იცი, გული როგორ გამიხდა? ასე მეგონა, ის დაწყველილი ძველი დრო დაბრუნდა-მეთქი!

მანუჩარ უგრეხელიძემ იცოდა, გაურენილ სიტყვას უკან ვერ დააბრუნებდა. ამიტომ ცდილობდა, ჯავრიან გულს ისეთი არაფერი დასცდენოდა, რაც ხვალ-ზევ სანანებლად გაუხდებოდა.

კაცი კოლმეურნეობაში დაბერდა და ახლა ქვეყნის სასაცილო გახდეს? წიფლის წყაროში ცოცხები გაჰყიდოს თუ ისევ კერძო მიურნეობას მიჰყოს ხელი და ეზოში სიმინდის თესვა დაიწყოს?

არა, ზაქრო, იგი ამას ვერ იზამს! მანუჩარ უგრეხელიძეს ჯერ არ დავიწყებია, როგორ ცხოვრობდა მისი ოჯახი, სანამ კოლექტივში ჩაეწერებოდნენ. მოლითში ერთი ძველი სახლი ედგა, ზამ-

თარში ბუხარი ვერ ათბობდა და როდესაც ძილის დრო მოაწევდა, მისი ბავშვები ერთმანეთს ეხვეწებოდნენ, ღმერთს შენ დაწექი და ლოგინი გაათბეო...

— ახლა ჩემს სახლს არც სითბო აკლია და არც სიმაღლე, კოლექტივის იქით მე გზა არა მაქვს, ზაქრო, მაგრამ წითელ დათასთან მუშაობა არ შემიძლია! გაიგეთ, თქვე კაიკაცებო, აღარ შემიძლია! თქვენთან მინდა გადმოვიდე... „გლეხის იმედში“!

— ჩვენთან?

— ჰო. მიმიღებთ?

— უარს ვინ გეტყვის, მანუჩარ, მაგრამ თქვენები რას იტყვიან? შენისთან ერთგულ კაცს ასე ადვილად არ შეეღვიან.

— ეჰ! — მანუჩარმა ხელი ჩაიქნია, — იქ ახლა ეშმაკი ვერ გაიგებს, ვინ არის ერთგული და ვინ არის ორგული.

— მერე ამ დროს განზე გადგომა შეიძლება, ჩემო მანუჩარ?

— დამპალი ფიცარი ლურსმანს ვერ დაიმაგრებს, ზაქროვ! სანამ წითელი დათა ჩვენი თავმჯდომარე იქნება, საქმე არ გამოვა!

მანუჩარი გაჩუმდა, მერე უცბად მოეჩვენა, ზაქარიამ ჩემი ნათქვამი შეიძლება სხვანაირად გაიგოსო და სწრაფად დაუმატა:

— განა სიხარბე მალაპარაკებს, ზაქრო! განა თქვენთან გადმოსვლა იმიტომ მინდა, ორი კილო ხორბალი მეტი მივიღო! გული მტკიავა, რომ უკან-უკან მივდივართ. ერთ დროს ჩვენი გამგეობის ოთახში ორი გარდამავალი დროშა იყო მიყუდებული, კედლებზე ქების სიგელები აღარ ეტეოდა. ახლა კი... საყვედური, ჯარიმა, გარიცხვა! დაფასთან მისვლა გეზარება. იცი, რომ გულზე გავხეთქავს!

— მოიცა, მანუჩარ, ყური დამიგდე! — ზაქარიამ ნაბიჯი შეანელა და რატომღაც ხმას დაუწია, თითქოს ამ ცარიელ ქუჩაზე მათ საუბარს ვინმე გაიგონებდა, — ერთი აზრი მომივიდა, კაცო! რაღა მარტო შენ? ადექით და ყველანი ჩვენთან გადმოდი.

— როგორ თუ ყველანი? — შეცბა მანუჩარი.

— როგორ და... მთელი კოლმეურ-ნეობა შემოგვიერთდით!

— კი მაგრამ...

მანუჩარი მთლად აირია და გაცე-ბული მიაჩერდა „გლეხის იმედის“ თავ-მჯდომარეს. მერე მორიდებულად ჩაი-ცინა და სთქვა:

— მეხუმრები?

— არც მიფიქრია.

— მაშ, აბუჩად მიგდებ! — ახლა კი იყვირა მანუჩარ უგრეხელიძემ, — მე იმ უქნარებს მინდა მოვშორდე, მათი და-ნახება არ შემძლია! შენ კი რას მეუბ-ნები, — აღქმით და ყველანი ჯოგად ჩემთან გადმოდიეთ! იმათთან ხომ ახ-ლაცა ვარ, ეგ რა ჩემი მალამოა!

— არა, მანუჩარ, ამ მიწის პატრონი არ შეიძლება ზარმაცი და უქნარა იყოს!

— მაშ, ვინ არიან?! სამი წელიწადია, ერთი ბოსელი ვერ ავაშენეთ და შარშან დიდი წითელი ძროხები მოსავლელად ოჯახებს მივაბარეთ. ახლა კაცმა არ იცის, რომელი ძროხა რამდენს იწვე-ლის. ვისაც რამდენი უნდა, იმდენი მოაქვს, რა გქნა მეტი არ მოიწველაო!

— მეც ამიტომ გეუბნები, მანუჩარ! ნათქვამია, ბევრმა ხელმა ბევრნაირი საქმე იცისო! ბოსელი იქნება თუ წის-ქვილი, მაშინ ყველაფერს უფრო ადვი-ლად მოვერევით.

— კი მაგრამ, შენი რა სარგებელია, კაცო, რომ ეს ტვირთიც მიიმატო? ან-თებულ საკირეში რატომ გინდა გადა-ვარდე? ეს მეცოცხია ხალხი საათივით აწყობილ საქმეს ყირამალა დაგიყენებს. მაგათ წანახედს სულ შენ მოგკითხავენ! გაუტანელია, ზაქრო, ჩვენი წუთისოფე-ლი. კარგს გააკეთებ — მადლობას არა-ვინ გეტყვის. მაგრამ თუ რამე შეგეშა-ლა, მაშინ მოგდებოიან და ვაი-დედას გაძახებენ! ვირზე ნაჯდომ კაცივით და-გიწყებენ ყურებას!

— რამდენი წელიწადია, მანუჩარ, მე და შენ კაცურ სალამს ვაძლევთ ერთ-მანეთს?

ამ უეცარმა და უალაგო შეკითხვამ

ცივი წყალი გადაასხა მანუჩარ უგრე-ხელიძეს.

— ამას რატომ მეკითხები? — სთქვა მან.

— მინდა და იმიტომ გეკითხები.

— ერთი ოცი წელიწადი მაინც იქნე-ბა, არა?

— მერედა, შე კარგო კაცო, ამ ოცი წლის ნაცნობ-მეგობრობას ახლა ხელი უნდა ვკრათ? აღარ გინდა, გზაში სალა-მი მოგცე?

— ასეთი რა დავაშავე, ზაქრო?

— შენი რა სარგებელიაო, რომ მეუბ-ნები, მე სარგებელზე როდი მივლია, ჩემო მანუჩარ! ჩემი სარგებელი და თავნიც ის არის, ამ სოფელ-ქვეყანას რამეში გამოვადგე!

— შეიძლება სიტყვა გადამიბრუნდა, ზაქრო, ძალიან ნუ გამიწყრები!

ზაქარიამ სული მოითქვა და რალაც უცნაური მღელვარებით განაგრძო:

— მე, ჩემო მანუჩარ, როცა გაღმიდან მეძახიან, მაშინ ხელს როდი ვიქნევ და ვამბობ, აქ ფონი არ არის, ვერ გადმო-ვალ-მეთქი! შენ კი მყუდროზე მეპატი-ქები...

— კარგი, თუ კაცი ხარ! ფხუკიანობას თავი გაანებე! შენ ხარ, თუ მე ვარ იმე-რელი, ვერ გამიგია?

ზაქარიამ ხმა არ გასცა. ერთ ხანს ორივენი ჩუმად მიაბიჯებდნენ ნაწვე-რალზე. ბოლოს დუმილი ისევ მანუჩარ-მა დაარღვია.

— ჩოხელი რას იტყვის, ნებას დაგერ-თავს? — სთქვა მან ისეთი კილოთი, თითქოს სადავო მეტი არაფერი ჰქონ-დათ.

გულკეთილ ზაქარიას გაეცინა. იგი მიხვდა, რატომ დაუბრუნდა მანუჩარი საუბრის სათავეს.

— უარი რატომ უნდა გვითხრას. ძალა ძალას მიემატება და უღელიც უფრო კარგად გაიტანს.

— ერთი სიკეთე კიდევ მოჰყვება ამ საქმეს, — სთქვა მანუჩარმა, — წითელ დათას წირვა გამოუვა. ჩვენ რომ შევერ-

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ნატვრის თვალი



თლებით, თავმჯდომარე ხომ ერთი უნდა ავირჩიოთ?

— ეგ ვინ იცის, ვის აირჩევენ. წითელ დათას კისერზე ისეთი ეკლიანი საყელო უკეთია, ხელს ეგრე ადვილად ვერ მიაკარებ! ახლა გამიშვი, მანუჩარ, მაგვიანდება!

გვიანი ზაფხულის ღამეა. მალლა ცაზე მოწითალო ბურუსში გახვეული მთვარე მისცურავს, შიწაზე კი ბნელი ისე ჩაგუბებულა, შარავხის თეთრი ზოლი ძლივს ილანდება.

ეს იმიტომ ხდება, რომ დიდი გვალვის დროს შირაქში მთვარემ კაშკაში არ იცის. მისი მკრთალი, უსხივო სინათლე მიწამდე თითქოს ველარ ჩამოდის და სადღაც შუაგზაზე იფანტება.

ქარი ჯერ კიდევ დაღამებამდე ჩადგა, ბუქის ნაკვალევი ჰაერში მაინც იგრძნობა. ზაქარიას თვალები ეწვის. კბილებში მტვერს კაწკაწი გააქვს.

წინ, გზაზე, ავტომანქანის შუქი გამოიჭრა. ნადიბაიძემ ულაყი გზიდან გადაიყვანა და ლეკიმთისკენ მიაბრუნა. ქორისა დღე და ღამე მინდორში დაგელავს, მანქანებს მაინც ვერ შეეჩვია. ახლაც ისე დაძაგრული, წელჩაზ-

ნექილი მიიწევს გან-გან, თითქოს ამ ქვეყანას პირველად ხედავსო. ბული ფრუტუნებს, მხედარს თავს ართმევს.

— დინჯად იყავ, ქორისა! — ეუბნება ზაქარიას.

ბატრონის ხმა ულაყს ამშვიდებს. დროდადრო შარავხაზე კალოდან მომავალი მანქანა ჩაიქროლებს და მერე ზაქარიას ღიძხანს მიაცილებს ტკბილფიცხი სუნი ახლად გაღეწილი პურისა.

„საათივით აწყობილ საქმეს ყირამალა დაგიყენებენო! შეიძლება, მართლაც დამიყენონ... მერე რა? ვისაც სახლი არ უშენებია, დედაბოძი მიწიდან ამოსული ჰგონია. ურისკოდ ქვეყანაზე არაფერი გაკეთებულა!“ — ფიქრობს ნადიბაიძე და გულში ჩუმად უხარია, რომ დღეს რაღაც კარგი და ახალი საქმე განიზრახა...

ხანდახან თვლემამ მოერევა და უნაგირზე შექანდება. ცხენი მაშინვე დადგება. გამოფხიზლებული ზაქარია ქორისას კისერზე ხელს მოუთათუნებს და წადიო, ეტყვის.

და ცხენიც ისეთი ფეხშეუშლელი გოგმანით მიდის ნაბადივით რბილ მიწაზე. ხელისგულზე სავსე ჭიქა რომ დაიდგა, წვეთი არ დაგედვრება.

მეორე ნაწილის დასასრული





შენი, კანთი!

ჩემო შილდავ!

ვნახე შენი ცა კაშკაშა,
გულს ნაღველი შემომცილდა,
სისხლი შენით აგანგაშდა,
მოშინდულო, ჩემო შილდავ!

გიცნობ ზამთრის სითეთრითაც,
მწვანის ნაზი სამოსითაც,
შენი ნახვა ისევ მინდა!
მისმენ, მისმენ, კარგო შილდავ!

შენს ვენახში, მზეს რომ ისხამს,
ნამსხვრევები ჰყრია მშვილდთა,
ძვლებიც ჰყრია შენი მტრისა,
შილდავ, შენ რომ შეგიშინდა.

როგორ შეგნით შუბლნათლობა
შავგვრემანთა შენთა შვილთა.
სულ დიდება, სულ მადლობა,
ბავშვებმოკისკისე შილდავ!

ო, რა ტკბილად გალობს შაშვი,
სული, გული დამიმშვიდდა.
გლოცავდი და ამ ლოცვაში,
შენზე ლექსი ითქვა, შილდავ!

სისხლით წერდი, ხორციით წერდი,
დრო კი შლიდა, დრო კი შლიდა.

მაგრამ შენც გწყალობდა ბედი,
უშიშართა ბუდევე, შილდავ!


მაჩერებდნენ, არ მიშვებდნენ
თვალნი შენთა ქალიშვილთა.
სასახლეებს ავიშენებთ,
კვლავ შილდაში გამიშვით და...

არ ეგონა გულს ორგულის,
თუკი ასე მხრებს გაშლიდა,
ვაზითა და მზით მორგული,
დედის კალთისხელა შილდა.

ციურმა ხმამ ამოხეთქა,
ხმა მეხივით ამოხშირდა.
ო, ვინ მღერის ასე ნეტავ,
დედას ლევანაა, შილდავ?

მართლაც ჰყავხარ მშვენებადა
კახეთს გარეს, კახეთს შიდას.
ფეხქვეშ ვარდი გეგება და
ზეცა ოქროს გაფრქვევს, შილდავ!

არ შორდება ეს შრიალი
შენთა მშვენთა ზყეთა ხშირთა.
შემოხედვა ეშხიანი
ო, ნუ მოგეშალოს, შილდავ!



ექსპრომტი გურჯაანის ღვინის ქარხნის მუშებს

მეგობრებო, უღვინოდაც
მე მთვრალი ვარ თქვენი ქარხნით!
ღვინოს ფერი უღიმოდა
თანდაყოლილ სიამაყით.

გამოხატოს სიტყვამ როგორ,
რაც კაცური გშვენით ცეცხლი;
არა, ძმებო! სხვების ოქროს
მირჩვენია თქვენი ვერცხლი.

აღტაცებით ვსვამ დიდებას
დალოცვილი ჩვენი ვაზის.
განა ლექსი დაღვინდება,
გულის დაღი თუ არ აზის?

თქვენი მიწა, მიწა ლხინის,
სინაზის და სილამაზის,
სამშობლოა ოქროს ღვინის,
მშობელია უჭკნობ ვაზის!

უკვდავება სხვა რა არის?
უკვდავების არის ღირსი,
ვინც ვაზისგან შეჰქმნა ჯვარი
და შეჰკონა ქალწულის თმით.

ვენახისკენ მიახედეთ
ამ კახეთის მზე ახალი!
მთელ მსოფლიოს მიარღვევდეს
თქვენი ღვინის ნიაღვარი!

მართალ გულით, მშრომელ ხელით,
დე გეხაროთ, დე გებრწყინოთ!
„იყო მრავალქამიერი
საქართველოს მზე და ღვინო!“

თქვენთან მოსვლას, თქვენთან მოცდას.
დებო, რა სჯობს, ძმებო, რა სჯობს!
ამ მაჭარი ლექსით გლოცავთ:
გაგიმარჯოთ, გაგიმარჯოთ!

☆ —————

ალავერდი

თვალს სირცხვილით როგორ ახელ,
თუ ნახე და არ ამღერდი,
გულის მახე, სულის მახე —
ალავერდი, ალავერდი.

აქ სამარე ჰპოვა მტრისა
დამპყრობელმა არაერთმა;
ქვა აისხა მტერთა რისხვად
ალავერდმა, ალავერდმა.


ძმებო, მე არ ვაზვიადებ:
ო, ვერ ნახავთ ვერა, ვერსად,
რაც სინათლე ასინათლებს
ალავერდსა, ალავერდსა.

სიმაღლეთა ამ გზას აჰყვამ,
ხელით კაიის, არა — ღმერთის.
ვისმენ მაღალ თაღთა ღაღადს —
ალავერდის, ალავერდის.

ქედუხრელი ჰქუსს კახეთი,
საქართველოს ფარავს მკერდით;
რაიმეთი თუ დატყვევდი —
ალავერდით, ალავერდით.

თქვენ ხომ კარგად იცით, რატომ
არ მოკვდა და არ დაბერდა,
ძეგლად ქცევა ვინც ინატროს —
ალავერდად, ალავერდად.

დე შენს ხავსად დავინერგო,
შენთვის ჩავჭრე და აღვენთო,
უკვდავების დიღო ღერბო,
ალავერდო, ალავერდო!



ლაგოდახელ მებოზრებს

მიწა ვარდის და ვარდისფერ ღრუბლების,
მთების რკალში ჩავარდნილი ვარდისებრ.
ნახვამდისო, ძმებო, რომ მეუბნებით,
რას მიშვრებით, სად წავიდე, სად მიშვებთ?

ცა! მსგავსი ცა ალბათ ქვეყნად არც არის,
მარადისი მოკრძალება ქართული,
თოფისათვის აკრძალული ნაკრძალი,
ჯიხვისთვის და შვლისთვის ნებადართული.

მე ვტყვევდები თქვენი სულით მდიდარით
და მაჭარი სისხლში ჭარბად იჭრება.
ერთი მწარე სიტყვა მაინც მითხარით,
ერთხელ მაინც მაწყენინეთ, ბიჭებო!

ნუ დამახრჩვეთ ხვეწნასა და სურვილში,
ერთხელ მაინც მათქმევინეთ უარი.
თქვით, ასე რამ გადაგრიათ სტუმრისთვის,
ვის არ უყვარს, მეგობრებო, სტუმარი?

გულს აჩნია თქვენი გულისნადები,
თქვენი ხმა და თქვენი ოქროს სიცილი.
მოსურენი, ძმებო, თქვენი ნათების
ვარსკვლავები წითლდებოდნენ სირცხვილით.

თქვენი მიწა — ყველა დარდის მკურნალი,
თქვენი ზეცა — ყველა ფიქრის წამალი,
დარდიმანდი თქვენი ვარდისუბანი,
განშორების შემდეგ გულდასანანი.

მწვერვალები — დამშანთავი შუბები,
ირმები და იცით მერე რამდენი?
შრომის ოფლით დაცვარული შუბლები
და დოვლათით მოფენილი აფენი.

მოუსვენარ ღრუბლებს ტყე ჩაებლუჯათ
და თმათეთრი მთები ნისლებს იხვევდნენ.
შუბლშეკრული უშიშარი ელგუჯა
მგლის მუხლებით ნადირობდა ჯიხვებზე.

ეს ვარდია, თუ მზე ჩამოვარდნილა
და ვარდის ბუჩქს შემობრიალებია?
ცვრიანი ცა დაუხურავს მანდილად
და ფოთლები ფარავს ფიალებივით.


მზე სდის, ძმებო, თქვენს დიდებულ მაგიდას,
ვარსკვლავები აწვიმს მაგ თქვენს ღვინოსაც;
თქვენ ამდენი სილამაზე რად გინდათ,
თქვენ ამდენი ოქროს გული ვინ მოგცათ?

კიდევ ნულარ შემახედებთ ღამით მთებს,
რომ დაღლილან ცვრიან ცაში სვენებით.
გეუბნებით, მე რომ გული გამისკდეს,
დაგერქმევათ, ძმებო, კაცისმკვლელები.

ერთი ღამე მშვიდად გამათევინეთ!
ნუთუ თქვენთვის, მეგობრებო, ძნელია?
დამასვენეთ, სული მომათქმევინეთ,
თვალგასახარ ლელიანშიც მელიან.

გვრძნობ თანდათან უფრო ვლონიერდები,
მივდივარ და მობრუნდიო, მომძახის —
ძმაო, შენი გული გასაღმერთები,
დაო, შენი დიდებული ოჯახი.

დამიჯერეთ, მე სიზმარში ვარ ახლა
და ათასი ნათობს ირგვლივ სანთელი;
ვინც თქვენს ნანატრ მასპინძლობას არ ნახავს,
მეცოდება, ძმებო, იგი ქართველი!



თეთრბუცი ჭიკრი

რომანი

თავი მეთხუთსე

ნენს სართულზე ყველაზე პირველად ალბათ მე ვიღვიძებ. ვედროებით წყალს რომ მოვიტან, იატაკს დავგვი და მოვრეცხავ კიდევ, მხოლოდ მას მერე გაიჭრიალებს ანიკოს ოთახის კარი. რვა საათზე სასადილოდ აღებენ და ბაგაში ბავშვი მანამდე უნდა მიიყვანოს. მერე ნავთქურას ავანთებ და ზედ ჩიდანს დავდგამ. ცოტა ხნის შემდეგ დერეფანში გრიშას ცოლიც გამოჩნდება. იგი ზანკში მუშაობს და ბავშვებთან დილით გრიშას ტოვებს ხოლმე. გრიშამ უნდა გააღვიძოს ისინი, ხელ-პირი დააბანინოს, ასაუზმოს, უფროსი სკოლაში გაისტუმროს, უმცროსი კი ბაგაში წაიყვანოს. შემდეგ კი, თუ აბანოში საქმე არაფერი აქვს, საღამომდე შინ ტრიალებს: ალაგებს, ჰგვის, რეცხავს თეთრეულსა და ბავშვის ტანსაცმელს, აკეთებს საჭმელს. ხშირად იცის თქმა, ცოტა ადრე დავიბადე, ჩემისთანა ქმრები ალბათ ოცდამეერთე საუკუნე-

ში გამოჩნდებიანო. თუ სახლის საქმეს მალე მორჩა, საპარიკმახეროში მიდის და მუშტრებს შაშს ეთამაშება.

ვაჟა ჩვეულებრივ ადრე დგება ხოლმე. კვირასა და გამოსასვლელ დღეებში კი თითქმის შუადღემდე ლოგინში წევს და წიგნს კითხულობს. ეს ჩვევა სტუდენტალაქიდან გამომყვავი, მეუბნება იგი, როცა თითქმის ძალით წამოვადგებ ლოგინიდან.

დღეს თეთრეული და ხალათები უნდა გავრეცხო. ეს ვაჟას ადგომამდე უნდა მოვასწრო. არ მიყვარს, როცა რეცხვის დროს მიყურებს. თუმცა მასაც უხდება ასეთი საქმის კეთება. რადგან დაბაში მრეცხავი ვერ ვიშოვეთ, ერთხელ ანიკომ შესთავაზა, მაგ ფარდებსა და ზეწრებს გავირეცხავ, თორემ შენს მაგივრად მე მრცხენიანო, მაგრამ ვაჟამ ასეთ დახმარებაზე უარი განაცხადა.

ვისაუზმებ თუ არა, ნავთქურაზე ვედროთი წყალს ვადგამ გასათბობად. შემდეგ ტაშტი მომაქვს, ჩემი მეზობ-

გაგრძელება. იხ. „ცისკარი“, № 1, 2.

ლის კართან რომ ჰკიდიო. ქალს ჯერჯერობით სძინავს და სანამ გაიღვიძებს, ალბათ რეცხვასაც დავამთავრებ.

დროდადრო ჭუჭყიანი წყლით სავსე ვედროები მიმაქვს და ქუჩის გადღმა მდინარეში ვღვრი. ვედროებს ისევ ვავსებ სუფთა წყლით და უკან მომაქვს. სწორედ ამ დროს წელში. მოხრილი ბერიაკი დიდი ცოცხით ქუჩას ჰვეის ხოლმე. მე რომ დამინახავს, რის ვიკავალახით წელში გასწორდება და მხედრულად მომესალმება. სანამ თვალს მივეფარებოდე, დგას და მიდამოს ათვალიერებს. შემდეგ კი თავის საქმეს განაგრძობს. ამას ჩემი პატივისცემით აკეთებს. არ უნდა, მტვერმა შემაწუხოს.

დერეფანში რომ მივდიოდი, ოთახის კარი გაიღო და გრიშას ცოლი დავინახე. სამსახურში მიეშურებოდა. პატარა ტანის, პირმრგვალი ქალია. მუდამ იღიმება. მკლავებდაკაპიწებული რომ დამინახა, გაიცინა.

— ცოლი უნდა შეირთოთ, ბატონო ანტონ.

— ამაშენებდა კიდეც ერთი შენისთანა ქალი.

— ჩემისთანა როგორ გეკადრებათ, ბატონო ანტონ.

ოთახში ბარემ თოკიც უნდა გავაბა სარეცხის გასაფენად. წუხელ გამერეცხა სჯობდა, ეზოში გავაშრობდი. მაგრამ წუხელ პედსაბჟო გვქონდა და შინ გვიან დავბრუნდი. დღისით გარეთ ბევრი ხალხი დადის და სარეცხის გატანა მეუხერხულება.

ცოტაც კიდეც და ყველაფერი დავამთავრე. ოთახი სავსეა სველი სარეცხით. ერთბაშად ჩამოხნელდა. სინესტისა და ორთქლის სუნი დგას. აქ უკვე არც გაიძლება. კარგია, რომ დღეს მზიანი ამინდია, იქნებ ვაჟა მდინარეზე წაიყვანო. თუ არ გააუდრდა, საღამომდე არც დავბრუნდებით. საღამოს კი ყველაფერი მშრალი იქნება.

სიგარეტს ვუკიდებ, ფანჯრებს ვაღებ. ჰაერი რომ გაიწმინდოს, მერე კარს კვებავ და ქუჩაში გავლივარ. პურის

მალაზიასთან ათიოდე კაცი დგას და ფურნედან მოსული მანქანის დაკლას ელოდება. ახლად გამოძახებარა მანქანა, სუნი მცემს. მანქანა რომ გაიცილება, მეც ავიღებ ერთ ცალს. ცხრა საათია. ვაჟას ალბათ უკვე ღვიძავს, ახლა ლოვინში წევს და წიგნს კითხულობს.

მაგრად კი მოსცხეს გუშინ პედსაბჟოზე. მთელ სკოლაში მხოლოდ ერთი მოსწავლისათვის დაუწერია ინგლისურში ხუთიანი. მოსწავლეების უმეტესობას ორები აქვს. დირექტორმა უთხრა, ორიანის დაწერა ადვილია, სწავლებაა ცოტა ძნელი საქმე, შენ კი ბევრს არაფერს აკეთებ, და ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, გაკვეთილზე წესიერად მეხუთეკლასელებიც ვერ გაგიჩერებიაო. არც კლასის ხელმძღვანელებმა გადაუხედეს დიდი მადლობა. ვაჟა სკამზე გაუნძრევლად იჯდა და ხმას არ იღებდა. გაბრაზებული და აღელვებული იყო. არ იმჩნევდა, მაგრამ მე ვატყობდი, რა ცეცხლიც უტრიალებდა გულში და მეცოდებოდა. ისე იყო აღელვებული, რომ სიტყვა ვერ დაძრა. შინ რომ მოვდიოდი, მაშინ დააპირა რაღაც ეთქვა, მაგრამ სიტყვა შუაზე გაუწყდა და მერე ხმა არ ამოუღია. არც მე მიკითხავს რამე.

პურის მანქანა მობრუნდა და სასტუმროსაკენ წავიდა. მე დავუცადე, სანამ მალაზიაში ხალხი შეთხელდებოდა. მერე შევედი, პური ვიყიდე და წამოვიღე. დერეფანში გრიშა შემხვდა. მკლავებდაკაპიწებული იდგა და რაღაცაზე ღრმად ჩაფიქრებულიყო.

— გამარჯობა, — ვუთხარი მე, — ამდენს ნუ ფიქრობ, ტვინი გეტკინება.

— სალამი, მასწავლებელო, — სთქვა მან და გაიღმა, — რას იტყვი, ხომ კარგი დიასახლისი ვარ?

— კარგი დიასახლისი ხარ, — დავუდასტურე მე.

მერე ვაჟას ოთახის კარზე დავაკაკუნე. პასუხს აღარ დავუცადე. კარი შევა-

გიორგი კეჭაღმაძე
მეთორმეტე წარი

ღე და შევედი. პური მაგიდაზე დავდე, დავჯექი. ვეპამ წიგნი დახურა.

— სწორედ ადგომას ვაპირებდი, — სთქვა მან. ლოგინიდან გამომძვრა და ჩაიკცვა.

— ისევ ცულ გუნებაზე ხარ?

— წუხელ თითქმის არ მიძინია.

ეტყობოდა კიდევ, თვალები დაწითლებული ჰქონდა.

— ხომ არ გიტირია?

— არა, თუმცა ტირილის გუნებაზე კი ვიყავი.

— ნუ ჯავრობ, ლანძღვას ჯერ კაცი არ მოუკლავს. ისე კი, ნამეტანი მოგივლიდა. იმდენი ორიანის დაწერა რა უბედურება იყო?

— შენ გგონია, ეგ მაწუხებს? სულაც არა. რაც ეკუთვნოდათ, ყველას ის დავუწერე.

— აბა, რა გადარდებს?

ფანჯარასთან მივედი და ფარდა გადავწიე. ოთახი სინათლით აივსო. მერე ფარდებს შევავლე თვალი. ფარდები გვარიანად გაჭუჭყიანებულიყო. ვეპა ლოგინს ასწორებდა და ჩემს კითხვებზე პასუხის გაცემას აგვიანებდა. „მაშ, რა-ა ადარდებს?“ — ვფიქრობდი და თვალბეჭდებში შევყურებდი.

— ფარდები ჩამოსხენი და გარეცხე, — ვუთხარი მე, — სირცხვილია, ქუჩაში ბავშვები დადიან, შემოიხედავენ.

ვეპამ ფარდებს შეხედა და მითხრა:

— უნივერსიტეტში რომ შევედი, მამაჩემმა მკითხა, მაინც რა უნდა გამოხეიდეო. ინგლისური ენის მასწავლებელი-მეთქი, ვუთხარი. მან ერთი ჩაიციინა და მითხრა, სადმე სხვაგან გადადიო. თუ მე ამ ქვეყნის რამე გამეგება, შენ მაგ საქმისათვის არა ხარ გაჩენილიო.

მუსიკოსობას ხომ არ ვაპირებ, მასწავლებლობა რა უსაშველო საქმე გოწინა-მეთქი, ავბოლიდი მე. მე ჩემი კითხვარი, მიპასუხა მამაჩემმა, შენ როგორც ვინდა, ისე მოიქეცი, მაგრამ გახსოვდეს, ეგ ხელობა არ გამოგადგებაო. მამაჩემის სიტყვებზე მაშინ მეცივნებოდა. მართალი კი გამოდგა. მასწავ-

ლებლობა ჩემი საქმე არ ყოფილა. ამაში საბოლოოდ დავრწმუნდი.

გამეცინა.

— ჯერ ადრეა გულის გატეხა. თანდათან შეჩვევი და მიხვდები, როგორ უნდა მოიქციე.

ჩანთაში საუზმე ჩავდეთ და მდინარეზე წავედით. მაღალი ბუჩქები შევარჩიეთ და ჩრდილში ბრეზენტი გავშალეთ. ვეპა წამოწვა. ერთ ხანს წიგნს კითხულობდა, მერე ჩაეძინა. კარგა ხანს ეძინა, ამასობაში მე ანეკსები ავაწყვე და რამდენიმე თევზი დავიჭირე. ახლომახლო ჩვენს გარდა არავინ იყო. მხოლოდ მდინარის გაღმა რამდენიმე ბიჭს მოგკარი თვალი, ნაპირზე. ისხდნენ და თევზაობდნენ. თავზე ქაღალდის თეთრი ქუდები ეხურათ.

ვეპამ გაიღვიძა, წყალზე ჩავიდა, ხელპირი დაიბანა, მერე ჩანთა გახსნა, პური და ყველი ამოიღო და ჭამას შეუდგა.

— არ მოგვიდა? — მკითხა მან.

— არა, — მივუგე მე, — დილით კარგად ვისაუზმე.

— ზამთარიც მოვიდა, — სთქვა ვეპამ, — მზეც ძალა გამოელა.

— არ მიყვარს ზამთარი.

— იონა ხომ ჩამოვა?

— რა ვიცი... რა უნდა, რომ ჩამოვიდეს. აღარ ვჭირდები უკვე.

— როგორ არ ჩამოვა! ამ ზამთარს აუცილებლად ჩამოვა.

— დიდი ხანია წერილიც არ მოუწერია.

— წერილის წერა არც მე მიყვარს. თვე გავიდა, შინ არაფერი მიმიწერია.

— შენი საქმე მაინც სულ სხვაა. მე მეტი არავინ მყავს.

ვეპამ წამით შემომხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს, ჭამა დაამთავრა, ჩანთას თავი მოუკრა და ჩრდილში დადო.

— იანვარში განცხადებას დავწერ, მომავალ სასწავლო წელს სხვა მასწავლებელი გამოგზავნონ. მერე სკოლას ახლოსაც არ ვავეყარები. ისევ თარგმნას დავიწყებ. სტუდენტობის დროს რამდენიმეჯერ ვსინჯე და დამიბეჭდეს კიდევ.

— არ გავანთავისუფლებენ, — ვუთხარი მე, — ასე მალე არ გაგიშვებენ.
ვაჟას არაფერი უთქვამს. ისევ წამოწვა და კითხვა დაიწყო. მერე უცებ გადადო წიგნი.

— მაინც ვერ გამიგია, რა არის ეს: აგერ, შედის კლასში ერთი მასწავლებელი და მოსწავლეები სულგანაბლუნის სხედან მერხებზე — უსმენენ, სწავლობენ, პასუხობენ. შედის მეორე და ეს მშვენიერი კლასი თითქოს საგიჟეთად გადაიქცაო, არაფერი არ უნდათ გაიგონონ. ერთის გვარს წაიკითხავ, მეორე წამოხტება, აქ გახლავართო. დაფასთან ჭრელაშვილს გაიძახებ და უზნაძე გარბის ცარცისაკენ. თედოსაც ვკითხვითელი საათი მესაუბრა, უნდა შეაგნებინო, აღზარდო, შეარცხვინოო. რა არ მელაპარაკა. მე კი ვერც შევაგნებინე, ვერც აღზარდე და ვერც შევარცხვინე. ის ერთს გადახედავს მოსწავლეებს და ბავშვები სირცხვილისაგან ლამის გათავდენენ. მე კი მთელი დღე რომ ვიქაქანო, ისე იღიმებიან და იზადრებიან, თითქოს თაფლს ვურიგებდე.

ვაჟა გაჩუღდა და ისევ წიგნს მიუბრუნდა. მე ანკეის თავი მივანებე და პირალმა წამოვწიქი. ვაჟაზე ვფიქრობდი. ვეძებდი ისეთ სიტყვას, რაც მას ამ ხელოვნების დაუფლებაში დაეხმარებოდა. მაგრამ ვერაფერი მოვისაზრე. ვფიქრობ, არც თედომ იცოდა ასეთი სიტყვა. იმიტომ ვერაფერი ასწავლა ვაჟას. მას აქვს ბავშვების ნდობის მოპოვების ეს საოცარი უნარი, საოცარი ძალა, მაგრამ ალბათ თვითონაც არ იცის, როგორ ახერხებს ამას.

— ის ბიჭები იციანი? — მკითხა ვაჟამ და ხელი მეორე ნაპირისაკენ გაიშვირა.

— მგონი, მეშვიდეკლასელები არიან. — ისინი არიან... ზაზაძეც იქ არის, თამაზი. ყველა სავანში ხუთიანი აქვს, ჩემთან კი — ორიანი. ვისი ბრალი ყოფილა, ჩემი თუ მისი? ვისაც არ უნდა ჰკითხო, გეტყვის რომ ჩემი ბრალია. დირექტორიც ამან გააცოფა, ხუთოსანი მოსწავლე ოროსნად რომ ვაქციე.

ბიჭებმა თევზის ჭერას თავი მიანე-

ბეს, ნაპირს აყენენ და მალე ბუჩქებში მიეფარნენ. ჩვენ ისინი უკვე დაგვიკვირდა, როცა ერთი მათგანი გამოსული დავინახეთ. ჩვენკენ მოდიოდა, ხელში მოზრდილი კაკვი ეჭირა. კაკვზე თევზი იყო აცმული.

— ო, კარგად უთევზავიათ! — წამომცდა მე.

ვაჟამ ბიჭისკენ გაიხედა. ეს სწორედ თამაზ ზაზაძე იყო. იგი დაიბნა, შეჩერდა და ყოყმანი დაიწყო. მერე მოგვიხსლოვდა.

— სალამი, — ჩუმად სთქვა და გაწითლდა.

— სალამი, — ვუთხარი მე, — კარგად ითევზავეთ?

— კი, კარგად, — სთქვა ბიჭმა, — აგერ, ამხანაგებმა დამავალეს, თევზი თქვენთვის მომეტანა.

— გამდლობთ, — ვუთხარი მე, — ჩვენც ბლომად დავიჭირეთ. მეტი არ გვინდა. ეს თევზი თქვენ წაიღეთ.

— არა, ვერ წავიღებ, — სთქვა ბიჭმა და ერთი აცმა თევზი იქვე, ბალახზე დადო. მერე წასასვლელად მოემზადა. ვაჟამ ახედა და ხმადაბლა უთხრა:

— მოიცა, ბიჭო!

ბიჭი მისკენ შემობრუნდა.

— ინგლისურში ორიანი ვაქვს, ხომ იცი?

— ვიცი, — სთქვა მან.

— შენს ხუთიანებს ახლა არაფერი ფასი არა აქვს. ოროსანი ხარ, მორჩა და გათავდა! ეს შენი ჯიუტობის ბრალია. მთელი ორი თვე ზარმაცობდი და მხოლოდ ბოლო კვირას დატრიალდი. ამით რომ იციან, იმდენს ხუთ დღეშიც ვისწავლიო, რომ იძახდი, გახსოვს? თუ ასე განაგრძობ, მეორე მეოთხედში ერთიანს დაგიწერ. სხვა სავენებში რამდენიც გინდა, იმდენი ხუთიანი მიიღე — ფასი აღარ ექნება.

— დაახ, — სთქვა ზაზაძემ და თავი დახარა.

— ეს თევზი ტყუილად მოიტანე, არ გიშველის.

გიორგი კეჭელაძე
მეთორმეტე ზარი



ბიჭმა თავი ასწია და ვაჟას თვალებში შეხედა. ერთბაშად აიღწეა. მერე მობრუნდა, დაწერეო, ჩაიბუზღუნა და გაიქცა. ვაჟამ წიგნი ძირს დააგდო და წამოდგა, ბრაზისაგან ქვედა ტუჩი უთრთოდა.

— ზაზაძე! — დაუყვირა მან, — მობრუნდი ახლავე!

გაოცებული შეეყურებდი ვაჟას. ასეთი გაბრაზებული ჯერ არ მენახა. ბიჭი შედგა და მობრუნდა. თავდახრილი იდგა და ცრემლით სავსე თვალების დამალვას ცდილობდა. ვაჟა დააკვირდა, გაოცდა, არ ელოდა, რომ ბავშვი ატირდებოდა. ბიჭთან მივიდა, ნიკაპზე ხელი მოკიდა და თავი აუწია.

— რა გატირებს, სულელო. არ გრცხვენია ამოდენა ბიჭს? — მერე თმა აუჩეჩა და უთხრა: — კარგი ახლა...

ბიჭს სლუკუნე აუვარდა.

— ორიანი იმიტომ დაგიწერე, რომ გეკუთვნოდა. ხომ გეკუთვნოდა?

— დიახ, მასწ...

— თუ არ ისწავლი, ისევ ორიანს დაგიწერ. მაგრამ თევზი ამისათვის რომ არ მოგიტანია, ვანა არ ვიცი? გეხუმრე.

— დიახ, — გაიმეორა ბიჭმა და ცრემლი უხმოდ მოიწმინდა.

— წადი ახლა, — უთხრა ვაჟამ, — გაიქციე!

თამაზი მობრუნდა და გაიქცა.

— გაიგონე, რა ვუთხარი? — სთქვა ვაჟამ, — ტყუილად მოიტანე-მეთქი.

— ბოდიში ხომ მოუხადე?

— ბოდიშის მოხდაც გამიჭირდა, ხომ დანიხანე.

მე არაფერი მითქვამს. არც ვაჟა ამბობდა რამეს. იდგა და გაოგნებული სადღაც შორს იმზირებოდა.

— არაფერი მესმის, — სთქვა ბოლოს და მიწაზე წამოწვა. ხელები თავქვე ამოიღო და თვალები დახუჭა, — ამ ბავშვების არაფერი მესმის, — გაიმეორა ხმადაბლა, თითქოს ძილში ლაპარაკობსო.

„თოვლი რომ მოვიდეს, მომწერე. ნადირობა მომენატრა. იონა“.

რალა მეტყმოდა. იმდენი ხნის დღემდის მერე საკმაოდ გრძელი მოეწერა. წერილი ისევ კონვერტში ჩავდე და ამანათის პატარა ყუთში შევიხანხე. აქ ვინახავ ყველა წერილს, რაც იონას ოდესმე ჩემთვის გამოუგზავნია. ეს ამანათიც მისი გამოგზავნილია. მაშინ მეცხრე კლასში სწავლობდა. აფხაზეთში იყო, თავის ბაბუასთან. ამანათში მანდარინები და ლიმონები ეწყო. სანამ ჩემი სიმამრი ცოცხალი იყო, იონა აფხაზეთში ხშირად დადიოდა.

თოფი ჩამოვიდე, გადავხსენი და ლულებს გავხედე. ორივე პირი სარკესავით პრიალებდა.

ეს თოფი იონას ხათრით ვიყიდე. ოდესმე ვაჩუქებ კიდეც.

თოფი ლურსმანზე ჩამოვიდე, კარი გამოვალე და დერეფანში გავედი. ჩემი მეზობელი მოხუცი ქალი თავისი ოთახის წინ ფუსფუსებდა. ნავთქურაზე ქვაბი დაედგა და რაღაცას ხარშავდა. ეს ქალი მუდამ დერეფანში დგამს ხოლმე თავის ნავთქურას და რაღაცას ხარშავს. ნავთქურა ხშირად ბოლავს და ამის გამო თითქმის ყველა მეზობელთან გამწვავებული ურთიერთობა აქვს. მეზობლები მემტრებებიანო, ჩივის ჩემთან, ნავთქურას მიქრობენ და მეჩხუბებიან, ან ვანგებ აუწევენ პატარუქს და როცა ამოლდება, მე მამბრალეხნო. ერთხელ ვურჩიე, წესიერი ნავთქურა იყიდეო, ან ეს ჯაბახანა ოთახში აანთეთ და თქვენც მოისვენებთ და მეზობლებიც-მეთქი. მან თავი დამიქნია, თქვენს რჩევას აუცილებლად ავასრულებო, მაგრამ ჯერჯერობით არც ახალი ნავთქურა უყიდა, არც ოთახში აპირებს თავისი სამხარეულოს მოწყობას.

დერეფანში გამოსული რომ დამინახა, ქალი წელში გასწორდა და ღიმილით მკითხა:

— კვრაცხს ხომ არ ინებებო? უარის თქმა ვერ მოვახერხე.

— მოიტანეთ, — ვუთხარი და ისევ გამოვალე ოთახის კარი.

ორიოდე წუთში ქალიც შემოვიდა და თეფშით კვერცი შემოიტანა.

— თხუთმეტია, — მითხრა მან და დონეჯი შემოიყარა.

— თხუთმეტი? — გამიკვირდა მე და თეფშს თვალი მოვაგლე, — ამ კვირაში თქვენს ქათმებს გვარიანად უზარმაციათ.

— დიახ, — მიპასუხა მან და გაიღიმა, — ამ კვირაში გეგმა არ შეასრულეს.

„ჩემს გარდაც უშოვია მუშტარი, — გავიფიქრე მე, — ცხადია, ვაჟა იქნება“...

— გამაღობთ, — ვუთხარი ქალს და ფული მივეცი.

ქალი გავიდა. მე კარი დაკეპტე და ქუჩაში გავედი.

სასადილოში მხოლოდ ორი მაგიდა იყო დაკავებული. ერთს კბილის ექიმი და ჩემი მეზობელი ოფიციანტი უსხდნენ. მეორე მაგიდას, ორ მთვრალ კაცთან ერთად, ვაჟა უჯდა. ერთი მათგანი პარიკმახერი იყო, მეორე კი, დაბალი, დონდლო კაცი, — ნავთის გამყიდველი. ვაჟას არ ეტყობოდა სიმთვრალე. ალბათ მოგვიანებით მიიპატიეყს სუფრასთან. შევედი და მათგან ზურგშექცევით დავჯექი. არ მინდოდა, ვინმეს მივეპატიეებინე.

ოფიციატმა გულიაში და ლუდი მომიტანა. მერე ისევ კბილის ექიმს მიუჯდა გვერდით და საუბარი განაგრძეს.

მთვრალეები ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. როგორც შეგატყვე, მენავთე თამადა უნდა ყოფილიყო. იგი, რაც შემოვედი, მას შემდეგ ერთ სადღეგრძელოს ამბობდა და ვერასგზით ვერ დაემთავრებინა.

— პატიოსანი ხალხი, ესე იგი, პატიოსანი ადამიანები, ეს იმას ნიშნავს, რომ ერთმანეთს ცხოვრება უნდა ვაცალოთ, ესე იგი, თუ არ გავუტყებთ ერთმანეთს რამეს, ხელი მაინც არ უნდა შევუშალოთ. რატომ ჩავყოთ, მაგალითად, სხვის საქმეში ცხვირი? ისიც კაცია და, თავისებურად, მასაც უნდა ცხოვრება.

ახლა ოფიციატმა ქალმა და არჩილმა აუწიეს ხმას.

— ხომ იცი, ანიკო, — ეუბნებოდა კბილის ექიმი, — რა მდგომარეობაში ვარ. ყოველდღე ვაპირებ ამ დაწყველილი ადგილიდან გაქცევას. ახლა მაგ საქმისთვის არა მცალია, შენც კარგად იცი. ამდენ ხანს ითმინე და ცოტაც კიდევ მოითმინე. ესეც არ იყოს, ხომ იცი, შვილი გყავს. აი, წავალ თბილისში და... შემდეგ ისევ ჩურჩულზე გადავიდნენ.

— მაგალითად, ახლა იმ ბოძს რომ ჭრიდეს ვინმე, — განაგრძობდა მენავთე, — ვერ ხედავ, კაცო, აგერ ქუჩაში რომაა, ელექტრონის ბოძი?

— ეგ ხომ რკინის ბოძია, — უთხრა ვაჟამ, — რკინის ბოძს როგორ მოჭრი?

— მაგალითისთვის ვამბობ... რკინისაც ხომ ხერხავენ. რკინის ხერხიც არის. ჰოდა, ვინმე რომ ხერხავდეს იმ ბოძს და მე დავინახო, უნდა ვიყვირო, ბოძს ჭრიანო? არავითარ შემთხვევაში! ხერხოს იმ კაცმა, თუ ძალიან ეხალისება. იმასაც ხომ უნდა ვაცალოთ ცხოვრება.

— უნდა ვაცალოთ, — დავთანხმე ვაჟა.

— ვაცალოთ, — გაიმეორა პარიკმახერმა.

— მაგალითად, მე არ ვიყვირებ, — განაგრძო მენავთემ, — არც შეგხედავ. რა ჩემი საქმეა! თვალს დავხუჭავ და წავალ.

— ეგ არ ივარგებს, — უთხრა ვაჟამ.

— მაინც რატომ არ ივარგებს?

— არა, ნამდვილად არ ივარგებს. მართლა რომ გადახერხოს, მაშინ რას შერები? ბოლოს და ბოლოს ელექტრონის ბოძია. წაიქცევა, მავთულები დაწყდება, ხალხი სიბნელეში დარჩება. შენც გაეჭირდება უსინათლოდ ყოფნა. ისიც ხომ შეიძლება, ბოძი თავში დააგეცეს. თუ არ გაგსრისა, დენს დაგარტყამს და ასე მოგიღებს ბოლოს. რას ამბობ. ჰიელი უბედურებაა იმ ბოძის წაქცევა. არა, მაგას ნუ ვიზამთ.

გიორგი კეჭალმაძე
მეთორმეტე წარი

ვაჟს სიტყვებმა მენავთე ჩააფიქრა. იგი ერთ ხანს დუმდა და გაკვირვებულ-ლი თვალებს აფახულებდა. მერე, როგორც იქნა, გამოსავალი იპოვა.

— ბოძს მართლა ვინ წააქცევს. ასე ადვილია რკინის ბოძის წაქცევა? ეს ისე ეთქვი, მაგალითისათვის.

მეორე მაგიდასთან საქმე თანდათან მწვევლებოდა.

— მეორედ არ დაგინახო ჩემთან მოსული. საქმარისია. გეყოს, რაც გამიტყხე სახელი მეზობლებში. არ დაგინახო!

— როგორ გეკადრება, ანიკო. შეგნებული გოგო ხარ. რას უყურებ სხვის ლაპარაკს?

— შენ? შენ რას უყურებ სხვის ლაპარაკს?

— მე? ხომ იცი, ანიკო, აქ სულ სხვა ამბავია.

— ვიცი, რაც ამბავია. თაღლითი და გაიძვერა ხარ. მამაკაცები ყველანი ასეთები ხართ. არც ერთი არაფრად არ მჭირდებით, ჭირმა წაგიღო!

მე ვახშამი დავამთავრე, ფული გადავიხადე და ქუჩაში გავედი. გარეთ უკვე ბნელოდა. წვიმა ცრიდა. ქუჩა სველი იყო და ციოდა.

ქიმიის მასწავლებელი თამარ თეთრადე ხანში შესული ქალია, გამხდარი და მაღალი. დინჯი, მამაკაცური მძიმე ნაბიჯით დადის და ბოხი ხმა აქვს. მუდამ თავის უსარგებლოდ გატარებულ ცხოვრებაზე ჩივის — არც შემიტყვია, ახალგაზრდობა ისე გამეპარა და, ალბათ, ისე მოვკვდები, ცხოვრებას გემოს ვერ გავუგებო, ამბობს. ვახტანგი დასცინის, გაუთხოვარი რომ დარჩა, ამას გულისხმობსო. თამარს ვერც ის ამბავი მოუწვლელია, სკოლაში რომ ჩარჩა მასწავლებლად.

ქალებს ასეთი ამბები არ აინტერესებთ და არც უსმენენ. ვერც თამარი პოულობს მათთან საერთო ენას. ეს ქალები მუდამ თავიანთ ქმრებსა და შვილებზე ლაპარაკობენ, ნეტავ რატომ არ რცხვენიათო. ჯავრობს. დიდი ინ-

ტერესით არც ჩვენ ვუგდებთ ^{ყურს} რადგან თამარი სულ ერთსა და იმავეს იმეორებს და წინასწარ ვიცით ^{წინასწარ} უნდა გვითხრას.

ეს ერთი ხანია ვაჟა ჩაივლო ხელში. ხათრის გამო ვაჟა ჯერჯერობით უსმენს.

დიდი დასვენება გექონდა. ვახტანგი და რეზო ჩემს გვერდით ისხდნენ და რალაცაზე კამათობდნენ. ვაჟა ფანჯარასთან იდგა და თავაზიანად უსმენდა ქიმიის მასწავლებელს. დროდადრო ჩვენკენ გამოაპარებდა მხერას. ტანჯული ადამიანის საცოდავი გამომეტყველება ჰქონდა. ცხადად სჩანდა, რომ ახლა მისთვის ვახტანგის თეორიების მოსმენაც დიდი შვევა იქნებოდა.

— უნივერსიტეტში ყველა დიდ მომავალს მიწინასწარმეტყველებდა, მაგრამ რა! დედაჩემი ვერასგზით ვერ მოვაცილე სოფელს. მარტოც ვერ მივატოვე.

ვაჟა თვალებით თანაუგრძნობდა.

— სისხლი გამიშრეს ამ გიჟმა ბავშვებმა. ამათ დამბერეს უდროოდ. დროზე მეშველა ჩემი თავისთვის, კარგი იყო. სკოლამ შეჩვევა იცის. მერე და მერე ისე ადვილად ველარ მოსცილდები.

— ქალბატონო თამარ, თქვენ საკმაოდ ახალგაზრდა ხართ. ჯერ კიდევ შეგიძლიათ, მეცნიერებაში თქვენი სათქმელი სთქვათ.

თამარი იშვიათად ხედება დაცინვას. თორემ ან მართლა წავიღოდა აქედან, ან ამგვარ ჩივილს საბოლოოდ მოიშლიდა.

— ეჰ, დროზე უნდა წავსულიყავი! სტუდენტებთან მუშაობა სულ სხვაა. შეგნებულები არიან, სწავლის ფასი იციან, ამათ კი თვალი და ყური მარტო თამაშზე უჭირავთ.

— დაიხ, თამაშზე უჭირავთ, — უდასტურებს ვაჟა.

— შენ მაინც უშველე თავს, ჩემო ვაჟა, სანამ ახალგაზრდა ხარ. ნუ ჩარჩები აქ! ეჰ, შენი ხნისა ვიყო, მეტი არაფერი მინდა... ჩვენ რალა გვეშველე-

ბა, რომ ჩაკვედით აქ, თორემ შენ რა ვიჭირს. მაგრამ მაინც რომ მიყვარს ეს

ყაჩაღები? სისხლი გამიშრეს, უღლოდ დამაბერეს და მაინც მიყვარს.



თარი მისვნილი

შაბათობით ხუთი გაკვეთილი მაქვს. ამ დღეს მეექვსე გაკვეთილის გამოსვლას აღარ ველოდები. როგორც კი ზარი დაირეკება, მაშინვე გავრბივარ სკოლიდან, თუ, რა თქმა უნდა, კრებამ ან სხვა რამემ ხელი არ შემიშალა.

დერფენი სწრაფად გავიარე და კიბეზე დავეშვი. უკვე ქუჩაში ვიყავი გასული, აივანზე ნარგიზა დიასამიძე რომ დავინახე. ნარგიზა ქართლოსის ცოლია. შარშან დაუმთავრებია უნივერსიტეტი და მას მერე ჩვენს სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის. მალე აივანზე ქართლოსიც გამოჩნდა. ქართლოსმა ხელი დამიჭინა, მოიცადეო. ისინი სწრაფად დავეშვენ კიბეზე და ქუჩაში გამოვიდნენ.

— რა იყო? — ვკითხე ქართლოსს.

— არაფერი. ჩვენც შენკენ მოვდივართ.

— მე კი კრებაა-მეთქი, ვიფიქრე.

— არა, ამჯერად გადაჩი, — გაიცინა ნარგიზამ.

ნარგიზას ძალიან უყვარს ჩემთან ლაპარაკი. უნივერსიტეტში შემხვედრი ხარ, შორიდან გიცნობდიო, მეუბნება. ჩემი თანაკურსელების გვარებს იხსენებს. მეც დიდი ამბით ვიხსენებ ფილოლოგებს. თუმცა რა გახსენება მჭირდება, ფილოლოგი ვაყვები სტუდენტთა ქალაქში ჩვენი ოთახის გვერდით ცხოვრობდნენ და მათი მეზობლობის გამო ძილი გვენატრებოდა. შემოვიდოდნენ და, გინდოდა თუ არა, გააბამდნენ კამათს ლიტერატურაზე, მხატვრობაზე, მუსიკაზე, კითხულობდნენ რაღაც უცნაურ ლექსებს და ჩვენთვის სრულიად უცნობი მწერლების, პოეტებისა და მხატვრების ქებით ყურს გვიკედადნენ. ერთი ფილოლოგი ჩვენს ოთახშიც ცხოვრობდა. მოვიდოდა საღამოს მთვრალი, ერთ ხანს ილაყბებდა, მერე კი წიგნებს ჩაუჯდებოდა, — ასე უფრო

კარგად ვსწავლობო. მუდამ მეშხანებს ლანძღავდა. სტუდენტთა ქალაქში ერთ კაცსაც ვერ ნახავდით, ჩვენს ფილოლოგს მისი ვალი არ ჰქონოდა. ვალს მაინცადამაინც არ სთხოვდნენ და არც სესხზე ეუბნებოდნენ უარს. ცოტა არ იყოს, მისი ეშინოდათ, ისეთი მწარე ენა ჰქონდა.

ნარგიზა თურმე იონასაც საკმაოდ ახლოს იცნობდა. მეტისმეტად თავაზიანი ბიჭია და გოგონებს ძალიან მოგვწონდაო, უყვება ხოლმე ანტონს.

ცოტა ხანს ჩუმად მივდიოდით. სტუდენტობის დროინდელი ამხანაგები მომაგონდა. ერთბაშად მოვიწყინე.

— ჭადრაკის თამაში იცი? — ვკითხე უცებ ნარგიზას.

— ვიცი.

— ქართლოსს ვერ უგებ?

— ჯერ არ გვითამაშია, — ნარგიზას გაუცინა.

— ეთამაშე, აუცილებლად მოუგებ.

— რა უცნაური ხარ, ვაჟა.

— რატომ?

— რა ვიცი.

— უცნაური კაცია, — დინჯად დაუდასტურა ქართლოსმა და მე მომიბრუნდა: — არავინ გახდა ჩვენს დაბაში შენი ყურადღების ღირსი? არავინ არ შეგიყვარდა?

— არავინ, — მივუგე მე.

— მართლა აპირებ წასვლას? — მკითხა ნარგიზამ.

— ვინ გითხრა?

— ქართლოსმა. მოსწყინდა და მიდიხსო.

— ქართლოსმა რა იცის. კი არ მომწყინდა, არ შემიძლია და მივდივარ.

— რა არ შეგიძლია?

გიორგი კეჭაღმაძე
მეთორმეტე ზარი

— მასწავლებლობა.

— ნუ გეშინია, — დამამშვიდა ნარგიზამ, — დრო გავა და შეძლებ. პირველად ყველას უპირს. შარშან მეც შენსავით ვფიქრობდი.

— სტყუის, — მითხრა ქართლოსმა, — ნარგიზა შარშანაც მშვენივრად გრძნობდა თავს. ეგ მასწავლებლად დაბადებული.

ამასობაში მალაზიასთან მივედი. ნარგიზა შეჩერდა.

— ჩვენ აქ უნდა შევიართოთ. არ შემოხვალ?

— არა, კლუბში მივდივარ.

— ვიცი, ვისთანაც მიდიხარ, — გაიცინა ნარგიზამ, — ლოლასთან.

— გამოიცანი.

— ფრთხილად იყავი, თავი არ შეაყვარო.

— გვიანია, — ვუთხარი მე, — უკვე ვუყვარვარ.

— საიდან იცი, გითხრა?

— არა, არ უთქვამს. თვალეებზე ვატყობ.

— ვერაფერსაც ვერ ატყობ. ლოლა ასეთი ქარაფშუტა არაა.

— ვატყობ. თუ გინდა, ჰკითხე. ნახე, როგორ გაწითლდეს!

— კაცებს დიდი წარმოდგენა გაქვთ საკუთარ თავზე. გოგო თუ გაწითლდა, მაშინვე გადაწყვეტთ, ვუყვარვარო. ლოლა ასე ადვილად არავის შეიყვარებს.

— ნახვამდის, — დავემშვიდობე მათ და კლუბისკენ გავემართე.

ამ დროს სამკითხველოდან საბჭოს თავმჯდომარე გამოვიდა. შორიდანვე გამიღიმა. მერე მომესალმა და ხელი ჩამომართვა.

— გოდერძი რას იწერება, კარგად თუ სწავლობს? — კკითხე მე.

— რა ვიცი, სწავლობს ალბათ. აი, გამოცდები დაიწყება და ვნახავ.

— გოდერძი ჰქვიანი ბიჭია, აუცილებლად კარგად ისწავლის.

— მე ბევრს ვერაფერს ვეხმარები. ვერც ვნახულობ. დრო არა მაქვს.

— თქვენ რით უნდა დაეხმაროთ, პატარა ხომ არაა?

— ჰო, რაში უნდა დავეხმარო! ფული ვუზგავნი ხანდახან, ეს არის და ეს, დღეც კი ვიცი, ყოფნის თუ არა. ახსნადროს არ მომწერს, ფული შემომაკლდაო.

— რამდენს უზგავნით?

— თვეში ოცდაათ მანეთს. სტიპენდიასაც იღებს. ცოტაა, მაგრამ უნდა იმყოფინოს.

— როგორ არ ეყოფა, — ვუთხარი მე, — მეტი რა უნდა.

გახარებულმა გამომშვიდობებისას მხარზე დამკრა ხელი და წავიდა. მე კლუბში შევედი.

ლოლა მაგიდასთან იჯდა. წინ პიესების წიგნი ედო. რომ შევედი, წიგნი დახურა და სკამი დამიდგა.

— გამარჯობა!

— სალაში, სერ, — მითხრა მან და გაიღიმა.

მე პიესების წიგნი გადავშალე.

— რას კითხულობდი, რამე ჰქვიანური პიესის დადგმას ხომ არ აპირებთ? თუ ასეა, მეც ვითამაშებ.

— კარგი იქნება, მაშინ ველარ გაგვაკრიტიკებ.

— ლამაზი გოგო ხარ, — წამომცდა უცებ.

ოთახის ერთ კუთხეში სარკიანი კარადა იდგა. ღოლა მიბრუნდა და სარკეში ჩაიხედა. რატომღაც გაწითლდა. მერე მითხრა:

— შენ ხუმრობ და მართლა ლამაზი ვყოფილვარ.

— ნარგიზამ მითხრა, ლოლა არავის შეიყვარებსო.

— ნეტა რა დავუშავე?

— ძალიან ჰქვიანიაო. ერთი სიტყვით, სულ შენს ლანძღვაში იყო.

ლოლამ ისევ გადაშალა წიგნი. რაღაც დაბნეული და დარცხვენილი მეჩვენებოდა. მე წიგნი გამოვართვი, დავხურე და იქვე დავდე.

— რა შეშინებული სახე გაქვს, — ვუთხარი მე, — სულაც არ ვაპირებ სიყვარულის ახსნას.

— მართლა? — ლოლამ გაიღიმა და შვებით ამოიხუნტა.

— ხვალ კვირაა.

— ვიცი.

— ხვალ დილიდანვე უნდა წავიდე და მთელი დღე ვიხეტიალო, მაგრამ უშენოდ ფეხსაც არ მოვიცვლი.

ლოლას არაფერი უთქვამს.

— ფეხზე მსუბუქად ჩაიცვი. თუ შარვალს იშოვი, კიდევ უკეთესი. დანარჩენი ჩემზე იყოს. ერთი ჩანთა მაქვს, ნაირ-ნაირი საქმელებით ავავსებ. თვითონ წამოვიღებ, ნუ გეშინია. თუ ძალიან გაგიჭირდება სიარული, შენც ზურგზე აგიკიდებ.

— არაფერიც არ გამიჭირდება!

— მაშ, მივდივართ! — წამოვიძახებ მე, — რა კარგი გოგო ხარ, ლოლა!

— მაინც სად უნდა წავიდე?

— სადაც გინდა...

ლოლა წამით ჩაფიქრდა.

— ცოტა უხერხული კია. არ სჯობია, ვინმე ბიჭი წაიყვანო?

— უშენოდ არსად არ წავალ. სხვა ვინ უნდა წაიყვანო?

— ანტონს ძალიან უყვარს ხეტიალი.

— ანტონი რომელი ბიჭი ნახე! სად უნდა გამომყვეს ეს კოჭლი ბერიკაცი? იცოდე, მეწყინება, კიდევ რომ მახვეწნინო.

— კარგი, კარგი, აღარ გახვეწნინებ.

— დილით ადრე კლუბთან მოდი.

— ჰო, — მითხრა ლოლამ, — ისიც მოიფიქრე, სად უნდა წავიდე...

სასადილოსთან რომ ჩამოვიარე, კბილის ექიმი დავინახე. ელექტრონის ბოძთან იდგა, მიყურებდა და ყოვლისმცოდნე კაცის გამომეტყველებით იღიმებოდა. წამით შევჩერდი და დავაკვირდი, ნუთუ მართლა მე მიღიმის-მეთქი. იგი ჩემკენ წამოვიდა, მხარზე ხელი დამკრა და მითხრა:

— ყოჩაღ! აი, ეს მომწონს. ხედავ, რას ნიშნავს განათლებული კაცი!

ვერაფერს მივხვდი და გაცემით შევათვალაიერე.

— რა ხბოსავით მომიჩერებხარ? შენ გგონია, არ ვიცი ვისთან იყავი?

— მერე რა მოხდა?

— ყოჩაღ! მართალი გითხრა, მეც

მომწონდა *ეგ გოგო, მაგრამ მუდამ გიბრბოდა...

— რომელი გოგო?

— კარგი, თავს ნუ ისაწყლებ, ლოლაზე გეუბნები. მაჯობე და ეს არის. თუმცა დიდად არც მე მომინდომებია, თორემ რა შვილი, ხელიდან დამიძვრებოდა! არ მიყვარს სადავიდარაბო საქმე, ნაღდი მიჩვენია.

— ოქროს გეფიცები, ვერაფერი გამოიგია.

— დედას ნუ იფიცებ. არ მიყვარს ფიცი. რა გაბრწყინებული სახე გაქვს. გეტყობა, საქმე მოაჭაბრაქე! ჩვენს შორის დარჩეს და დიდებული გოგო კია! მიდი, ნუ გეშინია, უკან არ დაიხიო.

ისე საძაგლად იღრიჭებოდა და ოქროს კბილებს ისე გულისამრევად აბრჭყვილებდა, უნებურად მუშტი შემეკრა.

— რა დაგიჯდა ეგ კბილები? — ვკითხე მე.

სიცილი შესწყვიტა და დამაკვირდა.

— ოქროს კბილები?

— ჰო, ოქროა თუ რაღაც.

— ეჰ, ნუღარ იტყვი, ამ კბილების ჩასმას გადავყვეი. მაშინ ექიმი არ ვიყავი, თორემ...

— მაინც რა დაგიჯდა?

— თხუთმეტი თუმანი, შვილივით თხუთმეტი თუმანი! ახლაც ვნანობ.

— აფსუს, — ვთქვი მე, — მთელი ხელფასი დამეხარჯება, თორემ მიიღებდი რაც გეკუთვნოდა.

— რას მივიღებდი, ასე რატომ მეღაპარაკები?

ამასობაში მართლა მომივიდა გული.

— დაგაძრობდი მაგ კბილებს და ჩემიწამი ჩავადგებდი.

— კარგი ერთი, რა უშნო ხუმრობა იცი!

— ხუმრობა კი არა, სიგრძეს სიგანედ გავიხდილი.

— რას იღრინები, ბიჭო, რა გეწყინა ასე?

— კიდევ მეკითხები?

გიორგი კეჭალმაძე
მეთორმეტე წარი

— კარგი, თუ ძმა ხარ. შენისთანა მეგობარი აქ მეორე არა მყავს. შენი წყენინება სულაც არ მინდოდა. მოდი, შევერიგდეთ, — მითხრა და ხელი გამომიწოდა. მე ხელები ჯიბეში ჩავიწყვე. — რად გინდა ჩემთან მაგისტანა თინები? — განაგრძო მან, — არც მე ვარ მთლად პატიოსანი, ნუ გეშინია. მეც ვეარშიყები ერთ გოგოს. იმ საწყალს ჰგონია, ცოლად წავიყვან.

— რომელ გოგოს?

რატომლაც ხმა გამებზარა და საფეთქლებში სისხლი მომაწვა.

— ჩვენს ოფიციატს. ვითომ არ იცი, სულ იქ არა ვარ?

— მომცილდი, — დავუყვირე მე, — მომცილდი!

არჩილი უკან-უკან იხევდა და შეშინებული საცოდავად იღიებოდა. მე ხელი ჩავიქნიე და გამოვბრუნდი.

სალამოს მოიღრუბლა და წვიმა წამოვიდა. მერე განუწყვეტლივ წვიმდა. გაშმაგებული დავრბოდი ოთახში და ბოლმა მხსრჩობდა. ლამის ატყირებულიყავი. წარმოგიდგენიათ, მთელი კვირა ისე გავიდა, ციდან წვეთიც არ ჩამოვარდნილა და მაინცადამაინც ახლა უნდა გაწვიმდეს? მაინცადამაინც ხვალ უნდა იყოს ავღარი? სხვა რომ ვერაფერი ვიღონე, გამწარებულმა ჩემს თავს დავუწყე ლანძღვა, არაფერში ბედი არა გაქვს-მეთქი.

ნაშუალამევს წვიმამ გადაიღო. გულაკანკალეზული მაშინვე გარეთ გავვარდი. ცა ვარსკვლავებით იყო მოჭვდილი. გახარებული დერაფნიდან პირდაპირ ლოგინში შევეფრინდი, რომ დილაშდე როგორმე გამოძინება მომესწრო. სანამ დამეძინებოდა, ერთხელ კიდეც გამახსენდა კბილის ექიმი და ვინანე, ასე ცუდად რად მოვექციე-მეთქი. სხვა რომ არაფერი, ხომ შეიძლებოდა ისევ ამტკენოდა კბილი და მის ხელში ჩავვარდნილიყავი? მაშინ იკითხე სეირი და შუარისძიება! ჯერ ალბათ, ვითომ შეცდომით, ორ-სამ საღ კბილს ამომაცლის, მერე მტკივანს მიადგება და იმდენს მაწვალებს, არც მომკლავს და არც დამარ-

ჩენს. ყოველივე ამის წარმოდგენა კინალამ ისევ გამიფუჭა გუნება. შიში საგან მომეჩვენა, რომ ყველა კბილს ეერთბაშად ამტკივდა. ბოლოს გადაწვიტე, ხელსაყრელი შემთხვევა მომეცმოდა თუ არა, მაშინვე შევერიგებოდი არჩილს და ბოდისივ მომეხადა.

დილით, გამოღვიძებისთანავე საწოლიდან წამოვფრინდი, ტანზე ელვის სისწრაფით ჩავიცვი, არც კი მისაუზმია, სანოვაგით სავსე ჩანთა ზურგზე მოვიკიდე და ქუჩაში გავუბარდი. არსად არ შევჩერებულვარ, კლუბთან ისე მივირბინე. იქ არავინ დამხვდა. გული ჩამწყდა. საათს დავხედე. ადრე იყო. ჯერ კიდევ ბნელოდა და იმედის გადაწყვეტაც ნაჩქარევი იქნებოდა. გული ამით დავიმშვიდე. „მოვა, ნამდვილად მოვა“, ჩემთვის ხმამალა ვიმეორებდი და კლუბის წინ ბოლთასა ვცემდი.

მერე ფეხის ხმა გავიგონე. მყისვე იქით მივბრუნდი. ქუჩაზე ვილაც მალალი ბიჭი მოაბიჯებდა. ხელები ჯიბეში ჩაეწყო და არხეინაღ მოდიოდა. შორი-ახლოს შეჩერდა და დამაკვირდა. მეც დაკვირვებით შევხედე და დავინახე მისი ფართო, მრგვალი სახე, მხრებზე დაშვებული შავი, სქელი თმა, მალალი მკერდი, ვიწრო წელი, სწორი, გრძელი წვივები და მაშინვე მივხვდი, რომ ეს „ბიჭი“ მერჩია ახლა ყველას, ვისაც ოდესმე ვიცნობდი და ვისაც დღეიდან გავიცნობდი.

ლოლასთან მივიჭერი და გახარებულმა კინალამ გადავკოცნე, მაგრამ წამით უცნაური შიში დამეუფლა. ვერც კი მივმხდარიყავი, რისი მეშინოდა. დავიბენი და კარგა ხანს უხმოდ ვიდექი მის წინ.

— რა მოგივიდა? — მკითხა ლოლამ. ერთბაშად გამიარა იმ უცნაურმა შიშმა.

— ძალიან გამეხარდა, რომ დაგინახე. სიხარულისაგან ლამის გული გამიჩერდა. ჯერ იმ წვიმამ მომხსამა წუხელ. მთელი ღამე ღმერთს ვეხვეწებოდი, ხვალინდელ დღეს ნუ ჩამაშხამებ-მეთქი.

— არც ჩაუშხამებია. ხედავ, რა კარგი ამინდია?

— უკეთესი არც შეიძლება.

— გადაწყვიტე თუ არა, სად უნდა წავიდეთ?

— არ ვიცი, — მივუხე მე და ჩანთის სახელურს დავუწყე წვალებს, — მართლა სად წავიდეთ?

— ახლა მაინც მოიფიქრე რამე.

ჩაფიქრდი.

— აბა? — ჩამეკითხა ლოლა.

თვალეზში შევხედე და ვამეცინა. მე ისევ ლოლას ვფიქრობდი: რა ბედნიერი ვარ, ასეთი ლამაზი თანამგზავრი რომ მყავს-მეთქი.

— ვერაფერი მოიფიქრე?

— ვერაფერი!

მერე თვითონ ლოლამ მოიფიქრა რაღაც და ფანჯარი და ქაღალდი მომთხოვა. მან რვეულის ფურცელი ოთხად გახია და ქაღალდის ნაგლეჯებზე დაწერა: სამხრეთი, ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი, დასავლეთი. ქაღალდები დაჭმუჭნა, ხელის გულზე დაიდო და მიტხრა, ამოირჩიე, რომელიც გინდაო. მე ერთი ქაღალდი გავშალე და ხმამაღლა წავიკითხე:

— აღმოსავლეთი.

— მაშ, აღმოსავლეთისაკენ, მზის შესახვედრად! — სთქვა ლოლამ.

ჩანთა ზურგზე მოვიკვდე, ლოლას ხელი ჩავჭიდე და გზას გავუდექით.

ზუსტად აღმოსავლეთისაკენ მაინც არ გვივლია. ხან მარჯვნივ გავუხვევთ, ხან მარცხნივ. ერთ ხანს მდინარის გასწვრივ ვიარეთ, მერე ტყეში ავედით. ირგვლივ მშვიდი და იღუმალი სიჩუმე იდგა. ლოლა დაუღალავად მიაბიჯებდა და თითქმის სულ წინ მისწრებდა. დროდადრო მოიხედავდა, გაიღიმებდა და ხელს დამიქნევდა, ვითომ ხომ ხედავ, რა ამტანი და ღონიერი ვარო. მეც გავუღიმებდი პასუხად. მთელი ორი საათი ისე ვიარეთ, წამითაც არ შეგვისვენია. ბოლოს გამახსენდა, რომ არ მისაუზმია და ურიგო არ იქნებოდა, მუხლის მოსახრებად სადმე კარგი ადგილი მოგვეძებნა. ლოლას დავიწყე და ვუთხარი, წავისაუზმოთ-მეთქი.

— კარგი, — მითხრა მან, — თანახმა ვარ.

მიწა სველი იყო. მე სწრაფად შალე საგანგებოდ წამოღებული ბრენტი და ჩანთა გავხსენი.

— მეც მომშივდა, — სთქვა ლოლამ, — თუმცა შენსავით უხემსოდ არ წამოვსულვარ.

სუფრა გავაწყვეთ. მე ერთი ბოთლი ღვინოც ამოვაძვრინე.

— შენ აღარ ხუმრობ, — ღიმილით მითხრა ლოლამ.

— რა დროს ხუმრობაა, მთელი თვის ხელფასი დაეხარჯე.

— მთელი თვის? ეჭვი მეპარება. თუ ასეა, ღვინოს აღარ დავლევ, ბოლოს რომ არ დამამაღლო.

— არა, უნდა დალიო. მაშინ არც მე დავლევ და ამ ბოთლს ხრამში გადავაგდებ.

— ეგ უფრო ჰკვიანური იქნება.

— მერე ინანებ.

— მაინც არ დავლევ.

— ვიცი, რისაც გეშინია.

— აბა?

— ჩემი. ამხელა ტყეში მარტო ვართ. ვინ იცის, რა კაცი ვარ.

ლოლა გაწითლდა.

— შენი სულაც არ მეშინია.

— არც უნდა გეშინოდეს.

ლოლა ერთ ხანს მიყურებდა, როგორ მადიანად შევექცეოდი საჭმელს. მერე თვითონაც აიღო პურისა და ყველის ნაჭერი.

მე ღვინო დავისხი. გაგვიმარჯოს-მეთქი, ვთქვი და დავლიე. ლოლასთვის არ დამისხამს.

— შეც გავსინჯავ ცოტას, — მითხრა ლოლამ.

— დაისხი, რამდენიც გინდა, — ვუთხარი.

ლოლამ ნახევარი ჭიქა დაისხა და აუჩქარებლად დალია, თითქოს გემოს უსინჯავსო. მე კი მის სქელ თმას, ტანზე შემოსალტულ სეიტერსა და ვიწ-

გოორგი კეჭაღმაძე
მეთორმეტე წარი

რო შარვალს შევყურებდი და ბოლის წამომცდა:

— ნამდვილი ბიჭი ხარ!

— ეს შარვალი წუხელ შევიკერე. ჩემს დღეში არ მცმია. საშინლად უხერხულად ვგრძნობ თავს.

— ნამდვილი ბიჭი ხარ, — გავიმეორე მე, — კობტა და ლამაზი ბიჭი.

ლოლა დუმდა, მიმხერდა და უხერხულად იღიმებოდა.

მე ღვინო დავისხი და რატომღაც ჩემი მეგობრები — მზია და ვაჟა მომაგონდა. მასწავლებლობა რომ დავიწყე, მას შემდეგ მათი გახსენება მუდამ ნაღვლიან გუნებაზე მაყენებს ხოლმე. ახლაც მოვიწყინე.

— თქვი რამე, — მითხრა ლოლამ, — რატომ გაჩუმდი?

— ჩემი თბილისელი მეგობრები გამახსენდა, — მივუგე მე, — ერთი ჩემი სენხიაა, ვაჟა ჰქვია, მეორეს — მზია. მეც ბიჭი ვარო, ხუმრობდა ხოლმე, ამიტომ მასაც ვაჟას ვეძახდით.

— ახლა სად არიან შენი მეგობრები?

— თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე დასეირნობენ.

— უსაქმურები ყოფილან, — დაასკვნა ლოლამ.

— არც ისე. ვაჟა დიდი კაცია. თუ გინდა, უმაღლესში მოგაწყობს. უმაღლესი განათლების ინსპექტორია.

— ოჰო!

— ინჟინერია, მაგრამ ბოლოს მიხვდა, რომ მისი მოწოდება სახლების შენება კი არაა, არამედ სხვადასხვა ფერის ბლანკების, ქვითრებისა და უწყებების ქექვა. მოლი, მისი სადღეგრძელო დავლიოთ.

— თანახმა ვარ, — თქვა ლოლამ, — შენი მეგობრის სადღეგრძელო იყოს.

— მეორე მეგობრისაც. ისიც მასწავლებელია, თუმცა ჯერჯერობით არავის არაფერს ასწავლის. მასაც გაუმარჯოს!

— რატომ არ ასწავლის?

— ეშმაკმა იცის. სულ სკოლაზე ოცნებობდა. მერე უცებ გადაწყვიტა, ჩემგან მასწავლებელი არ დადგებოდა და

განაწილებაზე ცივი უარი განაცხადა. თუმცა, მეგონი, მართალიც იყო, მძღმუნდა უარი მეთქვა.

ლოლა არაფერს ამბობდა. უსიტყვოდ მიცქერდა და რალაცას ფიქრობდა.

სუფრა ავალაგე და ჩანთას თავი მოვეუკარი. მერე პირალმა წამოგვექი და ხის კენწეროებს დავაკვირდი. იქ, ახლად ამოსულ მზის სხივებზე ათასფრად კიაფობდა წყლის წვეთები.

— ჩვენ ძმობის ჰიმნიც გექონდა ინგლისურ ენაზე. მზიამ მოიგონა და როცა მოვიწყენდი, მიმღეროდა ხოლმე. მერე, ვაჟა რომ დაგვიმეგობრდა, სამივენი ერთად ვმღეროდით.

— ახლაც იმღერე. წარმოიდგინე, რომ ისინიც აქ არიან.

მე ხმადაბლა დავიწყე: „ფაა ფრომ ოლ მაი ფრენდს აი როუმ, აი, სიმონა დოლიძე“...

— ეს რომ სიმონა დოლიძეა! — წამოიძახა ლოლამ.

— ეს ჩვენი ჰიმნია.

— ინგლისურს სკოლაში ცუდად ვსწავლობდი, — მითხრა ლოლამ, — მას შემდეგ ხუთი წელი გავიდა. მხოლოდ ერთი სიტყვა გავიგე: „აი“.

— აი ლავ იუ, — გუთხარი მე, — გაიგე რა გითხარი?

— ეს კი.

ავდექით. მე ჩანთა მოვიკიდე და გზა განვაგრძეთ. ტყეში სიარული მალე მოგვეწყინდა. ისევ შევიცვალეთ მიმართულება და მდინარეს გავყვეით. ლოლა კვლავ წინ მიდიოდა. მე ჩანთა მიმქონდა და უკან მივჩანალებდი. ლოლამ რამდენჯერმე შემომოთავაზა, მოგვევლემბო, მაგრამ უარი ვუთხარი. ცხადია, ჩემი რაინდული თავმოყვარეობა ნებას არ მომცემდა, რომ გუშინ ნათქვამი სიტყვა გამეტხვა.

მერე ისე მოხდა, რომ მე დამავიწყდა ჩემი ჩანთა, დამავიწყდა ყველაფერი, რაც ჩემს ირგვლივ იყო. თვითონ ლოლაც. მალაღ, სველ ბალახებში თავდახრილი მივაბიჯებდი და მზიასა და ვაჟაზე ვფიქრობდი. მინდოდა გამომერკვია, ვინ იყო მართალი, ისინი თუ

მე. აქამდე რატომღაც არასდროს არ მიფიქრია ამაზე. რატომ თქვა მზიამ უარი მასწავლებლობაზე, მას ხომ ძალიან უყვარდა ბავშვები? მე მხოლოდ მეჩვენებოდა, ვითომ ბავშვები მიყვარდა, მას კი ნამდვილად უყვარდა ისინი. ქუჩაში დღიქვარდა ბავშვს და ეფერებოდა. მერე იტყოდა, რა ბედნიერი ვარ, რომ შემოძლია მყავდეს ბავშვი, რამდენიც მინდა, იმდენი მყავდესო. თქვენ რა იცით, ბიჭებმა, თქვენ არაფერი არ იცითო. ბოლოს კი უცებ უარი განაცხადა, მასწავლებლობას ვერ შევძლებო.

ვაქას კი სახლები უყვარდა, მაღალი, ფართოაივანიანი, ლამაზი სახლები. მისი რვეულები, ნახაზები, წიგნებიც კი, სახლებით იყო სავსე. ყველგან სახლებს ხატავდა. წარმოდგინეთ, თავისი ოთახის კედლებზეც სახლებს ჩხაპნიდა. ამის გამო მუდამ ეჩხუბებოდნენ დიასახლისებო.

იქნებ იმით მაჯობეს, რომ ჩემზე ადრე მიხვდნენ, რა გზას უნდა დადგომოდნენ, რა უნდა გაეკეთებინათ? მიხვდნენ, რა შეეძლოთ და რა არ შეეძლოთ. რას მეტყვიან, როცა მათთან ჩავალ და ჩემი მარცხის ამბავს მოვუყვები? ვიპოვით კი, ნამდვილად ვიპოვით ცხოვრებაში იმას, რასაც ვეძებთ? კიდევ დიდხანს ვივლით გზაბანეულები?

შემოდგომის ზარმაცი მზე უკვე კარგა მაღლა ასულიყო. ბალახი გაშრა. აღარც ჩემი ფეხსაცმელი ჭყაპუნებდა ყოველ ნაბიჯზე. მგონი ლოლაც დაიღალა და ძველებურად წინ-წინ აღარ გარბოდა. ჩემს გვერდით მოაბიჯებდა და ზოგჯერ უკანაც მრჩებოდა. ალბათ ჩემგან დიდი უზრდელობაც იყო, ბრძენივით შუბლშეჭმუნნილი და თავჩაქინდრული რომ მივაბიჯებდი. არც კი ვეკითხებოდი, ხომ არ დაიღალე-მეთქი და გულში მთელი ჩემი თაობის პრობლემებს ვწყვეტიდი.

— ბოლოს ისევ მან გამომაფხიზლა:
— ნეტა მეტი დაგელია ღვინო. იმდენს ფიქრობ, შუბლზე ნაოჭებიც კი გაეჩინა.
— მაპატიე, ლოლა, — ვუთხარი მე, —

მოდი, მეტს ნურაფერზე ვიფიქრობ, ან ხმამაღლა მაინც ვიფიქროთ.



— ვიყვარდა ვინმე? — მკითხა ლოლამ მას მერე, მთელი საათი ამოდ რომ ვცდილობდით, ხმამაღლა გვეფიქრა.

როცა ჩემთვის ვფიქრობ, აზრი საცმოდ არეულად დახტის ხოლმე თავში, ხან რას წამოედება, ხან რას. ხმამაღლა ნაფიქრს კი ისე დაწყობილ-დალაგებულად გამოთქვამდი, თვითონვე მიკვირდა. ბოლოს ორივენი იმ დასკვნამდე მივედი, რომ ხმამაღლა ფიქრი დიდი სისულელე იყო.

— ჩემს სიყვარულს დიდი ხნის ისტორია აქვს, — ვუთხარი ლოლას. თან გავიფიქრე, ქალებს ყველაზე მეტად მაინც სიყვარული აინტერესებთ-მეთქი, — რაც თავი მახსოვს, სულ ვიღაც მიყვარდა. ჩამოთვლაც კი გამიძნელებდა.

— აბა, დაიწყე, — მითხრა ლოლამ, — ოღონდ ტრაბახს არ მოჰყე.

— არა, — მივუგე და დავიწყე: — ყოველივე ეს საბავშვო ბაღიდან დაიწყო. არც კი მაგონდება, მაშინ ვინ მიყვარდა. მხოლოდ ერთი რამ არ დამვიწყებია: ჩემი სიყვარული, როგორც ყოველთვის, მაშინაც ცალმხრივი იყო. ზოგჯერ მგონია, ღმერთმა სწორედ ასეთი უიღბლო სიყვარულისთვის გამაჩინა.

— მაშ, სატირლად მოვემზადები, — მითხრა ლოლამ, — მგონი გულისამაჩუყებელი ამბების მოყოლას აპირებ.

— მართალი ხარ, — მივუგე მე, — ძალიან მწუხარე და ნაღვლიანი ამბავია... მეოთხე კლასში ვიყავი, ერთი ჩემი ხანგრძლივი სიყვარული რომ დამთავრდა. ერთ ვოკონას ისე ვაღმერთებდი, ისე მერიდებოდა და მეშინოდა მისი, სალამსაც ძლივს ვუბედავდი ხოლმე. მან კი ერთ მშვენიერ დღეს მთელი კლასის თანდასწრებით ჩხუბში გამომიწვია. ჯერ ამაყად განაცხადა, მე

გიორგი კეჭელაძე
მეთორმეტე ზარი

ისე ღონიერი ვარ, ვერც ერთი ბიჭი ვერ მომერგეო. აი, თუნდაც ვაჟა გამოვიდეს და დაინახავთ, როგორ გავლახავო. მართლაც მაგრად მცემა. ცხვირიდან სისხლიც კი მადინა. მე, რა თქმა უნდა, ხელიც არ გამინძრევია. რაინდულად ავითანე ყველაფერი. მაგრამ არავის დაუფასებია ჩემი სულგრძელობა — პირიქით, ლაჩრობად ჩამითვალეს. მას შემდეგ კლასში ბუზადაც არ მაგდებდნენ. ის გოგონა კი ისე გამითამამდა, დღეში ერთი სამჯერ მინც წამკრავდა თავში.

ლოლა მიმზერდა და ტირილის ნაცვლად ხმამაღლა იცინოდა. ალბათ ეს ამბავი თავიდან ბოლომდე მოგონილი ეგონა. აღარ დამიწყია მტკიცება, რომ სრულ სიმართლეს ვეუბნებოდი. ისედაც გული მატკინა იმ ტანჯვა-წვალების გახსენებამ, მაშინ რომ განვიცადე.

— მეტს აღარ ვიამბობ, — ვუთხარი წყენით, — შენ მინც არ გჯერა.

— არა, განაგრძე. ძალიან გეხვეწები, განაგრძე!

მეც განვაგრძე, მაგრამ ვაცილებით უფრო უხალისოდ და უინტერესოდ. ვუამბე, როგორ დამწამა ერთმა გოგომ, ჩანთიდან ვაშლი მომპარეო. როგორ დამასმინა მასწავლებელთან და მერე როგორ გამძლანძღა პიონერხელმძღვანელმა. მეორემ კი, მეშვიდე კლასში რომ ვიყავი, როგორ დამახია თავზე ალგებრის რეჟული; ჩემდა საუბედუროდ, მისგან საშინაო დავალებას ვიწერდი და ყდაზე მელანი გადაუხსნი. სამაგიერო ასე გადაუხადე: შინ მივედი თუ არა, ჩემი მაგიდის უჯრიდან მისი ერთი ციკქნა ფოტოსურათი ამოვიღე, თვალზე ცრემლმორთულმა ნაკუწებად ვაქციე და ქარს გავატანე.

— მეცხრე კლასში, — განვაგრძე მე, — სხვანაირი ცეცხლი მომედო. ისე შემიყვარდა ერთი შავტუხა ალქაჯი, ლექსების წერაც კი დავიწყე. ჯერ, რა თქმა უნდა, გადაწერაში ვავიჯიჯიშე ხელი. მეათე კლასში უკვე იმოდინა პოემებს ვწერდი, რომ ყველანი ამბობდნენ, ეს ბიჭი ან მთლად გაგიჟდება, ან დიდი პოეტი გამოვაო. რო-

გორც ვატყობდი, უფრო პირველად იმედი ჰქონდათ. მაგრამ მე ვერცაღა გადავურჩი და მეორესაც. სკოლის დამთავრების შემდეგ იმ გოგოს სიყვარული აეუხსენა და მაშინვე მივხვდი: ის გოგო არც მაინცადამინც მყვარებოდა და ჩემთვის ერთი იყო, „პოს“ მეტყობდა თუ „არას“. ამას თვითონაც მიხვდა და, ცხადია, უარი მითხრა. გული მეტკინა, ჩემი მრავალტანჯული გული ერთბაშად თავისუფალი რომ აღმოჩნდა სიყვარულისა და ყოველგვარი სისულელისაგან. იმ დღიდან ლექსებზე წერას თავი დავანებე.

ამ ამბების მოყოლაში კარგა ხანი გავიდა. ლოლამ აიჩემა, გინდა თუ არა, სადმე წყაროსთან დავსხდეთო. ბოლოს, როგორც იქნა, წყარო ვიპოვეთ, სუფრა გავშალეთ და სადილობას შევუდექით.

— არ ვიცი, რა იყო ყველაზე უფრო მძიმე ასატანი, ჩემმა სათაყვანებელმა არსებამ ცხვირიდან სისხლი რომ მადინა, ვაშლის ქურდობა რომ დამპარაღა, თავზე რეჟული რომ დამახია, თუ ის ბოლო ამბავი, ახლახან რომ ვიამბე. არ ვიცი, მაგრამ ჯერჯერობით ყველაზე მეტად სტუდენტობის დროს განცდილი სიყვარული მწვავს გულს.

პატარა გოგო იყო, ერთიციქნა პირველად რომ ვნახე, არ მომეწონა... ის მინც მუდამ ჩემთან ყოფნას ცდილობდა, წამდაუწუმ თვალში მეჩხირებოდა. მე ყურადღებას არც ვაქცევდი. ასე ჩუმჩუმად შემომეპარა და ერთ დღეს მივხვდი, რომ გაგიჟებით მიყვარდა და უმისოდ სიცოცხლე არ შემეძლო. კარგად მახსოვს ის დღე, ის საათი. მეძინა და დამეისობრა, თითქოს მე და ის პატარა გოგო სადღაც შორეულ კუნძულზე მარტო ვიყავით. მერე უცერად ისიც ვაპქრა და მთლად მარტო, დავრჩი. რომ გამომეღვიძა, სიხარული-საგან კინაღამ სიმღერა დავიწყე: რა ბედნიერი ვარ, რომ ხვალვე შემიძლია ის გოგო ვნახო-მეთქი. ეს რომ გავიფიქრე, ისე საშინლად მომიინდა მისი ნახვა, დილამდე ძლივს გავძეღეო. ძალიან მიკვირდა, რომ ქვეყანაზე ასეთი გოგო არსებობდა, მე კი ყურადღება-

საც არ ვაქცევდი. სწორედ ჩემი ბედნიერებისათვის ვაჩენილა, მე კი ჭურში მიძინა-მეთქი, ვფიქრობდი. არ მახსოვს, როგორ გათენდა ის ღამე. საუზმე ვის გაახსენდებოდა! მაშინვე იმ გოგოს სანახავად გავეშურე; მინდოდა მეთქვა, როგორ მიყვარდა, რომ დღიდან ჩემთვის უდიდესი სატანჯველი იქნებოდა, თუ მას ვერ დავინახავდი. მივედი კიდეც, მივედი კი არა, მივფრინდი.

გაბრწყინებულ თვალეზში რომ შემხედა, გოგო გაოცდა და ყურადღებით დამაკვირდა. მე კი ისე დავიბენი, ერთი სიტყვაც ვერ ვუთხარი.

ჩემი ტანჯვაც იმ დღიდან დაიწყო. წუდანაც ხომ გითხარი, ღმერთმა ცალმხრივი სიყვარულის კერპად გამაჩინა და თუ ვინმე შემიყვარდა, არ შეიძლება დასანახავად არ შევეჯავრდე-მეთქი.

არ ვიცი, იმ გოგოს ვძულდი თუ არა. ასეთ რამეს მაინც ვერ დავწამებ, მაგრამ რომ არ ვუყვარდი, ამას რა ბევრი ლაპარაკი უნდა! ყველაზე უფრო ის მტანჯავდა, რომ ჩემი სიყვარული გაუშქადვინებელი დარჩა. არ იქნა და არ მათქმევინა. ალბათ თადარიგში ვყავი. რაც თავი მახსოვს, სულ თადარიგში ვარ. ჩვენი კლასის გუნდი ფეხბურთის თამაშობდა და მე თადარიგში ვიყავი, ტენისს თამაშობდა, — მე სათადარიგო სკამზე ვიჯექი, მუდამ თადარიგი და თადარიგი. ჰოდა, სიყვარულშიც თადარიგში აღმოვჩნდი.

ლოლა მიმხერდა და იღიმებოდა.

— ისე, მართალი გითხრა, — განვაგრძე მე, — სულაც არ იყო ვასავი-ქებელი გოგო. ხომ გითხარი, პირველად არც კი მომწონებია-მეთქი. უეცრად შემიყვარდა. მან კი... მან ერთ მშვენიერ დღეს ვაშლის ქურდობა დამწამა.

ლოლამ სიცილი დაიწყო:

— აი, ბედის დაცინვა თუ გინდა, ეს არის. მაგრამ, მგონი, ამჯერად ტყუილი წამოგცდა. ვაშლის ქურდობას როგორ დავწამებდა?

— მართალი ხარ, — ვუთხარი მე, —

ვაშლის ქურდობა არა, მაგრამ რაოდენ ამის მსგავსი კი დამწამა.

— შენ ისევ ხუმრობ! — სთქვა ლოლამ, — კაცი ვერ გაიგებს, როდის ხუმრობ და როდის არა. მე კი რა ყურადღებით ვისმენდი.

— არასდროს არ ვხუმრობ, ჩემო ლოლა. ჩემს დღეში არ მიხუმრია. სერიოზულად ვლაპარაკობ. ეს სხვებს ჰგონიათ, რომ ვხუმრობ. თუ დამიჯერებ, ცხარე ცრემლით ვტიროდი. თავქვეშ მუდამ ცრემლით გალუმპული ბალიში მედო ხოლმე.

— მერე საბოლოოდ მაინც არ შეგიყვარა?

— გოგო ქურდობას რომ დავწამებ, ის მერე შეგიყვარებს?

ლოლას შევეცოდე და თანაგრძნობით მითხრა:

— მართალი ხარ. ის არც არვის შეიყვარებს.

— აქ კი ცდები. შეიყვარა და გათხოვდა კიდეც. მაგრამ ხანდახან მაინც ვფიქრობ, ერთ დღეს თავის ქმარს რომ ეტყვის, ღამით ამდგარხარ და ნახევარქილა მურაბა შეგიჭამიაო, რა გუნებაზე დადგება ის ჩემი ბედნიერების მიმტაცებელი!

გულღმა ვიწექი და მდინარის სასიამოვნო დუდუნს ვუსმენდი. ლოლა სადღაც შორს იმზირებოდა და გულმოდგინედ კვნეტდა ბალახის გამხმარ ღეროს. მხრებზე მძიმედ ეყარა შავი, ძალიან შავი, სქელი თმა და ისეთი ღამაზი, ისეთი უძირო თვალეზი ჰქონდა, ასე მშვენიერი არაფერი მინახავს-მეთქი, გავიფიქრე.

— ახლა შენ მიაბზე, — ვუთხარი მე, — შენ არავინ გყვარებია?

ლოლამ შემომხედა და შევატყვე, ამ კითხვას ელოდა.

— არ ვიცი, — მიბასუხა მან, — მგონი არავინ მყვარებია.

— შეუძლებელია, — ვუთხარი მე, — თუ მართლა ასეა, მაშინ მოიგონე რამე და მიაბზე. რაც გინდა, ის მოიგონე.

გიორგი კეჭელაძე
მეთორმეტე წარი

ეს რომ ვუთხარი, მაშინვე მივხვდი: ვეშმაკობდი, ლოლას გამოტეხა მინდოდა. ალბათ თვითონაც მიხვდა, მაგრამ არ მაგრძნობინა.

ლოლა ჩემს გვერდით იჯდა და მიმზერდა. იგი ისეთი ლამაზი იყო, ვერ დავიჯერებდი, რომ ვინმეს არ ყვარებოდა. გავიფიქრე თუ არა ეს, კვლავ დამეუფლა ის უცნაური შიში, დილით ლოლას დანახვისას რომ ვიგრძენი.

— ის ბიჭი, — დაიწყო მან და წამით ცანცანმა ამიტანა, — შუბლზე ცივმა ოფლმა დამასხა, მაგრამ ლოლა ახლა აღარ მიმზერდა და არაფერი დაუნახავს. — ის ბიჭი მაშინ მეთერთმეტე კლასში სწავლობდა. სახელად ბორისი ერქვა. მაღალი, გამხდარი და ძალიან ლამაზი იყო. მაგრამ ვანა ამიტომ მომწონდა? მომწონდა იმიტომ, რომ ბავშვივით ჩვილი გული ჰქონდა. აწყენინებდნენ რამეს თუ არა, მაშინვე ცრემლი მოადგებოდა თვალზე. სიცილს ვერ შეიკავებდი, მასწავლებლები ამოდენა ბიჭს ისე ეფერებოდნენ. მე მაშინ თხუთმეტი წლისა თუ ვიქნებოდი, მერვე კლასში ვსწავლობდი. ვიდაცა მეხუმრა, ბორისს მოსწონხარო. მეც დავაკვირდი და შევატყვე. ყურადღებას მაქცევდა. ხშირად მიმზერდა და მეხუმრებოდა ხოლმე. მერე ხუმრობას თავი დაანება და უფრო ფრთხილად მეპყრობოდა. თან წითლდებოდა, როცა რამეს მეტყვოდა. გოგონები მადიზიანებდნენ, აი, შეხედე, როგორ ვიმზერსო: ბევრჯერ შემომჩნევია, ბიჭები მასაც როგორ ასეუდებდნენ ჩემკენ და დასცინოდნენ. ჩვენი კლასი ფიზიკის კაბინეტში მეცადინეობდა და როცა მეთერთმეტე კლასს ფიზიკა ჰქონდა, ბორისი თურმე მუღამ ჩემს მერხზე დაჯდომას ცდილობდა. ბიჭები ამაზედაც დასცინოდნენ.

ერთ დღეს ჩემს მერხზე ასეთი წარწერა ვნახე: „აქ ვინც ზის, მიყვარს“.

ძალიან გაუბედავი ბიჭი სჩანდა, მაგრამ ეს სიტყვები ნამდვილად მისი იყო. მის ხელს კარგად ვიცნობდი. იმ სიტყვებს მთელი დღე ვკითხულობდი; თან, სხვებს რომ არ დაენახათ, ზედ წიგნს ან რვეულს ვაფარებდი. გაკვეთილი რომ დამთავრდა, მერხზე მივაწერე: „ამის დამწერი მეც მიყვარს“.

მეორე დღეს სკოლაში ძალიან ადრე მოვედი. მარტო ბორისი დამხვდა მოსული. კლასში რომ შევედი, ისიც შემომყვა და ჩემს მერხთან გაჩერდა. ერთ ხანს ასე იდგა. მერე ჩემი საწიგნე, მერხზე რომ იღო და იმ წარწერებს ფარავდა, გადასწია, კარგად დააკვირდა, გაწითლდა და სთქვა, ეს მე დაწერილია. მე არაფერი მითქვამს.

— ეს მე დაწერილია, — გაიმეორა მან, — გაიგე?

— გაიგე, — ვუპასუხე მე.

— ეს შენ დაწერილია? — მკითხა მერე.

— მე დაწერილია, — ვუთხარი და ვართ გავეპარდი.

ეს იყო და ეს. მერე კარგა ხანს ვემდუროდით ერთმანეთს. მაინც გავგიგეს და დაგვეცინოდნენ. თითქოს მასწავლებლებიც რაღაც სხვანაირად გვიყურებდნენ. ასე მეგონა, ყველამ იცოდა ეს ამბავი, ყველა ჩემზე ლაპარაკობდა. მე კი მუღამ სარკის წინ ვტრიალებდი და ვიტანჯებოდი, რომ ჯერ კიდევ ძალიან პატარა გოგო ვიყავი. ვიპრანჭებოდი, როგორც კი შემეძლო. ცოტაზე თმაც შევიჭერი, მინდოდა კიდევ შემეჭრა, მაგრამ შემამჩნიეს და სასტიკად ამიკრძალეს. ყველა ხედავდა, როგორ ვკოხტაობდი, როგორ ვცდილობდი, რაც შეიძლება ლამაზი ვყოფილიყავი, ამიტომ დამცინოდნენ. ესეც ძალიან მტანჯავდა. ბორისი იშვიათად მომაგონდებოდა ხოლმე, მარტო ჩემს თავზე ვფიქრობდი და ჩემს სილამაზეზე ვზრუნავდი.

ჩუბო აბაჟუკელი

აპრილი

როგორ მინდოდა,
როგორ ველოდი,
აჰა, გამოჩნდა ნაცნობი მთები!
და ალტაცებულ სადღეგრძელოთი
სავსეა ხარის ლამაზი რქები.

შემოგრაგნილმა მაღალ სუროთი
ვაზმა აპრილი გამოიტირა
და მომაგონა ძველი სურათი
აქვე ნანახი, ამავე გზისპირას.

— წინა ფეხებზე დავარდა ხარი
და თეთრი ფერით ავესო უბე.
აყრის ყვაველებს აპრილის ქარი
მიწაზე დაღვრილ სისხლიან გუბებს.

ის ჩუმად მოკვდა და ვაშლის ბაღში
მზემ ამოწურა თეთრი თასები,
აპრილი იყო ისე, ვით ბავშვი,
რომელიც მერე ქალს ემსგავსება.

როგორც ფსკერისკენ წასული გემი,
სული თანდათან ყველაფერს მაღავს,
გაშიშვლებული ღიმილი ჩემი
ხელიდან ხელში გადააქვს ქალაქს.

გადაქანებულ ფანჯრებს და სახლებს
ვურიგებ ცისკენ გაფრენის სურვილს,
მერე ვარსკვლავებს ცივ თითებს ვახლებ
და წუთიერად მოვიკლავ წყურვილს.

აყვავებული ტოტებით ხელში
ძველისძველ ბაღში ბრუნდება ქალი,
და გამჭვირვალე აპრილის ფერში
საღებავივით იხსნება ქარი.

მე ვუბრუნდები ცარიელ კედელს
და გაბედული ხაზებით ვხატავ,
რომ დაგარიგო უსიტყვოდ შემდეგ,
რასაც სიცოცხლეს ვწირავ და ვატან.



ვეხანგ ძნელაძე

ლუი ბრაილი¹

სიბნელისადმი ბოღმა და ზიზღი
შურისძიებად მან გულში ზარდა
და უმეცრებას ეკვეთა რისხვით,
მედგრად მკაფავი ძიების გზათა.
ის ოცნებობდა და ბოლოს მაინც
უვალ ბილიკთა წყება გაკვალა,
იპოვნა, უნდა ეპოვნა რაიც,
ვით უდაბნოში წყარო ანკარა.
და საოცარი გაჩნდა ანბანი,
როგორც სანთელი, როგორც ნუგეში.
ის ბრწყინავს, როგორც ოქროს ლამპარი
ამ ჩვენს კოსმოსურ საუკუნეშიც.
და მიჰყვებიან პწკარებს თითები,
და იმუხტება გული და ტვინი
ხან სიყვარულით, ხან მორიდებით,
ხან ვაჟკაცური ბრძოლების ჟინით.
მაგრამ ამქვეყნად ლანდი კეთილი,
დადის და ნატრობს ახლა სხვა რამეს:
არავინ იყოს გულდასეტყვილი,
არვის თვალეზში ვხედავდეთ ღამეს.



¹ უსინათლოთა დამწერლობის შემქმნელი

იურიზ გოგობაძე

ხასი კასია

ჩოხანი

თავი მეექვსე

ვისკვილი დუმდა. თოვლი მოვიდა და ღარები ამოინამქრა. ბერდოს არავინ აწუხებდა. დათვივით შეიბუდა წისკვილში და თვითონაც არავის აბეზრებდა თავს. გარიყულმა და მარტოღმარტომ გაატარა სამი დღე და ღამე.

თებერვლის დამდევს კი, როცა მზემ გამოიხედა, მიწას ერთბაშად შემოადნა თეთრი საბანი.

წყალი თქემად წამოვიდა, ღარებს ნიაღვარი მოაწყდა, წისკვილი ამღერდა, სარეკელა არაკრავდა. ღარებში წყალი შხუილით დიოდა და ბორბლებს გახელვით ასკვებოდა. ბერდოს ძველი წისკვილის ხმაური ამხნევებდა.

— გაცვდიო! გაცვდიო! — შეუძახებდა ხოლმე იგი დოლაბებსა და სარეკელებს, — მეც გაცვდი და დავილე, ახლაც ვცვდები და ვილევი!

ამბობდა, მაგრამ არ მოსწონდა ასეთი გულგატეხილობა. სისხლწ აუჩქეფდებოდა, ბრძოლის ყინი მოერეოდა. ბოღმა ახრჩობდა, რომ სოფელში გოსტაბაშვილი ბატონობდა. ღამდამობით, როცა ყველა მიყუჩდებოდა, როცა წისკვილს მოშორებით მხოლოდ ჩახრიალას ხმა ისმოდა, ბერდო ფიქრობდა გლენკაცის ბედზე და იმ მწარე გაკვეთილზე, მძი-

მედ რომ დაუჯდა. აგონდებოდა ნიკო კაპრაშიძე. რამდენჯერმე იფიქრა, თემისხევში გადასულიყო, ენახა და ეთათბირა მასთან, მაგრამ როცა ისიც მოაგონდებოდა, როგორ უკმენად და ცივად გაავლო მაშინ სოფლიდან, ცივი ოფლი დაასხამდა და თემისხევში გადასვლის გეგმა წყალს მიჰქონდა. არც თავად ჩანდა სადმე ის კაცი.

ნამდვილად კი აპატია გოსტაბაშვილმა ბერდოს? თუ ხელსაყრელ წუთს ელოდებოდა, რათა ხელახალი იერიში მიიტანოს და ერთბაშად გაუსწოროს ანგარიში?

ბერდო ფხიზლად იყო. თავისი ბიჭები გაფრთხილებული ჰყავდა, მის წისკვილს არავინ გაჰკარებოდა. სოფლიდან ბაიბური არ ისმოდა. სოფელი ბერდოს არ ეკარებოდა და ბერდო სოფელს. შუაღამისას წისკვილთან ტურები და მგლები ჩამოდრიოდნენ, გაუთავებელი ტირილითა და ყმულით ძილს უფრთხობდნენ. ბერდო თოფს დააჭეკებდა და კვლავ გრძელდებოდა ზამთრის უძილო, ფიქრებით სავსე ღამე.

ერთხელ ბერდო ღარის თავს ასწორებდა. მოხუცმა იორდანემ ჩამოიარა. იორდანეს ტყეში ფიჩხი გაეკაფა, გულურა ზურგზე მოეგლო და შინისაკენ

მიიჩქაროდა. რუს გამოჰყვა და ღართან ბერდოს შეხვდა. ჩქარა ევლო იორდანეს, ხვითქი გადასდიოდა. საკმაოდ მძიმე და მჭიდროდ შეკრულ გუდურას წელში მოეხარა. შედგა და ქვეშ-ქვეშ გამოხედა ცალთვალას.

— გამარჯობა, იორდანე!—მისელმა ბერდო.

იორდანემ გუდურა მიწაზე დაავლო, წელში მაინც ვერ გაიმართა, ნაბდის ქუდი თავზე მისევ-მოისევა, ვითომ ოფლის მოსაწმენდად, ბერდოს შეხედა და რატომღაც ხმა ვერ ამოიღო.

— ენა ხომ არ წაიჭერ წალდითა? — შეეხუშრა ბერდო.

იორდანემ თავს ძალა დაატანა და წელში გასწორდა, ღრმად ამოიხენეშა, ტკივილისაგან სახე დაემანჯა.

— ეს რა გვიყავი, პა?—ჰკითხა ბერდოს.

— რაი, იორდანე?

— რა და, რევოლუციაი. ტყვია რომ დაგვახალეს, ხუთი ვეჟაკი რომ დაგმარნეთ. მეტი ვინდა? სოფლის ცოდო გადავს კისერზე, ბერდო! — ბოლო სიტყვები სიძულვილით ჩაიდრინა იორდანემ.

— ცოდო? ასე იყო საჭირო... დღეს დავმარცხდით, ხვალ გავიმარჯვებთ! — ცალი თვალი დააბრიალა ბერდომ, შენ თუ გაქვს ძალა და მიღრენ, მეც მავარი კაცი ვარო.

— სოფელი არივ-დარიე, ვერა გავიგეთ რა, ვინ ხარ და რა გინდოდა.

— ორი თვალი გაქვს და ვერც ერთით ვერ იხედები! — მკვახედ მიუგო ბერდომ.

— შენ ამბობდი, რევოლუცია გვიშველისო; პური გვექნება, მიწებს მოვიზომავენო.

ბერდომ ველარაფერი უთხრა, დაიბნა. არ იცოდა, რა ეთქვა და რით დაემშვიდებინა ეს კაცი. სიკეთე ეწადა, მაგრამ არ გამოუვიდა. რა ქნას ბერდომ? განა სოფლის მტრობით მოუვიდა? განა ამ მარცხისათვის დარაზმა ბეჭები?

იორდანემ ხელი გუდურას დაავლო. ღრმად ამოიხენეშა და გუდურა ხელიდან გაუვარდა. მოხუცი იყო, მაგრამ

არ უნდოდა ბერდოს დავრდომილი სჩვენებოდა, ძალა მოიკრიბა და გუდურა მალხაზი ბიჭივით აიტაცა, მისი წელში ღრენ არ ეყო. მაშინ კი ჩაიკეცა, ფიჩხის კონაზე ჩამოჯდა და თავი სინანულით ვააქნია.

— მოიტა, მე წამოვიღებ! — უთხრა ბერდომ.

— შენი სამადლო რა მჭირს! — ელდა ეცა იორდანეს, უმალ წამოდგა და გუდურას დასწვდა. ახლა კი აპყვა ღოხე, გუდურა ზურგზე მოიგდო და თავი შეიმაგრა. მერე ჩქარი ნაბიჯით წავიდა. საეჭვო იყო, სული თუ მიჰყვებოდა შინ ტყიდან მომავალ ბერიკაცს.

ბერდო იდგა მწარედ ჩაფიქრებული, მერე ღარზე აიჭრა, წყალი თქრიალით გაუშვა ბორბლებისაკენ და შეცბა, როცა მისი საყვარელი წისქვილიც იორდანეს მიუდგა და მისი ნათქვამი გაიმეორა: „დაგვლუბე, დაგვლუბე, დაგვლუბე!“.

ღამით, როგორც ყოველთვის, ტანგაუხდელი იწვა. ძილი არ მიეკარა...

სწორედ ამ დროს შურისგების ცეცხლით აფორიაქებული გოგიტა გოსტაბაშვილი წისქვილს მიადგა: ბერდო უნდა მოეკლა და მისი წისქვილი გადაეწვია. იცოდა, წისქვილში რომ ეძინა. მარტო არ მოსულა. მარტო როგორ მიბედავდა! — თან ოთხი კაცი ახლდა.

უმთვარო ღამე იყო, მაგრამ წისქვილი მაინც ჩანდა. ჩახრიალა ხმაურობდა. რუში ჩხრიალით მიედიებოდა წყალი. ოციოდე ნაბიჯზე რომ მიუახლოვდნენ, ხუთივემ ერთად ესროლა წისქვილის კარსა და კედელს, ფარღალა კედელი დაიხვრიტა და დაიცხრილა. დაფხავებულ ფიტრებსა და მორბეში ტყვიას ზუზუნი გაუდიოდა. წისქვილიდან კი ბაიბური არ ისმოდა.

სროლით რომ გული იჯერეს, მილიციელები წისქვილს მიესივნენ და ცეცხლი წაუციდეს. აღმა უცებ იფეთქა, ტყრიალით მოედო კედლებს. გამხმარ-

თენგიზ გოგოლაძე
კაცი კაცითა

გამოფიტული ფიცრები ერთბაშად აბრიალდა.

გოსტაბაშვილმა რევოლვერი ბუდეში ჩაიღო. ამ ცივსა და გამყინავ ღამეში სითბო ემა. ცეცხლში გახვეულ ბერდოს ვერ ხედავდა, მაგრამ თვალწინ წარმოუდგა, როგორ გამოიწვა იგი თავის წისქვილში. წისქვილი მალე ჩაიფშვანა. წყლით გაქლენთილი ღარები და დოლაბებიდა გადაურჩა ალს.

შემდეგ ცეცხლი გაჰქრა და კვლავ სიბნელემ დაისადგურა.

გოგიტამ ხელი მკერდზე მოისვა და შინისაკენ იბრუნა პირი. ყველაფერი დასწვა და ჩაჰფერფლა — ბერდოც და წისქვილიც, მაგრამ მაინც არ იყო კმაყოფილი. სანამ ცეცხლს ხედავდა, ზეიმობდა. მაინც უკმაყოფილო დარჩა, ბერდოს ტანჯვას საკუთარი თვალით რომ ვერ უტყირა.

— ნამდვილად წისქვილში იყო? — ჰკითხა გზაში მილიციელს, წინასწარ დაზვერვაზე რომ იყო გამოგზავნილი.

— შიგ იყო, ახლა რაღა იქნება!

გოსტაბაშვილმა ერთი მაგრად შეუკურთხა და ნაბიჯს აუჩქარა.

ვაჟას სოფლის ფერშალი მკურნალობდა, მაგრამ უწამლოდ ვერაფერს გახდა და გიგოს ურჩია, ქალაქში წაეყვანა.

ერთ საღამოს გიგომ მეზობლებს ჩამოუტარა: ერთი ხარი შიოსაგან წამოიყვანა, მეორე ტიტეს სთხოვა, ურმისათვის ქვემო უბანში ჭიპრანანათ სოლიკოს მიაღვა, ძველისძველი ჩარდანიც იშოვა. ურემი გამართა — თბილისის გზას რიყრაყზე უნდა დასდგომოდა.

თექმის მხრიდან სროლა შემოესმა. სოფელში ხმა ყრუდ ამოდიოდა.

— დასწყევლოს ღმერთმა! — პირჯვარი ვადაიწერა შეშინებულმა ელენემ, — ეს რა სროლა აუტყდათ ამ შეჩვენებულებს?

— ვიღას ესვრიან? — თითქოს ცოლზეა გულმოსულიო, ისე დაიდრინა გიგომ.

ვაჟა პატარა ოთახში იწვა. სროლის

გავონებაზე შეკრთა და გაირინდა. ტყვილი აწუხებდა და არაფრის თქმა არ შეეძლო. სროლა მიწყდა და სველად მყუდროება გამეფდა.

ნაშუადამევეს, როცა სოფელს ეძინა, ახმახი კაცის ლანდი ქურდულად მიეპარა გიგოს კარმიდამოს, აივანზე შეძვრა და კარზე ფრთხილად დააკაკუნა. ერთ ხანს არავინ გამოხმაურებია, ბოლოს გაისმა გიგოს გაჯავრებული, მოგუდული ხმა:

— ვინ არის?

— მე ვარ.

— ვინ შენ? — ხმა ვერ იცნო გიგომ. წამოდგა, ლამა ანთო და უდროოდ მომდგარ სტუმარს გახედა.

ლამპის მკრთალ შუქზე ღია კარში გამოჩნდა ბერდო, გამურული და შემოფლეთილი ტანსაცმით. მის დანახვაზე ელენემ თავშეკავებით შეჰკივლა. ვაჟას ლამპის ანთებისთანავე გაღვიძებოდა და ახლა საწოლზე წამომჯდარი, შეშინებული უყურებდა ცალთვალს.

— შემოდი! ეს რასა ჰგეგხარ? — შეუძახა გიგომ.

— გადამწვა იმ სულძაღლმა! — სთქვა ბერდომ და მკერდზე ისე ღონივრად დაიკრა მუშტი, ვაჟას ეგონა, გულის ფიცარი ჩაილეწათ. ფრონტიდან წამოღებული შაშხანა მეორე ხელში ეჭირა.

— რა მოხდა? დალაგებით მითხარი, — სთხოვა გიგომ.

— დალაგებული ვარ, რომ დალაგებით ვითხრა? მირჩიე, რა ვქნა, მოვკლა და ისე წავიდე, თუ არ მოვკლა და ისე?

— გოგიტაზე ამბობ?

— სოფელი მეცოდება. მოვკლა — ავაწიოკებენ. არ მოვკლა და... როგორ მოვკლა, კაცო! ჯერ კაციშვილი არ მომიკლავს, მაგას როგორ ვესროლო. არადა, თეთონ არა მზოგავს, მესვრის, მწვავს, კაცო, აი, ნახე! შემომხედე, გიგო, რასა ვგეგვარ. ვგეგვარ კაციშვილსა? — ხელი სახეზე მიისვ-მოისვა, მუერი უფრო ეგლისებოდა და სახეს სხვაგვარად უმახინჯებდა.

— შენ მაგას არ უსვენებ და ეგ შენა, — დაიწყო გიგომ, — ადექ და გაეცალე, ხომ ხედავ, ძალა მაგის ხელშია,

ხომ უყურებ, ბიჭი ლამის მომიკლეს. ვისთან უჩივლებ, სად წახვალ?!

— ამის სისხლსაც ავიღებ. წისქვილი დამიწვა იმ მურდალმა, რა წისქვილი! ჯერ მესროლა და მესროლა, სეტყვისა-ვით დამაყარა ტყვია. კიდევ კარგი, არ მეძინა, გაისროლეს თუ არა, დოლაბის ფრთებთან ჩავხტი, იქ მიწა მეფარებო-და და ტყვია ჩემამდე ვერ აღწევდა. მერე ცეცხლი წაუკიდეს წისქვილს. ღა-რებთან ავბობდლი, იქ სველ მიწას გა-ვეკარ და ჩემი თვალით ვხედავდი, რო-გორ იწვოდა ჩემი წისქვილი. იწვოდა და მეც ვიწვოდი. გოგითა იდგა და ზეი-მოზდა, რომ ჩემს წისქვილში გამომ-ხრუჯა. მაგრამ არა! ბერდო არ დამწვა-რა! ძალიან ვარ გამურული?

— კაცის ფერი არ გადავს, — ჩაი-დუღლუნა გიგომ და ელენესაკენ გაი-ხედა. ქალმა საწოლშივე გადაიკვა კაბა, მერე შიშველი ფეხები ფლოსტებში წაჰყო.

— მოდი, შე უბედურ დღეზე გაჩენი-ლო, პირი დაგაბანინო, — ჩაიბუზღუნა ელენემ და დაფაკურდა, თუნგულა და ტაშტი იქვე დაუდგა ღამის უდროო სტუმარს. წყევლა არ დააკლო. გიგომ თავისი ძველმანები ჩააცვა, დამწვარ-დაფლეთილი სამოსი გამოუცვალა.

— შენისთანები რომ ახდენდნენ რე-ვოლუციას... — ელენეს რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ გაჩუმდა და სიტყვის ნა-ცვლად სტუმარს ქოქოლა მიაყარა.

ბერდო ვაჟს მიაჩერდა, თავზე ხელი გადაუსვა და მრავალმნიშვნელოვნად უთხრა:

— სანამ დავაყვაცდებოდე, კიდევ ბევრ რამეს გაიგებ. ცხოვრება ჯიუტია და შენც ჯიუტად უნდა მოექცე, ქედი არ მოუხარო. ფეხი როგორა გაქვს?

— რა ვიცი, მტკიავ, — ამოისლუკუნა ვაჟამ.

— მორჩები. რა გატირებს?! ვაჟაკი არა ხარ?! — საათს ვახედა, მის თვალ-ში ღამის შუქი აციაგდა.

ბერდოს ერთადერთ სიამედო კაცად მთელს სოფელში გიგო ევლუებოდა და ისიც მისკენ გაეშურა. მართალია, დიდი რჩევა-ღარიგება არ მიუღია, გული

გაიმხნევა, რომ მარტო არ იყო, რომ მეგობარი ჰყავდა და მომავალ დღეებში იმედები წისქვილთან ერთად არ ჩაფრ-ვლილა.

— შენ მირჩევ, ხელი არ ვახლო და გავცეცალო? — ცალი თვალი ჯიქურ გა-უსწორა გიგოს.

— გირჩევ, ბერდო. ასე აჯობებს.

— იმას მკვდარი ვკონივარ. სოფელ-ში არავის დავუნახივარ. ეგ ჩემი ტან-საცმელი დასწვით და ნუ იტყვით, ბერ-დო ცოცხალიაო. ერთ მშვენიერ დღეს, როცა ჩვენთვისაც გათენდება, თავს წამოვადგები გოგიტას და... ახლა კარ-გადა გნახეთ და შეწუხებისთვის ბო-ლიში მომიხდია!

ბერდომ ღამის სიბნელეს მისცა თავი. ხევ-ხევ წავიდა. დამშრალი ხევის რი-ყზე ისე მიალაჯებდა, გეგონებოდათ შარახე მიდისო. სიმხნევე მისცემოდა, თავი უკვდავი ეგონა და მის გულს ში-ში არ ეყარებოდა.

სოფელს ძინა, ყრუს, მუნჯასა და ბნელ სოფელს. მისი მოუსვენარი ცალ-თვალი ბინადარი კი ქალაქის გზას ადგა.

ქალაქს ბინდუბნდი ეპარებოდა, რო-ცა გიგო დაჭრილი ნაშვილევი თბი-ლისს ესტუმრა. ვერის ხიდზე ორი ეტლი წამოეწია: ერთში მოქიფენი ისხდნენ, ძველ ქალაქურ სიმღერებს ამბობდნენ, მეორე კი ცარიელი იყო. მერე ბაზრიდან მომავალ დიდმელ გლე-ხებს შეხვდნენ, ვირებს და ჯორცხე-ნებს რომ მოერეკებოდნენ. ვერაზე გი-გო ძმის ცოლისდის, ტასოს სახლს მი-ადგა. ტასოსთან ბინადრობდნენ მისი შვილი და ძმისწული. შეხედა თუ არა კარზე მომდგარ გიგოს, ქალს მაშინვე აუჩუყდა გული. ქვრივმა ორიოდე მწა-რე კურცხალი გადმოაგნო თავისი დის-წული შალიკოს ვახსენებაზე. გიგომ ბიჭები მოიკითხა.

— რა ვქნა, გენაცვათ, — აწუწუნდა ტასო, — მე აღარ მეპუებთან. უკვე დი-

თენგიზ გოგოლაძე
კაცი კაცითა

დები ვართ და ჩვენს თავს ჩვენვე მივხედავთო. ჩემი არა სჯერათ რა. იმ საცოდავი ბიჭის ხათრი და მორიდება კი ჰქონდათ. გიგო, შენ შემოგველე, ამ ბიჭებს ახლა უნდა კარგი თვალი...

— ურიგოს რამეს სჩადიან?

— არა, ღმერთმა დავეფაროს, ეგ არა მსმენია. მაგრამ აგერ შალიკოს რა დაემართა. ეგენიც არ გაერივნენ, რა ვიცი, ჩემს ჭკუაზე აღარა ვარ. ეს ვი-
ლა, ქაჯანი! — შეიცხადა ტასომ, როცა ჩარდახიან ურემში შეიხედა და იქ უცნობი, შავგვრემანი ყმაწვილი დაინახა.

— ეს ჩემი ნაპოვნი შვილია, — გიგომ შვილობილს მხარზე მოხვია ხელი.

— რა მოსვლია, საცოდავს? — შეწუხდა ქალი.

— სოფელში დამიჭრეს. იქ ვერა ვუშველე რა... ღვთის მადლით, გეცოდინება კარგი დასტაქარი, ამაღამვე უნდა ვაჩვენოთ.

— ფიქრის გორაზე ცხოვრობს ჩინებული ექიმი. მივალ და ვთხოვ. მეძვირე კია.

— გავიყიდები, რა ვქნა! — ამოიხორა გიგომ.

ვაჟა გიორგის ლოგინზე მიაწვინეს და სანამ ტასო ოთახიდან გავიდოდა, გიგომ იქაურობა მოათვალიერა. შალიკოს საწოლი გაეტანათ. კედელზე ჭაბუკის პატარა სურათი ეკიდა.

— შენ შემოგველე, ტასო! ვიჩქაროთ, თორემ გაიტანჯა ბიჭი! — შეევედრა გიგო.

— ახლავე გადავალ, — აჩქარდა ქალი, თავშალი მოიხვია და წავიდა.

გიგომ ხარებს მიხედა, ფუჩენი დაუყარა, ჩარდახიდან ლოგინი გადმოიღო და შინ შეიტანა.

ტასოს ცოტა შეაგვიანდა. უკვე კარგად შეღამებულიყო, როცა იგი

მოვიდა და თან ერთი ხანშიშესული/კაცი მოიყვანა.

— ფერშალი ჰკურნავდა, — დააშთებ-
რა თავისი სათქმელი გიგომ.

— მეტად უფიცი ყოფილა ის თქვენი ფერშალი! — მკვახედ სთქვა ექიმმა, როცა დაჭრილი გასინჯა, — მაპატიეთ, უფრო მეტსაც ვკადრებ. ეს ყმაწვილი კი ცოტა ადრე უნდა ჩამოგვეყვანათ.

— ახლა რა, გვიან არის? — შეკრთა გიგო. ტასოც წამოდგა.

— თქვენ ვინა გგონივართ? — სათვალის ზემოდან მკაცრად გადმოიხედა ექიმმა, მერე ტასოს მიუბრუნდა და მასაც მკვახედ უთხრა: — აუხსენით, გეთაყვა!

— ამის ხელში ყველა მორჩენილა, გიგო, ოქრო ხელი აქვს, — დაიწყო ტასომ.

ექიმი უკვე თავისი საქმიანობით იყო გართული, ვაჟას ჭრილობას უსუფთავებდა, მაგრამ იმის დრო მაინც გამოუნახა, ქალის ნათქვამისათვის ორიოდ სიტყვა დაემატებინა.

— დიახ, დიახ, ეს ასე იქნება, სანამ ცოცხალი ვარ. ბიჭუნას საავადმყოფოში არ დაეწვენთ, შინ ვუმკურნალებთ. ქალბატონმა იცის, რა ჯდება ჩემი და ექთანის სამსახური.

— გმადლობთ, ექიმო! — აღმოხდა გიგოს. იგი ვაგონებული და დაბნეული იყო ექიმის ვაჭრობის გამო. უცქეროდა ამ ცერცეტა კაცს, წამისწამ თავს ნერვიულად რომ აქანებდა, ჭრილობას სათუთად წმენდდა და ტკივილს მალამოთი აყუჩებდა. მერე ფეხი ისე სათუთად შეუხვია, გეგონებოდათ საკუთარ შვილს დაჰკანკალებსო.

— გმადლობთ, ექიმო! — ცკავ დალოცა გიგომ, რადგან ვაჟას მოღლილსა და გაწამებულ თვალეზში პირველად დაინახა შვება.

თავი მეშვიდე

თებერვალში გორი დაინგრა. მიწისძვრამ ჩაფშვნა და დაქცია ციხე და ქალაქი.

გიუნაშვილის თავზარდაცემული ქალიშვილები ქალაქის ნანგრევებს გაექცნენ და სოფელს მიაშურეს. მეტეხის

სადგურში დილის მატარებელს ჩამოჰყვნენ. ეტლში რომ ჩასხდნენ, სული მაშინ მოითქვეს.

ნინო ჩუმად იყო. ძმის სიკვდილის შემდეგ იგი საოცრად გულჩათხრობილი გახდა. ორიოდე სიტყვას თუ იტყვოდა უხალისოდ, მის სევდიან თვალებს მწუხარების ბინდი არ შორდებოდა; გორში განცდილი შიში კიდევ უფრო ბოჭავდა, ჰხუთავდა და გულის უჩვეულო ფრიალს გრძნობდა.

ანაიდას ლაპარაკს არ აცდიდა ქუჩუნა, დას პირში უფარდებოდა და სათქმელს სტაცებდა. დის დინჯი და დალაგებული თხრობა არ აკმაყოფილებდა, უნდოდა მეეტლისათვის სწრაფად, თუნდაც დაულაგებლად ეამბნა გორის საშინელი ნგრევის ამბავი. მეეტლე წამისწამ გაოცებული გადმოხედავდა შაოსან ქალიშვილებს.

— თქვენთვის ულოცნიათ, რომ გადარჩინილხართ.

— ღმერთო ჩემო! — ამოიოხრა ნინომ და თვალეზე ხელი მიიფარა. მას ჯერ კიდევ თვალწინ ედგა დანგრეული ქალაქის სურათი და ის საშინელება, რაც გათენებისას ნახა.

ეტლი ვარიყულაზე ავიდა.

გიუნანთ კარმიდამოში მყოფროება სუფევდა. ანაიდას სოფელი არ უყვარდა. შინ გული არ უდგებოდა. ახლა კი ძალაუნებურად უნდა შეჰგუებოდა, სანამ გორში დაბრუნდებოდნენ. მაგრამ ეს მხოლოდ რამდენიმე თვის მერე იქნებოდა, როცა სანახევროდ დანგრეულ ქალთა სასწავლებელს აღადგენდნენ.

ელენე შინ იყო. გიგო ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო თბილისიდან: შვილობილს თავს ადგა და მკურნალობდა.

ელენეს ეოცა ქალიშვილების ასე შფოთიანი დაბრუნება. მათ დიდი ხნის უნახავივით გადაჰკოცნეს დედინაცვალი. ნინოც ჩაეკრა ძალუას, მასთან ხვეწანში თავისუფალი ვზა მისცა მწუხარების ცრემლს.

— რა მოგივიდათ, ვოგონებო? — გული შეუქანდა ელენეს. ქალი გაბრუნდა და გაოგნდა გერებისა და მაზლიშვილის უცნაური საქციელის გამო. არ

იცოდა, რა ატირებდათ, რად ჰკოცნიდნენ მას ასე ვახელებით. მხოლოდ მამადგა, როცა ყველაფერი გაიგო, ელენემ იგრძნო, როგორ აღელვებდათ ქალიშვილებს გადარჩენის სიხარული. მათ ძლივს დაიმშვიდეს გული მშობლიურ, გამოყრუებულ სახლში. ელენე მუხლებზე ირტყამდა ხელს და ვაებინ განიცდიდა მონაყოლს.

— შვილებო! შვილებო! — ქვედა ყბა უთრთოდა და სხვა ვერაფრის თქმა ვერ მოეხერხებინა. ერთ ხანს ასე აცახცახებული იყო, მერე ღვთისმშობელ მარიამისა და წმინდა გიორგის ხატებს სანთელი დაუნთო და ლოცვას მოჰყვა. ელენე ლოცულობდა, ღმერთს სიკეთესა და მშვიდობას შესთხოვდა.

ანაიდას ღმერთი არ სწამდა. გულგრილად უყურებდა დედინაცვლის ლოცვას, არაფერს ამბობდა, რომ ქალს ხელი არ შეშლოდა. ანაიდას უყვარდა დედინაცვალი და პატივს სცემდა. შეჰყურებდა მუხლებზე დაცემულ ქალს და მისდამი სიბრალულით ევსებოდა გული. „სწამს? დაე სწამდეს!“ ნინო თავდახრილი უსმენდა ლოცვას. ქუჩუნა დედინაცვლის მიბაძვით პირჯვარს იწერდა: ისიც უნებურად რაღაცას ჩურჩულებდა.

მეეტლემ გორის დანგრევის ამბავი მთელ სოფელს მოჰგინა. მეზობლები გორიდან გამოქცეულთა სანახავად მოვიდნენ. ნინო განერიდა მათ. პატარა ოთახში ჩაიკეტა და საწოლზე ტანგაუნდელი მიწვა, მაგრამ თავს იმაგრებდა, რადგან ტირილით გულის ძარღვები ელეოდა და თავს მეტად ცუდად გრძნობდა ხოლმე.

ნინოს ელენემ შეაკითხა. იქვე, სასთუმალთან დაუჯდა და შუბლზე სათუთად გადაუსვა ხელი. ნინოს ეამა აღერსი. ქალის ხელი დაიჭირა და გულში ჩაიკრა. ელენემ ნინოს გულის გამალებული ფეთქვა შეიგრძნო.

— როგორ შეგვინებია, შენ შემო-

თენგიზ ვოგოლაძე
კაცი კაცითა

გველოს ძალო! პირჯვარი გადიწერე და ღმერთს ორიოდე სიტყვა უთხარი, ძარღვები დაგამდება.

ნინოს ნაღვლიანად გაეცინა და ხმა-დაბლა უთხრა:

— ტკბილი ხარ, ძალუაჩემო, ეს უფრო მეამება.

საღამოს მასწავლებელი ბესო ოქრუაშვილი მოვიდა. ხშირი სტუმრობა იცოდა გიგოსთან. ჩამოსხდებოდნენ და ქვეყნის ჭირ-ვარამზე დიდხანს საუბრობდნენ ხოლმე. ოქრუაშვილს ახლა გორის ამბები აინტერესებდა. ვათო-შილსა და მშვიერ-მწყურვალს ეამა გიუნანთ თბილი კერა.

ელენემ მოწიწებით დაუდგა სკამი. ბესომ კისერზე შემოხვეული შალის მოგრძო ნაჭერი შემოიხსნა, იდაყვებში ამოკემსილი პალტო არ გაიხადა.

— მხოლოდ ორიოდე წუთს შეგაწუხებთ, — სთქვა მან, — გორში საშინელი ამბავი მომხდარა.

— დაქცეულა ქალაქი! — ელენემ პირჯვარი გადაიწერა, — ესენი რომ გადაშირჩნენ, დღე და ღამ უნდა ვილოცო. ქალიშვილები სტუმარს შეჰყურებდნენ. სამივეს ებრალებოდა იგი, სოფლის ბაღებისთვის თავდადებული, ცოდნით მდიდარი და ქონებით უღარიბესი.

ეტყობა, ყუყუნას მოსწყენოდა ერთი და იგივეს თხრობა, სათქმელი ამჯერად ანაიდას დაუთმო.

— მაშ, თქვენ კარგა ხანს მოგიწევთ სოფელში ყოფნა, — უთხრა ოქრუაშვილმა, როცა ანაიდა გაჩუმდა.

— დავრჩებით, სანამ სკოლას შეგვეკეთებენ. ეს კი როდის იქნება, ღმერთმა იცის, — მიუგო ყუყუნამ.

— მართალია, სასწავლებელი არ დავიმთავრებიათ, — სთქვა მასწავლებელმა, — მაგრამ იქნებ იფიქროთ, ამ ბნელსა და გაუნათლებელ ხალხში ცოტაოდენი სინათლე მაინც შეიტანოთ? — ამას ამბობდა და ქალიშვილებს თვალს არ აცილებდა. „ცეტია, დაუმჯდარი. გულს არ დაუდებს“, — გაივლო გულში ყუყუნაზე. „შეძლებს კი? გამოცანა!“ — ფიქრობდა ანაიდაზე. სევდიანსა და

გულჩათხრობილ ნინოზე დიდხანს შეაჩერა მზერა და რატომღაც მის მოწყენილ, ღამაშ თვალებში ნდობა გამოიკითხა.

ქალიშვილები დუმდნენ. პასუხს ერთმანეთს უთმობდნენ. ოქრუაშვილმა ეს შეამჩნია და ისევ თვითონ დაიწყო:

— სწორე გიხსრათ, მიძინებდა მარტო ბრძოლა სიბნელეში. თქვენ შეგიძლიათ დამეხმაროთ. ხვალ მოდიო-სკოლაში. თქვენ არ იცით, რამდენი სიკეთის მოტანა შეუძლია მასწავლებელს!

და ახლა თითქოს პირველად დაინახა ნინომ, როგორ წამოენთო თვალები ოქრუაშვილს.

— მე მოვალ. თუ რამე შემეძლე-ბა... — სიტყვა არ დაამთავრა ნინომ.

ოქრუაშვილი სიხარულით ცას ეწია.

მეორე დღეს ქალიშვილები სკოლაში მოვიდნენ. გული მოუკვდათ, ძონქებში გახვეული ერთად შეყრილი ამდენი ბავშვი რომ დაინახეს.

გოლამ საიდანღაც იღლით მოიტანა შეშა და ფიხი. ღუმელი აანთო და იქვე მოიკალათა. აგერ ჭიჭია-ვანაც მოიჩქარის, ზურგზე თავისი მუღმივი თანამგზავრი პაატა ნასყიდაშვილი შემოუსვამს და კვლავ სათუთად ჩაუფუთნია თავის უბეში მისი პაწაწა ფეხები.

— აჩუ! — შეიკუნტრუშა ჭიჭია-ვანამ და სკოლისაკენ გაქანდა. უხაროდა იქ ყოფნა, მრავალ საინტერესო ამბავს ისმენდა, თბილი ღუმელიც გაუტკბა, გოლასთან ერთად ღუმელთან ნებიერობდა.

— შეხედეთ, შეხედეთ! — წამოიძახა ყუყუნამ ჭიჭია-ვანას და პაატას დანახვაზე.

— ფეხზე არ აცვია საცოდავ ბავშვს... ჭიჭიას ყოველ დღე ასე მოჰყავს, — სთქვა მასწავლებელმა და გოლას მიუბრუნდა, — პა, არ ინთება, ბიჭო?

— ნედლი ყოფილა, ეს ოხერი! — წამოიძახა ღუმელთან ჩამუხლულმა გოლამ, — სხვას მოვიტან. სადმე ხმელას მივამტკრევ, გავავერნებ! დასანთებ-ვერ ვიშოვო?

— სად მონახავ, ბიჭო? არ გინდა,

შვილს. როგორმე გავძლებთ, დღეს ისე აღარ ცივა, — უთხრა ოქრუაშვილმა.

— ესეც შენი სკოლა! — ნაღვლიანად გააქნია თავი ყუყუნამ და ჩაფქვრებულ ნიხოს შეხედა. მას არც კი გაუგონია ბიძაშვილის სიტყვა.

ჭიჭია-ვანა ოთახში შემოვიდა, იქ მყოფთ გამარჯობა უთხრა და პაატა ნასყიდაშვილი ზურგიდან ჩამოსვა, მერე გოლას შეუწყრა:

— შეშა ვერ იშოვე? დღეს ხომ შენი ჯერი იყო. იმ დღესა, — მიუბრუნდა ქალიშვილებს, — ახალქალაქში ჩავედი, ესტატეს ისეთი ხმელი ღობე აქვს, რომა... ფიტრები დაეძარე. გამომიდგა ესტატეს შეჩვენებული დედაბერი, წყევლით ამიკლო. ის დამეწეოდა? ბაღლებს შეშა ამოვუტანე და ჩვენიც ვავთბით. ვანა არა, მასწავლებლო? — დაიმოწმა ოქრუაშვილი.

— ქურდობა და სხვისი ღობის მტკრევა, აბა, რა საკადრისია! — არ მოუწონა საქციელი მასწავლებელმა.

ჭიჭია-ვანას ეწყინა, ყბა მოედრია, რალაც გაუგებარი წაიბურტყუნა, წავიდა და ღუმელთან თავისი ადგილი მონახა.

— ეგენიც აქ დადიან? — ჰკითხა ყუყუნამ ოქრუაშვილს.

— ყოველ გაკვეთილზე მესწრებიან. ეტყობა, ჭიჭია-ვანამ ყური მოჰკრა ყუყუნას სიტყვებს, მაშინვე გამოეხმაურა:

— ნუ გაქვს ეგეთი მწარე ენა!

— ვანო! — ოქრუაშვილმა ახლა კი დაეკავებოდა მიმართა, — ყუყუნა დღეიდან ჩვენი მასწავლებელია. მასწავლებელს კი არ უნდა ჰკადრო ასეთი რამ.

გოლამ როგორც იყო გააჩაღა ცუცხელი და გაკვირვებით შემოხედა ყუყუნას. კაცი ვერ გამოიცნობდა, რამ განაცვიფრა იგი. გაკვეთილი დაიწყო. გაკვეთილს ოქრუაშვილი ატარებდა.

— აბა, ფირუზ!

— რა, მასწავლებლო?

— გაკვეთილი გვიამბე, ბიჭო!

ფირუზამ გაკვეთილი არ იცის.

— ტყუილად რაღა სცვეთავ მაგ ქალამანსა, ბიჭო?

ფირუზა ხმას არ იღებს. დგას. ვითორ არ ეყურება მასწავლებლისა.

— აბა, შენ, ტატე!

— რა, მასწავლებლო?

— საზეპირო რომ მოგეცით.

— ისაა? ჰოო! რო არ ვიცი!

— ეპ, შეგირცხვა ყმაწვილკაცობა! თქვენი იმედი როგორ უნდა ჰქონდეს ქვეყანას!

— მე ვიტყვი! — წამოიძახა გოლამ.

— აბა, გოლა, შეარცხვინე ეს დოკლაბები! — წაახალისა ოქრუაშვილმა და ღუმელთან სწრაფად წამომხტარ გოლას შეხედა. ჰაბუკმა უმაღ მისწორ-მისწორა ტანსაცმელი, ჩაახველა და მოჰყვა დაზეპირებულ ლექსს. თან თვლებს ნაბავდა. ერთი სულის მოთქმით ჩაარაკრაკა და ამაყად შეხედა ყველას.

— დაჯექი, გოლა, დაჯექი! ყოჩაღ! — შეაქო ოქრუაშვილმა.

— ვანა მე ვერ ვიტყვი, რა! — იწყინა ჭიჭია-ვანამ.

მაგრამ ვანას ლექსი შეეშალა. ველარ გაიხსენა და ეწყინა. ატირდა.

როცა ქალიშვილები შინ გადავიდნენ, ყუყუნამ სთქვა:

— რა გამოუვა ამ თქვენს ოქრუაშვილს, არ ვიცი.

ანაილამ მხრები აიჩიჩა.

მეორე დღეს ნინო მარტო მოვიდა სკოლაში. ოქრუაშვილს წყენა შეეტყო, ბიძაშვილებიც რომ არ მოჰყვენენ, მაგრამ არაფერი სთქვა. ცოტა ხნის შემდეგ, რაკი დაინახა, რომ ნინო შინ აღარ წავიდა, მიუახლოვდა და უთხრა:

— მე დღეს ლუკმა არ ჩამიდგია პირში, მაგრამ მაინც მოვედი. ეს არავენი იცის და პირველად თქვენ ვიმხელთ.

ნინოს მხრები შეუთრთოლდა, თვალებში ცრემლი მოაწვა, მაგრამ თავი შეიმაგრა.

ნინო ბევრს ეცადა, მაგრამ დები არ აჰყვენენ ბიძაშვილის „ცლუნებას“. ნინომ ბავშვებთან ჰპოვა სულიერი სიმ-

თენგიზ გოგოლაძე
კაცი კაცი

შვიდე. საყვარელი ძმის დაკარგვით გამოწვეულ დარდს მათთან იქარებდა, თითქოს გულს აყოლებდა, შვებას ვრძნობდა.

ერთხელ ოქრუაშვილი სკოლაში არ მივიდა. ნინომ პირველი ორი გაკვეთილი ჩაატარა და ბავშვები შინ გაუშვა. ყველანი წავიდნენ, ჭიჭია-ვანამ და გოლამ კი ფეხი არ მოიცვალეს.

— რატომ არ მოვიდა, ჰა? — იკითხა გოლამ და ნინოს ისე მიაჩერდა, თითქოს პასუხს მისგან ელისო.

— წავალ, შინ მივაკითხავ, — სიტყვა ნინომ და თავზე დაზლი მოიხვია.

ვანა და გოლა თან გაჰყვნენ.

— ავად ვახდებოდა, მოუკვდეს ვანა!

— მოუკვდეს გოლა! — მკერდზე ხელი დაიკრა გოლამ.

ხევისპირას ჩავიდნენ და მასწავლებლის განმარტოებულ ქოხს მიადგნენ. ნინო სოფლის ნაბოლარებს მიუბრუნდა და სთხოვა, ამბავი გაეგოთ.

ჭიჭია-ვანა ქოხში შევიდა.

გოლა მკერდზე ხელს ისვამდა და ამბის ვაგების მოლოდინში ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა.

— შევიდეთ რა? — შეეხვეწა ბიჭი, ნინოს პასუხს არ დაელოდა, ქოხში შეაბოტა. ღია კარის ზღურბლზე ნინომაც ფრთხილად გადადგა ნაბიჯი.

ჭიჭია-ვანა შუა ოთახში იდგა და გაშტერებული მისჩერებოდა ოქრუაშვილს. მიტკალივით გათეთრებული კაცი დაბალ ტახტზე იწვა. ქოხში ციოდა.

ნინო შეკრთა. შიშით მუხლი მოეკვეთა, ძველ კამოდს დაეყრდნო. ენა ვერ დასძრა. სამაგიეროდ გოლამ გამოიჩინა სიმხნევე:

— რა გაგჭირებია, მასწავლებელო?

ოქრუაშვილს თვალები ისე მინავლეობდა, თითქოს მათში სიცოცხლის სხივი ქრებოდა. ვალურჯებულ უბებში მიმქრალი ნალვერდალი ბეჭუტავდა.

— ნინო! — მოიხმო კამოდთან გაშვებული ქალი. და ეს ხმა საკმარისი იყო, რომ ნინოს თვალთაგან ცრემლი წასკდომოდა. ქალიშვილი ოქრუაშვილის საწოლთან მიიჭრა.

— რა დაგემართათ? — ცრემლშერე-

ული ხმით ჰკითხა და ტახტთან ჩაიშენდა.

— ბავშვები არ მიმიტოვოთ, ჩემი შვილები!

ჩურჩულა ოქრუაშვილმა.

ნინოს მისი ნათქვამი არ გაუგონია. მის გონებაში ახლა სხვა სიტყვები ცოცხლდებოდა: „მე დღეს ლუკმა არ ჩამიდგია პირში, მაგრამ აქ მაინც მოვედი“.

ნინო უცებ წამოხტა. სოფლის ნაბოლარებს გადახედა.

— ვერა ხედავთ, შიმშილით დავარდნილა კაცი! — სასოწარკვეთით შესძახა ბიჭებს.

— ნინო, თქვენი ჭირიმეთ! — ამოიგმინა ოქრუაშვილმა და წამოწევა სცადა, მაგრამ ვერ შეძლო და თავი ლოკინზე უძღურად დაუვარდა. ახლა გამხდარი ხელი გამოიწვდინა მისკენ. ხელი მოწყვეტით დაეშვა მიმდნარ საბანზე.

— ვაიმე! — წამოიძახა გოლამ და ჭიჭია-ვანას შეხედა.

— ჰაი დედასა! — გულზე ხელი დაიკრა ჭიჭია-ვანამ და ვაბოროტებული გავარდა კარში. გოლა ძუნძულით აედევნა.

ცოტა ხნის შემდეგ სასობით მოიტანეს ქერნარევი პურის ნატეხი და ავადმყოფს საბანზე დაუდეს.

დიდმა ყინვებმა მტკვარს წყალი მოატრიალა, მდინარეს მხრები შეუვიწროვა.

თბილისში მტკვარი რიყეზე მიყრილი წისქვილების თვლებსაც ვერ ეყოფოდა. ხვიშირებშიც ბევრი არა ეყარა რა, მეწისქვილებს უწყლობის გამო გული რომ დასწყვეტოდათ—არც წყალი იყო და არც საფქვავე.

თებერვლის ერთ საღამოს მეწისქვილე დათებას ბერდო მიადგა. ბინდბუნდი იყო. დასახიჩრებული ცალთვალა კაცის დანახვაზე დათებას ლამაზ გოგოს, ხათუნას, ლამის გული წაუვიდა. რიყეზე მოსული კაცი ნამდვილი ოჩოპინტრე ეგონა. შეჰკვივლა და უკან გადახტა.

— რა იყო, გოგო? კაცი ვარ. რამ შეგაშინა?! — დაუყვავა ბერდომ.

ამ სიტყვების გაგონებაზე ხათუნას გული მიეცა.

— მამაჩემი? ახლავე!

„ეს რა შვილი ჰყოლია!“ — გაიფიქრა ბერდომ. გოგოს ფერი და თვალტანადობა ავხორცად არ მოსწონებია. მოეწონა, რადგან ხათუნას არმოწონებდა არ იქნებოდა. მაშინ კაცმა თვალეზი უნდა დაითხარო და არ უყურო.

დათებას სახლი მტკვრის პირას, წისქვილის გვერდით იდგა. მეწისქვილე პარმალზე გამოვიდა და სტუმარს შეხედა.

— ბერდო, ბიჭო! მაინც არ დამივიწყე, ჰა? — შესძახა მან და ბერდოს მოეხვია.

შინ შევიდნენ. ხათუნა კედელს აპკვროდა. დამფრთხალი შევლივით უმზერდა ცალთვალას.

— მოგნახე, ჩემო დათებ... მომანახინეს შენი თავი. სულძაღლებულმა გოსტაბაშვილმა სოფელში არ დამაყენა, წისქვილი დამიწვა და ტყვიაც მესროლა.

ხათუნა შეაკრთო ბერდოს სიტყვებმა. შეშინებულმა გულზე ხელი მიიღო და ჩუმად რაღაც ჩაიჩურჩულა. ბერდომ ქალიშვილს მიხედა:

— რამ შეგაშინა, გოგო? გოსტაბაშვილის ტყვია ბერდოს რას დააკლებს, ბამბის კურკასავითა! — გაიღიმა და ფარდაგდაგლეჯილ ტახტზე ჩამოჯდა. ტახტი შეირყა.

— მოუსვენარი ხარ და მა რა იქნება! — ჩაიროხროხა დათებამ.

— გლექხაცისთვის თავი დამიდვია, ჩემო დათებ.

— მაშ, შენ ახალი თაობის კაცი ხარ? — დათებამ თვალი დაჰყიტა და გოგოს გადახედა.

— რაც გინდა დაუძახე, მე და მენწვევიები ძაღლი-კატასავითა ვართ და...

დუმილი ჩამოვარდა. იტყობოდა, დათება შეაკრთო იმ ამბავმა, ბერდო რომ ახალი თაობის კაცი ყოფილა. აღარ იცოდა, რა ეთქვა. არადა, დუმილიც უძნელდებოდა.

დათება და ბერდო სიყრმის მეგობრები იყვნენ. ახალქალაქისა და გარეუღლას სერებზე თუ ველ-მინდვენი ერთად უნავარდნაოთ, წისქვილიც ერთად შეიყვარეს. დათებას მამა ძველი მეწისქვილე იყო. სოფელში საკუთარი წისქვილი გაყიდა და თბილისს მიაშურა. ქალაქში უფრო სარფიანად ფეჭავდა. შვილს ერთი დიდბორბალა წისქვილი, ორთვალაიანი პატარა სახლი დაუტოვა და თვითონ მოუსვლელ გზას დაადგა. ახლა დათება ითოვლებოდა ხორბლისა და სიმინდის მტკრით. მაგრამ ამ ბოლო დროს მისი წისქვილიც დადგა.

— მტკვარიც დაშრა და აღარც საფეჭავი მოაქვთ, — უდავლოდ სთქვა ბოლოს დათებამ და დუმილი ამით დაარღვია.

— ქალაქშიაც შიმშილობთ?

— შიმშილობთო?! აი, ნახე რა პურს აცხოვენ. ვერც მე ვჭამ და ამ ბაღს როგორღა ვაჭამო! კიდევ კარგი, ცოტა რამ შემომრჩა. შინ ვაცხობ.

— ეს პური კი მართლა ტალახივითაა. კაცს მოკლავსო. ვითომ მომკლავს? პურმა როგორ უნდა მომკლას, კაცო, რას ამბობ? — დამშეულმა ბერდომ შავ პურს ლუკმა მოატეხა და მადიანად გაღეჭა. თვალი სიამით აუციმციმდა, — რას ერჩი ამას, კაცო!

— პურის ყადრი მაინც არ იცოდევ, ბერდო! რას ამბობ? — დათება შვილს მიუბრუნდა, — ხათუნა, შვილო, მწნილიც მოართვი სტუმარსა. ბერდო, აქეთ ჩამოჯექ, არაყიც მეგულემა, — დათებამ განჯინაში მოაფათურა ხელი.

— შენ აგაშენებს ღმერთი! ორი დღეა არა მიჭამია რა, — ბერდომ კიდევ ჩაჰკბინა პური, — რას ერჩით, კაცო. ეს თუ იშოვნება ქალაქში?

— მთელი ღამე რიგში დგანან, — დათება ღრმად შეძვრა განჯინაში.

ხათუნამ ქილიდან კომპოსტოს მწნილი ამოიღო. მადისმომგვრელად დატრიალდა ოთახში მწნილის სურნელი. დათებამ არაყს მიაგნო, შეანჯღრია,

თენგიზ გოგოლაძე
კაცი კაცითა

ჯაჭვი გაუსინჯა, შეაქო და მაგიდაზე დადგა. ბერდოს მიპატიჟება არ დასჭირვებია, მწნილს გადასწვდა, ღრაჭუნით გაღლეჭა და ცალი თვალი სიამით გაუბრწყინდა. მასპინძელი ერთხელ კიდევ გულიანად დალოცა.

ხათუნა ტახტზე ჩამოჯდა. ზარავდა უცნობი მამაკაცის ნაჭრილობევი სახე, ცალი თვალის ღრმა და ბნელი უბე.

— ქვეყანა აირია, — ამოიხენენა დათებამ. სტუმართან საუბარი ეწადა, თანაც უნდოდა გაეგო, რა გააკეთა ბერდომ, გოგიტა გოსტაბაშვილმა რისთვის დაუწვია წისქვილი და ტყვია რატომღა ესროლა.

— როდისღა იყო დალაგებული! — მოუჭრა ბერდომ.

— ახლა მაინც სხვა არი, ბიჭო.

— მალე აღარ იქნება.

— გჯერა, რომ ცხოვრება გამოცვლება?

— მჯერა? მაშ, რა უნდა მჯეროდეს? ცოცხალ ადამიანს სხვა რა უნდა გწამდეს? ხვალის იმედი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა! — ბერდომ არაყი გადაჰკრა.

— ე მტკვარი კი დაშრა და! — აწოიხრა დათებამ და წყლის ჩხრიალს ყური მიუგდო.

ბერდომ ირიბად გახედა.

— ზოგი იბრძვის, ხალხისთვის სისხლსა ღვრის! ზოგს არა სწამს რა. ქვეყანა ჭრელია. შენ რა გწამს, ჩემო დათებ? — ცალი თვალი ჯიქურ გაუსწორა ბერდომ მეგობარს.

— მე ისა მწამს, რომა... ამ ჩემი წისქვილის წინ ურმები იყოს ჩამწკრივებული, სულ კროლა ხორბლათ დატვირთული; მერე ისა მწამს, რომ მტკვარში ბევრი წყალი დიდდეს; ჩემი გოგო გამიზარდოს და ერთი კარგი სიძე-ბიჭიც გვარგუნოს ღმერთმა.

— მამაჩემო! — წამოძახა ყურებამდე გაწითლებულმა გოგონამ და თავი დახარა.

— სხვა არაფერი? — ჰკითხა ბერდომ.

— როგორ არა, მერე შვილიშვილებიცა.

— დაასხი არაყი! — ხმაში ბზარი გამოერია ბერდოს, — მაშ, იჯექი და ელოდე, როდის მოგადგება კროლა ბლით დატვირთული ურმები. სანამ მენწვეიკები ბატონობენ, ეგ არ იქნება, ჩემო დათებ, არც მტკვარს შეემატება წყალი! ჰო! — ჰიქას ხელი მოუჭირა და პირთან ისე მიიტანა, — ეს ჩვენს საქმეს გაუმარჯოს! — სთქვა და გადაჰკრა.

— აბა, სხვა რა უნდა იფიქროს და ინატროს უცოდინარმა მეწისქვილემ? შენ ქვეყანა შემოგივლია, ჩემო ბერდო, გავიხედ-გამოვიხედნი, რაღაც ვისწავლია. რაო, რუსეთში რომ რევოლუცია მოხდა, ბევრი პური აქვთო? იქაც შიმშილობააო, ამბობენ. რევოლუციამაც რომ ვერ უშველა?

— შენ ვინ გითხრა ეგენი?

— თქვეს. ხალხი მიღა-მოდის.

— არა აქედ და ექნებათ!

ცოტა ხანს დემილი ჩამოვარდა. ბერდომ არაყს მწნილი მიაცოლა. არაყმა შეათბო.

— რაო, გოსტაბაშვილმა რად გესროლა? — დათებამ მეგობარს სახეზე შეავლო თვალი, შეებრაღა: „შე საცოდავო, რასა ჰგვხარ! წინათ რა ვაჟკაცი იყავი! აფსუს, ბერდო!“

— გადამეკიდა და გადავეკიდე. იმის მთავრობა არ მომწონს. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს დავრაზმე ბიჭები, ახალქალაქ-გარეყულადან გავრეკე მტრები, ყველანი არა, მაგრამ მთავარი ვინც იყო. შევცდი, კი არ უნდა გამერეკა, იქვე უნდა დამეხოცა!

ხათუნამ შეჰკვივლა და კედელს აეკრა. უცებ წარმოუდგა ბერდო კაცის მკვლელი, ყაჩაღი... „იქნებ ჩვენც დავგხოცოს? — ათრთოლდა გოგონა, — მამი, მეტს ნუ დალავეინებ. ვაიმე, რა გვეშველება!“

ბერდომ ხათუნას შეხედა, თითქოს ფიქრს მიუხვდაო, დაამშვიდა.

— ეე, მე რის მკვლელი ვარ, შვილო! უძლური და ლაჩარი გამოვდექი.

ხათუნა ცოტა დამშვიდდა, შეებრაღა კიდევ ეს მახინჯი ცალთვალა კაცი, მთელი მათლაფა მწნილი ხრაშუნით რომ ჩანთქა. ახლა მათლაფაში ჩარჩე-

ნილ წვენში პურს აწებდა და ისე სჭამდა. ხათუნამ მწილი კიდევ მოიტანა.

— ახლა ცოტა ხნით ქალაქში უნდა დავიმალო, ჩემო დათებ. სადმე ბინას შევიგულებ და...

— საშიში კაცი ხარ, ჩემო ბერდო... ე ბალლი რო არა მყავდეს, მაშინ სხვა არი, მაგრამ ხომ იცი, ხალხს იჭერენ და...

— უწინ უფრო ვაქაკი იყავი! — უთხრა ბერდომ, — დაასხი, ერთიც უნდა დავლიო!

„ქვეყანამოვლილ კაცს“ მაინცაღამაინც არ აკვირებდა არც მორახრახე ვიწროლიანდაგიანი ტრამვაი, არც ურიცხვი ეტლები და არც აქაი-გამოჩენილი საზღვარგარეთული მარკის ავტოეტლები. სოფლიდან გამოქცეული ბერდო ქალაქს შეეხიზნა. სამოსი გამოიცვალა. ამოგდებული თვალის უბეზე შავი ნაჭერი აიფარა და რუსთაველის პროსპექტზე თავისუფლად გააბოტა. ცალი თვალით აკვირდებოდა ქუჩის სიგრძე-სიგანეს. უცებ უცხოდ ჩაცმული ოფიცრები დაინახა. ისინი ქალს წინ გადადგომოდნენ და თავიანთ ენაზე რაღაცას ეუბნებოდნენ, თან ურცხვად უღიმოდნენ. გაფითრებულმა ქალმა აღარ იცოდა, რა ექნა.

ცალთვალა მათ შორის უცებ ჩადგა და სურათიც შეიცვალა. ქალი გაიქცა და ვიწრო ქუჩით აღმართი აირბინა. ოფიცრები გაშორდნენ ბერდოს და ერთ ხანს შორიდან უქქეროდნენ. ბერდოს ცალი თვალი მუშტისოდენა გახდომოდა. როგორ იკავებდა თავს! იღვა და გული ამოვარდნაზე ჰქონდა. ოფიცრებს, ეტყობა, აკვირებდათ ბერდოს ტანადობა და სიმახინჯე. თავიანთ ენაზე რაღაც სთქვეს და გზა განაგრძეს.

ბერდომ თვალი მიმავალთ დაუმიზნა და მტრობის ცეცხლი გააყოლა. მერე პირველივე შემხედლური გიმნაზიელი გააჩერა და ჰკითხა:

— ანგლია ეგ არი?

— ეგ გახლავთ! — გაიღიმა ყმაწვილკაცმა და მიმავალ ოფიცრებს გახედა.

— ჰო, კარგი, წადი!

ყმაწვილი რომ გამოვარდა, ბერდომ ისე დინჯად ჩაიარა რუსთაველის პროსპექტზე, გეგონებოდათ, ამ ქვეყნის ბატონ-პატრონიაო, ცალ თვალში ქვეყანა ეტეოდა. ოპერის თეატრთან გიგო გიუნაშვილის ძმისწულიც კი შეამჩნია. ვალიკო ტოლ-სწორებში იღვა. გიმნაზიელი ახალგაზრდები რაღაცაზე გაცხარებით კამათობდნენ. ბერდო მიუახლოვდა. ჭაბუკებმა პაექრობა შეწყვიტეს.

— ჩვენი ბერდო მეწისქვილე! — შესძახა ვალიკომ და მაშინვე მისკენ წამოვიდა.

ბერდომ ხელი ჩამოართვა.

— ძალიან კი ბჭობდით, ჰა! — გაიღიმა ბერდომ.

— პოეზიაზე და ხელოვნებაზე ვკამათობდით, ძია ბერდო.

ბერდოს უღვაშებში ჩაეცინა, არაფერი სთქვა. ეს ღამილი ვალიკომ მაშინვე დაიჭირა და არ ეჭაშნიკა.

— ჩემს ამხანაგებს გაგაცნობ, ძია ბერდო.

— მოიყვა!

ვალიკომ მეგობრები მოიხმო. მათ სათითაოდ ჩამოართვეს ხელი სოფლელ კაცს.

ბერდომ ცალ-ცალკე შეათვალა იერა ჭაბუკები.

— კარგი ბიჭები ხართ!

— ჰო, არა გვიშავს რა! — სთქვა ერთმა და მეგობრებს თვალის ჩაუკრა, თან გაიღიმა. მაგრამ სოფლელმა წარბი რომ შეჰკრა, იმ ბიჭმა ენა მუცელში ჩაიგდო.

— კარგი ბიჭები ხართ! — გაიმეორა ბერდომ და უღვაშებზე ხელი გადაისვა, — ერთმანეთს ლეჩხების გულისთვინ ეძიებოდავებით და თქვენ დასანიშნ გოგოებს ანგლიიდან ჩამოთრეულები ებღლაძუნებთან.

თენგიზ გოგოლაძე

კაცი კაცითა

ბიჭები ჩუმად იყვნენ. ვალიკომ შე-
ბედა:

— მერედა, ჩვენ რა ვქნათ? ჩემი ძმა
მაგან შეიწირა. პოეზიაზე საუბარს კი
მამაზეციერიც ვერ დაგვიშლის. სხვა
ყველაფერი წარმავალია. ეს კი მარა-
დიული. არ სჯობს მარადიულზე ვიფიქ-
როთ?

— ჰო, რა გიჭირთ, რა! ლექსები
სწერეთ და ერთმანეთს ეჩხუბეთ. გიგო
აქ არის? — უცებ ბანზე აუგდომ სი-
ტყვა ბერდომ.

— აქ არის, — მიუგო ვალიკომ, —
ხვალ-ზეგ სოფელში დაბრუნდება.

— წამიყვა ბიძაშენთან. გიგო ვაჟაკი
კაცია. იმასთან ლაპარაკი მომწყურდა.

ბერდო არც კი გამომშვიდობებია
ყმაწვილებს, ისე გაშორდა მათ და თან
ვალიკო გაიყოლა.

გიმნაზიელები ერთ ხანს ჩუმად იდ-
გნენ და უყურებდნენ ბერდოს, მერე
ერთმა სთქვა:

— დმერთმანი, ღირს მაგ კაცზე ლექ-
სის დაწერა. „ცალთვალა მეწისქვილე
რუსთავლის პროსპექტზე“. ბრწყინვალე
ლექსი იქნება.

— შენ ხუმრობ და ეს მართლა სა-
ყურადღებოა, ყმაწვილო! — გამოეხმა-
ურა მეორე.

ყველამ მოუწონა ჩანაფიქრი. თვალი
მიაკოლეს მიმავალთ, ვიდრე ისინი კა-
დეტთა კორპუსის შენობასთან თვალს
არ მიეფარნენ.

— კაცი გაგიყდება ქალაქში! — დაი-
წყო ბერდომ.

— არ ვგვიღებთ. ყველაფერმა შეჩ-
ვევა იცის, — უპასუხა ვალიკომ.

— მე ვერ შევეჩვევი! — მკვახელ მო-
უჭრა ბერდომ და ისე შეიშმუნა, თით-
ქოს ახლაც, ამ წუთშიც აწუხებდა ქა-
ლაქი, ჰკბენდა, ჩხვლეტდა და წიწკნიდა.

— აქ რას აკეთებთ, ძია ბერდო?
თქვენთვის სოფელში წისქვილი და-
უწყიათ, ბიძაჩემმა მითხრა.

— სხვა, კიდევ რაო? — შეჩერდა
ბერდო.

— სხვა არაფერი.

— ჰოდა, კარგი. აქაც წისქვილში
ვარ, რიყეზე... წყალი ბლომად მოდის,

საფქვავე კი არ არი. ერთი მეწისქვილე
მეგობარი მყავს, იმასთანა ვარ. უნდა
მალე ვავეცალო, სხვაგან გადავიდე.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ქვეყანას დიდი ყუ-
რი აქვს და იდეისთვის თავდადებულ
კაცს ყველაფერს ნუ მათქმევინებ.

— ეგ კი საინტერესოა, ძია ბერდო.

— რა არის საინტერესო?

— იდეა.

— საინტერესო როა, იმისთვის და-
მიღვია თავი. შენ რაღასა ჰფიქრობ? რას
აკეთებ?

— მე ლექსებსა ვწერ და ვხატავ.

— ჰო, ეგეც კარგი საქმეა. ჩვენებუ-
რი, ვაჟაკური ლექსები უნდა დაწერო,
ისეთი, ხალხს გულში რომ მოხვდეს.
ლექსი ისეთი უნდა იყოს, მაშინვე დაი-
მღერო, სული გაგინათლოს და გაგახა-
ლისოს.

— ვცდილობ რამე გამოვიდეს. ვნა-
ხოთ.

საუბრით მივიდნენ ვერამდე.

თებერვლის მიწურულის ბინდი იყო.
ქარმა დაქროლა. ფიქრისგორის ქონძე-
ხებმა სოფელი გაახსენა ბერდოს. ქარმა
მთებში ნაღები თოვლის სუსხი ჩამო-
იტანა. ცაზე შავი ღრუბლები შემოიგ-
რავნა და ბინდი ბნელმა შეცვალა.

ბერდო გიგოს ესტუმრა. ვალიკო მა-
ლე გაბრუნდა უკან, მეგობრებთან.

ვაჟას გაეხარდა ბერდოს დანახვა.
ქალაქში შედარებით ლაზითიანად გამო-
წყობილიყო, მაგრამ სახე, ის მახინჯი
სახე, ისევ საზარელი ჰქონდა.

— როგორა ხარ, ბიჭო? — მხრებში
მოჰკიდა ხელი და შეანჯღრია ბერ-
დომ, — დაგჭრეს, ჰა? ფეხი როგორა
გაქვს?

— უკეთა ვარ. ხვალ-ზეგ სოფელში
დავბრუნდებით, — უპასუხა ვაჟამ.

გიგო წუხდა, სახლ-კარი ქალების
ანაბარა მივატოვეო. ჩქარობდა, სოფ-
ლის გზას დადგომოდა.

— გოსტაბაშვილი პირზე კოცნით
მომიკითხე, — დაუბარა ბერდომ ვაჟას
და მაშინვე დაუმატა, — არაფერი დაგ-
ცდეთ ჩემზე.

— მაშ, ასე თავისუფლად დადისარ

ქალაქში? ჩვენთან ვინმე ვნახავს და ამბავს მაშინვე წაუღებს გოსტაბაშვილს, — უთხრა გიგომ.

ბერდომ ჩაიცინა.

— აქაც მამწვდება? ჩვენთან, აბა, ვინ დადის ქალაქში!

— ვინ და, ესტატე ხშირად დაეთრევა. დაგავიწყდა? ქალაქსაც არ იკლებს! — ბრაზით დაუმატა გიგომ, — ესეც არ იყოს, ქართველიშვილები ხომ აქ არიან. ვერაზე ცხოვრობენ.

ბერდომ მკერდზე დაიკრა ხელი:

— სუსტი ვარ, სუსტი, ჩემო გიგომ! ეგ კი აღარ გამხსენებია. მაგრამ, ქართველიშვილებს ხომ არაფერი შეეძლებოდათ თვი. მოურავი გაუფგდე, სახლ-კარისათვის კი ხელი არ მიხლია.

— ერიდე, გირჩევე. სიფრთხილეს თავი არ ასტიყვა. ეშმაკს მიაფურთხე და თავი შეინახე!

ბერდო ვაჟას მიაჩერდა. ვაჟა გაბედულად უმხერდა. თითქოს ნაწვიმარზე ამოსული ჯეჯილიაო, ჭრილობის მორჩენის შემდეგ ისე გალღებულყო.

თავი მერვე

ბერდოს ძალიან გაუჭირდა მიეგნო ისეთი კაცისთვის, ვისაც ფიქრს გაუზიარებდა და რჩევა-დარიგებას ჰკითხავდა.

რიყის გამოყრუებულ წისქვილში გული გაუსივდა. ერთი კვირა გავიდა, რაც იქ იმალებოდა და ეს თვალისდახამხამება დრო წელიწადად გადაექცა.

მარტის ქარიან საღამოს, როცა ბებერი ზამთარი კარზე მომდგარ ჯანთან გაზაფხულს ეჭიდებოდა და შინ არ უშვებდა, მეწისქვილე დათებას კარს მიადგა ახალქალაქიდან ჩამოხეტებული სტუმარი — წენგუანთ ზაქარას ბიჭი, ნიკალა. ქალაქში რაღაც საქმეზე გამოეგზავნათ და რიყეზე თანასოფელის სანახავად მოვიდა.

დათება და ბერდო წისქვილში იყვნენ, წყალიდობის მოლოდინში წისქვილს მართავდნენ.

ხათუნა შინ მარტო დახვდა უცნობ ბიჭს. წისქვილში გადაირბინა და მამას ნიკალას მოსვლა აუწყა. ნიკალაც ფეხდაფეხ მოჰყოლოდა გოგოს და აი, კართან იღრიჭებოდა. მაგრამ როცა ბერდო წელში გაიმართა და მოსულს შეხედა, ბიჭს ფერიფური ეცვალა და ლამის იქვე ჩაიკეცა.

— რა მოგივიდა, ბიჭო? — სალამის მაგივრად შეაგება დათებამ და სტუმრისაკენ წავიდა.

— დმერთო, შენი სახელის ჭირიმე! — ამოილულულა ნიკალამ და პირჯვარი

გადაიწერა, — ძია დათებ, ეს ჩვენი ბერდო არ არის?

ბერდომ რამდენიმე ნაბიჯი წინ წადა და დაიბუხუნა:

— გეშლები, ნიკალ!

— ისა ხარ, ისა! მაშ, საიდან იცი ჩემი სახელი? — ამოილულულა შეშინებულმა ნიკალამ.

— ისა ვარ და ჩუმად იქნები! სოფელში არ წამოგცდეს! — შეუღრინა ბერდომ და ბიჭს მიუახლოვდა, — ქალაქში რად ჩამოხვედი?

— საყიდლებზე გამომგზავნეს, ბერდო. გოგიტამ — დავწვი და დავხვრიტეო, შენ კი...

— დამწვა, დამხვრიტა, მაგრამ ბერდო არ დაიწვება. იმისი ტყვია ტყვია ხომ არ არი! ბამბის კურკას ისვრის ის თქვენი გოგიტა!

— იი! — პირი დაადო ნიკალამ.

სადგურიდან სირბილით აიჭრა ახალქალაქში. ერთი სული ჰქონდა, დანახული და განცდილი თავისიანებისთვის, მხოლოდ და მხოლოდ თავისიანებისთვის ეთქვა. მთელმა სოფელმა ნახა დამწვარი წისქვილი. იქიდან კაცი თუ ცოცხალი გამოვიდოდა, ამას ვინ წარმოიდგენდა. და აი, საღსალამათი ბერ-

თენგიზ გოგოლაძე

კაცი კაცი



დო ქალაქის წისქვილშია და კვლავ დო-
ლაბებს დასტრიალებს. ამაზე საკვირ-
ველს რას ეტყვის ნიკალა მამასა და
და-ძმებს? შინ მიიჭრა. შინაურებს თა-
ვი მოუყარა და ყველაფერი უამბო. მა-
მამ არ დაუჯერა, მოგეჩვენებოდაო.

— მომეჩვენებოდა კი არა, ის იყო,
დედის სული ნუ წამიწყდება! ბერდო
იყო. ვიცანი. თვითონაც მითხრა, ბერ-
დო ვარო.

და-ძმები პირდაღებულნი შეჰყურებ-
დნენ. უმცროსი გოგო შიშით თრთოდა
და უფროსს დას ეკვროდა.

— ნეტა ის დღე დაქცეულიყო, შენ
რომ ქალაქში გაგზავნენ! — უთხრა მე-
ორე დღეს ზაქარამ თავის შვილს.

— რათა, მამი?

— ავ საქმეს შეეყარე.

ნიკალას ეს ამბავი თანატოლებშიც
წამოსცდა. ამბავმა ფეხი აიდგა და ერთ
დღეს გოსტაბაშვილმა წენგუიანთ ზა-
ქარას დაბალ ღობეს გადააღაჯა.

ზაქარა გამოეგება.

— სად არის შენი ბიჭი?

ცუდად ენიშნა ზაქარას ერობის საბ-
ჭოს თავმჯდომარის მკვახე სიტყვა. ქუ-
დი ხელში მოსრისა, სახლისკენ შეტრი-
აღდა და შემკრთალი ხმით გასძახა:

— ნიკალა, ბიჭო!

ნიკალა გომურთან გამოვარდა, გოს-
ტაბაშვილის დანახვაზე გაშეშდა.

— წამამყე! — უბრძანა გოგიტამ და
მაშინვე პირი იბრუნა.

სოფლის თავკაცი წინ მიდიოდა, უკან
ნიკალა და ზაქარია მისდევდნენ. ნიკა-
ლა ტანადი და ჩასკვნილი ბიჭი იყო, ზა-
ქარა კი ჯანგატეხილი მოხუცი.

მამა და შვილი ერობის შენობასთან
შედგნენ. გოსტაბაშვილი აივანზე ავი-
და და მოიხედა. ნიკალა იხმო, ზაქარას
შეუტია, შინ წაეთრიო.

— შენი სახელის ჭირიმე! — შეღმუე-
ლა ზაქარამ და მუხლი მოიყარა.

მაგრამ გოგიტა ყურს აღარ უგდებ-
და, კანცელარიაში შევიდა და თავის
მაგიდას მიუჯდა. ნიკალა შორაახლო
გაჩერდა, გოსტაბაშვილის თვალების

ცეცხლს ვეღარ გაუძლო და თოვი და-
ხარა.

— ხომ არ მოგელანდა? — ზოგჯერ
გოგიტამ.

— არა მესმის რა, შენი ჭირიმე! —
შებუდა ნიკალამ.

— ბერდოს სული იქნებოდა...

— სული იყო, ნამდვილად სული! —
მოცოცხლდა ნიკალა.

— ცალი თვალი ჰქონდა?

— დიახ, შენი ჭირიმე ცალი თვალი
ჰქონდა.

— ნაძირალავ!

— რათა, შენი ჭირიმე?

— რალაცას იგონებ და ხალხს მარ-
თალი უნდა ეგონოს.

— ვიგონებ? ი! როდი ვიგონებ.

— მაშ, მართალია, ჰა?

ნიკალა შეერთა და უკან დაიხია. შე-
შინდა, ეს რა წამოვროშეო.

გოსტაბაშვილი მტკვრის აღმა წასე-
ლას უფრო დაიჯერებდა, ვიდრე ბერ-
დოს მკვდრეთით აღდგომას. ეჭვი შე-
ეპარა მილიციელზე, მაგრამ როცა გა-
მოუძახა, მილიციელმა ფიცით ცოლ-
შვილი გაიწყვიტა, კარგად დავზვერე,
წისქვილისათვის თვალი არ მომიშორე-
ბია, ბერდო ნამდვილად შევიდა და
იქიდან აღარც გამოსულაო. მაშ, რა
ჯანდაბა გადაარჩენდა? სტყუის ეს
ოხერტიალი ნიკალა!

გოსტაბაშვილმა ნიკალას პანდური
ამოჰკრა და გააგდო. გააგდო, მაგრამ
ვეღარ მოისვენა. თთახში ბოლთას სცემ-
და. ბერბიჭა გაშტერებული შეჰყურებ-
და, თვალს არ აშორებდა და ყოველ
წამს მის ყვირილს ელოდა.

... მთელი ღამე წრიალებდა გოგიტა.
სახლის კარი მაგრად ჰქონდა ჩაყეტი-
ლი, მაგრამ მაინც ელანდებოდა ფან-
ჯრიდან გადმომძვრალი ცალთვალი.
აქამდე მშვიდად მძინარეს, ძილი გაუ-
ფრთხა. გოგიტამ თავზე საბანი წაი-
ფარა. ახლა უფრო გაჰკვდა ზმანებამ,
სული შეეხუთა და ლოგინზე წამოჯდა.
ასევე იჯდა ამ რამდენიმე ხნის წინა-
თაც, როცა სხვენიდან ჩამოსული ბერ-
დო თავს წაადგა.

ღამე ტანჯვით გაატარა. დილით ში-

ნაურებისათვის ბუხარი არ დაუნთია, კანცელარიაში მივიდა და ქოსას უბრძანა, წეგუანთ ზაქარას ნიკალა ახლავე აქ მომიყვანეო.

ნიკალაც თვალების ფშვნეტით მოვიდა.

— მართლა ნახე, ბიჭო?

ნიკალამ თვალეზი კიდევ ამოიწმინდა. თმა გასჩეჩოდა. ტანსაცმელი ისე ურთიგოდ ეცვა, გეგონებათ, ზედ დაუყრიათო.

ოთახის კუთხეში კოკა იდგა. გოგითამ ხელი წამოავლო და ნახევრად მძინარე ნიკალას სახეში ცივი წყალი შეასხა.

— გძინავს, შე ოხერტილო?! — შეუძახა მრისხანედ, — სული იყო თუ ბერდო იყო ნამდვილად?

— სული, შენი ჭირიმე! ყველაფერი იყო! ბერდო ვარო, ისიც მითხრა, — სთქვა და ბავშვივით აზღუქუნდა.

გოგრტა გოსტაბაშვილმა ფეხი დაჰკრა და თბილისში თავისი პარტიის თავკაცებს ეახლა: ბერდოს „სული“ სანახავად ჯერ ჯაშუში გაგზავნეს რაყეზე. ჯაშუშმა საფეხავი დროგით მიუტანა დათებას. მეწისქვილე ცას ეწია. სიმინდი ხვიმირში გადაუშვა და თავად მეფორნეს დაუჯდა სამასლაათოდ. წისქვილში ბერდო შემოვიდა. უცნობმა აათვალერ-ჩაათვალერა, თავაზიანად მიესალმა და ბერდოც საუბარში ჩააბა. ჯაშუში კმაყოფილი იყო. განგებ მოჰყვა მენშევიკური მთავრობის გინებას, არ ინდობდა ნოე ყორღანის, რამიშვილს. რამდენიმე ანეგდოტიც სთქვა მათზე, განგებ იხითხითა, მაგრამ მეწისქვილეები მის ანკესს არ წამოეგნენ. ორივე ფრთხილობდა და პროვოკატორს არ აჰყენენ.

ბერდო ბოლომდე მაინც ვერ მიუტყდა, ვინ უნდა ყოფილიყო ეს „მხიარული“ მედროგე, არ მოსწონდა მისი

ლაქლაქი, მის გულს დოლაბის სმალო უფრო ალხენდა. წყალდობა დაწვენი ბულიყო, მტკვარი ღონიერად ანთუნებდა წისქვილის თვლებს. გობში ჩაყრილი ცხელი ფქვილის ნანატრი სუნიც დაღდა.

იმავ საღამოს ბერდო დაიჭირეს. ბორკილებდადებული მეწისქვილე პირისპირ შეხვდა გოსტაბაშვილს. ახალქალაქელი თავკაცი გაკვირვებული უყურებდა და კიდევ არა სჯეროდა, ეს თუ მართლა ბერდო იყო. კარგა ხანს ათვალეირა.

— ეგრე რას მომჩერებხარ, გოგიტავ?

— მიკვირს, იმ ცეცხლიდან როგორ გამოხვევ! — შეუღრინა გოგიტამ.

— ბერდოს ვერ მოჰკლავ, ვერა! ჩემმა ნათლამ უკვდავება დამანათლა, — ნაძალადევად ჩაიციხა ბერდომ.

— ციხეში ჩაგალბობ!

ბერდოს კიდევ ჩაეცინა.

— მაინც, საიდან გაიგე? ნიკალა მოგიტანდა ამბავს.

— სწორედ ის იყო, — არ დაჰფიცა გოსტაბაშვილმა, — ასე გყიდიან. შენ კი ვითომ იმათთვის იბრძვი.

ბერდომ ბორკილი ააჩხარუნა. ხელგებგაყვებულმა ქვედა ტუჩზე მწარედ იკბინა.

— წაიყვანეთ! — გასცა ბადრაგთა მეთაურმა განკარგულება.

ბადრაგებმა თოფის კონდახი უთავაზეს ბერდოს, იარეო. ხუნდების ჩხარუნით მძიმედ დაიძრა მეტეხის ციხისკენ.

ციხის გაღავანს რომ მიატანეს, ავლაბრელმა ბიჭებმა დაიძახეს:

— არსენა მოჰყავთ, არსენა!

ბერდომ მწყურალად გაჰხედა ლაზღანდარა ყმაწვილებს, არსენა არა, ისაო, გულში სთქვა და კიდევ შევიდა ციხის ჭიშკარში.

თენგიზ გოგოლაძე

კაიი კაცითა



მონხროზა

მერლოვ ჰოლმსი რამდენიმე საათს ისე იყო გაყურსული, სიტყვა არ დასცდენია. იგი თავდახრილი დასცქეროდა მინის სინჯარას, რომელშიაც საოცრად მყრალი რალაც იხარშებოდა. თავიც იმგვარად გადაეხარა გვერდზე, რომ შეეჭოჩრიან, შიმშილისაგან გალეულ, რუხფრთიან ფრინველს მიაგავდა.

— უოტსონ, — მითხრა ანაზღად, — თქვენ აღარ აპირებთ სამხრეთაფრიკულ ფასიან ქალაქებში თქვენი დანაზოგის დაბანდებსა?

გაკვირვებისაგან შეეკრთი. მართალია, უკვე ვიცოდი, რომ მას მიხვედრილობის არაჩვეულებრივი ნიჭი და უნარი ჰქონდა, მაგრამ ეს მოულოდნელი შეჭრა ჩემს ფიქრთა სამყაროში სრულიად ამოუხსნელი შეჩვენა.

— ეს საიდანა გაიგეთ? — ვკითხე მე.

მბრუნავ სკამზე მჯდომი ჰოლმსი ჩემკენ შემოტრიალდა; ხელში სინჯარა ეჭირა, საიდანაც ორთქლი ამოდიოდა. მის ღრმად ჩამჯდარ თვალებში დამცინავი ნაპერწკალი გამოკრთა.

— აღიარეთ, უოტსონ, რომ თავგზა აგებნათ.

— მართალი ხართ! მართლაც დავიბენი.

— რომ გაიძულოთ ამის ქალაქზე დაწერა და ხელიც მოგაწერინოთ, კარგი იქნება.

— რისთვის?

— იმისათვის, რომ ხუთი წუთის შემდეგ იტყვიოთ, ყოველივე ეს ძალზე უბრალო საქმე ყოფილა და რამ დამაბნიაო.

— დარწმუნებული ვარ, ამას არასოდეს არ ვიტყვი.

— ძვირფასო უოტსონ... — ჰოლმსმა სინჯარა სადგარზე დაამაგრა და ლექციის კითხვა ისე დამიწყო, თითქოს პროფესორია და აუდიტორიას მიმართავსო, — დასკვნების გაკეთება არც ისე ძნელია, თუ ყოველი მომდევნო დასკვნა სრულიად უბრალოდ გამომდინარეობს წინა დასკვნიდან. თუ ამის შემდეგ ყველა შუათანა რგოლს გამოვტოვებთ და მსმენელამდე მხოლოდ ამბის დასაწყისსა და ბოლო დასკვნას მივიტანთ, შეიძლება მასზე თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოვანდინოთ. მას შემდეგ, რაც თქვენი მარცხენა ხელის ცერსა და საჩვენებელ თითს შორის არსებულ ჩაღრმავებას დაეუყვირდი, აღარ გამჭირ-

ვებია იმ დასკვნის გამოტანა, რომ თქვენი მცირე კაპიტალით ოქროს საბადოების აქციების შექმნა გაიფიქრეთ.

— მაგრამ მე ამ ორ გარემოებას შორის ვერავითარ კავშირს ვერა ვხედავ:

— სავსებით შესაძლებელია. მე კი რამდენსამე წუთში დავარწმუნებთ, რომ ასეთი კავშირი არსებობს. აი, ამ უბრალო ჯაჭვის რგოლები: ჯერ ერთი, როცა გუშინ საღამოს კლუბიდან დაბრუნდით, თქვენი მარცხენა ხელის ცერსა და საჩვენებელ თითს შორის ჩაღრმავებული ადგილი ცარცით იყო დასვრილი; მეორე, როცა თქვენ ბილიარდს თამაშობთ, ამ ადგილზე ცარცს ისევამთ, რათა ბილიარდის ჯოხმა ხელზე არ ისრიალოს; მესამე, ბილიარდს ეთამაშებით მხოლოდ სერსტონს; მეოთხე, ერთი თვის წინათ თქვენ მითხარით, რომ სერსტონმა შემოგთავაზათ მასთან ერთად შეიძინოთ სამხრეთაფრიკული ფასიანი ქაღალდები, რომელთაც ერთი თვის შემდეგ გაყიდოთ; მეხუთე, თქვენი ჩეკის წიგნაკი ჩაეკტილია ჩემი საწერი მაგიდის უჯრაში, და თქვენ არ გითხოვიათ ჩემთვის ამ უჯრის გასაღები; მეექვსე, აქედან გამომდინარე, თქვენ აღარ აპირებთ ფულის დაბანდებას სამხრეთაფრიკულ ქაღალდებში.

— რა უბრალო რამეა! — შევძახე მე.

— ცხადია, — მიპასუხა მან და წყენა ოდნავ დაეტყო, — ყოველი ამოხსნილი ამოცანა იოლი გვეჩვენება. მაგრამ აი კიდევ ერთი თავსატეხი, იგი ჯერ არაა გადაწყვეტილი. ვნახოთ, ჩემო მეგობარო, როგორ გაართმევთ მას თავს.

ქაღალდის ფურცელი მაგიდაზე დააგდო და თვითონ ისევ სინჯარასა და ქიმიურ ანალიზს დაუბრუნდა.

გაოცებულმა შევხედე ქაღალდზე გამოხატულ რაღაც უაზრო იეროგლიფებს.

— მომიტევეთ, ჰოლმს, ეს ხომ ბავშვის ნახატია! — შევძახე მე.

— თქვენ ასე ფიქრობთ?

— მაშ, თქვენი აზრით, რა უნდა იყოს?

— ნორფოლკელ მისტერ ჰილტონ კუბიტსაც სწორედ ეგ აინტერესებს. ეს პატარა რებუსი მან ფოსტით გამოგვიგზავნა. ალბათ, სადაცაა თვითონაც აქ გაჩნდება. გესმით ზარის ხმა, უოტსონ? ნამდვილად ისაა.

კიბეზე მძიმე ნაბიჯის ხმა გაისმა და წუთის შემდეგ ჩვენთან მაღალი, ლოყებლავდაჟა, სუფთად გაპარსული ჯენტლმენი შემოვიდა. მისი ნათელი გამოხედვა და სახის იერი იმაზე მეტყველებდა, რომ ეს ადამიანი ნისლიანი ლონდონის მკვიდრი არ იყო. ისე მომეჩვენა, თითქოს ჩვენს სტუმარს თან მოჰყვა აღმოსავლეთის სანაპიროს მაგარი, გრილი ქარის ქროლვა. ხელი ჩამოგვართვა და ის იყო ჩამოჯდომას აპირებდა, რომ უეცრად სწორედ იმ უცნაური ნიშნებით აჭრელებულ ფურცელს მოჰკრა თვალი, ცოტა ხნის წინათ ხელში რომ მეჭირა და მაგიდაზე დავაგდე.

— რას ფიქრობთ ამ იეროგლიფებზე, მისტერ ჰოლმს? — წამოიძახა სტუმარმა, — მე მითხრეს, რომ თქვენ გიტაცებთ საიდუმლოებით მოცული ამბები, უცნაური შემთხვევების ამოცნობა და კვანძების გახსნა. ჩემი აზრით, ამაზე უფრო უცნაურ შემთხვევას ვერსად წააწყდებით. ეს ფურცელი წინდაწინ იმიტომ გამოგვიგზავნეთ, რომ ჩემს მოსვლამდე მასზე გამოხატული ნიშნები შეგესწავლათ.

— მართლაც ძალიან საგულისხმო ნახატებია, — სთქვა ჰოლმსმა. — ერთი შეხედვით შეიძლება ადამიანს ბავშვის ცელქობად მოეჩვენოს. არ ვიცი, რა აზრი უნდა ჰქონდეს ასეთ ბაწაწინა მოცეკვავე კაცუნების ხატვას, ან თქვენ რატომ აძლევთ რაიმე მნიშვნელობას ასეთ უცნაურ წვრილმანს?

— ჩემი ცოლი რომ არა, ასეთ უცნაურ ნახატს მართლაც არავითარი ყურადღების ღირსად არ მივიჩნევდი, მაგრამ მას შიშისაგან ლამის გული

☆
მოსეს დოლი
☆
მოსეს დოლი

გაუსკდეს. არაფერს მეუბნება, მაგრამ ვხედავ, მის თვალებში ელდამ დაი-
სადგურა. აი, რატომ მივიტანე ეს საქმე ასე ახლოს გულთან.

პოლმსმა ქაღალდი საჩემელთან მიიტანა. ეს იყო უბის წიგნიდან ამოხე-
ლი ფურცელი. ზედ ფანქრით იყო გამოყვანილი აი ასეთი პატარა ფიგურები:



პოლმსმა ფურცელი ყურადღებით დაათვალიერა და საფულეში ფრთხილად შეინახა.

— ეს საქმე ბევრს საინტერესოსა და უჩვეულოს გვპირდება, — სთქვა მან. — ზოგი რამ უკვე მიაშვებთ თქვენი წერილით, მისტერ პოლტონ კუბიტ, მაგრამ ძალიან მაღლობელი დაგრჩებით, თუ თავაზიანად დათანხმდებით მის გამეორებაზე, რათა ჩემმა მეგობარმა, ექიმმა უოტსონმაც საკუთარი ყურით მოვისმინოთ.

— ვერაფერი შვილი მთხრობელი გახლავართ, — სთქვა ჩვენმა სტუმარმა და თან თავისი დიდი, ღონიერი ხელები ნერვიულად შეკუმშა და გაშალა. — თუ ჩემს მონათხრობში რაიმე ბუნდოვნად მოგეჩვენებათ, კეთილ ინებეთ და კითხვები მომეცით. დავიწყებ იქიდან, რომ გასულ წელს ცოლი შევიერთე. წინასწარ უნდა გითხრათ, რომ თუმცა მდიდარი არა ვარ, მაგრამ ჩვენი გვარი რიდლინგ-ტორაში უკვე ხუთი საუკუნეა ცხოვრობს და მთელ ნორფოლკის საგრაფოში ყველაზე წარჩინებულად ითვლება. გასულ წელს დღესასწაულებზე ლონდონში ჩამოვედი და რასეღ სკვერზე მდიდრულად მორთულ ოთახებში გავჩერდი, რადგანაც იქ ჩვენი მრევლის მოძღვარი პარკერი დაბინავდა. იქვე ერთი ახალგაზრდა ამერიკელი ლედი, გვარად პატრიკი, ილსი პატრიკი ცხოვრობდა. მე და ეს ქალიშვილი მალე დავმეგობრდით. ერთი თვეც არ გასულა, რომ ის მგზნებარე სიყვარულით შემიყვარდა. დავქორწინდით და საცხოვრებლად ჩემს მამულში, ნორფოლკში გადავედი.

აღბათ უცნაურად მოგეჩვენებათ, მისტერ პოლმს, რომ წარჩინებული გვარის კაცი თხოულობს ქალს, რომლის წარსულსა და ოჯახზე არაფერი იცის, მაგრამ ილსი პატრიკი რომ გენახათ და გაგეცნოთ, ჩემი საქციელის გაგება არ გაგიჭირდებოდათ. ილსი ჩემთან ძალიან გულახდილი გახლდათ. მან სრული უფლება მომცა უარი მეთქვა ქორწინებაზე, თუ ამას ვისურვებდი. „წარსულში ბევრი არასასიამოვნო ნაცნობი მყავდა, — მითხრა ილსმა, — მინდა ყოველივე დავივიწყო. არ მინდა დავუბრუნდე ჩემს განვლილ ცხოვრებას, რადგან წარსულის უბრალო გახსენებაც კი ტკივლს მეგრის. თუ მე შემირთავა, პილტონ, შენ დაქორწინდები იმ ქალზე, რომელსაც თვითონ ურიგო არაფერი ჩაუდენია, მაგრამ ჩემს სიტყვას უნდა ერწმუნო და ნება მომცე გავჩუმდე ყველაფერზე, რაც იყო მანამდე, ვიდრე შენი გავხდებოდი. თუ ეს პირობა ძალიან მძიმედ გეჩვენება, დაბრუნდი ნორფოლკში და ნება მომეცი, ისევ მარტოხელად ვიცხოვრო“.

ეს ქორწინებამდე ერთი დღით ადრე მითხრა. მე ვუპასუხე, რომ მზად ვიყავი დავმორჩილებოდი მის ნებას და ჩემი სიტყვა არც გამიტეხია. უკვე ერთი წლის ცოლ-ქმარი ვართ და ეს წელიწადი ძალიან ბედნიერად გავატარეთ. მაგრამ ამ ერთი თვის წინ, ივნისის ბოლოს, მე შევამჩნიე მოახლოებული უბედურების პარველი ნიშნები. ჩემმა ცოლმა ამერიკიდან გამოგზავნილი წერილი მიიღო. ეს იმით დავადგინე, რომ კონვერტზე ამერიკული მარკა ეკრა. ილსმა წერილი წაიკითხა თუ არა, ცეცხლში შეაგდო და სახეზე სიკვდილის



★ კონან დილილი მონტაგანე კაცუნები ★

ფერმა გადაჰკრა. მას მერე იმ წერბოზე ერთხელაც არ დაუძრავს სიტყვა და არც მე მიკითხავს რაიმე, რადგან სიტყვა სიტყვაა. მაგრამ წერილის მიღების შემდეგ ვერ იქნა და ვედარ დამწვიდდა. ერთთავად შეშინებულია ყველაფრიდან ჩანს, რომ რალაც უბედურებას მოეღოს.

ახლა გადავალ ჩემი ამბის ყველაზე უფრო უცნაურ ნაწილზე. ამ ერთი კვირის წინათ, მგონი სამშაბათს, ერთ-ერთი ფანჯრის რაფაზე ვნახე ცარციტ დახატული მოცეკვავე კაცუნები, სწორედ ისეთები, ამ ქალაქზე რომ არიან, გამოსახული. მე ვიფიქრე, კაცუნები საჯინბოში მომუშავე ყმაწვილმა დახატა-მეთქი, მაგრამ მან მითხრა და შემომფიცა კიდევ, მაგ ამბისა არაფერი ვიცო. ნახატი ღამით გაჩნდა. რაფა გავრეცხე და ილსთან საუბარში ვითომ შემთხვევით სიტყვა ამ კაცუნებზე ჩამოვადდე. ჩემდა გასაოცრად, ცოლმა ეს ამბავი გულთან ძალიან ახლოს მიიტანა და მთხოვა, თუ იმნაირ კაცუნებს კიდევ ნახავ, მაჩვენო. მთელი კვირა ისე გავიდა, მსგავსი არაფერი შემიმჩნევია. გუშინ დილით კი ბაღში მზის საათზე აი, ეს ფურცელი დავინახე. ილსის ვუჩვენე და მაშინვე გული შეუწუხდა. მას შემდეგ სიზმარეულივით დაბორი-ლობს და თვალეში გამუდმებით შიში აქვს ჩამდგარი. აი, რატომ მოგწერეთ, მისტერ ჰოლმს, და რისთვის გამოგიგზავნეთ ეს ფურცელი. პოლიციაში წასვლა არ შემეძლო, რადგან იქ უსათუოდ სასაცილოდ ამიგდებდნენ. თქვენ კი მიჩიხეთ, როგორ მოვიქცე, მდიდარი კაცი არა ვარ, მაგრამ თუ ჩემს ცოლს საფრთხე ემუქრება, მზად ვარ უკანასკნელი გროში დავხარჯო, ოღონდ იმას არა ევენოს რა.

კარგი შესახედავი ვაჟაკი კი იყო ეს ცისფერთვალემა ბუმბერაზი! ცოლის სიყვარული და ერთგულება მისი სახის ყოველ ნაკვთზე იყო აღბეჭდილი. ჰოლმსმა ამ კაცის მონათხრობი გულსისყურით მოისმინა, მერე ჩაფიქრდა და დიდხანს დუმდა.

— ხომ არ გგონიათ, მისტერ კუბიტ, — სოქვა ბოლოს მან, — რომ ყველაზე სწორი იქნებოდა პირდაპირ მივემართათ თქვენი ცოლისათვის და გეოხვათ, მისი საიდუმლო თქვენთვის გაემჟღავნებინა?

ჰილტონ კუბიტმა უარის ნიშნად თავი გააქანა:

— დაპირება დაპირებაა, მისტერ ჰოლმს. თუ ილსი მოისურვებს, თვიონვე ყველაფერს მიაშობს. ხოლო თუ არ ინდომებს, ძალით ვერ მოვთხოვ, გული გადამიშალოს.

— ასეთ შემთხვევაში მთელი სულით და გულით დაგეხმარებით. მითხარით, თქვენს მეზობლად ახალი ბინადარი ხომ არავინ გამოჩენილა?

— არა.

— რამდენადაც ვიცი, თქვენ ძალიან მიყრუებულ კუთხეში ცხოვრობთ. ახალი კაცის ჩამოსვლა, იმედი მაქვს, შეუმჩნეველი არ დარჩება.

— ახლომახლო ვინმე უტყოს რომ გამოჩენილიყო, რა თქმა უნდა, გავიგებდი. მაგრამ ჩვენს მახლობლად არის რამდენიმე ზღვისპირა სოფელი კარგი პლაჟებით. ფერმერები ჩამოსულ მოაგარაკეებს აქირავებენ ხოლმე ოთახებს.

— ამ უცნაურ ნახატებში უსათუოდ რალაც დაფარული აზრი უნდა იყოს. იმ წარწერას, რომელიც თქვენ გამოგიგზავნეთ, სიმცირის გამო, ვერაფერი გავუგე, ხოლო ფაქტები, თქვენ რომ მაუწყებთ, ისე გაურკვეველია, რომ მათგან რაიმე დასკვნას გამოტანა ძალზე საძნელო საქმეა. ჩემი აზრით, ისევ ნორფოლკს უნდა მიაშუროთ და ყველაფერს, რაც გარშემო ხდება, თვალყური ადევნოთ. როგორც კი ახალ მოცეკვავე კაცუნებს შეამჩნევთ, უადრესი გულმოდგინებით გადახატეთ. რა სამწუხაროა, რომ არ გადახატეთ ის ფიგურები, ცარციტ რომ დაუხატავთ ფანჯრის რაფაზე! შეკრიბეთ ცნობები ყველა ახლად ჩამოსულზე, რომელთაც არ იცნობთ. როგორც კი რაიმე ახალს შე-

ნიშნავთ, მაშინვე ჩემთან გამოეშურეთ. აი, საუკეთესო რჩევა, მისტერ პილტონ კუბიტ, რომლის მოცემაც ახლა შემიძლია. თუ საჭირო გახდება, ყოველთვის მზად ვარ, ჩამოვიდე და ვინახულო თქვენი სახლი ნორფოლკში.

მისტერ პილტონ კუბიტთან შეხვედრის შემდეგ შერლოკ ჰოლმსი ხშირად იყო ღრმად ჩაფიქრებული. არაერთხელ მინახავს, საფულედან როგორ ფრთხილად ამოიღებდა ხოლმე ფურცელს და ზედ გამოხატულ თავშესაქცევ ფიგურებს დიდხანს დასცქეროდა. მაგრამ ჩემთან ამ საგანზე მხოლოდ ორი კვირის შემდეგ ჩამოაგდო სიტყვა. ერთხელ წასვლა დავაპირე, უცბად შემაჩერა:

— უმჯობესი იქნება, შინ დარჩეთ, უოტსონ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ დღეს დილით პილტონ კუბიტისაგან დეპეშა მივიღე. გახსოვთ პილტონ კუბიტი და მისი მოცეკვავე კაცუნები? პირველ საათსა და ოც წუთზე ლონდონში იქნება. ყოველ წამს შეიძლება კარზე მოგვიკაკუნოს. მისი დეპეშიდან შევიტყვე, რომ ჩვენთვის უაღრესად საგულისხმო ახალი ამბები აქვს.

ცდა დიდხანს არ მოგვიხდა, რადგან ნორფოლკელი სკვარი, ეტყობა, სადგურიდან პირდაპირ ჩვენკენ გამოეშურა. ნაოჭებისაგან დაღარული შუბლი და ფიქრიანი, უგუნებო სახე ჰქონდა. დაქანცული თვალებით ხან მე შემომცქეროდა, ხან პოლმსს აკვირდებოდა.

— ეს ამბავი ნერვებს მიშლის, მისტერ პოლმს, — სთქვა და სავარძელში მოცელილივით ჩაეშვა. — საზიზღარი მდგომარეობაა გრძნობდე, რომ ყოველი მხრიდან გარემოცული ხარ უცხო, უცნობი, უხილავი ადამიანებით, რომლებიც ცდილობენ რაღაც უფსკრულში ჩაგითრონ, მაგრამ კიდევ უფრო აუტანელი ამბავია — უყურებდე, როგორ თანდათანობით კლავენ შენს უოლს! ქალი თვალსა და ხელს შუა დნება.

— სრულიად არაფერი უთქვამს?

— არა, მისტერ პოლმს, არაფერი უთქვამს. არის წუთები, როცა იმ საცოდავს ძალიან უნდა ყველაფერი მიამბოს, მაგრამ გამბედაობა არ ჰყოფნის. ვცდილობდი დავხმარებოდი, მაგრამ ყველაფერი ისე უხეშად გამომივიდა, რომ მხოლოდ დავაფრთხე. ილსი ხშირად ჩამომიგდებდა ხოლმე სიტყვას იმაზე, რა ძველებური გვარისანი ვართ, როგორ პატივსა გვცემს მთელი საგრაფო, როგორ ვამაყობთ უმწიკვლო პატიოსნებით, და ყოველთვის ვგრძნობ, რაღაც უნდა დასძინოს, მაგრამ სათქმელს შუაზე წყვეტს და დუმდება.

— თქვენ თვითონ ვერაფერი აღმოაჩინეთ?

— ბევრი რამ აღმოვაჩინე, მისტერ პოლმს. გამოსაკვლევად მოგიტანეთ ახალი მოცეკვავე კაცუნების მთელი დასტა. და, რაც მთავარია, ვნახე ის...

— ის, ვინც ამ კაცუნებს ხატავს?

— დიახ, ვნახე მუშაობაში გართული. მაგრამ ნება მომეცით, ყველაფერი დაწვრილებით და თანმიმდევრობით გვიამბოთ... თქვენგან რომ დაებრუნდი, მეორე დილითვე ვიპოვენ ფარდულის შავი ხის კარზე დახატული ახალი მოცეკვავე კაცუნები. ეს ფარდული ძალიან კარგად ჩანს ჩვენი სახლის ფანჯრიდან. ყველანი გადავიხატე, ნახეთ...

ქალაქის ფურცელი ამოიღო, გაშალა და მაგიდაზე დადო. აი, რა იეროგლიფები იყო ზედ გამოხატული:



— ჩინებულია! — სთქვა ჰოლმსმა. — ჩინებულია! განაგრძეთ, გეთაყვა.
— გადავიხატე კაცუნები და მერე კარზე დახატულები წავეშალე, მაგრამ
ორი დღის შემდეგ იმავე კარზე გაჩნდა ახალი წარწერა. აი, ისიც:



☆
მოცემულია
☆
კონან დილი

ჰოლმსმა ხელი მოიფშვინტა და სიხარულით გაიცინა.

— ჩვენი მასალა სწრაფად იზრდება, — სთქვა მან.

— სამი დღის შემდეგ მზის საათზე აღმოვაჩინე ქალაქზე დაწერილი მთელი ეპისტოლე, რომელსაც ზედ ქვა ედო. აი, ეს ქვაც. როგორც ხედავთ, ამაზე გამოხატულია იგივე ფიგურები, რაც წინა წერილში იყო. მაშინ გადავეწყვიტე, ამ უცნობ მხატვარს დავდარაჯებოდი. რევოლვერი ავიღე და ჩემს კაბინეტში დავდექი. ფანჯრიდან კარგად ჩანდა კორდიცა და ბალიც. ღამის ორ საათზე, როცა ფანჯარასთან ვიჯექი და მთვარის შუქით განათებულ ბაღს ვაგეკქეროდი, ჩემს ზურგს უკან ნაბიჯის ხმა გაისმა, შემოვებრუნდი და ხალათ-მოსხმული ჩემი მეუღლე დავინახე. მან ვედრება დამიწყო, დაწეკო. გულახდილად ვუთხარი, მინდა შევიტყო, ამ სულელურ ოინებს ვინ სჩადის-მეთქი. ყველაფერი ეს უაზრო ხუმრობაა, რაც შენი ყურადღების ღირსი არ არის და თუ ეს ასე გაღიზიანებს, წავიდეთ სამოგზაუროდ და არავინ აღარ შეგვაწუხებსო, — მითხრა.

— როგორ! ნება მივცე ვილაც მასხარას საკუთარი ბინიდან გაგვაგდოს? ასე ზომ მთელი საგრაფო ყბად აგვიღებს, — ვთქვი მე.


— წადი, დაიძინე და ამაზე დილით ვილაპარაკოთ, — მიბასუხა მან.

უეცრად სახე ისე გაუფიქრდა, რომ ეს მთვარის შუქზედაც კი შევამჩნიე. ფერმიხდილმა ილსიმ თითები ისე მომიჭირა, ღამის მხარში ჩამასო. ფარდულის ჩრდილში რალაც მოძრავი სხეული შევამჩნიე. მერე დავინახე, როგორ გამოძვრა კუთხიდან შავი, მოხრილი ფიგურა და კარის წინ ჩაჯდა. რევოლვერზე ხელი ვიტაცე და წინ გავიჭერი, მაგრამ ცოლმა აცანცანებული ხელები ჩამჭიდა და ადგილზევე შემაჩერა. თავის განთავისუფლება ვცადე, მაგრამ ილსი კიდევ უფრო მეტი სასოწარკვეთილებით ჩამფრინდა მკლავში. ბოლოს, როგორც იქნა, მოვახერხე თავის დაღწევა, მაგრამ ვიდრე კარი გავაღე და ფარდულამდე მივირბინე, ის კაცი უკვე გაქრა, თუმცა კვალი მაინც დატოვა: კარზე რამდენიმე მოცეკვავე კაცუნა მიეხატა. მთელი ბალი შემოვირბინე, მაგრამ მისი ასეაღ-დასავალი ველარსად ვიპოვნე, თუმცა, ღრმად მწამდა, რომ იქვე ახლოს იმყოფებოდა. დილით, ფარდულის კარის დათვალიერების დროს, აღმოვაჩინე, რომ იმ წარწერაზე კიდევ რამდენიმე ახალი კაცუნა მიემატებინა.

— გადაიხატეთ?

— დიახ. ძალიან ცოტა რამ კი იყო გადასახატი. აი, ნახეთ.

ისევ ქალაღის ფურცელი გვაჩვენა. ახლა ცეკვას ასეთი სახე მიეღო:



— მითხარით, — ჰკითხა ჰოლმსმა, რომლის თვალთა გამომეტყველებაზე მივხვდი, რომ ძალიან ღელავდა, — ეს კაცუნები დამატებული იყვნენ წინა წარწერაზე, თუ შემდეგ დახატეს?

— ისინი დახატულები იყვნენ კარის ქვედა ნაწილზე.

— ჩინებულია! ეს ჩვენთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია. ეს იმედს

მინერგავს. გთხოვთ, მისტერ ჰილტონ კუბიტ, განაგრძოთ თქვენი საინტერესო
თხრობა.

არქივული
ფოტოგრაფია

— დასამატებელი არაფერი მაქვს, მისტერ ჰოლმს, გარდა იმისა, რომ ძალიან გავჯავრდი ცოლზე იმის გამო, რომ იმ არამზადას შეპყრობაში ხელა შემიშალა. მარწმუნებდა, შენზე ვწუხდით. ჯერ ვშიშობდი, ჩემზე კი არა, იმ უცნობზე სწუხს-მეთქი, რადგან ეჭვი აღარ მეპარება იმაში, რომ ჩემმა ცოლმა იცის, ვინც არის უცნობი მხატვარი და რას ნიშნავს მისი უცნაური იეროგლიფები. მაგრამ ჩემი მეუღლის ყოვლისშემძლე ხმა და გამოხედვა, მისტერ ჰოლმს, მყისვე მიფანტავს ხოლმე ყოველგვარ ეჭვს და ახლა დარწმუნებული ვარ, რომ მართლა ჩემზე სწუხდა... აი ყველაფერი, რაც მოხდა. ახლა კი ველი თქვენს რჩევას, თუ როგორ მოვიქცე მომავალში. გული არ მაძლევს ნებას, თორემ ბუჩქებში დავმალავდი ხუთ-ექვს ჩვენს მარჯვე თანასოფელელს და იმ უცნობს ისე განდიდნენ, სამუდამოდ მოგვეშვებოდა.

— ჩემი აზრით, ამნაირ რთულ საქმეს ასეთი უბრალო წამლით ვერ განკურნავთ, — სთქვა ჰოლმსმა. — რამდენი ხნით შეგიძლიათ დარჩეთ ლონდონში?

— დღესვე უნდა გავბრუნდე. დამე არ შემიძლია ცოლის მიტოვება. ძალიან ლელავდა და მთხოვდა, მალე დაგბრუნებულიყავი.

— ჰო, თქვენ მართალი ხართ. მაგრამ დარჩენა რომ შეგძლებოდათ, ერთი ან ორი დღის შემდეგ თქვენთან ერთად მეც გამოვემგზავრებოდი. ყოველ შემთხვევაში, ეს ქაღალდები დამიტოვეთ. მალე ჩამოვალ და იმედი მაქვს, ამ საქმეს ცოტაოდენ შუქს მოვფენ.

შერლოკ ჰოლმსს ჩვეული პროფესიული სიმშვიდით ეჭირა თავი, მაგრამ მე, ვინც ასე კარგად ვიცნობდი ამ ადამიანს, ვატყობდი, რომ ძლიერ აღელვებული იყო. როგორც კი ჰილტონ კუბიტის ფართო ზურგი კარს მიეფარა, ჩემი მეგობარი მაგიდას მივარდა, ქაღალდები გადაშალა, მოციკევავე კაცუნებს დააკვირდა და გამოთვლა დაიწყო. მთელი ორი საათი ციფრებითა და ასოებით ააპრელა ყველაფერი. ამ სამუშაოში ისე გაიტაცა, რომ ჩემი არსებობა სულაც გადაავიწყდა. როცა კვლევა-ძიების საქმე კარგად მიუღიოდა, სტვენასა და სიმღერას იწყებდა, ხოლო როცა ჩიხში ექცეოდა, დიდხანს იჯდა შუბლშეკრული, თვალებს მოუსვენრად ატრიალებდა და მზერას ერთ საგანზე ვერ აჩერებდა. ბოლოს კმაყოფილებით შეჰყვირა, სკამიდან წამოიჭრა, ოთახში სირბილს მოჰყვა და თან ხელებს იფშენებდა. შემდეგ გრძელი დეპეშა შეადგინა და სადღაც გააგზავნა.

— თუ ისე მიპასუხებენ, როგორც ვვარაუდობთ, უოტსონ, თქვენი წიგნი ახალი სათავგადასავლო ამბის აღწერით გამდიდრდება, — მითხრა ჰოლმსმა. — ხვალ ალბათ ჩვენ ერთად წავალთ ნორფოლკში და საბოლოოდ ამოვხსნით იმ საიდუმლოებას, რამაც მისტერ ჰილტონს ამდენი უსიამოვნება მიაყენა.

უნდა ვაღიარო, რომ ცნობისმოყვარეობა მტანჯავდა, მაგრამ ვიცოდი, ჰოლმსს ახსნა-განმარტების მიცემა მხოლოდ მაშინ უყვარდა, როცა ამას თვითონ ჩათვლიდა საჭიროდ და მოუთმენლად ველოდი, როდის გამიზიარებდა თავის აზრს.

დეპეშაზე პასუხმა დაივიანა. მთელი ორი დღე ჰოლმსი მოუთმენლად აპყრობდა ყურს ზარის ხმას. მეორე დღეს საღამოს მოვიდა ჰილტონ კუბიტის წერილი. გვატყობინებდა, სრული სიწყინარეა, მხოლოდ მზის საათის სათაშამზე დღეს დილით უადრესად გრძელი წარწერა გამოჩნდაო. წერილს ამ წარწერის ასეთი ასლი ერთვოდა:



ჰოლმსი ამ უჩვეულო ნახატს დააკვირდა, უეცრად ზეზე წამოვარდა, გაოცებულმა და გაჯავრებულმა შეჰყვირა და სახე მოექუფრა.

— მეტისმეტად მივუშვით ეს საქმე, — სთქვა მან, — რომელი მატარებელს გადის ნორტ-უელშემისაკენ საღამოობით?

განრიგი გადავთვალეირე. უკანასკნელი მატარებელი ახალი გასული იყო.

— აღრე მოგვიხდება საუზნობა, დილის პირველსავე მატარებელს უნდა გავყვეთ, — სთქვა ჰოლმსმა. — ჩვენი იქ ყოფნა აუცილებელია. აჰა! აი დეპეშაც, მე რომ ველოდი. ერთი წუთით მომიტონინეთ, მისის ჰადსონ, იქნებ საჭირო გახდეს პასუხის გაგზავნა. არა, ყველაფერი ისეა, როგორც ველოდი. ეს დეპეშა საბოლოოდ ადასტურებს, რომ უფლება აღარა გვაქვს, არ ვაცნობოთ მისტერ ჰილტონ კუბიტს საქმის ვითარება, რადგანაც ჩვენი გულუბრყვილო ნორფოლკელი სკვაირი მეტისმეტად სახიფათო ქსელშია მომწყვედი.

თავდაპირველად მთელი ეს ამბავი სულელური და თავშესაქცევი მეგონა, მაგრამ ახლა, როცა ჩემი ნაამბობი დასასრულს უახლოვდება, მე ხელახლა განვიციდი მთელს იმ საშინელებას, რისი გადატანაც მაშინ მომიხდა. როგორ მინდოდა, შესაძლებლობა მქონოდა და მკითხველებისათვის შემეტყობინებინა, ყოველივე საყოველთაო კეთილდღეობით დამთავრდა-მეთქი, მაგრამ ჩემი წიგნი უტყუარი მატინა ფაქტებისა, და მე იძულებული ვარ მივყვე დასასრულამდე მთელს უცნაურ ჯაშვს მოვლენებისა, რომელთა წყალობითაც რამდენიმე დღის შემდეგ რიდლინგ-ტორპ-მენორის მამულზე მთელი ინგლისი აღაპარაკდა.

ძლივს მოვასწარით ნორტ-უელშემში გასვლა და იმისი თქმა, თუ საით მივემართებოდით, რომ ჩვენთან სადგურის უფროსმა მოიბრინა:

— თქვენ ალბათ ლონდონელი მაძებრები ხართ? — იკითხა მან.

ჰოლმსმა შეშფოთებით გადახედა.

— რატომ გგონიათ?

— იმიტომ, რომ ნორვიჩის ინსპექტორი ეს-ეს არის წავიდა. ან, იქნება, ექიმები ხართ? ქალი ჯერ კიდევ ცოცხალია. იქნებ მოასწროთ მისი გადარჩენა... სასარჩობელისათვის.

ჰოლმსი პირქუში და შეჭირვებული მეჩვენა.

— ჩვენ რიდლინგ-ტორპ-მენორში მივდივართ, — სთქვა მან, — მაგრამ იმის თაობაზე, რაც იქ მოხდა, არაფერი ვიცით.

— საშინელი საქმეა! — შესძახა სადგურის უფროსმა, — მისტერ ჰილტონ კუბიტისა და მისი ცოლიც ტყვიის წერა შეიქნენ. ქალმა ჯერ ქმარს ესროლა, მერე თვითონ დაიხალა ტყვიას, ასე ამბობენ მოსამსახურე გოგობი. კაცი მკვდარია, ქალი კი სულთმობრძავი. ღმერთო, ნორფოლკის უძველესი გვარი აღიგავა პირისაგან მიწისა. მისტერ ჰილტონ კუბიტს ჩვენს მხარეში ყველა ძალიან დიდ პატივს სცემდა.

შვიდიოდე მილი ისე გავიარეთ, ჰოლმსს კრინტიც არ დაუძრავს. ასე ცუდ გუნებაზე მყოფი იშვიათად მინახავს. ლონდონიდან რომ მოვდიოდით, ჰოლმსი მთელს გზაზე რაღაც მოუსვენრად იყო და შევნიშნე, დილის გაზეთებს როგორღაც მოუთმენლად ათვალეირებდა. მაგრამ ახლა, როცა უეცრად მისი მოლოდინი გამართლდა, თითქოს დარდმა გააქვეავაო. იჯდა, თავი უკან გადაეგდო და ნაოვლიან ფიქრებში ჩანთქმულიყო.

ამასობაში კი ეტლი ინგლისის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო მხარეში მიგვაქროლებდა. ამ მხარის მთელი თანამედროვე მოსახლეობა შორიშორს მიმოუფანტულ პატარა სასოფლებში ბინადრობს, მაგრამ ამ მწვეანე მინდვრის გაყოფებით ყოველ ნაბიჯზე შეგხვდებათ აღმოსავლეთ ინგლისის ძველი დიდებისა



და კეთილდღეობის უტყვი მოწმე, ეკლესიების უზარმაზარი ოთხკუთხეობანი
კოშკები.

დაბოლოს, მწვანე ხრამის მიღმა გამოჩნდა გერმანიის ზღვის ლილიანური
ზოლი. მეეტლემ წნელით გვიჩვენა ორი წვეტიანი სახურავი, ხეების ტალავე-
რიდან რომ იყო ამოშვერილი, და გვითხრა:

— აი, რიდლინგ-ტორპ-მენორი.

სახლთან რომ მივედით, მის გვერდით შევამჩნიე შავი ფარდული. ფარ-
დული ტენისის მოედნის იქით იღვა. ამაღლებულ ადგილზე მზის საათიც და-
ვინახე. უღვაშედებული, მკვირცხლი კაცი მარად გადმოხტა მაღალი, ორ-
თვალი ეტლიდან. ეს იყო ნორფოლკის საპოლიციო სამმართველოს ინსპექტორი
მარტინი. როცა ჩემი მეგობრის გვარი შეიტყო, ძალიან გაოცდა:

— მომიტევეთ, მისტერ ჰოლმს, დანაშაული ხომ დილის სამ საათზე
მოხდა! ჩანაირად მოახერხეთ ამის გაგება ლონდონში და ჩემთან ერთად
ჩამოსვლა?

— წინასწარ ვეგარაუდებ ის, რაც მოხდა. მოვედიოდი, რომ საფრთხე თავი-
დან ამეცილებინა.

— მაშასადამე, თქვენ გაქვთ ცნობები, რომელთა შესახებ ჩვენ არაფერი
ვიცით, რადგანაც მეზობლებისა და მსახურთა აზრით, ცოლ-ქმარს ძალიან
მეგობრულად. უფრო მეტიც, სრული სიამტკბილობით უცხოვრიათ.

— მე მაქვს მხოლოდ ის ცნობები, რომლებიც მოცეკვავე კაცუნებისაგან
მივიღე.—სთქვა ჰოლმსმა.—მაზე მეტე გიამბობთ. დავაგვიანე: ტრაგედია მოხ-
და და მისი თავიდან აცილება ვერ მოვახერხე... რა გაეწყობა, ასეთ შემთხვე-
ვაში, ჩემი ცნობები მართლმსაჯულებას დაეხმარება. ხომ არა გნებავთ, ძიება
ჩემთან ერთად აწარმოოთ? ან იქნებ ამჯობინებთ, რომ მე დამოუკიდებლად
ვიმოქმედო?

— ჩემთვის დიდი პატივი იქნება თქვენთან ერთად მუშაობა, მისტერ
ჰოლმს, — გულწრფელად უთხრა ინსპექტორმა.

— რაკი ასეა, დაუყოვნებლივ მოვეუსმინოთ მოწმეებს და დავათვალიე-
როთ დანაშაულის ჩადენის ადგილი.

ინსპექტორი მარტინი იმდენად ჭკვიანი აღმოჩნდა, რომ ჩემს მეგობარს
ნება დართო სურვილისამებრ ემოქმედნა. თვითონ კი იმით დამაყოფილდა,
რომ ჰოლმსის კვლევა-ძიებას თვალყურს ადევნებდა. ადგილობრივი ექიმი,
თეთრწვერა მოხუცი, მის ჰილტონ კუბიტის ოთახიდან გამოვიდა და გვაუწყა,
ქალის მდგომარეობა სერიოზულია, მაგრამ უიმედო არააო. გონს კი ალბათ მალე
ვერ მოვა, რადგან ტყვია ტვინს შეხებიოო. კითხვაზე, თვითონ დაიხალა ტყვია,
თუ სხვა ვინმემ ესროლა, რაიმე გარკვეული პასუხის მოცემას ვერ გადაწყვიტა.
ის კი ამოღერდა, ტყვია ძალიან ახლო მანძილიდანაა ნასროლიო.
ოთახში ერთი რევოლვერი იპოვნეს. ორივე ლულა ცარიელი აღმოჩნდა. მის-
ტერ ჰილტონ კუბიტს პირდაპირ გულში მოხვედრია ტყვია. სრულიად თავის-
უფლად შეიძლება იმის დაშვება, რომ მან ჯერ ცოლს ესროლა, მერე კი
თვითონ იკრა ტყვია. ასევე სავარაუდოა, რომ დამნაშავე ცოლია, რადგანაც
რევოლვერი იატაკზე ორივესაგან თანაბარ მანძილზე აგდიაო, — სთქვა ეს და
დაღუშდა.

— მკედარს ხომ არ შეხებინართ? — იკითხა ჰოლმსმა.

— არა. ჩვენ მხოლოდ ლედი გავიყვანეთ საწოლში. დაჭრილს იატაკზე
ხომ ვერ დავტოვებდით?

— დიდი ხანია, რაც აქა ხართ, ექიმი?

— დილის ოთხი საათიდან.

— თქვენს გარდა აქ კიდევ იყო ვინმე?

- დიას, კონსტებლი.
- აქ რაიმეს გადაუნაცვლეთ ადგილი?
- არაფერს.
- გონივრულად მოქცეულხართ. ვინ გამოგიძახათ?
- მოახლე სონდერსმა.
- მან პირველმა ატეხა განგაში?
- იმან და მზარეულმა მისის კინგმა.
- ახლა სად არიან?
- ალბათ სამზარეულოში.

პირველ რიგში მათი ჩვენების ჩამორთმევა გადაწყდა.

მუხით მოპირკეთებული, მაღალფანჯრებიანი ძველებური დარბაზი სავა-
მომძიებლო ოთახად იქცა. პოლმსი დიდ, ძველებურ სავარძელში ჩაჯდა. გა-
მოხედვა შეუპოვარი ჰქონდა, სახეზე კი სიმკაცრე აღბეჭდოდა. მის თვა-
ლებში შეიძლებოდა ამოგეკითხათ მტკიცე გადაწყვეტილება: თუ საჭირო
იქნება, თუნდაც მთელ სიცოცხლეს მივუძღვნი და შურს მაინც ვიძიებ იმ ადა-
მიანისათვის, რომლის გადარჩენა ვერ მოვახერხეო. ჩვენს უცნაურ კრებას
ესწრებოდნენ: ინსპექტორი მარტინი, მოხუცი, თეთრწვერა ექიმი და სოფლელი
ჩლუნგი პოლისმენი.

ქალებმა ერთნაირი ჩვენება მოგვეცეს: ორივე სროლის ხმამ გააღვიძა. წუ-
თის შემდეგ მოისმა მეორე გასროლა. მეზობლად მდებარე ოთახებში ეძინათ და
მისის კინგი მაშინვე სონდერსისავე გაიქცა. კიბეზე ერთად დაეშენენ. კაბინეტის
კარი ღია დახვდათ, მაგიდაზე სანთელი ენთო. მათი ბატონი შუაგულ ოთახში
პირქვე ეგდო. იგი უკვე მკვდარი იყო. ფანჯარასთან თავით კედელს მიყრდნო-
ბილი მათი ქალბატონი იკრუნჩხებოდა. ჭრილობა საზარელი ჰქონდა—სისხლს
სახის ნახევარი დაეფარა. სუნთქავდა; მაგრამ არაფრის თქმა არ შეეძლო. დე-
რეფანსა და ოთახში ბოლი და დენთის სუნი იდგა. ფანჯარა ურდულით შიგ-
ნიდან იყო დაკეტილი, ამას ორივე ქალი დაბეჯითებით ამტკიცებდა. მაშინვე
უხმეს ექიმსა და პოლიციელს. შემდეგ მეჯინებისა და საჯინიბოში მომუშავე
ყმაწვილის დახმარებით დაჭრილი ქალბატონი ასწიეს და თავის ოთახში გადა-
იყვანეს. ქალი კაბის ამარა იყო, ქმარს კი ღამის პერანგზე ხალათი გადაეცვა.
ცოლ-ქმარს შორის არასოდეს არ ყოფილა უსიამოვნება. ყველანი შეხმატკბი-
ლებულ მეუღლეებად თვლიდნენ.

აი, მსახურთა მთავარი ჩვენება. ინსპექტორ მარტინის კითხვებზე ქალებმა
უპასუხეს, ყველაფერი შიგნიდან იყო დაკეტილი და სახლიდან გაპარვას ვერავინ
მოახერხებდაო. პოლმსის კითხვებზე განაცხადეს, როგორც კი ზედა სართულ-
ზე ჩვენი ოთახებიდან გამოვედით, დენთის სუნი მაშინვე ვიგრძენიო.

— გირჩევთ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ ამ ფაქტს, — უთხრა
პოლმსმა ინსპექტორ მარტინს, — ახლა კი, ჩემი აზრით, საჭიროა შევუდგეთ იმ
ოთახის შემოწმებას, სადაც დანაშაული მოხდა.

უბედურების ადგილი სრულიად პატარა ოთახი აღმოჩნდა. მისი სამი
კედელი წიგნის თაროებს ეჭრა. ფანჯარასთან, ბაღს რომ გადასურებდა,
საწერი მაგიდა იდგა. ჩვენი ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, უბედური სკვაი-
რის გვამმა მიიპყრო. მისი სამოსის უწესრიგობა მოწმობდა, რომ მოულოდნე-
ლად მოუხნა ლოგინიდან წამოვარდნა. ტყვიას (ისთვის გული გაეგმირა და
სხეულში ჩარჩენილიყო. კაცი მოკვდა წამიერად და უმტკივნეულოდ. არც
ხალათზე, არც ხელებზე თოდის წამლის არავითარი კვალი არ აღმოაჩნდა.
სოფლის ექიმი ამტკიცებდა, მისის კუბიტს დენთის ლაქები სახეზე ჰქონდა,
მაგრამ ხელებზე არ შემინიშნავსო.

— ხელებზე ლაქების უქონლობა არაფერს არ ამტკიცებს; ხოლო ლაქები

სახეზე — ეს უტყუარი საბუთია, — სთქვა ჰოლმსმა, — თუ ცუდად მორგებულ
ლი ვაზნიდან დენთი შემთხვევით არ გამოიყარა, რამდენიც არ უნდა ისროლოთ,
ხელს არ გაისვრით... ახლა შეიძლება გაიტანოთ მისტერ კუბიტის გვამი ^{გამოძიების}
ხომ არ გიპოვნიათ ტყვია, რომლითაც იგი მოკლეს?

— ამისათვის რთული ოპერაციის გაკეთება დამჭირდებოდა. მაგრამ რე-
ვოლვერში კიდევ დარჩა ოთხი ვაზნა. სულ ორჯერ ისროლეს, ჭრილობაც ორია,
მაშასადამე, ორივე ტყვიის ბედის გარკვევა იოლია.

— ეს მხოლოდ ერთი შეხედვით გვეჩვენება, — სთქვა ჰოლმსმა. — რას
იტყვით იმ ტყვიაზე, რომელმაც ფანჯრის ჩარჩო გახვრიტა?

აქ უეცრად შებრუნდა და თავისი მოგძო, წვრილი თითით გვიჩვენა ნახ-
ვრეტი ფანჯრის ჩარჩოს ქვედა ძელზე.

— ეშმაკმა დალაზვროს! — შეჰყვირა ინსპექტორმა. — როგორ მიაგენით
ამას?

— მივაგენი, რადგანაც ვეძებდი.

— გასაოცარია! — სთქვა სოფლის ექიმმა. — თქვენ საესებით მართალი
ბრძანდებით, სერ. გამოდის, რომ სამჯერ უსვრიათ და მაშასადამე, აქ ვილაც
მესამეც ყოფილა. მაგრამ ვინ არის ეს მესამე და სად გაქრა?

— ამ კითხვაზე ახლავე უნდა გავცეთ პასუხი, — სთქვა შერლოკ ჰოლმს-
მა, — თუ გავონდებთ, მისტერ მარტინ, როცა მოსამსახურებმა განაცხადეს,
ოთახიდან გამოსვლისთანავე დენთის სუნი ვიგრძენით, მე გითხარით, ამას
განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ-მეთქი.

— მახსოვს, სერ. მაგრამ უნდა ვაღიარო, ვერ მივხვდი, რას გულისხმობ-
დით.

— ეს იმის დამამტყიცებელი საბუთია, რომ კარიც და ფანჯარაც მთლიან-
ნად ღია ყოფილა. სხვა შემთხვევაში დენთის სუნი მთელს სახლში ასე სწრა-
ფად ვერ გავრცელდებოდა. მხოლოდ გამჟოლ ქარს შეეძლო სუნის ასე შორს
გატანა. ამ ოთახში ძალიან ცოტა ხნით, მაგრამ მაინც, კარიცა და ფანჯარაც
გაღებული ყოფილა.

— რატომ ცოტა ხნით?

— იმიტომ, რომ ამ სანთლიდან სტეარინი არ ჩამოლვენილა.

— სწორია! სწორია! — შესძახა ინსპექტორმა.

— როცა დავრწმუნდი, რომ ფანჯარა ტრაგედიის დროს ღია ყოფილა, იმ
დასკვნამდე მივედი, რომ საქმეში გარეულია მესამე პირი, რომელიც გარეთ
მდგარა და იქიდან ფანჯარაში უსვრია. ამ მესამე კაცისათვის ნასროლი ტყვია
კი შეიძლება ფანჯრის რაფას მოხვედროდა. კარგად დავათვალიერე და მართ-
ლაც აღმოვაჩინე ნატყვიარი.

— მაგრამ სარკმელი ვინღა დახურა?

— უსათუოდ ქალმა ინსტინქტურად მიჰკრა ხელი და მიხურა... მაგრამ ეს
რა არის? აჰ!

კაბინეტის მაგიდაზე იდო ნიანგის ტყავის, მშვენიერი, ვერცხლით მოჭედი-
ლი, ქალის პატარა ჩანთა. ჰოლმსმა ჩანთა აიღო და გადმოაპირქვევა. მაგიდაზე
ზორტით შეკრული ოცი ორმოცდაათგრეანქიანი საკრედიტო ბილეთი გადმო-
ვარდა. ჩანთაში სხვა არაფერი აღმოჩნდა.

— აიღეთ, ეს საჭირო იქნება სასამართლოზე, — სთქვა ჰოლმსმა და ინს-
პექტორს ჩანთა ფულთან ერთად გადასცა. — ახლა აუცილებელია იმის გა-
მორკვევა, თუ ვის ესროლეს მესამე ტყვია. ფანჯრის ჩარჩოს ნახვრეტის
მიხედვით. ნასროლი ოთახიდანაა. მინდა ისევ მზარეულ ქალს მისის კენგს
დაველაპარაკო... თქვენ სთქვით, მისის კენგს, გამაყრუებელმა სროლის ხმამ

გამომავლიცაო. ამით ის გინდობდათ ვეთქვათ, რომ პირველი გასროლა მეორეზე უფრო მჭექარე იყო?

— მე შეძინა, სერ, და ამიტომ მიჭირს ამისი განსჯა. მეჩვენა, რომ ძალიან მაგრად იჭექა, სერ.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ ორივე გასროლის ხმა თითქმის ერთდროულად შემოგესმათ?

— ვერაფერს მოგახსენებთ, სერ.

— დარწმუნებული ვარ, რომ ასეც იყო. მე მგონია, მისტერ მარტინ, ამ ოთახში მეტს ველარაფერს გავიგებთ. თუ თანახმა ხართ, გამომეყვით, ბაღში შევიხედოთ და ვნახოთ, ხომ არაფერია იქ საინტერესო.

სწორედ კაბინეტის ფანჯრის ქვეშ აღმოჩნდა ყვავილნარი. როცა იქ მივედით, ხმამაღლა შეეყვირეთ. ყვავილები გათელილი იყო. რბილ მიწაზე აშკარად ჩანდა ნაკვალევი. ეს იყო მამაკაცის ძალზე წვრილცხვირიანი და გრძელი ფეხსაცმლის კვალი. ჰოლმსი ისე იჩქებოდა ბალახსა და ფოთლებში, როგორც მეძებარი ძაღვი, რომელსაც დაჭრილი ფრინველის პოვნა უნდა. შეეცრად შეჰყვირა და მიწიდან პატარა სპილენძის ცილინდრი აიღო.

— ასეღაც ვფიქრობდი! — სთქვა მან. — აი, მესამე მასრა. მე მგონია, ინსპექტორი მარტინ, რომ ძიება დასრულებულია.

პროვინციელი ინსპექტორის სახეზე გაცივდა აღიბეჭდა. ის აშკარად ალტაცებული იყო ჰოლმსის ოსტატობითა და სწრაფი მოსაზრებულობით. თავდაპირველად მან თითქოს სცადა თავისი საკუთარი მოსაზრების დაცვა, მაგრამ ჰოლმსმა მალე მოინადირა და სავსებით დაიმორჩილა იგი.

— ვისზე გაქვთ ეჭვი? — ჰკითხა პოლიციელმა.

— შემდეგ გეტყვით. ამ საქმეში არის რამდენიმე ისეთი მომენტი, რომელთა თქვენთვის გადმოშლა და ახსნა ჯერ კიდევ არ შემძლია. ჩემი დაკვირვებითა და აღმოჩენებით ისე შორს წავედი, რომ უფრო გონივრული იქნება, თუ დროებით ვაჩუქმდები და მერე კი ყველაფერს ერთბაშად მოგახსენებთ.

— როგორც გენებოთ, მისტერ ჰოლმს, ოღონდ მკვლეელი არ გაგვეძიებს.

— არ იფიქროთ, რაიმე დავფარო, მხოლოდ ესაა, რომ ამ გახუტებულ მუშაობის დროს უბრალოდ შეუძლებელია დროის დაკარგვა და გრძელი და დაწვრილებითი ახსნა-განმარტებების გადმოშლა. ამ დანაშაულის ყველა ძაფი ჩემს ხელთაა. თუნდაც ლედი გონს აღარასოდეს მოვიდეს, ჩვენ მოვანერხებთ წუხანდელი ღამის ყველა მოვლენის აღდგენასა და დამნაშავეთა მართლმსაჯულების წინაშე წაყენებას. უწინარეს ყოვლისა, მინდა დავადგინო, სადმე ახლომახლო ხომ არაა სასტუმრო „ელრიჯი“.

მოსამსახურეთა გვარდინი დაკითხვა მოვაწყეთ, მაგრამ ასეთი სახელწოდების სასტუმრო არც კი გავიგონიაო, გვითხრეს. საჯინბოში მომუშავე ბიჭუნამ კი უეცრად გაიხსენა, რომ სოფლიდან რამდენიმე მილის დაშორებით, ისტრესტონის მახლობლად ცხოვრობდა ფერმერი, გვარად ელრიჯი.

— იმ კაცის ფერმა სხვებისაგან განცალკევებულია?

— დიახ, მოშორებით გახლავთ, სერ.

— და იქნებ, იქ ჯერ კიდევ არ იციან ის ამბავი, რაც აქ წუხელ ღამით მოხდა?

— ალბათ არ იციან, სერ.

ჰოლმსი ჩაფიქრდა და უეცრად სახეზე ცბიერი ღიმილი გამოეხატა.

— შეკაშმე ცხენი, ჩემო ბიჭუნა! — სთქვა მან სწრაფად. — ძალიან მინდა, რომ ელრიჯის ფერმამი წერილი წაიღო.

ამ სიტყვებზე ჰოლმსმა ჯიბიდან ამოიღო რამდენიმე ქაღალდი, რომლებზედაც მოციკვავე კაცუნები იყო გამოხატული. კაბინეტში შევიდა, მაგიდას

★
მონანი
დოილი
★
მოსამსახურე
პატრუნი

მიუხედავად, წინ კაცუნებიანი ქალაქები დაილაგა და საქმეში ჩაეფლო. ბოლოს ბარათი ბავშვს ჩააბარა, უბრძანა სწორედ იმ პირისათვის გადაეცა იგი, ვისთვისაც სარკვევით იყო და ამასთან არავითარ შემთხვევაში არ გაეცა მასთვის კითხვებზე. ბარათზე წარწერილ მისამართს მაინც მოვკარი თვალი. წარწერა უსწორმასწორო, მოქცეული ხელით იყო შესრულებული, რაც ჰოლმსის ჩვეულებრივ ლამაზ ნაწერს სრულიად არა ჰგავდა.

აი, ეს წარწერაც: ელრიჯის ფერმა, ისტ-რესტონი, ნორფოლკი, მისტერ აბლენის.


— მე მგონია, ინსპექტორო, — შენიშნა ჰოლმსმა, — რომ თქვენ გმართებთ დეპეშით ბადრაგის გამოძახება, რადგან თუ ჩემი ვარაუდი გამართლდა, საგრაფოს ციხეში ძალიან საშიში დამნაშავეის წაყვანა მოგხდებათ. ყმაწვილს, რომელსაც წერილს ვატან, შეუძლია დეპეშაც წაიღოს. უოტსონ, ჩვენ ნასადილევს მატარებლით ქალაქში გაებრუნდებით, რადგან ამ საღამოს აუცილებლად უნდა დავასრულო ერთი ქიმიური ანალიზი. ის საქმე კი, რამაც ჩვენ აქ მოგვიყვანა, დასასრულს სწრაფად უახლოვდება.

როცა ბავშვმა ბარათი გააქროლა, შერლოკ ჰოლმსმა მსახურებს უხმო და უბრძანა, ვინც მისის კუბიტის ნახვა მოისურვოს, დაუყოვნებლივ გაატარეთ სასტუმრო ოთახში, ისე რომ, არ შეატყობინოთ, რაც აქ მოხდაო. ჰოლმსმა დაჟინებით მოითხოვა ამ ბრძანების განუხრებლად შესრულება. შემდეგ სასტუმრო ოთახში შევიდა და დასძინა, რომ ახლა ყველაფერი უჩვენოდ მოხდება და ისლა დაგვრჩენია, დავჯდეთ და ვუცადოთ, ჩვენს კაქანათში რა ფრინველი მოხვდებაო. ჰოლმსთან მხოლოდ მე და ინსპექტორი დავრჩით.

— მე დაგეხმარებით იმაში, რომ ეს ერთი საათი უფრო საინტერესოდ და სასარგებლოდ გაატაროთ, — სთქვა ჰოლმსმა, სკამი მაგიდასთან მისწია და ზედ უამრავი მოცეკვავე კაცუნებიანი ქალაქი გაშალა. — თქვენს წინაშე, მისტერ უოტსონ, აუცილებლად უნდა გამოვისყიდო ჩემი დანაშაული: ძალიან დიდხანს ვალიზიანებდი თქვენს ცნობისმოყვარეობას. თქვენთვის კი, ინსპექტორო, მთელი ეს ამბავი იქნება ბრწყინვალე პროფესიული გაკვეთილი. უწინარეს ყოვლისა, უნდა გიამბოთ ჩემი შეხვედრების ამბავი მისტერ ჰილტონ კუბიტთან, ბეიკეტ-სტრიტზე.

აქ მოკლედ უამბო ინსპექტორს ის, რაც ჩვენთვის უკვე ცნობილია.

— აი, ჩემს წინაშეა ეს გასართობი ნახატები, რომელთაც შეეძლოთ ღიმილის გამოწვევა, რომ ასეთი საშინელი ტრაგედიის მათწყებელი არ იყვნენ. ზედმიწევნით ვიცნობ საიდუმლო დამწერლობის ყველა სახეობას და თვითონ ვითვლები ავტორად წიგნისა, სადაც ას სამოცი შიფრის ანალიზია მოცემული, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ეს შიფრი ჩემთვის სრულიად ახალია. ამ სისტემის გამომგონებლის მიზანი ალბათ ის იყო, რომ ამ შიფრის ნამდვილი მნიშვნელობა დაეფარა და ნიშნები დამწერლობად კი არა, ბავშვის ნახატებად გაესაღებინა. მაგრამ ყველა, ვინც მიხვდება, რომ ეს ნიშნები ასოებს შეესაბამება, განსაკუთრებული სიძნელის გარეშეც ამოიცნობს მათ, თუ შიფრის ამოცნობის ჩვეულებრივ წესებს გამოიყენებს. პირველი ჩანაწერი ძალზე მოკლე იყო და მხოლოდ ერთი ისეთი ვარაუდის დაშვების საშუალება მომცა, რაც, ჩემი აზრით, სიმართლესთან ახლო იყო, და რაც მერე სავსებით სწორი აღმოჩნდა. მე ვლაპარაკობ დროშებზე. ეს დროშები გამოყენებულია მხოლოდ იმისათვის, რომ აღნიშნონ სიტყვების დასასრული. ამის გარდა, პირველი წერილიდან სხვა ველარაფერი გავარკვეე. მესაჭიროებოდა ახალი მასალა. მეორედ რომ მიხატულა, მისტერ ჰილტონ კუბიტმა გადმომცა ახალი ბარათები, რომელთაგან უკანასკნელი უდავოდ შეიცავდა მხოლოდ ერთ სიტყვას, რადგან მასში დროშები



★
მონანი დილი
★
მომავალი ბუნება

როგორც ხედავთ, ეს სიტყვა თავდება იმავე ასოთი, რომლითაც იწყება. აქ ბედნიერმა აზრმა გამიელვა. წერილები ჩვეულებრივ იწყება იმ ადამიანის სახელით, რომლის მისამართითაც წერენ. კაცი, რომელიც ამ წერილს უგზავნიდა მისის კუბიტს, უსათუოდ ახლოს იცნობდა მას. სრულიად ბუნებრივია, რომ უბრალოდ სახელს ეძახდეს. მისი სახელი კი სწორედ ოთხი ასოსაგან შედგება და თავდება იმავე ასოთი, რომლითაც იწყება: ქალის სახელია ილისი. ამრიგად, მე აღმოვჩინდი სამი ასოს მფლობელი: ი, ლ და ს.

ამგვარად, ორ წერილში სახელით მიმართავს მისის კუბიტს და ეტყობა, რაღაცას ითხოვს მისგან. რა უნდა მოსთხოვოს? ხომ არ უნდა, რომ ქალი მივიღეს სადმე ისეთ ადგილას, სადაც შეძლებს მასთან ლაპარაკს? ყურადღება მივაქციე მესამე წერილის მეორე სიტყვას. აი ისიც:



აქ რვა ასოა: მეოთხე და უკანასკნელი ასოა „ი“. მე ვივარაუდე, რომ აქ წერია „მოდი, გელი“ და უეცრად კიდევ რამდენიმე ასოს მფლობელი გავხდი. მაშინ მივუბრუნდი იმავე ბარათს, რომელშიაც მხოლოდ ერთი სიტყვა ეწერა. როგორც თქვენთვის ცნობილია, ეს სიტყვა გამოჩნდა ფარდულის კარის ქვედა პანელზე, დანარჩენი წარწერისაგან მოშორებით. ვივარაუდე, რომ ეს იყო პასუხი და ის დაწერა მისის კუბიტმა:

ცნობილი ასოები ჩაესვი უცნობ ადგილზე და მივიღე:



„არაოდეს“

რა უნდა ეპასუხნა მისის კუბიტს მის თხოვნაზე, მოდი, გელი? ქალმა უპასუხა: „არაოდეს“.

ახლა უკვე ვიცოდი იმდენი ასო, რომ შემეძლო დამეხედა პირველი ბარათისათვის.

თუ ამ წარწერაში ჩავსვამთ ჩვენთვის უკვე ცნობილ ასოებს, მივიღებთ: „მე აქ ვარ. აბ ლენი“.

დავუშვათ, რომ მეორე სიტყვაა „აქ“. მაშინ ბოლო სიტყვაა „ლენი“. ეს გვარი ძალიან გავრცელებულია ამერიკაში. ორი ასოსაგან შემდგარი სიტყვა, რაც გვარის წინ ეწერა, ალბათ სახელი იქნებოდა. რომელი სახელი შედგება ორი ასოსაგან? ამერიკაში ძალიან გავრცელებულია სახელი „აბ“. ახლა გამოსაცნობი რჩება მხოლოდ ფრაზის პირველი სიტყვა. იგი მხოლოდ ორი ასოსა-

გან შედგება. ესა ნაცვალსახელი „მე“. ამრიგად, პირველ წერილში წერია „მე აქ ვარ. აბ ლენი“. აი, ახლა კი საკმაოდ ბევრ ასოს ვიცნობ, სრულიად იოლად შემიძლია წავიკითხო მეორე წერილიც: „ეცხოვრობ ელტონის სას“. აზრად მომივიდა, რომ „ელრიჯი“ — სახელწოდებაა სახლის ან სასტუმროსი, სადაც ცხოვრობს ყოველივე ამის დამწერი კაცი.

მე და ინსპექტორმა მარტინმა ღრმა ჯულისყურით მოვისმინეთ დაწვრილებითი და ნათელი ანგარიში იმაზე, თუ როგორ ხსნიდა ჩვენი მეგობარი თანდათანობით მოცეკვავე კაცუნების გამოცანას.

— შემდეგ როგორ მოიქეცით, სერ? — ჰკითხა ინსპექტორმა.

— რაკი სახელი „აბ“ იხმარება მხოლოდ ამერიკაში და მთელი საქმეც იქიდან დაიწყო, რომ წერილი ამერიკიდან მოვიდა, სრული საფუძველი მქონდა მეფიქრა, რომ აბ ლენი ამერიკელია. ამას გარდა, ეჭვი მქონდა, რომ ყოველივე ამის უკან რაღაც დანაშაული იფარება. ჩემი ეჭვი გამოწვეული იყო იმით, რომ მისის კუბიტი ასე ჯიუტად უმალავდა ქმარს თავის წარსულს. მე დებემა გაუფუზავენ ნიუ-იორკის საპოლიციო სამმართველოში მისტერ უილსონ პარგრისს, რომელიც ხშირად სარგებლობდა იმით, რომ მე კარგად ვიცნობ ლონდონის დანაშავეთა სამყაროს. ვკითხე, ვინ არის აბ ლენი-მეთქი. ასეთი პასუხი მომცა: „ყველაზე უფრო საშიში ბანდიტი ჩიკაგოში“. იმ საღამოს, როცა ეს პასუხი მივიღე, ჰილტონ კუბიტმა ლენის უკანასკნელი წერილი მომაწოდა. ჩემთვის უკვე ცნობილი ასოები მივუყენე და გამოვიდა ფრაზა, რამაც ორი, ჯერ კიდევ უცნობი ასოს გამოცნობის შემდეგ ასეთი სახე მიიღო:



„იცოდე, მოკვდები“

ამრიგად, არამზადა თხოვნიდან მუქარაზე გადავიდა. ჩემთვის კი ცნობა-ლია, რომ ჩიკაგოს ბანდიტების სიტყვა და საქმე ერთია. მაშინვე გამოვეშურე ნორფოლკისაკენ ჩემი მეგობრისა და თანაშემწის, დოქტორ უოტსონის თანხლებით, მაგრამ საუბედუროდ, მხოლოდ მაშინ ჩამოვედით, როცა ეს საზარელი ამბავი უკვე მომხდარი იყო.

— დიდი პატივია თქვენთან ერთად დანაშაულის გამოაშკარავება, — თავაზიანად სთქვა ინსპექტორმა, — მაგრამ იმედი მაქვს, ნებას მომცემთ, მეც გითხრათ რამდენიმე გულახდილი სიტყვა. თქვენ პასუხს ავებთ მხოლოდ საკუთარი თავის წინაშე, მე კი პასუხს ვაგებ ჩემი უფროსების წინაშე. თუ ეს აბ ლენი, ელრიჯში მცხოვრები, მართლა მკვლელია, და თუ ის გაიტყვევა, ვიდრე მე აქ ვიმყოფები, მაშინ საგრძნობი უსიამოვნება მომელის.

— ნუ გეშინიათ; ის არ შეეცდება გაქცევას.

— ეს საიდან იცით?

— გაქცევა დანაშაულის აღიარებას ნიშნავს.

— თუ ასეა, წავიდეთ და დავაპატიმროთ.

— აქ ველოდები, სადაც არის, მოვა.

— რატომ ფიქრობთ, რომ მოვა?

— იმიტომ, რომ მივწერე და ვთხოვე, აქ მოსულიყო.

— ეს ძალიან მოუფიქრებელი ნაბიჯია, მისტერ ჰოლმს! ნუთუ ის ბანდიტი აქ იმისათვის მოვა, რომ თქვენ სთხოვეთ? განა უფრო იოლი არ არის ვივარაუდოთ, რომ თქვენი წერილი ეჭვებს აღუძრავს და დამალვას შეეცდება?

— ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, როგორ არის შედგენილი წერალი, — სთქვა ჰოლმსმა. — თუ არ ვცდები, ის ჯენტლმენი უკვე მობრძანდებოდა. სახლისაკენ მომავალ გზაზე მართლაც ვიღაც უცნობი ადამიანი მოაბიჯებდა. ეს იყო მაღალი, ლამაზი, შავგვრემანი მამაკაცი. რუხი კოსტუმი ეცვა და ფართოფარფლიანი ქუდი ეხურა. შავი, უხეში წვერი და დიდი, არწივისებური ცხვირი ჰქონდა. გზად მომავალი ხელჯოხს აქნევდა და ისეთი სახით მოაბიჯებდა, თითქოს გარშემო ყველაფერი მისი საკუთრება ყოფილიყო. ბოლოს გაისმა ხმამაღალი ზარის წკრიალი.

— მე ვფიქრობ, ჯენტლმენებო, — მშვიდად სთქვა ჰოლმსმა, — რომ თქვენ კარს უკან დამალვა გმართებთ. როცა საქმე ასეთ ადამიანთან გვაქვს, სიფრთხილის ყველა ღონისძიება უნდა გამოვიყენოთ: ინსპექტორო, ხელბორკილი მოამზადეთ და მასთან საუბარი კი მე მომანდეთ.

ღუმელში მთელი წუთი გავიდა, ერთი იმნაირ წუთთაგანი, რომელსაც არასოდეს არ დაივიწყებ.

მერე კარი გაიღო და ჩვენი სტუმარი ოთახში შემოვიდა. ჰოლმსმა თვალის დახამხამებაში რევოლვერის ლულა შუბლში დაუმისნა, მარტინმა კი მაჯებზე ხელბორკილი დაადო.

ყველაფერი ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ ჩვენი ტყვე შებოჩილი აღმოჩნდა უმალ, ვიდრე თავდამსხმელბს შენიშნავდა. იგი შავი, მოციმიციმე თვალებით ხან ერთს მისჩერებოდა, ხან მეორეს, მერე კი ხმამაღლა გაიცინა:

— ჰო, ჯენტლმენებო, ამჯერად თქვენ დამიჭირეთ! ახლა ველარსად წავივალთ, მაგრამ მე აქ წერილით მის ჰილტონ კუბიტმა მომიწვია... ნუ მეტყვიით, რომ ის ქალიც შეთქმულთაგანია. ნუთუ ამ ხაფანგში მან შემომიტყუა?

— მის ჰილტონ კუბიტს მძიმედ არის დაჭრილი და სულთმობრძავი წევს.

დაბატიმრებულმა ხმამაღლა შეჰყვირა, მისმა ხმამ მთელი სახლი შესძრა.

— თქვენ ხომ არ შეიშალებთ! — დაიღრიალა გაცოფებულმა. — ეს კაცი დაჭრილი და არა ქალი! განა ვინმეს გამბედაობა ეყოფოდა, რომ დაეჭრა პატარა ილსი? მე ვემუქრებოდი, მაგრამ ღმერთმა დამიფაროს, თავზე ბეწვსაც კი არ შევერხევიდი. უკან წაიღეთ თქვენი სიტყვები, ჰეი, თქვენ! მითხარით, რომ ილსი არ არის დაჭრილი!

— ის მძიმედ დაჭრილი იპოვნეს ტყვიით განგმირული ქმრის გვერდით.

კაცს გულის სიღრმიდან კვნესა აღმოხდა, დივანზე დაეშვა და სახე ხელებით დაიფარა. მთელი ხუთი წუთი ღუმდა. შემდეგ ხელეები ჩამოიღო და სასოწარკვეთილმა ცივი სიმშვიდით სთქვა:

— არაფერი მაქვს თქვენგან დასაფარავი, ჯენტლმენებო. მე ვესროლე, მაგრამ მანაც მესროლა, — მაშასადამე, ეს არ შეიძლება მკვლევლობად ჩაითვალოს, ხოლო თუ ფიქრობთ, რომ მე შემეძლო დამეჭრა ის ქალი, მაშასადამე, არც მას იცნობთ და არც მე. არასოდეს არც ერთ მამაკაცს არ ჰყვარებია ქალი ისე ძლიერ, როგორც მე, და ყველა უფლებაც მქონდა ამ ქალზე. იგი უკვე დიდი ხნის წინათ იყო ჩემთვის განკუთვნილი. რა საფუძველზე ჩადგა ეს ინგლისელი ჩვენს შორის? პირველად მე მივიღე მისი ხელის თხოვნის უფლება, და მე მოვითხოვდი მხოლოდ იმას, რაც კანონით მეკუთვნოდა.

— ის ჩამოგშორდათ, როცა გაიგო, ვინც იყავით, — მაკაცრად სთქვა ჰოლმსმა. — ქალი გამოიქცა ამერიკიდან, რომ თქვენგან თავი დაედღწია, ის გათხოვდა ინგლისში პატივცემულ ადამიანზე. თქვენ ემუქრებოდით, ავიწროებდით და ცდილობდით იძულებული გაეხადათ მეეტოვებინა ქმარი, რომელიც უყვარდა, რომელსაც პატივსაც სცემდა, და გაქცეულიყო თქვენთან ერთად... თქვენ კი მას სძულდით, არ უყვარდით და პატივს არ გცემდათ. საქმე იმით დაამთავრეთ, რომ მოკალით ეს კეთილშობილი კაცი და თვითმკვლევლობამდე მიიყვანეთ

მისი ცოლი. აი, თქვენი დამსახურებანი, მისტერ აბ ლენ, რისთვისაც პასუხისმგებლობა გეკისრებათ.

— თუ ილსი მოკვდება, ჩემთვის სულ ერთია, რა მომივა, — სთქვა ^{მკაცრული} ^{ამერიკელი} კელმა.

მუშტი გაშალა და ჩაიხედა ბარათში, ხელისგულზე რომ ედო.

— მომისმინეთ, მისტერ, — შესძახა აბ ლენიმ და მის თვალებში ნაპერწკალმა გაიცალა, — ხომ არ ფიქრობთ, შემაშინოთ? თუ ლედი ასე მძიმედაა დაჭრილი, მაშ, ეს წერილი ვინ დაწერა?

ამ სიტყვებზე ბარათი მაგიდაზე ისროლა.

— მე დავწერე, რათა აქ მომეყვანეთ.

— თქვენ დაწერეთ? დედამიწის ზურგზე ჩვენი ბანდის წევრების გარდა, არ მოიბოვება ადამიანი, რომ მოცეკვავე კაცუნების საიდუმლოება იცოდეს. როგორ შეგეძლოთ ამის დაწერა?

— ის, რაც გამოიგონა ერთმა ადამიანმა, შეიძლება გაგებულ იქნას მეორის მიერ, — მიუგო ჰოლმსმა. — აი, ახლოვდება კები, რომლითაც ნორვიჩში გაგაგზავნიან, მისტერ ლენი... მაგრამ თქვენ ჯერ კიდევ გაქვთ პატარა შესაძლებლობა, რამდენადმე გამოასწოროთ თქვენს მიერ ჩადენილი ბოროტება. ცნობლია თუ არა თქვენთვის, რომ მისის ჰილტონ კუბიტი ექვემდინარეობა ქმრის მკვლელობაში და მხოლოდ ჩემმა აქ ყოფნამ, ჩემს მიერ შეკრებილმა ცნობებმა იხსნეს ამ ბრალდებისაგან? თქვენ მოვალე ხართ მთელს ქვეყანას განუცხადოთ, რომ ის ამ მკვლელობაში არც ნებით და არც უნებლიეთ დამნაშავე არ არის.

— ასედაც ვიზამ, — სთქვა ამერიკელმა. — ვხედავ, ჩემთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი იქნება სრული სიმაართლის აღიარება. უნდა იცოდეთ, ჯენტლმენებო, რომ ლედი მე გავიცანი მაშინ, როცა ის ჯერ კიდევ ბავშვი იყო. ჩვენი ჩიკაგოს ბანდა შვიდი კაცისაგან შედგებოდა. ილსის მამა ჩვენი მეთაური იყო. ჰკვიანი მოხუცი გახლდათ. სწორედ მან გამოიგონა ის ასოები, რომელთაც ყველა ბავშვის ნახატებად თვლიდა, ვიდრე თქვენ არ გაგიღიმათ ბედმა და იმ შიფრს თქვენი გასაღები არ მოარგეთ. ილსი იცნობდა ჩვენს ზოგიერთ საქმიანობას, მაგრამ ჭირივით სძულდა ჩვენი პროფესია. და რაკი მას ჰქონდა პატიოსანი გზით მოპოვებული ფული, ხელიდან გავვისხლტა და ლონდონს ჩამოვიდა. ჩემი დანიშნული იყო და ცოლადაც გამომეყვებოდა, თუ პროფესიას გამოვიცვლიდი. ჩემი ხელობის ხალხთან კი ილსის არ სურდა რაიმე საერთო ჰქონოდა. მის კვალს მივაგენი მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ ინგლისელს გაჰყვა. წერილი მოეწერა, მაგრამ პასუხი არ მიმიღია. მაშინ აქ ჩამოვედი და რადგან ვშიშობდი, შესაძლოა, მან ჩემი წერილები არც კი წაიკითხოს-მეთქი, დავიწყე წერა ფანჯრის რაფაზე და ფარდულის კარზე.

უკვე მთელი თვეა, რაც აქ ვცხოვრობ. ფერმაში დავსახლდი. ჩემი ოთახი იმით იყო კარგი, რომ ქვედა სართულზე გახლდათ, ღამდამობით ისე შემეძლო გამოსვლა, რომ სახლის პატრონთა ყურადღებას არ მივიქცევი. რა არ ვიღონე, რომ ილსი ჩემს მხარეს გადამომებირებინა. ვიცოდი, კითხულობდა ჩემს აჩხაბაჩხა ნაწერს, რადგანაც ერთხელ ჩემს ნაწერს ქვეშ პასუხი მიაწერა. ბოლოს მოთმინება დაეკარგე და მუქარაზე გადავედი. მაშინ მომწერა წერილი, რომელშიაც მევედრებოდა, ამერიკაში დაებრუნებულყავი, მარწმუნებდა, თავს მოვიკლავ, ჩემი ქმარი რაიმე სკანდალურ საქმეში რომ გაერიოსო. აღმითქვა, დამის სამ სათზე, როცა ქმარი დაიძინებს, ფანჯრიდან დაგელაპარაკები იმ პირობით, რომ ამის შემდეგ გაემგზავრები და მომასვენებო.

მოლაპარაკების დროს ფული შემომთავაზა, რომ ჩემგან თავი დაეხსნა. ამან გამაშმაგა, ხელი ვტაცე და მიწდოდა ფანჯრიდან გადამეყვანა. სწორედ იმ

წამს მოიბრინა მისმა ქმარმა, ხელში რევოლვერი ეჭირა. ილსი უგრძობლად დაეშვა იატაკზე, მე და ის კაცი კი ერთიმეორის პირისპირ შევრჩით. მეც შეიარაღებული ვიყავი და რევოლვერი შევემართე, რათა შემეშინებინა წასვლის შესაძლებლობა მომცემოდა. მესროლა და ამაციდინა. მეც თითქმის მასთან ერთად გავისროლე და ჩემი მოწინააღმდეგე იატაკზე დაეცა. იქაურობას გავფორდი, ბალი გადავიბინე და გავიგონე, როგორ დახურეს ფანჯარა. ყველაფერი ეს სიმართლეა, ჯენტლმენებო, და მეტი ამ საქმისა არაფერი ვიცოდი. ვიღრე ჩემთან ერთი პატარა ყმაწვილი არ გამოცხადდა და ბარათი არ გადმომცა. წერილი წავიკითხე, აქეთ გამოვიქეცი და თქვენს ხელში ჩავვარდი...

★
მომავალი პასუხები
★
სილი
★
კონან დოილი


- ამასობაში სახლთან კეზიც მოვიდა. შიგ ორი პოლისმენი იჯდა.
- ინსპექტორი მარტინი წამოდგა და დაპატიმრებულს მხარზე ხელი შეახო.
- დროა წავიდეთ!
- არ შეიძლება წასვლის წინ ილსი ვნახო?
- არა, ჯერ კიდევ გრძობაზე არ მოსულა... მისტერ შერლოკ ჰოლმს, მე ისლა დამრჩენია, იმედი ვიქონიო, რომ როცა ისევ გამაგზავნიან რაიმე დიდი საქმის გამოსარკვევად, ბედნიერება მექნება კვლავ თქვენთან ერთად ვიმუშაო. ფანჯარასთან ვიდექით და მიმავალ კებს გავცქეროდით. როცა მოვბრუნდით, შევნიშნე ბარათი, რაც დამნაშავეს მაგიდაზე დაეტოვებინა. ეს სწორედ ის ბარათი გახლდათ, ჰოლმსმა მას რომ გაუგზავნა.
- სცადეთ ამისი წაკითხვა, უოტსონ, — მითხრა ღიმილით ჰოლმსმა.
- ფურცელზე დახატული იყო აი, ასეთი მოცეკვავე კაცუნები:



— თუ ჩემს ახსნა-განმარტებებს გაიხსენებთ, აქ წერია: „მოგელი, არ მალოდინო“. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ასეთი მოპატიყება ამერიკელს ჩვენთან მოიყვანდა, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ მისის კუბიტის გარდა ასე წერა არავის შეეძლო. ერთი სიტყვიტ, ჩემო ძვირფასო უოტსონ, ეს კაცუნები, რომლებიც ასე დიდხანს ემსახურებოდნენ ბოროტებას, ახლა ვაიძულეთ, სიკეთეს ემსახურონ... მგონია, შევისრულეთ დანაპირები და თქვენი უბის წიგნი ახალი ჩანაწერებით გავამდიღრე. ჩვენი მატარებელი სამ საათსა და ორმოც წუთზე გადის და ბეიკერ-სტრიტზე სწორედ სადილობისას ვიქნებით.

კიდევ რამდენიმე სიტყვაც და დავასრულებთ. ამერიკელ აბ ლენის ნორვიჩის სასამართლოს ზამთრის სესიამ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, მაგრამ მხედველობაში მიიღო რა დანაშაულის შემამსუბუქებელი მოტივები, და რაც მთავარია, ის გარემოება, რომ ჰილტონ კუბიტმა პირველმა ესროლა, სიკვდილი საკატორლო სამუშაოებით შეუტვალა. მისის ჰილტონის შესახებ ჩემთვის ცნობილია მხოლოდ ის, რომ იგი სრულიად განიკურნა, ჯერ კიდევ ქვრივია და თავის სიცოცხლეს ღარიბებზე ზრუნვას ახმარს.





მისამ სიზმრა

ჩემო ლექსებო! ნუ ემაღებით
 კეთილის მსურველ მეგობრებს ჩრდილში,
 მაინც მოგაპყროთ შურმა თვალები,
 გადიდებული ღვარძლით და შიშით.
 მე, რა თქმა უნდა, კამათი არ მსურს,
 არც გაუამგლავნებ ამ ამბავს არსად,
 თუ რად ვეძახი ღუდამილას ქალწულს
 და ამავე დროს — თვადის ქალსაც.
 რა ვუპასუხო, არ ვიცი თვითონ,
 შურით და ღვარძლით სავსე კრიტიკოსს.
 ის ჩემს შეცდომებს განიკლის თითქოს
 და სურს, რომ ცოცხლად გამომიტიროს.
 შენ კი, მკითხველო, თუკი თვალი გაქვს,
 ყველაფერს თვითონ შეამჩნევ უმაღ.
 მე ისიც მყოფნის, რომ მართალი ვარ
 და ვცხოვრობ ჩემთვის, ცალკე და ჩუმიად.
 და შენც გამიგებ, ალბათ, კლიმენა,
 შენ ხომ ყოველთვის გესმოდა ჩემი,
 შენც ხომ გიმსხვერბლა მკაცრმა პიმენმა...
 და აი, ისევე ეცემა ცრემლი
 ჩემს ცოდედ ლექსებს... და ოხრავ ისევე.
 სიმორცხვის ალი გედება პირზე.
 შენ კი, ემუხების ზუღვე და დედავე,
 ელოდე რისხვას, ახლოა იგი
 და მწუხარება ამურთან ერთად
 შურისძიების გიმზადებს გვირგვინს.

ქედებზე უკვე ბრწყინავდა დილა,
 ქვეყანა თვალებს ახელდა ფრთხილად.

გაგრძელება იხ. „ცისკარი“, 1964 წ. №8, 9.

მაგრამ სასახლე ჯერ დუმდა ისევ,
 თითქოს ბოქლომი დაედო პირზე.
 უუჯასაც კრიჭა შეჭკვროდა ბრაზით,
 ირგვლივ ეხვია მონათა დასი
 და უვარცხნიდნენ მუნჯი კაცები
 წვერსა და უღვას, ძვლის სავარცხლებით.
 და როგორც ნამდვილ ბატონს შეჭყერის,
 აფაქიზებდნენ ნელსაცხებლებით.
 მხრებზე მოეგდო დილის ხალატი,
 ბრაზს იკავებდა ძალის-ძალათი,
 უქულოდ იჯდა და რისხვით საესეს
 სხივი დაეცა მოტვლებილ თავზე.
 უცებ, ყველასთვის მოულოდნელად,
 ფრთიანი გველი, კაცის ოდენა,
 ღია სარკმელში შემოჰფრიალდა
 და ჩერნომორის საწოლს მიაღება.
 მერე დაბნეულ დამხვედურთა თვალწინ
 ნაინად იქცა ურჩხული მკაცრი.
 „გესალმებო... — მიმართა ბატონს. —
 თაყვანს ცემდიო ჩემს ძმასო მარად,
 დღემდე სახელით ცცნობდიო მარტო,
 ვატარებდიო შენს სახელს ფარად.
 დღეს კი ხიფათმა შეგვედრათო,
 შენს თავზეც რისხვის ღრუბელს ეხედავო,
 გავგჩენიაო საერთო მტერი.
 გავუმართოთო ერთმანეთს ხელი.
 შენს შეგინებულ და ტანჯულ დასო
 შურისძიების წყურვილი მკლავსო“.

აუციმიციმდა ჩერნომორის თვალი,
 ტკბილი ღიმილით მოთაფლა ქალი.

ბელიც კი მისცა და უთხრა მშვიდად:
„ჩემო ნაინი, მეც ძლიერ მინდა,
რომ ვიშეგობროთ ყოველთვის ასე,
ეს მეგობრობა მე ძალით მავსებს
და იმ ყრუთუჩა და ჩერჩხეტ ფინელს
დავაკრეპინებ სიმწრისგან კბილებს.
არ გაჩენილა ჩემი მომრევე,
ყველას ამოვებდ რკინის სადავეს
და შენც იცოდე, რომ ჩერნომორი
ამ წვერს ტყუილად როდი ატარებს.
სანამ წვერს ვინმე არ მოპურის ძირში,
არ შემაწუხებს არაფრის შიში,
არც არაფერი არ მეფუძრება,
ლუდმილა მარად ჩემი იქნება,
რუსლანს კი მხოლოდ სამარე ელის“.
და კვდიანმაც დაუკრა კვერი:
„სამარე ელის! სამარე ელის!“
მერე კვლავ ზიზღი აიკრა პირზე
და საშვერ დაჰკრა იატაკს ფეხი
და უცნაური მანკვით და გრეხით,
გველად ქცეული, გაფრინდა ისევ.

დროზე ეწვია გრძნეულს გრძნეული,
კვლავ დაუბრუნდა ჯუჯას ხალისი,
კვლავ აუთრთოლდა ვენების სხეული
და გაედიმა კიდევ თავისთვის.
თითქოს უეცრად მოეხსნა ტვირთი
და მოუშუშდა მტანჯველი წყლული...
და გადაწყვიტა: მშვენიერ ტყვისთვის
ფეხქვეშ გაეგო წვერიც და გულიც.
და საზეიმოდ მორთულმა ჯუჯამ
კვლავ ლუდმილასკენ გასწია ურჩად.
ჩამოაყოლა ოთახებს თვალი,
ვერსად ვერ ნახა თავადის ქალი.
მერე კი ბაღში გავიდა იგი,
გადაიხედა მესერის იქით,
გაჩხრიკა ყველა კუთხე და ტივრი
და აღმა-დაღმაც ირზინა ბევრი.
დიდხანს აცეცა დამფრთხალი თვალი,
ვერც ქალი ნახა. ვერც მისი კვალი.
ვერ აღწერს ენა მის შედრწუნებას,
მთლად მოეშხამა გრძნეულს გუნება
და როგორც ქარი ათრთოლებს ფოთოლს,
ისე ათრთოლდა და აკანკალდა,
დარბოდა, მაგრამ ცოცხალს არ ჰკავდა,
მერე კი უცებ დრილი მორთო:
„მონებო, აქეთ! მონებო, ჩქარა!
ახლა მჭირდება მე თქვენი შველა.
ან მომინახეთ თავადის ქალი,
ანდა ამ წვერით მოგახრჩობთ ყველას!“

ჩემო მკითხველო, ახლა კი გეტყვი,
სად გაქრა ჩვენი თავადის ქალი.
ბავშვით გულწრფელს, ნახსა და კეთილს
არ მოუხუჭავს იმ ღამეს თვალი.
გრძნეულის ქუდი მიიარა მკერდზე
და მომხდარ ამის ახსნას ცდილობდა
და მთელი ღამე საყოფარ ბედზე
ხან იცინოდა და ხან ტიროდა.

მას აცინებდა ყველაზე მეტად
ჯუჯა ბატონის მხდალი ბუნება,
ხოლო სიცილი და შედრწუნება
ვერ თავსდებთან ვერსადროს ერთად.
მანინვე აღვა თავადის ქალი,
როგორც კი სხივი მოადგა სარკმელს
და უნებურად მოსტაცა თვალი
კედელთან მდგარმა მალაღმა სარკემ.
სულ უნებურად მისწვდა დალაღებს,
რომლებიც შიშველ მხრებს უმაღლედნენ.
გამოიჩინა შროშანა მხრები
და უნებურად დაიწნა თმებიც.
მერე კი სკამზე, საწოლის გვერდით,
გულმინდვი კაბას შეისწრო თვალი.
ჩაიკცა. ოხვრა აღმოხდა სევდის
და კვლავ ატირდა თავადის ქალი.
ოღონდაც სარკეს, წუხილით საცხე,
არ შორდებოდა არც ერთი წუთით
და უნებურად მორიგო თავზე
ჯუჯა გრძნეულის წოწოლა ქუდიც.
რა უნდა მოხდეს ბოლოს და ბოლოს.
ან როგორ უნდა გასთქვან კედლებმა...
ის კი ჩვიდმეტი წლისაა მხოლოდ,
რომელი ქუდი არ დამშვენდება.
და დაბზირილდა ლუდმილა უცებ,
ქუდმა დაიპყრო იგი მთლიანად:
გვერდზეც მოიგდო, კეფაზეც, შუბლზეც
და მერე წაღმაც შეატრიალა.
უცებ ლუდმილა სარკიდან გაქრა.
შეერთა საწყალი, არ იცის, რა ქნას.
შეატრიალა ქუდი და ისევ
გამოჩნდა სარკის კიბადა პარზე.
კვლავ შეაბრუნა — კვლავ გაქრა საღდაც.
მოიძრო — ისევ სარკის წინ დადგა.
„ძალიან კარგი, ჩემო ბატონო,
ახლა ჩემს ნახვას ნულარა ნატრობო.
აქიციენო წვერიც და კუდიც.
მე კი ვიძინებ მშვიდადო ამღამ...“
სთქვა და გრძნეულის წოწოლა ქუდი
ჩამოიფხატა მაშინვე წაღმა.

ახლა კი რუსლანს მივხედოთ ისევ,
მარად შემართულს, მხენსა და ფხიზელს.
გადავიწყე. მკითხველო, წუთით
აგი გრძნეულის წვერიც და ქუდიც.
ჩემმა რაინდმა იმ ბრძოლის მერე
ტყე გაიარა ჩუმი და ბნელი
და როცა გასიდა ჩათვლილი ტყერებს
ბრჭყვიალა ცის ქვეშ გამოჩნდა ველი.
ველი საესეა ყვითელი ძველებით:
ლაიციის, ბეჟის, კითის თუ აბოის...
უცებ დამცხრალა ბრძოლის ხანძარი
და რიყისავით ბრწყინავს აბაზარი.
დაფანჯულ ფარზე დამჯდარა ყვავი
და მუზარადში ჩამპალა თავი,
ხმაღს შერჩენია უხორციო ხელი.
იქით აღვიბი ავღია იახენის,
აქეთ სვილ მიწას კაპარბი ოიონის
და გოლიათის მთლიანი ჩონჩხი



ბორცეს შერჩენია, როგორც ღრუბელი, და ხეზევით დგანან შუბლები, შემოხვევით ფათალოს ხელი. დუმილს მოუცავს სიკვდილის ველი, ჩქამიც არ ისმის არავითარი. საღათს ძილით ძინავს მიდამოს. მზე კი ამ სურათს დასკვნის მშვიდად გაჩახჩახებულ და მაღალ ციდან.

ამოიოხრა რაინდმა მწარედ, ჩონჩხებს მოავლო მწუხარე თვალი. „მითხარ, მინდორო, რომელმა ქარმა შემოგაჩენა ამდენი ძვალი? ვისმა მერანმა გაგთელა ასე? ვისი ვარსკვლავი ჩაბნელდა ცაზე? ვინ მოიპოვა სახელი გმირის? ვინ შეირცხვინა სიკვდილით პირი? მინდორო, ახლა რაღად ხარ ჩუმი, ამდენი რამე თუ გაქვს ნანახი, რად მოგიშვია მკერდზე დუმილის და დაგიწყების მკაცრი ბალახი? იქნებ მეც საშველს ტყუილად ვეძებ, იქნებ ტყუილად მივყვები ფიქრებს და უსახელო ბორცვზე ან ველზე რუსლანის კუბოც დაიდგეს იქნებ, და იქ დასრულდეს მისი იმედიც, მისი სურვილიც. გზაც და სანთელიც... და ბაიანის მქუხარე სიმებს სიტყვაც არ ჰქონდეთ მასზე სათქმელი.“

მაგრამ რაინდებს ჭირდებოთ ხმალი, მკვრივი აბჯარი და მუზარადი. რუსლანიც ეძებს და მისი თვალი აბჯრის გორებზე ნელა გადადის. იმ უკანასკნელ ბრძოლაში იგი უიარაღოდ დარჩა სრულებით, ამიტომ დროზე შეწყვიტა ფიქრი, თვალით მოსინჯა ორღესულეები. ველს გაეღვიძა. ატყდა ჭრილი, რკინას მიაწყდა რკინა მტვრიანი, — ისეც გაცოცხლდა თითქოს ლაშქარი. ფარიც იპოვა. ბუკიც, ჩაჩქნიც და თუმცა ხმლებში იდგა ყელამდი, ვერ შეარჩია მაინც ვერაფრით. ამ ტრიალ ველზე სიკვდილიმსჯილებს ზოგს სივრცე აკლდა და ზოგს სიმძიმე. ის კი არ იყო დონდა და ზანტი და არც დღევანდელ რაინდებს ჰგავდა. მოჩხრიკა ყველა ბუჩქი და ბარდი, ბევრი ეძება და ბევრი სცადა. დიდხანს იარა რაინდმა ასე. მერე კი თორი მოირგო ტანზე, ფოლადის შუბიკ აიღო გრძელი და მიატოვა მდუმარე ველი.

ამასობაში დაღამდა კიდევ. გადაუფარა მიდამოს ბინდი, თანდათან ფერი წაერთვა მინდვრებს, გამოჩნდა მთვარე, თითრი და მშვიდი. გამოჩნდა მთვარე, მშვიდი და მორცხვი

და ჩვენმა გმირმა შენიშნა ბორცვი, ბორცვზე კი თითქოს ვიდაცას სძინავს, სძინავს და ძილში საზარლად ხვრინავს არ დაბნეულა გმირი სრულებით. ბორცვს დაკვირვებით შეავლო თვალი. ცხენმა კი შიშით ატეკტა ყურები და ერთ ადგილზე აკეჭმუტდა მხალცი. და მთვარის მშვიდი შუქით ნაბანი ყალსუზე დაუდგა თეთრი ფაფარი. არ აშორებდათ დიდი მანძილი, — ბორცვი ხვრინავდა ბნელში კაცოვით. გამოიკვთა თანდათან ბორცვი, ფერმკრთალმა მთვარემ შესხსა ხორცი. აღწერა მიჭირს და მაინც ვებდავ, რუსლანი ნამდვილ სასწაულს ხედავს: ჩვენი გულადი თავადის თვალწინ უზარმაზარი თავი დევს კაისი. ცხენი ადგილზე გაქეფავდა შიშით, იმ თავს კი სძინავს და ხვრინავს ძილში. დამდგარა, როგორც ზვინი ზვიადი, გარემოყალი მუნჯი წყვილიდით და მუზარადის ცახცახა წვერით ცას ებჯინება მინდვრის მკველი. შეფიქრიანდა მისი სტუმარი. უცებ გამოჩქვრა ახალი პირი და სურს, როგორმე დააფრთხოს ძილი, გაურკვეველი და იღუპოლი. შემოუარა თავს ყოველ მხრიდან, ათვალეირა დიდხანს და მშვიდად, მერე ნესტოში შოყოს შუბი და შეიჭმუნა მძინარეს შუბლი. გამწარებულმა და აირემილილმა ერთი ისეთი დააცემინა, რომ არ გსმენიათ არსად იმგვარი. დაიცემინებას მოყვა არიალი. ათრთოლდა გილი, ხოლო მთებიდან ღრიალით მოწყდნენ მძამი ლოდები. უღლაშებიდან და წარბებიდან წამოიშალნენ ბუკიოტობი. გამოეღვიძათ ჩათვლებილ შალებს, მიაწყდა ეხო ოთხივე მხარის. ცხენმა ჩიხინი მორთო გამოლლი და გვერდზე გახტა მკორდაჭაულელი, დაფეთდა, როგორც გაუხილნავი. ძირს გადმოათათ ლამის მხოთარი. და უცებ თავმა შესძახა რაინდს: „საით მოდიხარ, სულოლო, საით! დაუფიქრებლად გაბრუნდი უკან. არც კი მყოფი, თავხიდი, ლოკმად.“ მაგრამ ამაყად მოხიოთა ამირმა და გააქეფა ადგილში იჩინი. „შენ ხომ არც იყო რაინდი, ვინ ვარ, არ მოაჩვენებ ჩემამოი ხელი. — განრისხებული ბრთოვინათა თავი, — რას დაწაწაოვო მინოლოში ღამით. აბა, აქედან მოაოხი მაოო. ხომ ხიდავ, ძილი მიხუპავს თვალებს.“ მოკრა თუ არა ამ სიმაყობს ყური, ბრაზით ათრთოლდა რუსლანის გულცი

და მედიდურად მიუგო მამინე:
 „თუმცა მინდორზე მთასავით დგახარ,
 ტყინის ნასახიც არ გიღვეს თავში.
 მე არ ვტრანახობ და თვითონ ნახე,
 რომ არ დაგრჩები არავის ვალში“.

მთლად გაიბერა ის თავი ოისავით,
 თვალბში უცებ მოაწვა სისხლი.
 შუბლზე აუხტა ორივე წარბი,
 პირზე მოადგა დორბლი და ქაფი.
 ვერ მოერია ბრახსა და წუხილს,
 გამოუვარდა ყურიდან ბული
 და როგორც ავღრის შავმა ღრუბელმა,
 გაბერა ყბები და შეუბერა.
 ატყდა გრივალი, გავარდა მეხი,
 დაეშვა წვიმის და სეტყვის სვეტი.
 წინ ვეღარ წადგა მერანმა ფეხი,
 დახარა თავი, დაძაბა მკერდი.
 ვერ მიაწვდინა რუსლანმა ხელი,
 ირგვლივ წყვდიადი გამფუფა სრული
 და გაარიდა ქარიშხალს ცხენი,
 რომ ოდნე მაინც მოეთქვა სული.

კვლავ შეუტია და კვლავ ამაოდ,
 ქარში მიიწვეს და მიქანაოხს,
 ვერ მიაკარა ვერაფრით თითიც,
 გადაეწურა იმედი თითქმის.
 სამაგიეროდ თავი ხარხარებს,
 უთანასწორო ბრძოლა ახარებს:
 „რაინდო, საით? მოიწი აქეთ.
 რა მოგივიდა, რაშია საქმე.
 ნუ გადაყვები მწუხარე ფიქრებს,
 როგორმე ერთი შემომგრა იქნებ
 და გამახარო ეს პერიაკი,
 სანამ შენს მერანს გასძვრება ქანცი.“
 თან კი უყოფდა საზარელ ენას.
 რუსლანს წაერთვა თვალიც და სმენაც.
 სულში ჩაუდგა ღრუბელი ქუფრი
 და დაემუქრა შორიდან შუბით.
 მერე კი სტყორცნა და როგორც სხივი,
 ბნელში გაბრწყინდა ფოლადი ცივი,
 ეძგერა ენას და შავმა სისხლმა
 მდინარესავით იფეთქა უცებ.
 და შეურყია ტრანახას ფუძე.
 ხოლო ტკივილმა, ბრახმა და რისხვამ
 გამოაშტერა თავი მთლიანად,
 გონი წაართვა მწარე იარამ,
 ღანძლის ხალისიც წაუხდა უმაღ
 და მიაჩერდა ჩვენს რაინდ ჩუმად.
 ასეთი რამე: ახლაც, წინათაც,
 მე ჩვენს სცენაზეც ბევრჯერ მინახავს,
 გონებას ასე კარავს სტვენისგან
 ცული შეგირდი მელაომენისა.
 მას არაფერი არ ახსოვს მამინე
 და გოგონებულს დაციხვის ტაშით
 ენა ებმება და თავდახრილი
 ხალხის წინაშე დგება ბალღივით.
 რუსლანიც ამას უყიდა მხოლოდ,
 მოესწრო კიდეც, ბოლოს და ბოლოს,
 ქორივით წამსვე მისკენ გავარდა,
 თათმანიანი ხელი გამართა

და ერთი ისე შემოკრა ყბაში,
 რომ ვარსკვლავებიც ათროლდნენ
 საბრალო თავიც უცებ გაბრუნდა,
 გადაბანცალდა და გადაბრუნდა
 და მის ნადგომზე გამოჩნდა ხმალი,
 ააბრწყვილა ფოლადის თვალი
 და გაუხარდა რუსლანს ბავშვურად,
 წამსვე დასტაცა სანატრელს ხელი,
 შემართა კიდეც და ფრენა-ფრენით
 კვლავ დაგორბულ თავს მიაშურა.
 სურს მოახსიბოს ყური და ცხვირი,
 გადააჩვიოს ღანძლვას და ყვირილს.
 მაგრამ უცერად მოესმა კენესა,
 აატრებდა ის კენესა კლდესაც.
 და მან ნელ-ნელა დაუშვა ხმალი,
 უცებ გაუქრა სიბრაზის კვალიც.
 გაუქრა ბრძოლის ყინიც და ცნებაც,
 ასე მინდორში ყინული ქრება,
 როდესაც ცხელი სხივებით საესე
 მზე დააცხრება, საბრალოს, თავზე.

„შენ გამინათე გონება, გმირო, —
 თავს შეეცვალა ხმაცა და კილოც, —
 შენმა მარჯვენამ მაჩვენა ნათლად,
 რომ დამნაშავე ვიყავი მართლად,
 და დღეის იქით მონა ვარ შენი,
 რაინდს კი სუსტის შენდობა შეენის
 და შენც, რაინდო, იყავ სულგრძელი,
 შენ არც კი იცი, რას ვაუძუელი
 ერთ ღროს, ძმობილო, მეც ვრაინდობდი,
 მამაცი ვიყავ. მტერს არ ვინდობდი,
 ქათმებში შეპრილი მიმიზოს ვგავდი,
 მართლაც არ მყავდა ტოლი და ფანდი.
 და სანამ ჩემი ძმა გაჩნდებოდა,
 მე დაცქერილი ყველას ზნოდან.
 ოჰ, ჩერნომორის ბრალია მხოლოდ
 ამ სატანჯველის თავიც და ბოლოც.
 მან შეარცხინა ოჯახი ჩვენი.“
 დედის მუცლიდან გამოაყვდა წვერი
 და დაბადებით ჯუჯას და ჩიას
 ჩემი სიმადლე ახრჩობდა შური.
 მე შევხაროდი ქვეყანას მზიანს,
 რადგან უბრალო ვიყავი სულით.
 ის კი ჭკვიანი იყო ქაჯივით
 და სული ღვარძლით ჰქონდა დაჭრილი.
 ბრაზით იმტერედა, წყუელი, თითქმის,
 ბოლოს და ბოლოს შევჯავრდი კიდეც.
 საუბედუროდ, იმ ქაჯს და შეშლილს
 სახედისწევრო ძალა აქვს წვერში.
 იმ წვერს ატარებს წყუელი ფარად,
 ვერც ეკარება ვერაიენ შიშით
 და უფნებელი დარჩება მარად.
 თუ არ მოაქრეს ის წვერი ძირში.
 და აი, ერთხელ, ერთ წყუელ დილას
 გამიხმო გვერდზე და მითხრა ფრთხილად:
 „აღმოსავლეთში, წყნარი ზღვის პირას
 ჯურღმულიაო და ჩვენა ქორად
 ლოდი ადევს იმ ჯურღმულს თავზე.
 შავმა წიგნებმა მიხორბესო ასე,

რომ იმ ჯურღმულში მახვილი დევსო, ის ჩაგვიტრობსო ორივეს მზესო, ასე უნდაო ჩვენს წყაულ ბედსო, ვიღუპებითო შენცა და მეცო. აღარ ვარგვიარ დარდიო და შიშით, შენ თავს მოგვირისო ის ხმალი ძირში, მე კი — წვერსაო. და თვითონ თქვიო, თუკი მოსმენილს ზღაბრად არ თვლიო, იმ ხმლის ჩაგდება გსურს თუ არაო, ოღონდ სიმართლეს ნუ დამალავიო.” — წაიადეთ, ძმაო, საითაც გინდა, — გუჯას მაშინვე მივუბე მშვიდად. — ჯული ტყულიად გიწუხს და გტკივა, თუ გინდა, ქვეყნის კიდემდე მივაღ.” ვეება ნაძვი გავიდე მხარზე და მაშინათვე გაველი გზაზე. მეორე მხარზე ისუჯა შევისვი. თან წაიყვანე ისუჯა რჩევისთვის. ძმა მარქარება და მეც გქქარობდი და ჩემი ძმის თუ ღმერთის წყალობით პირველად კარგად წაიდა საქმე: მე მივადექი ჯურღმულის სარქველს, მახვილსაც მივწვიდი და ამოვიდე, მაგრამ მოგვინდა იგი ორივეს. მოსახდენელი მოხდება ისიც და ჩვენშიც შუღლი ჩავარდა მყისვე. სახეუბარი კი გვექონდა ნამდვილად. ვერ დავცხრებოდით ასე ადვილად. აყვირდა გუჯა. მეც მაგრა დავხვდი. ვექაჩებოდით ორივე მახვილს. ორივე მუშტებს ვიცივდით გულზე. მერე კი გუჯა დაწყნარდა უცებ. მთლად გაისაწყლა წყულმა სახე. და სწორედ მაშინ დამიგო მახე. უჩუქრად იჯდა და მითხრა ბოლოს: „ეს უსარგებლო შფოთია მხოლოდ. ჩვენი კავშირი სუსტდება ამით.

ამიტომ ყური დამიგდე წამით. ჯობია ბემა განსაზღვროს თვითონ, თუ ეს მახვილი რომელმა ვზიდო. ორივემ მიწას დავალოთ ყური, (რას არ იტიტრებს ბოროტი სული) და ვინც პირველად გაიგებს რეკვას, ამ ხმალსაც მისი სახელი ერქვას.” თქვა და მაშინვე გაწეა მიწაზე. მეც გაესულედი, მართლა ვიწამე. ვწვიარ და ვუცდი. ვუცდი და ვუსმენ მოვატყუებო, ვიფიქრე უცებ, მაგრამ თვითონვე მოვტყუელი მწარედ არც გამოხედავს წყუელის მხარეს, ის კი, ბოროტი ზრახვებით სასვე, წამომპარვია უცნიდან თავზე. ხელში მორიგო მახვილი უკეთ (არ მოვწერებოდი იმ დღეს ნეტავი) და სანამ მისკენ მოვიხედავდი, თავი მიწაზე გორავდა უცვე. თავში ჩასახლდა ცხოვრების სული, გვამს კი მოედო ხავის და წყლულდი და ცხრა მდინარის და ცხრა მთის იქით დაუმარხავად ლებობდა იგი. მე კი გრძნულმა ჩამავლო ხელი, წამომპარია და ძმას საკუთარს მაყლაბა ბევრი ტრამალის მტვერი და ამ ხმლის მცველად აქ დამაყუდა. ალალი იყოს ეს ხმალი შენთვის. წაიდე იგი. — გფარავდეს ღმერთი. იქნებ შენს გზაზე, ჩემო რიანდო, სადმე გუჯასაც შეისწრო თვალი, გადაუხადე და არ დაინდო, არ ჩამაყოლო საღლაგში ვალი. თუ გამოთენებ ამ ნანატრ დილას, მეც კმაყოფილი ვიქნები სოფლის და დავივიწყებ შენს მწარე სილას, შენდამი დიდი მადლობის გრძნობით”.

მეოთხე სიღლრა

მე ყოველ დილით, როგორც კი ვდგები, უფალს გულწრფელად მადლობას ვწირავ, რადგან ჯადოქრებს დღეს აღარ ვხვდებით, ან უფრო სწორედ: არ ვხვდებით ხშირად. ახლა თამამად იხდიან ქორწილს, წყვილიად ჩაბარდა, რაც იყო წინათ, ქმარი მეუღლეს თამამად კოცნის და უფრო მეტიც: თამამად სძინავს. მაგრამ არიან სხვა ჯადოქრებიც: ნახი ღიმილი, ლურჯი თვალეები და ხმა ხავერდის... ოპ, მეგობრებო, მათაც ნურასდროს მიეკარებიო. ნუ დაუჯერებთ, ნუ მიენდობით და გეშინოდეთ ამ ტკბილი შხამის, თუ გსურთ, რომ ბოლოს გითხრან შენდობა, ახლა კი მშვიდად გეძინოთ ღამით.

ვარდების შღავ და ფოთლების ცვენავ, სიყვარულის და ოცნების ენავ, ცასავით მშვიდო, სუფთავ და ვრცელო. ჩემი მუზეუმის ძიძავ და მცველო, შენ მომიტევე, ლექსის მშობელო, ნუ შევიმუხნი სიბრაზით სახეს, თუ ჩრდილოეთის ხმატკბილ ორფეოსს მე ერთ მშვენიერ ტყულში გამხელო.

ჩემო მკითხველო, შენც იცნობ ალბათ, იმ უკეთურის უცნაურ ამბავს. გუშაქს რომ მშვიდად მიყიდა სული ჯერ თავისი და მერე შვილების, მერე ცოდავმ რომ დაუფიქრობო რული და უთვალავე შენაწირებოთ. ლოცვებით, რწმენით, გვემით და მარხვით ჰპოვა მფარველი წმინდანის სახით. შენ ალბათ მისი სიყვდილიც ვახსოვს, მისი თორმეტი ასულის ძილიც.

მთრთოლვარე სულის მკოსანო დილო, წუთისოფლის და სამოთხის მკვიდრო,

ჩვენც წარგვეკეთია წუხილით სასო,
ჩვენც დაგვეცმია იმ ციხის ჩრდილი.
ძლიერი იყო ის განცდა ჩვენთვის,
მას ბევრი ნაზი გული მინებდა.
გულღრძო ემშაკი და მკაცრი ღმერთი
და იმ უბიწო ასულთა ხვედრი
ჩვენც გვატყვევებდა და გვაშინებდა.
თავს ტყეშობაში ვგრძნობდით ყველანი,
ერთად ვტიროდით, ერთად ვღვლავდით.
ყველას გვინდოდა იმ ღების შევლა,
რადგან გულწრფელად გვიყვარდა ყველას.
ჩვენც გვეწვება მათი ცრემლი და დარდი,
ჩვენც მათთან ერთად ვეძახდით ვადიშს.
და მშვიდ მონახუნებს, როგორც ჩრდილები,
მამის საფლავზეც მივაცოლებდით.
მაგრამ ტყუილი იყო ყოველი!
მე კი არ ვიცო, ჯერ რა მომეღის.
იქნებ არ მეყოს მეც სითამამე,
მაგრამ სიმართლე მთხოვს და მავალებს
გამომჟღავნებას. და ვიწყებ წერას,
როგორც მგონია და როგორც მჯერა.

ამ დროს რატმირი, ხაზართა ხანი,
სამხრეთისაკენ მიქროდა ისევე:
საამო ვენებით უთრთოდა ტანი
და ამ საამო ვენებათა მიზნუს
უკვე საკუთარ მეუღლედ თვლიდა.
მაგრამ საღამო დაეშვა ციდან,
ჩრდილებითა და ღუმლით საგვს,
უცებ დაეშვა იგი ზემოდან.
ხოლო გარინდულ ფიჭვნარის თავზე
უკანასკნელი სხივი ქრებოდა.
სიმღერაც შეწყდა მინდვრის მგოსანთა,
აღარაფერი აღარ მოჩანდა.
ქვეყანას ღამე დააწვა მკერდზე.
რატმირიც ღამის გასათევს იქებს.
უეცრად ციხე შეინიშნა მათზე.
ციხის დაკბილულ და მაღალ კედელს
მიმოეფინა ჩრდილები ცაზე
და კუთხეებში კოშკები თვლემდნენ.
კედელზე ქალი დადის და მღერის,
მოუღერია გედგივით ყელი
და მისი წყნარზე წყნარი სიმღერა
ციხის კედლიდან შუქად იღვრება.

„ჩვეყანა უკვე წყვდიადში შედის,
ქარს აეშალა ცივი ფაფარი.
მაგრამ ჭაბუკო, ეს კოშკი შენთვის
იქნება მშვიდი თავშესაფარი.“

ღამით აქ ტკბილი განცხრომა გელის,
დღისით კი სუფრა. ღვინო და შფოთი.
მიიღე ჩვენი გული და ხელი,
ჭაბუკო, მოდი, მოდი და მოდი.

შენ აქ იხილავ მშვიდნიერ ქალებს,
დაგაგიწყობება სხვაზე თუ თრთოდი.
ჭაბუკო, მალე, მალე და მალე,
ჭაბუკო, მოდი, მოდი და მოდი.

გზას დაგილოცავთ ყველანი! ბოლოს
სავსე თასებით და დაღვის ტოტით.
ჩვენ სამშვიდობოდ გეშაითი ახოლოდ,
ჭაბუკო, მოდი, მოდი და მოდი.

ქვეყანა უკვე წყვდიადში შედის,
ქარს აეშალა ცივი ფაფარი,
მაგრამ ჭაბუკო, ეს კოშკი შენთვის
იქნება მშვიდი თავშესაფარი.“

ასე მღერის და ანიშნებს ქალი
და უკვე კედელს მიაღვა ხანიც.
შემოეგებნენ კართან ქალები,
უცმცემებდათ ტურფებს თვალები.
ჯერ ჩამოართვეს დაღლილი ცხენი,
მერე კი ნახად მოხვიეს ხელი
და შეიყვანეს კოშკში ჭაბუკი.
გაბრუნებული ვნების ქარსუქით,
ერთმა ჩაჩქანი მოხადა სტუმარს,
ნეორემ ხმალი, მესამემ თორი,
მძიმე აზჯრისგან განტვირთეს უმალ,
გამოუჩინეს გულმკერდის ბროლი.
მაგრამ ჯერ რატმირს აბანო ელის,
ნაღდი რუსული აბანო, ცხელი.
ვერცხლის კასრებში ზუყბუყებს წყალი
და იბნიდება ოხშვირით თვალი.
ძვირფასი ნოხი დაუგეს სტუმარს
და გააწვინეს იმ ნოხზე უმალ.
თავზე დაადგა ორთქლი და ბული,
ავიწყებს განვილი დაღლას და წუხილს.
და უთვალთვალებს მშვენიერ ქალებს
თავის უფრო საქმით ვართულებს,
ნახევრად შიშველებს და დახატულებს
ვერაფრით ვეღარ აშორებს თვალებს.
ჰაერს უგრილებს ტოტებით ერთი,
მეორე ვარდის საამურ ზეთით
კუნთებს უზილავს და უხანაიებს.
ახლა მესამეს მიჰყავს თავისკენ
და აბანავებს ყვავილთა წვენიში,
მეოთხეს კათხა უჭირავს ხელში.
და ამ ღიღებულ სურათით მთვრალი
ნეტარ განცხრომას ეძლევა ხანი.
გადააწვივდა ღუღმდილაც უცებ
და გული უკვე სხვა ხმაზე უცემს.
მთლად გაუწვირილა სურვილმა გული,
აცეცებს თვალებს და აღარ იცის,
რა მოუხერხოს ამ მტანჯველ სურვილს.
ვნების უჩინარ კოკონზე იწვის.
და აბანოდან გამოდის ხანი,
შეუმოსია ხავერდით ტანი.
ახლა კი სუფრა ეძახის რატმირს
სავსე ზორაგის და ღვინის მაღლით.
მე ჰომეროსი არა ვარ, ძმებო,
არა ვარ მისი უბრალო ჩრდილიც
და თქვენც სულგრძელად მომეცით ნება,
რომ არ აღუწერო ის ლაღი ღვინო.
მე მიჩნევნია, რომ ჩემმა ქნარმა,
დაუღვევარმა და ენებით მთვრალმა,
აქოს სიშიშველე ნაზი სხეულის.



კოცნაზეც სმენად იყოს ქვეული.
მე ახლა ვხედავ მძინარე რატორის,
სძინავს და გული ხმამაღლა უცემს
და, რა თქმა უნდა, რომ აღარ უსმენს
მთვარის და კოშკის იღუმედი თათბირს.
სძინავს და კენესის, საბარლო, მწარედ
და საიდუმლო მიჯნურის ალერსს
გახურებული ტუჩებით ძემს,
თუმცაღა საბანს იხუტებს მკერდზე.
და აყოლილი ვნებიან სიზმრებს
წრიალებს, კენესის და ოხრავს ისევ.
და აი, უცბე გაიღო კარი
და მთვარის შუქზე გამოჩნდა ქალი.
გამოვლევია იატაკს წამით
და ქალის ფეხქვეშ გაიღო ჩქამი.
აქ აღარ არის სიზმრის ადგილი,
უნდა აღსრულდეს გულის წადილი.
გამოიღვიძე — ნუ კარგავ წამებს!
გამოიღვიძე — შენია ღამე!
მიუახლოვდა სარეცელს ქალი,
მძინარე რაინდს შავვლო თვლი.
ჩაცურებია საბანი გვერდით,
გამიშვლებია ავხორცი მკერდი.
სუნთქავს ხმამაღლა და ვნებიანად,
მთლად მინდობილი მაცდურ მირაჟებს,
ქალი კი შედგა, როგორც დიანა
თავის მშენიერ მწყემსის წინაშე.
მერე კი საწოლს დაეყრდნო მუხლით,
აჰყვა ვნებათა ღელავს და დუღილს,
იღბლიანს ძილი დაუფრთხო კოცნით
და შეუერთა სული და ხორცი...

მაგრამ ჩუმდება უმანკო ქნარი,
ჩემი ხმაც წყდება. ზედმეტად მორცხვი.
ამიტომ ასე დავტოვით ხანი,
თავის საამო განცდებით მთვრალი.
ჩვენ კი რუსლანთან მივბრუნდეთ ისევ,
ის კიდევ მრავალს მოუგრებს კისერს
და ძალაც კიდევ დიდხანს ეყოფა
უმაგალითო გმირს და მეგობარს.
ახლა კი, თეთთან ჭიდილით დადილს
სძინავს და მკერდი თანაბრად უცემს.
მაგრამ თენდება და ზეცის თალი
თბილი სხივებით იფლება უცებ.
გამოჩნდა სივრცე. ათრთოლდა ველი.
სახე მიეცა ყველაფერს ირგვლივ-
რუსლანიც ადგა და მისი ცხენი
მინდორზე უკვე ქარივით მიქრის.

დრო მგზავრობაში ვავიდა ასე.
შავი ღრუბლები მომრავლდნენ ცაზე.
გაყვითლდა ყანა და ფრთოსან მგოსნებს
მინდვრებზე ქარი წვილით მოსდევს.
ცვივა ფოთოლი და შიშველ ქედებს
ეხევეა ცივი და მძიმე ნისლი.
ეცემა ზამთრის პირველი წვეთი
და დანარჩენთა სიმღერაც ისმის.
მაგრამ რუსლანი გზაშია ისევ,
თავის საფიქრალს მისდევს და მისდევს.

და ხიფათებით გაჰედლო გზაზე
კვლავ ერთადერთი მიზანი ავსებს.
ვინ არ შემოხვდა: დღეი თუ ქაჯი...
ბევრჯერ შეჯიკ ხმალიც და ჯავიც
ხან კი, მთავარი ღამით ალემი,
გარემოცულნი ჭადარა ნისლით,
მაცდური ცეცხლით სავეს თვალებით,
მაცდურ სიმღერებს მღეროდნენ მისთვის.
ის კი არავის არ უსურებდა
და ლუღმილაზე ფიქრობდა მარტო
და ხელს უწყობდა თვითონ ბუნებაც
ამ თავგანწირულ რაინდს და სატრფოს.

ახლა კი ვნახოთ, რას ფიქრობს, ნეტავ,
ან რა დღეშია ჩვენი ქალწული.
არ ჩანს და თვითონ ყველაფერს ხედავს
ავი გრძნეულის ქუდით დაცული.
გაფთორები წუხილით ლოყა,
ვეღარ იზორებს მეგობრის აჩრდილს
და მხოლოდ მასზე ფიქრობს და ოხრავს
და მოწყენილი სეირნობს ბაღში.
ხან უბრუნდება ლაღი ოცნებით
კიევის მინდვრებს, მშვიდა და ღამაზს,
ეზოშიც შერბის და ნახავ კოცნის
თავის საყვარელ ძმებსა და მამას.
ბედნიერებით ახლად შობილი
ხელს უქნევს თავის კეთილ დობილებს,
ან ეფერება მოხუც ვადიებს
და სიხარულის ცრემლით ატირებს.
მაგრამ ოცნებაც უკვალოდ ქრება
და ისიც ბედის წინაშე რჩება.
ამასობაში ჯუჯას მონები
კვლავ დაეძებენ გამჟრალ მშვენებას,
მთლად არევათ შიშით გონება,
არც ჭამა ახსოვთ, არც დასვენება.
ვერ მიაკვლივს ვერაფრით კვალი,
მიწამ ჩაყლაპა თავადის ქალი.
ხოლო ლუღმილა ერთობა ამით,
გამოდის გზაზე და ჩნდება წამით.
თან კი ეძახის: „აქა ვარ, აქა!“
მონებიც მისკენ გარბიან წამსვე,
ის კი კვლავ ქრება და შვევით სავეს
ისმენს დაქანცულ მონების ქაქანს.
ჩემი ლუღმილა დიდხანს ლაღობდა,
დასეირნობდა ჭაღებში მშვიდ-დ
და ყველა ჯურის მწიფე ნაყოფი
სწირად ქრებოდა შრილა ხიდან.
ხან ხეივნიდან ოხვრაც ისმოდა,
ხან შეკრთებოდა წყაროში წყალი
და სასახლეში ყველამ იცოდა,
რას აცუთებდა თავადის ქალი.
ხეზე ძვრებოდა ლუღმილა ღამით
და თუ ეძინა, დაბნეულ ძილშიც
ქმარს ეძახობდა და სუსტი ჩქამიც
გულს უხეთქავდა. საბარლოს. შიშით.
და დაძინებას აღარც ცდილობდა,
კლავდა მოქნარება და ყოძილობა,
მხოლოდ რიკრატზე ჩასთვლემდა ფრთხილად
და როცა თვალებს ახელდა და ლა,

ის ადგილს ჩიტებს უთმობდა ხეზე
და პირს იბანდა ჩანჩქერის ჩქერზე.
ჯუჯამაც ბევრჯერ შეასწრო თვალი,
როცა ზვერაგდა წალოცეს ზემოდან,
როგორ ბრწყინავდა და იმსხვროდა
უჩინარ ხელზე ჩანჩქერის წყალი.
და გადიოდა კვირაზე კვირა,
გადაღლია გული ფერიას
და სასახლეში ძალიან ხშირად
მისი ტკბილი ხმაც მოუსმენიათ.
ვნებით იწვოდა ჯუჯა ავბორცი,
ხოლო ყველაზე შორი ჭაღლიდან
მსახურს მოქონდა ხან ცხვირსახოცი,
ხან ნაკუწები სპარსულ შალისა.

მთლად დაეგლიჯა ჯუჯას სხეული,
გამწარებული ოხრავს და ხვნეშის.
მაგრამ გათავდა! ახლა გრძნეული
მალე ჩაიგდებს ლედმილას ხელში.
ჯადოქარს ვნების ცეცხლი ეღება,
ძალით იგემოს უნდა ალერსი.
ასე ჰეფესტომ, კოკლმა მშვედელმა,
გააბა ცოლი რკინის ბადეში.
ბადე წინასწარ მზად ჰქონდა მშვედელს,
როცა ეწვია ცოლს მებობარი.
და დანახვა დამკინავ ღმერთებს
კიბრიდას ნაზი თვალთმაქცობანი.

ჩვენი ლამაზი თავადის ქალი
ფანჩატურაში იჯდა და სწოხდა,
ყვავილებისთვის მიეპყრო თვალი
და ბედს გლოვობდა, მწარეს და მუნთალს.
უცებ რუსლანის ხმა გაიგონა
და დაინახა მერე თვითონაც.
მაშინვე იცნო ძვირფასი ქმარი,
დადლილი გზების მტვრითა და ქარით.

ფერი წასვლოდა რუსლანს მთლიანად
და მკერდზე აჩნდა დიდი იარა.
სწრაფად წამოხტა თავადის ქალი,
ბედნიერების ნეტქარით მთვრალი
მისკენ გაქანდა, როგორც ისარი.
„რუსლანი... ღმერთო... მართლა ის არის...
ვინ დაგპრა, ვინა...“ — ჩურჩულებს ასე
და სიხარულის ტალღებით სავესს
ნეტარი ცრემლი უსველებს თვალებს,
ჩაეხუტება სანატრელს მალე,
აღარაფერი აღარ ამინებს.
მაგრამ... ჩვენება ქრება მაშინვე.
ოჰ, ღმერთო! შიშით ნირწამხდარ მართებს
შემოვგვია უცერად ბადე.
თავბრუ დაეხვა საბრალოს წუთით,
მოძვრა გრძნეულის წოწილა ქუდიც.
„ჩემია, ჩემი!“ — მოესმა უცებ,
შიშით შეერყა გულიც და ფუძეც
და ფეხქვეშ მიწა გამოეცალა.
და როცა მახინჯს, ბილწს და შემზარავს
ჯუჯასაც თვალთ შეასწრო იქვე,
გონდაკარგული დაეცა პირქვე.

ჯუჯა უკონის ყელსა და კისერს,
დალოშნა მხრებიც და ნორჩი მკერდიც.
ნუთუ მიაღწევს გრძნეული მიზანს,
ნუთუ გადაწყვედა ლუდმილას ბედი
მოიცა!... ვესმის? — აყვირდა ბუკი,
ბრძოლაში იწვევს ვიდაცა ჯუჯას.
გრძნეული დაფრთხა. ბუკის ხმა უკვირს,
ბუკი კი ისევ ღრიალებს ურჩადა.
აუცხახახდა ჯუჯას სხეული,
სულაც დაუფრთხა პილწი და მრუდი.
გაოგნებულმა და დაბნეულმა
კვლავ დაახურა ლუდმილას ქუდი.
მხარზე გადიგლო ვეება წვეერი
და მომხდურისკენ გასწია ფრენით.

თარგმნა ოთარ ჭილაძემ

გაგრძელება იქნება



მხატვრული სახიერებრივ საპიოთხისათვის

თანამედროვეობა ყოველთვის იყო ლიტერატურის ერთი ძირითადი ფაქტორი, ვინაიდან სოციალური ცვლილებები მუდამყამს იწვევდა ზნეობრივ კატეგორიათა შეცვლას და საზოგადოების ახალი ძალების გამოღვიძებას. ენგელსი „ანტი-დიუბინგში“ წერდა: „ყველა დღემდე არსებული მორალური თეორია საბოლოო ინსტანციაში საზოგადოების სათანადო ეკონომიური მდგომარეობის ნაყოფს წარმოადგენს. და რადგან საზოგადოება დღემდე კლასობრივი დაპირისპირებებით ვითარდებოდა, მორალიც ყოველთვის კლასობრივი მორალი იყო“. ლიტერატურაც საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების შედეგად ყოველთვის კლასობრივი იყო და გარკვეული კლასის ინტერესებს ემსახურებოდა.

მეცხრამეტე საუკუნემ დახურა დიდი სოციალური რომანის წიგნი. ტოლსტოი და დოსტოვესკი, პიუგო და სტენდალი, ბალზაკი და ფრანსი, დიკენსი და ზოლა — ის გიგანტებია, რომლებმაც აღმავალი ბურჟუაზიის ეპოქაში მონახეს საზოგადოების განვითარების ძირითადი ბერკეტები და ეპიური დრო ჩასტიეს დიდ ეპიურ ტილოებში.

მეცხრამეტე საუკუნის დიდი სოცია-

ლური რომანის მერე ჩეხოვის გამოჩენა რუსულ და მსოფლიო ლიტერატურაში, სრულიად ახალი მოვლენა იყო. ჩეხოვის სახელთან დაკავშირებული არა მარტო კლასიკური რუსული ნოველა, არამედ თვისობრივად ახალი დრამატურგიის და თეატრის შექმნაც. ჩეხოვი ქვეტექსტის ვირტუოზია და შეიძლება თამამად ითქვას, მან არნახულ სიმაღლეზე აიყვანა ამ მხრივ რუსული პროზა. ტყუილად როდი იყო მისი ტალანტით აღტაცებული ლევ ტოლსტოი, როცა კლასიკური რომანის პატრიარქმა თავისი უმცროსი თანამედროვე თვისობრივად სრულიად ახალი ბელეტრისტიკის შემქმნელად მიიჩნია.

რუსულ ბელეტრისტიკას და, კერძოდ, ჩეხოვს უსათუოდ ჰქონდა დიდი ემოციური გავლენა ქართულ ნოველაზეც. გავლენაში ნაგულისხმევია არა ფორმის ან შინაარსის უბრალო გადმოღება და მიბაძვა, არამედ ადამიანის სულში ჩაწვდომის ილუზიული ხერხების შესწავლა და დაოსტატება, სულ პატარა დეტალში, ბაწაწინა ამბავში დიდი მოვლენების შემჩნევა და გამომზიურება.

რაც შეეხება ქართულ კლასიკურ ნოველას, მას საბა ორბელიანმა დაუდო სათავე. სხარტი, ერთი ამოსუნთქ-

ვით ნათქვამი იგავ-არაკები, ჩვეულებრივ ფაბულაში მძაფრი, პაწაწინა ნოველების ყველა ნიშანს შეიცავენ. თითქმის საუკუნის მანძილზე გაწყვეტილი საბასეული ძარღვი ნაწილობრივ ვაჟამ აღადგინა თავის მინიატურაში.

ვაჟას პროზა ლირიული განწყობილების პროზაა, მისი მინიატურის ცენტრალური ფიგურა ლირიკული გმირია. იქნება ეს „მთის წყარო“, სადაც პატარა, ანკარა წყარო თავის ცხოვრებაზე მოსთქვამს, აშინებს დიდ მდინარეში დაკარგვის საფრთხე, ახარებს მგზავრის დალოცვა, როცა სიცხეში დაღლილს შვეზად მოევილინება და მის სიტყვებს მადლიერებით მოისმენს: „დაილოცე, ცივო მთის წყარო, რომელი ღვინო შეგედრებაო“. წყაროს გულს უხეტოვავს სიზმარი, რომ დაშრა და დაიკარგა, იმედს აძლევს დაღლილი ირმის ხარბი დაწაფება. ყველგან აქ ლირიკული გმირის დაღაღისია, სათუთი ფერებით მოხატული აკვარელი, რომელიც ერთი განწყობილებითაა შესრულებული, რომელსაც სიუჟეტი არ გააჩნია, ერთი რაკურსით არის დანახული და დახატული. ეს არის სწორედ კლასიკური მინიატურის ნიმუში. ამავე პლანშია გააზრებული ვაჟას „წიფლის-ჩიტა“, „მთანი მალაღნი“ და „ფესვები“. თუ წიფლის-ჩიტა გაზაფხულის მოსვლას შეხარის, გაღვიძებულ მთასა და ველს თავს ევლებ, ყველა მცენარის გამოღვიძებას შესტრფის და შეღუღუნებს, „ფესვები“ თავიანთ უცოდველობას ამტკიცებენ: „ნუ გეშინია, არა ვართ გველები. ამ მალაღ მთაზე გველს რა უნდა? ტყუილად შეკრთი, ჩვენ კაცს არაფერს ვავენებთ, არ მოვწამლავთ. გარედან რომ დაქმუჭნილი, ხმელი ტყავი გვკარავს, იმან შეგაშინა? ერთ დროს ჩვენ სხვა ფერი და იერი გვედო. დრომ, ჟამთა-ვითარებამ შეგვიცვალა სახე“. ფისების კილო ნაღვილიანია და ბედს შერიგებული. მათ წართმევით ყოველგვარი წინააღმდეგობის უნარი და მოთმინებით ელიან აღსას-

რულს. დიდი მუზა, რომელსაც ისინი ჰკვებავდნენ, აღარ არის, ადავრდნენ ხელით განადგურდა და ფესვებსა შორის ლოდ მუდარაღა დარჩენილი, რომ სულ არ გაიწირონ ბედისაგან. ისინი დაღლებენ: „ღმერთო, ნუ დაგვკარგავ! ბედო, ნუ გვიმტყუნებ. დედამიწავ, კიდეც გაგვიჩინე ბინა!“ ვაჟას მინიატურის გმირი ან განადგურებულია, ძველ დიდებას იგონებს და მისტირის, ან განადგურების პროცესშია. ამიტომ ასე ჭარბადაა ნადველი და მინორული კილო ამ მინიატურებში. მხოლოდ „მთანი მალაღნი“ გამოირჩევა მაჟორული ნიუანსით და ეს მაჟორი ერთგვარი აქცენტია ლირიკულ გმირთა პოლიფონიურ ხმებში. „მთანი მალაღნი“ არა სტირიან თავიანთ სიბერეს და არ მოსთქვამენ თავის უმწიბობაზე. პირიქით. მინიატურის ლირიკულ გმირს სურს შეიტყოს მთების მღუმარების მიზეზი, მაგრამ როცა ამ მიზეზს ვერ პოულობს, გულს მაინც არ გაიტეხს და აღტაცებული მთების სიღიალით, პათეტიურად შესძახებს: „რატომ არ მღერი, მთებო?! განა ისე უნდა მოვკვდე, რომ თქვენი ხმა, თქვენი სიმღერა ვერ გავიგონო?“ მინიატურის გმირს ვერ წარმოუდგენია, რომ ამ დიად მთებს სიმღერა არ შეეძლოთ, რომ მათ არ უნდოდეთ მოზღვავებული გრძობების გამოხატვა და თავიანთი ბობოქარი ხმით ხეგ-ხევის გაყრუება. უფრო მეტიც: მთებს წმინდა ადამიანური თვისებებით ამკობს ვაჟა: „რატომ არ იცინით? ღიმილი მაინც მიჩვენეთ თქვენი, კარგებო! მაგრე როგორ დაგიმონათ, შეგაპყრათ, დაგიმორჩილათ ერთმა ფიქრმა, რომ სხვა ყოველივე ძალა და ნიშანი სიცოცხლისა დათრგუნვილა თქვენს გულ-გონებაში“. მისთვის მთანი მალაღნი იმდენად ადამიანურნი არიან, მათი არსებობა იმდენად გასაგნობრივიბულია, რომ ის პირდაპირ ეკითხება: „არა გაქვთ აზრი? იდეა?

როსტომ ბეჟანიშვილი

მხატვრული სახიერების საკითხისათვის

გრძნობა? არ ოცნებობთ?“ ვაჟის ლირიკული გმირი მინდიის ექვით კი არ არის შეპყრობილი, ის პათოლოგიურად კი არ განიცდის მთების მოზვავებას, დაშლას და განადგურებას, არამედ რეალურად, მატერიალისტურად და სანუგეშოსაც თვითონ პოულობს, როცა მთების აზრად, იდეად და ოცნებად აცხადებს: „მშვენიერი ყვავილები, თქვენ რომ გულ-მკერდს გიმშვენებთ? ეგაა თქვენი ოცნება, იმედი, ნუგეში“. მთებს თუ თავისი გულის ნატვრა აქვთ, ეს ხანდახან ადამიანისათვისაც შეუცნობელია, რომ ამ მთებს რაღაც შინაგანი ძალა ამოძრავებთ, რომ ისინი ქედმოუღრეკლად დგანან და ელიან. ეს მოლოდინი დიალექტიკურია და სამყაროს დაუსრულებლობაზე მიუთითებს, ან როგორც ენგელსი იტყოდა: „კაცობრიობის განვითარების რომელიმე მომენტში სამყაროს ფიზიკური, სულიერი და ისტორიული კავშირების ასეთი საბოლოოდ დამთავრებული სისტემა რომ შემდგარიყო, მაშინ ამით ადამიანის შემცნების სფერო დამთავრდებოდა და შემდგომი ისტორიული განვითარება შეწყდებოდა იმ მომენტიდან, როცა საზოგადოება მოეწყობოდა ამ სისტემის მიხედვით, რაიცა აბსურდს, ნამდვილ უაზრობას წარმოადგენს. მაშასადამე, ადამიანები შემდეგი წინააღმდეგობის წინაშე დგანან: ერთი მხრივ, ისინი ცდილობენ ამომწურავად შეიცნონ სამყაროს სისტემა მის საერთო კავშირში, ხოლო მეორე მხრივ, ისინი როგორც თავიანთი ბუნების, ისე სამყაროს სისტემის ბუნების მიხედვით ვერასოდეს ვერ შესძლებენ ეს ამოცანა სავსებით გადაჭრან“.

მეოცე საუკუნის ქართულ პროზაში უჩვეულო მოვლენა იყო ვასილ ბარნოვი როგორც თავისი თემატიკით, ისე ფორმის მხრივ. ვასილ ბარნოვის მუსიკალური პროზა, თითხმეტმარცვლოვანი სტრიქონი, მსუყე ფრაზა და მდროის სიუჟეტი გამონაკლისია უახლესი ქართული ლიტერატურის განვითარების მთელი ისტორიიდან. პირ-

დაპირ საოცარია, ერთსა და იმავე დროს ემოლვაწევით ისეთ მწერლებს, როგორიცაა ნიკო ლორთქიფანიძე და ვასილ ბარნოვი. ნიკო ლორთქიფანიძე თუ უაღრესად დახვეწილ, ეკონომიურ, ტევად ფრაზას სთვლიდა კარგი პროზის წინაპირობად, მკაცრ, მიუკერძოებელ ეპიურ თხრობას, გაწმენდილ ზედმეტი ლირიზმისა და სენტიმენტისაგან, ვასილ ბარნოვი პირიქით, გარეგნულად მოკლე ფრაზაში კუმშავდა შინაგან დინამიურობას მოკლებულ შინაარსს, პროზას აპოეტურებად და უკარგავდა ბუნებრივ ელასტიურობას. მიუხედავად ამისა, ვასილ ბარნოვისა და ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში მაინც შეიმჩნევა ერთი საერთო ნიშანი: პოეტური ფერწერა. ვასილ ბარნოვმა უაღრესად განავითარა საგნების ფერწერული აღქმა, მან თვითთულ საგანსა თუ მოვლენას მოუძებნა ფერწერული კუთხე და შეძლო მისი სიტყვიერი გაცნობიერება. ვასილ ბარნოვისათვის სიტყვა საღებავია, რომელსაც იგი უხვად ხმარობს. ნიკო ლორთქიფანიძემ შემოქმედებითად გამოიყენა ვასილ ბარნოვის წერის ეს მანერა. მან შესანიშნავად შეძლო ყოველი მოვლენისათვის ფერწერული გამოხატულება მოენახა, მაგრამ მოენახა ერთადერთი შტრიხით და ნიუანსით და ამით მოეხდინა უდიდესი ეფექტი. ნიკო ლორთქიფანიძემ შესანიშნავად იცოდა ზომიერების გრძნობის ფასი ხელოვნებაში, იცოდა ის, რაც ლესინგმა აგრე დიდებულად შენიშნა ჰომეროსის პოემების განხილვის დროს. „ყოველი საგნის ღვაწისათვისათვის ჰომეროსი ხმარობს ერთ ნიშანს. გემი მისთვის — ან შავი გემია, ან ჩქარი გემია, ან ყველაზე მეტი კარგად აღჭურვილი შავი გემი. გემის დანარჩენ აღწერილობას ჰომეროსი არ იძლევა. სამაგიეროდ, თვით ნაოსნობას, გემის გასვლას და შემოსვლას დაწერილობით აღწერს იგი“. ნიკო ლორთქიფანიძემ სწორედ ამაში მონახა თავისი შემოქმედების ძირითადი გასაღები.

შემძღვარია ის მოსაზრება, თითქოს

ნიკო ლორთქიფანიძის ნოველები მხოლოდ ფსიქოლოგიურ ეფექტებზეა აგებული. თითქოს მწერალი განგებ ანელებდეს ამბის განვითარებას და ამით აღწევდეს ემოციურობას, საგნებსა და მოვლენებს ხაზგასმულად სტატიკურ მდგომარეობაში გადმოსცემდეს და ამიტომ კლასიკურ სიუჟეტს მის შემოქმედებაში თითქოს ფუნქცია დაკარგული ჰქონდეს. ნიკო ლორთქიფანიძის ნოველები, რა თქმა უნდა, მხოლოდ ფსიქოლოგიური „მხარის“ გადმოცემაზე არ არის აგებული. ნიკო ლორთქიფანიძე, პირველ რიგში უნარული ჩანახატების, პლასტიკური სცენების და დიალოგის ოსტატია, მისთვის ფსიქოლოგიაში არ არის მოვლენის შეფასების ერთადერთი ასპექტი. იგი ფერმწერის სახიერებით ძერწავს ხასიათებს და მოვლენებს. ფსიქოლოგიაში უმთავრესად ხასიათში, მოვლენაში და ამბავთა შინაგან დრამატიზმში ჩნდება. ნიკო ლორთქიფანიძე არსად არ ანელებს მოვლენათა განვითარებას, პირიქით, იგი სულმოუთქმელად ჰკვეცავს მოვლენებს და სიუჟეტის ძაფს გასაოცარი სისწრაფით ახვევს. მაშასადამე, ნიკო ლორთქიფანიძე მოვლენათა შენელებით კი არ აღწევს დინამიურობას და ემოციურ დაძაბულობას, არამედ ამბის საოცარი ლაკონიზმით და ექსპრესიულობით.

მისი ნოველები და მინიატურები ხშირად ფინალში კი არა, ექსპოზიციის დროს იხსნებიან და ეს სრულებით არ ანელებს ინტერესს სიუჟეტისადმი. ფსიქოლოგიური აქცენტი განაწილებულია მთელს ნაწარმოებზე. ამიტომ ნიკო ლორთქიფანიძის ზოგიერთ ნოველს რამდენიმე აქცენტი აქვს. მაგალითად, ნოველა „თავსაფრიალი დედაკაცი“. ამ ნოველაში ისე ფინალი არ არის საინტერესო, როგორც თვით მოვლენის დინამიზმი და მზარდი ექსპრესია.

უაღრესად პოეტურია მისი მინიატურაც „გელი“. აქ არის ერთმანეთის პარალელური ორი სიუჟეტი: თეთრი გედის სურათი, მასზე ნადირობა და ქალ-ვაჟის სიყვარული. სიყვარული,

როგორც ამაღლებული, წმინდა და სათნო გრძნობა. გედის სინარჩურში მწერალი ხედავს ქალის სახეს, მისი უმანკობას. ეს არის ნაღვლიანი სიმღერა აუხდენელ, განუხორციელებელ სიყვარულზე. როგორც თეთრი გელი გაფრინდა, ისე წავიდა და გაქრა სიყვარულიც. ბედნიერების წინათგრძნობა არ გამართლდა. მაშასადამე, დაასკვნის ნიკო ლორთქიფანიძე, ადამიანებსა და ბუნების შვილთა ცხოვრებას შორის არავითარი განსხვავება არ არის. მათი ბელი და მათი ყოფა იდენტურია. ჩემი, პოეტური ნაღველი, სადაც აზრი მსჯელობიდან და დიალოგიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ უჩინრად არის განზავებული პოეტურ სურათში, ნახატის შინაგან განწყობილებაში. გმირი ჩვიდმეტი წლისა იყო, მისი შეყვარებული ხის ძირას იჯდა და „განდევილს“ კითხულობდა. მათ შორის იყო შორით ტრფილიც და დაუოკებელი ლტოლვაც; მთელი ამ აკვარელით მოხატულ დრამიდან, რომელიც ქალ-ვაჟის წარსულ სიყვარულს და თეთრი გედის წუთიერ სიცოცხლეს გვიხატავს, ნაწყენი მხოლოდ მეძებარი ძაღლი—ლაბაშა დარჩა... ძაღლი შეიძლება იყოს უკმაყოფილო, — ირონიულად შენიშნავს მწერალი, — ადამიანებს კი არა აქვთ ის ბედნიერება, რომ უკმაყოფილონი იყვნენ. მათ არ ეთქმით ამ სოფლის სამდურავი, ვინაიდან მთელი წუთისოფელი მხოლოდ უბედურების, განუხორციელებელი ოცნებების, დამუკნარი სიყვარულისა და დაკარგული იმედების ერთი გრძელი ჯაჭვია. ასეთია ის უჩინარი ტენდენცია, რაც ამ მინიატურიდან გამოსჭვივს.

მინიატურა „მომღერალი“ აგებულია კონტრასტებზე. მწერალი წერს: „შემთხვევაა თითქოს განგებ დაუპირდაპირა შესადარებლად სათნოების, სიმაართლის და სიყვარულის სამეფო—

როსტომ ბეჟანიშვილი

მხატვრული სახიერების საკითხისათვის

ტაძარი შურისძიების, სიმკაცრის და
ამა ცხოვრების ყველა ცდუნების
საუკეთესო სასწავლებელს — საპატი-
ბილეს“. აი ეს კონტრასტი — ერთის
მხრივ, ეკლესია, რომელიც ღმობიერე-
ბას, ჰუმანიზმსა და მოყვასის სიყვარულს
ქადაგებს და მეორე მხრივ, საპატიბილე,
რომელიც სჯის ამ ადამიანს, ართმევს მიწიერ
ბედნიერებას და უმოკლებს სიცოცხლეს. სულ ერთია,
დამნაშავე არის თუ არა, ვინც
საპატიბილეში მოხვდება, საბრალოა და მისი
თანაგრძნობა გემართებს, — გვარწმუნებს ავტორი.

მინიატურაში „რიყრაქი“ დახატულია
ხელოვანი. რომელსაც თან სდევს მუდმივი დაუკმაყოფილებლობის
გრძნობა. აქ სამყარო განხილულია, როგორც
მიახლოებითი, „გული და სამშვიდებლად“
შექმნილი წესრიგი, რასაც ჩვენ რიყრაქს,
საღამოს დასხვა სახელებს ვარქმევთ.
მწერალი ცდილობს „გარემომცველ
საიდუმლოებათა“ ახსნას. მინიატურის ფორმა
ერთი შეხედვით ნათელია და რეალისტური,
მაგრამ ქვეტექსტი ბურუსით და უიმედობით
არის საესე. სახეების ასეთი ძერწვა
დამახასიათებელია ნიკო ლორთქიფანიძის
იმპრესიონისტული მინიატურებისათვის.

დიდი ლიტერატურის ძირითადი ტენდენცია,
რომელიც ადამიანის შინაგან სამყაროსთან
ერთად სოციალურ ტიპივლებსაც გამოხატავდა,
მეტამორფოზულად გადმოვიდა სიმბოლიზმში და
ნეორომატიზმში. ეკზისტენციალიზმის მიერ
მარტოობის ქადაგების შედეგად ისეთი
ლიტერატურული ნაწარმოებები იქმნებოდა,
რომელთა გაგება უკვე აღარ იქმნებოდა
არც იდეის და არც სიმბოლოების
საშუალებით. ეს არის რაღაც სრულიად
ახალი, ფენომენოლოგიური სამყარო,
რომელსაც აღქმის „თავისებური“
კანონები აქვს. სიმბოლური ნაწარმოების
განხილვისას სახის აზრი არ გამოდინარეობს
თითქოს მისი ინდივიდუალობიდან.
ჰეგელის თქმით, შინაარსისა და ფორმის
ურთიერთობა „იქცევა მეტად თუ
ნაკლებად ორი

საგნის შემთხვევით შეფარდებად, რომელიც
არის პოეტის სუბიექტურობის საქმე,
მისი სულის ერთგვარ ვებებად რაღაც
გარეგნულ არსებობაში... მის გამოგონილში“. ჰეგელი
სიმბოლურ ფორმას აკავშირებს პოეტის მიერ
გამოგონილთან და დასკვნის — „მასადამე,
იქ, სადაც ჩვენ საქმე გვაქვს სიმბოლურ
ფორმასთან, ე. ი. იქ, სადაც ცხოვრებისეული
მოვლენის არსი შეიცნობა არა მისთვის
დამახასიათებელი ფორმის საშუალებით,
არამედ შეფარდების გზით რომელიმე
სხვა მოვლენასთან, სხვაგვარ გარეგნულ
ფორმასთან, ჩვენ შეგვიძლია ჩაეწვდეთ ამ
ცხოვრებისეული მოვლენის არსსა და მნიშვნელობას
(ე. ი. გავიგოთ ნაწარმოების იდეური აზრი)
მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სიმბოლური სახე
დაკავშირებულია ამ მოვლენასთან ავტორის
მიერ ნაპოვნი და ხაზგასმული რაღაც
მსგავსებით“.

დიდი ლიტერატურა თავის ინტექტუალურ
ასპექტში ყოველთვის ვითარდებოდა
საზოგადოების განვითარების პარალელურად,
ფილოსოფიისა და ზნეობრივი კატეგორიების
გვერდით. ლიტერატურა ყოველთვის მოვლენათა
ცენტრში იდგა, ვინაიდან, ყველა შემთხვევაში
მისი მოდელი ადამიანი იყო, ხოლო ადამიანი
თავის გარემო იკრფდა იმ სოციალურ, ფსიქიკურ,
ეკონომიურ და მორალურ პროცესებს,
რომელიც სამყაროს დაუსრულებელი
განვითარების გრძელ გზაზე ხდებოდა.
ლიტერატურა ყოველთვის ეძებდა ამ დიდი
მოვლენების შესატყვის ენას, შესაფერ
ფორმას, ადექვატურ შტრიხებს, რათა
მხატვრული სახეების საშუალებით ეთქვა ის,
რასაც ცხოვრების ფილოსოფია კარნახობდა.
ლიტერატურული კვლევის მთავარი ამოცანა
სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მოძებნილ
იქნეს ამა თუ იმ დროის ძირითადი პათოსი,
მოძებნილ იქნეს ეპოქის პულსი ყოველ
ლიტერატურულ ნაწარმოებში. დიდი ლიტერატურა
არასოდეს არ ყოფილა რაიმე ისტორიული პროცესების
განყენებული

ან აბსტრაქტული ილუსტრაცია, რაიმე იდეების ან პრობლემების უბრალო ფიქსაცია. ლიტერატურა ყოველთვის ეძებდა ტიპიურ ხასიათებს ტიპიურ ვარემოში და ეს არის მისი განვითარების ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი.

როცა თანამედროვე ნოველის ზოგიერთ თავისებურებაზე და მხატვრულ სახიერებაზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ოჰვენის შემოქმედებას. მისი ნოველები გამოირჩევიან სიუჟეტის სიმძაფრით და გონებაშაზვილობით. მისი მსოფლქვერტა პოზიტიურია: აი ის გამოუცნობი მორევი, რომელსაც ცხოვრება ჰქვია, — ამბობს მწერალი. მაგრამ ნუ შეგეშინდებთ ამ მორევისა, მას ბევრი ნათელი და ლამაზი მხარე აქვს, იფიქრეთ ამ კარგ მხარეებზე და დარდი დაგაევიწყდებათ. ასეთი პოზიცია უსათუოდ შეიცავს სოციალური რაფინირების საშიშროებას, რადგან მხოლოდ პოზიტიური ტენდენცია უძღურია ბუნებისა და საზოგადოების ყველა კოლიზია და პერიპეტია გვაჩვენოს. ეს იწვევს სოციალური მახვილის ერთგვარ მოღუნებას. მაგრამ ოჰვენი ასე შორს არ მიდის. მას ზედმიწევნით ახარებს ადამიანის ცხოვრებაში და საქციელში შენიშნოს კომიკური. მისი სიცილი კეთილი განწყობილებით არის გამოწვეული და არა ცინიზმით.

ცალკე უნდა აღინიშნოს ოჰვენის ოსტატობა ნოველის ფინალის მიგნების დროს. თუ მერიმეს ნოველაში ფინალის სიმძაფრე ხასიათების ლოგიკიდან გამომდინარეობს, თუ მოპასანი და დოდე ფინალს დიდი ეპიური სუნთქვით ამზადებენ, თუ ჩეხოვი უჩვეულო სიტუაციათა თანდათანობითი გამწვავებით ჰქმნის ფინალს, ოჰვენის ნოველების ფინალი პირდაპირ თეატრალურ ეფექტობზეა აგებული. ეს არ ნიშნავს, თითქოს იგი მოკლებული იყოს ხასიათების ლოგიკას, მაგრამ ოჰვენისათვის ფინალი მაინც ის უკანასკნელი აკორდია, რომლის მთელი ძალა მოულოდნელობასა და გაოცებაში მდგომარეობს. ესაა ოჰვენის ნოველის სპეცი-

ფიკა და თვისობრივად სრულიად ახალი მხარე.

ჰეგელი თავის „ლექციებში“^{მეცხრედი} კის შესახებ წერდა: „ცალკეული მორალური და ფილოსოფიური გამოთქმები საყოველთაონი რჩებიან თავისი განსაზღვრული მახალის მიმართ. ჰეგელიმარიტად პოეტურად ითვლება კონკრეტული სულიერი ინდივიდუალურ ფორმაში, ეპოსს კი, ვინაიდან მის საგნად ითვლება ის, რაც არის, თავის ობიექტად აქვს მოქმედება, რომელიც მდგომარეობათა და კავშირთა მთელ სიფართოში უნდა გამოჩნდეს სახიერი, როგორც მოვლენათა სიმდიდრე, დაკავშირებული ერისა და საუკუნის მთლიან სამყაროსთან“. როგორც ვხედავთ, ჰეგელი აქ ერთი მხრივ ამტკიცებს, რომ ჰეგელიმარიტად პოეტურად ითვლება მხოლოდ კონკრეტული სულიერი ინდივიდუალური ფორმით, მეორე მხრივ, ეპოსის საგნად აღიარებს ობიექტურ სინამდვილეს, რომელიც ემორჩილება დიალექტიკას. ცხადია, რომ ჰეგელის განსაზღვრის ფილოსოფიური ძირი მატერიალისტურ აღქმასზე დგას, ხოლო გარეგნული მხარე იდეალისტურია. მოითხოვს რა ჰეგელიმარიტი პოეტური ნაწარმოებისათვის აუცილებელ სულიერ ფორმას. ლესინგს უფრო ადრე ჰქონდა შენიშნული, რომ არა მარტო ეპოსის, არამედ მთლიანად „პოეზიის საგანს მოქმედება შეადგენს“.

რასან პოეზიის საგანს მოქმედება შეადგენს, მაშინ ლირიკულ პროზას, სადაც მოქმედება მინიმუმამდეა დაყვანილი, ფასი ეკარგება. ლირიკული პროზის ყველაზე კოლორიტული ფიგურაც კი ქართულ ლიტერატურაში — ჭოლა ლომთათიძე, ვერ ასცდა ამ საფრთხეს. მან მთელი აქციენტით ლირიკულ აღსარებაზე, ლირიკულ მონოლოგზე გადაიტანა და ამით ერთგვარად ჩრდილი მიაყენა ამბის ეპიურ მხარეს. მაგრამ ჭოლა ლომთათიძე

როსტომ ბეჟანიშვილი
მხატვრული სახიერების საკითხისათვის

შორს დგას ლირიკის „თანამედროვე“ გაგებისაგან. მისი ლირიკული გმირი სულის ქვეცნობიერ სამყაროში კი არ ახდენს თვითანალიზს, არამედ თავისი დროის საზოგადოებრივი, სოციალური და ეთიკური პრობლემებით შეწუხებული ინტელიგენტია, რომელიც პირად ბედს, პირად განცდას უშუალოდ რევოლუციას, ხალხის ცხოვრებას უკავშირებს. ამ მხრივ ჭოლა ლომთათიძის ლირიკული პროზა საზოგადოებრივ ელფერს ღებულობს და იგი დიდად განსხვავდება ლირიკის ტრადიციული გაგებისაგან. ჭოლა ლომთათიძის ისეთ ლირიკულ ნაწარმოებებში, როგორცაა: „სახარზობელის წინაშე“, „უსათაურო“, „საპყრობილე“—მოაზრობილია საზოგადოების მაღალი იდელებისათვის მებრძოლი ადამიანის წამება ციხეში, მისი ზნეობრივი სიმტკიცე და თავდადება. მაგრამ ეს ლირიკა ხშირად გადადის სექტიმენტალიზმში. ჭოლა ლომთათიძის გმირები ზოგჯერ იმეორებენ პასაჟებს, სიტუაციებს, ისინი სიღრმისაყენ არ მიიღტივან. ისინი უფრო დახვეწილი არიან, ვიდრე შიო არაგვისპირელის გმირები; მაგრამ მათ აკლიათ შიო არაგვისპირელის ნოველების ძარღვი; დინამიური სიუჟეტი და ამბის სიმძაფრე. ლირიკული გმირი დაძაბულ სიუჟეტს აღუწებს, ხშირად მისი განვითარების ბორკილადაც იქცევა. ამიტომაც, რომ ჭოლა ლომთათიძის გმირები ასე ბევრს მსჯელობენ და ცოტას მოქმედებენ. ნოველის მთავარი ნიშანი კი დინამიურობაა.

ხაზი რომ გაესვას მხატვრული ნაწარმოების დინამიურ ხასიათს, ანალიტიკურად უნდა იქნას შესწავლილი მხატვრული ნაწარმოების ის კომპონენტები, რომლებიც შეადგენენ მთლიან სტილს. ესენია: შინაარსი, ენა და კომპოზიციკა. ეს ელემენტები განსაზღვრავენ ნაწარმოების არქიტექტონიკას. მაშასადამე, სტილი ნაწარმოების ყველა სტრუქტურული ნიშნის ერთიანობაა.

პოეტური სამყაროს ერთიანობა ნი-

შანდობლივია მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებისათვის. მეტაფორებით მდიდარი, ძარღვიანი ენა, პოლიფონური პასაჟების სიჭარბე ჰქმნის მის სტილს. სანიმუშოდ საკმარისია მოვიგონოთ „მართალი აბდულა“. მიხეილ ჯავახიშვილი ჩვენ თვალწინ ძერწავს და აქანდაკებს აბდულას, ჩვენ მასთან ერთად ვრწმუნდებით უსამართლობაში, ვიჯერებთ აბდულას უბრალოებას, გვწამს მისი სიმართლე და პატიოსნება. როცა მწერალი პეტრონაეის ხასიათის გახსნის დროს მკითხველის დაჯერებას მიაღწევს, მერე ყოველგვარი საქციელი გამართლებული და ლოგიკურია, მით უმეტეს, რომ აბდულას შემდგომი ნაბიჯები მხატვრულად ზუსტია, მოფიქრებული და მოტივირებულია. მიხეილ ჯავახიშვილს მხატვრული სიმართლე აჰყავს ცხოვრებისეული სიმართლის ხარისხში. მისთვის უცხოა მოულოდნელი ფინალი ან ნოველისებური ეფექტი. ეპიური სუნთქვა, ეპიზოდების თანამიმდევრული, ლოგიკური განვითარება ჰქმნის დინჯასა და ხატოვან თხრობას. ყოველივე ეს არ ნიშნავს, თითქოს ამ ეპიურობას დინამიზმი აკლდეს. პირიქით, მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობებში დინამიზმი ხასიათების ზრდა-განვითარებაშია და არა მხოლოდ ეპიზოდების ცვალებადობაში. მართალი აბდულა შინაგანად დასრულებული ხასიათია. მთელი დრამა მის სულოვრ ცხოვრებაში გადატყდა. გარეგნულად კი არაჩვეულებრივი თითქოს არაფერი მომხდარა. უდანაშაულოდ დასჯილმა კაცმა რომ შური იძიოს, ამაში ახალი და განსაკუთრებული თითქოს არაფერია, მაგრამ მართლმაც, პატიოსანმა აბდულამ თავისებური „კანონიერება“ რომ აღადგინოს, ეს უკვე ხასიათია, საინტერესო და ძლიერი.

გოეთეს აზრით, ლიტერატურული ნაწარმოების არსი არის სიმბოლური ხასიათი, რაც პოეზიის ბუნებასაც შეადგენს. ბოლო დროს სიმბოლური ხასიათის გამო ლიტერატურათმცოდნეობაში აღარ დავობენ, რადგან მას

ახალი შინაარსი უპოვნეს ლიტერატურის გარეთ, კერძოდ, ფსიქოლოგიაში.

მართალია, ჰეგელიც სიმბოლურს მხოლოდ პოეზიის თვისებად მიიჩნევს, მაგრამ ეს სიმბოლური დღემდე გვხვდება პროზაში. სანიმუშოდ დავასახელებთ სტენინგეის „მარგალიტს“ და დემნა შენგელაიას „განძის“.

„განძი“ ბევრი რამ ითქვა. ჩვენ, რა თქმა უნდა, იმ სწორ თუ არასწორ დებულებებს არ გავიმეორებთ, შევნიშნავთ მხოლოდ, რომ დემნა შენგელაიას „განძი“ უაღრესად სიმბოლური ნაწარმოებია და აქ უნდა იქნას მოძებნილი მისი ფილოსოფიის გასაღები. თუ ჩვენ საულის ვანვიხილავთ, როგორც კონკრეტულ ხასიათს, ისევე როგორც მართალი აბდულა, ბერმანი, ჩერვიაკოვი, მეჩი ან დახუნდარა, მაშინ ნაწარმოებს სულ სხვა გავება მიეცემა და მრავალი პრეტენზიის უფლებაც გავვიჩნდება. პირველი პრეტენზია ის არის, რაც ქართულმა კრიტიკამ ხელზე დაიხვია და მძიმე ბრალდებად წაუყენა მწერალს: საულია თავისი ბნელი ინსტინქტების გამო არ შეიძლება იყოს საბჭოთა ადამიანი, მოწინავე კოლმეურნე და, საერთოდ, დღევანდელი კაცი. ასეთი საზომი ვიწროა და ცალმხრივი. უფრო მეტიც, ეს არის საკითხისადმი ვულგარიზატორული მიდგომა. საულია კონკრეტული პიროვნებაა, მაგრამ მისი ხასიათი სიმბოლურია. დემნა შენგელაიამ აიღო ცნობილი ფაბულა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიიდან, რომელიც არაერთ მწერალს დაუშუშავებია, აიღო სიმბოლურ ასპექტში — რა არის მომხვეჭელობა და სიხარბე და კონკრეტულად დახატა ეს სიმბოლური ჩვენს სინამდვილეში, საკოლმეურნეო სოფლის ფონზე. ეს არის „განძის“ ღირსება. საულიასთან ადამიანები რომ კოლმეურნეობაში არ შეიძლება იყოს, ამას არ უნდა არავითარი დამტკიცება. მაგრამ სიმბოლურად, ასეთი ინსტინქტებით შეპყრობილი კაცი თუ მოხვდა დღევანდელ სოფელში, მას უსათუოდ საულიასთან ბედი ელის — ეს სწორია და გამართ-

ლებული. რასაც ჰეგელი პოეზიის სპეციფიკად სთვლიდა, ბევრმა მწერალმა პროზაშიც გადმოიტანა. ამან უნდა იქნებოდეს რად დაარღვია პროზის შინაგანი კანონები, რადგან აქ აზრს ეძლევა პრიმატი და არა სახეს. ამიტომ საულია ერთი შეხედვით ამორფული ჩანს. მას არ გააჩნია სოციალური საფუძველი. მისი დრამა არ არის დღევანდელი საბჭოთა ადამიანის ხასიათიდან გამომდინარე. ჩვენი აზრით, ეს მწერალს არც ჰქონდა მიზნად დასახული. საულია სიმბოლური სახეა, და ამ გავებით, ის კონკრეტულ ადამიანურ თვისებებს ჩვენს სინამდვილეში იძენს. ეს არის ძირითადი „განძი“ და როცა ეს ვარკვეულია, მაშინ ყველა დეტალი თავის ადვილს პოულობს.

თავისთავად, სიმბოლურის გადაჭარბებით შეფასებას შეიძლება მოჰყვეს ისეთი ექსცესები, რაც საულიას ხასიათის გარკვევისას მოხდა ქართულ კრიტიკაში. იმიტომ რომ, პროზა კონკრეტული მხატვრული სახეებით აზროვნება უპირველესად. ამ მხრივ ნიშანდობლივია კონსტანტინე ლორთქიფანიძის შემოქმედება, როგორც კონკრეტული მხატვრული სახეების ცხოვრებისეული, ხელშესახები ხასიათების ნათელი მავალითი. დახუნდარა კონკრეტული მხატვრული სახეა, მისი თვითეული ყესტი, სიტყვა, მოქმედება იმდენად კონკრეტულია, რომ მკითხველს ავიწყდება ყოველგვარი სიმბოლურობა და დახუნდარას რეალურად არსებულ, ცოცხალ ადამიანად მიიჩნევს. უფრო მეტიც, მას ეჭვიც კი შეეპარება, რომ დახუნდარა გამოგონებული პერსონაჟია. უსათუოდ ვაახსენდება, რომ დახუნდარასთან კაცი სადღაც უნახავს. აქ მხატვრული სიმართლე სჯობნის ცხოვრებისეულ სიმართლეს და მასზე მაღლა დგება. იგივე შეიძლება ითქვას მეჩის ხასიათზე, ბარნაბას ხასიათზე. კონსტანტინე ლორთქიფანიძეს თავის

როსტომ ბეჟანიშვილი
მხატვრული სახიერების საკითხისათვის



უკანასკნელ რომანში „ნატერის თვალში“ აქვს ასეთი ეპიზოდი: მამა-შვილი ქამანდით მისდევს გაგაფიებულ კამენს. იმ სტრიქონების წამკითხველი დაგვერწმუნება, რომ ვერავითარი სიმბოლურობა და წარმოდგენა, რა მაღალ რეგისტრშიც არ უნდა იყოს აღებული, ისე მკვეთრად ვერ დაგვანახებს და ისე მწვავედ ვერ გვაგარძნობინებს ადამიანებისა და პირტუტყვის ჰიდლის, როგორც ეს კონსტანტინე ლორთქიფანიძეს მხატვრული სახიერებით, კონკრეტული, ნიშანდობლივი დეტალებით და შტრიხებით აქვს გადმოცემული. მთელი ძლიერება ამ შტრიხების და ნიუანსების შერჩევაა, იმ ერთადერთი, ყველაზე მკაფიო დეტალების მოძებნა, რაც სიტყვიერ ხელოვნებას ფერწერული გამომსახველობის სიძლიერეს ანიჭებს. კონსტანტინე ლორთქიფანიძე ამ მხრივ მისდევს კლასიკური ქართული ბელეტრისტიკის გზას, მხატვრული სახეების პრიმატს. მიხეილ ჯავახიშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე და კონსტანტინე ლორთქიფანიძე ფერწერული, მხატვრული სახიერების ოსტატები არიან და ეს თვისება არის ძირითადი მათი მხატვრული სტილისათვის.

ჩვენს დროში საერთოდ ბევრს ლაპარაკობენ რომანის, როგორც უნარის კრიზისზე, მის გაქრობაზე და მოძველებაზე. თომას მანი, მაგალითად, მოითხოვდა რომანის პირვანდელი სახით აღდგენას, კერძოდ, რომანის დაბრუნებას მითიურ შინაარსთან. იმის შედეგად, რომ მე-19 საუკუნის შემდეგ დიდი ცვლილებები მოხდა სოციალურ და ინტელექტუალურ ცხოვრებაში, დღეს ლიტერატურას ვერ ააღვლებს მხოლოდ ის ვნებები, რაც კლასიკურ რომანს აძლევდა. ეს გარემოება ნამდვილად მოითხოვს რომანის, ნოველის, მოთხრობის ფორმების შეფარდებას ეპოქის ძირითად ტენდენციებთან. ამას ვერ უშველის ვერც მითი-

ური რომანის აღორძინება და ვერც შუა საუკუნეების რაინდული რომანისა. ეს ეტაპები ეპოსმა უკვე განვლო. ეპოსს, სხვა თვისებებთან ერთად, აქვს ერთი ყველაზე მთავარი — საოცარი თვისება შეგუებისა ახალ მოთხოვნილებებთან და ისტორიულ მეტამორფოზებთან. ოღონდ ეს ევოლუცია რომანისა თუ ნოველისა და საერთოდ ეპოსისა — მექანიკური კი არ უნდა იყოს, არამედ შემოქმედებითი, დაფუძნებული მხატვრული სახეების პრიმატზე.

განა ეს „ტრადიციული“ პროზა ასე შორს დგას „თანამედროვე“ პროზისაგან? განა მას არ ახასიათებს თანამედროვე დიდი პროზის ნიშნები? მასასადამე, თანამედროვეობა ყოველთვის მდგომარეობდა და მდგომარეობს იმაში, რომ მხატვრული ნაწარმოები ნამდვილად იყოს ხელოვნების ქმნილება როგორც ფორმით, ისე შინაარსით. მხატვრული ოსტატობა არის განმსაზღვრელი მწერლის მუდმივი „თანამედროვეობისა“, რადგან დღევანდელი მკითხველისათვის თანამედროვეა ყველა დიდი მხატვრული ტილო, რაც სწორედ მხატვრული სახიერების წყალობით დღემდე ინარჩუნებს ესთეტიკურ მშვენიერებას. არ უნდა მივიჩნიოთ ეს მოტივი მხატვრული ნაწარმოების შეფასებისას და არ გავავიადოთ ის ზოგიერთი შტრიხი, რაც თვითულ ეპოქას მხატვრული ნაწარმოების ფორმაში შეაქვს. მათი სწორი შეფარდება საშუალებას მოგვცემს გავარჩიოთ ჭეშმარიტი მხატვრული ქმნილება ცრუმხატვრულისაგან, ნამდვილად თანამედროვე პროზის ნიმუში მოჩვენებითი „თანამედროვეობით“ აღჭურვილი ეფექტებისა და მანერულობისაგან. ეს სპეციალური მსჯელობის საკითხია და ამ მხრივ საილუსტრაციო მასალა უხვად მოიძებნება დღევანდელ ქართულ ლიტერატურაში.



გრიგოლ შანიძე

მოყვანილი სიტყვების გარკვევისათვის¹

ჟურნალ „ცისკრის“ 1958 წლის № 3-ში დაბეჭდილია ვახტანგ ჭელიძის მეტად საგულისხმო სტატია — „საშვილიშვილო საგანძური“, სადაც ავტორი მკითხველთა ყურადღებას ამახვილებს ქართული ენის ბუნებისათვის შეუფერებელი სიტყვებისა და გამოთქმების ხმარებაზე.

ვახტანგ ჭელიძე „საშვილიშვილო საგანძურში“ წერს: „...ბევრ წიგნში წიკითხავთ, ვთქვით, ასეთ წინადადებას — „შვილმა უთხრა დედას, რომ ის მიდის იქ, სადაც ამხანაგები ეგულდება.“ გრამატიკულად ეს წინადადება სწორია, მაგრამ ენის ბუნებას თუ გავითვალისწინებთ, ეს სულაც არ არის ქართული წინადადება. ქართველი გლეხკაცი ამას თავის დღეში არ იტყვის... ასეთი წინადადებებით შედგენილ წიგნზე წერენ ხოლმე ზოგჯერ, „ძარღვიანი ქართულიაო“. იგივე წინადადება ქართულად ასე უნდა დაიწეროს: „შვილმა უთხრა დედას, სადაც ამხანაგები მეგულდება, იქ მივდივარო“ (იხ. გვ. 116).

სრულიად საფუძვლიანი მოსაზრებაა ჩვენი მოვალეობაა დაუნდობლად შე-

ვებრძოლოთ როგორც ქართული ენისათვის შეუფერებელი ტერმინების, ისე კიდევ უფრო მეტად ანტიქართული გამოთქმების ხმარებას.

ქართული ენის ბუნების, ხასიათის საწინააღმდეგო ასეთ წინადადებებს ვხვდებით არა მხოლოდ ორიგინალურსა და ნათარგმნ წიგნებში, არამედ ჟურნალ-გაზეთებშიც და სხვ. ჟურნ. „ცისკრის“ 1958 წ. № 3-ში (გვ. 145., ბოლოდან III აბზაცში) წერია: „წიგნის მაღაზიაში ბაქარას უთხრეს, რომ მისი წიგნი აღარ აქვთ“. უნდა იყოს: წიგნის მაღაზიაში ბაქარას უთხრეს, (რომ) შენი (ან: თქვენი) წიგნი აღარ გვაქვსო.

ერთ გაზეთში ვკითხულობთ: „... მწერალმა მადლობა გადაუხადა მკითხველებს და აღუთქვა, რომ **შენიშვნებს გაითვალისწინებს** რომანის მეორე ნაწილში“. უნდა იყოს: „ლ. მრელაშვილმა მადლობა გადაუხადა მკითხველებს და აღუთქვა, (რომ) შენიშვნებს რომანის მეორე ნაწილში გავითვალისწინებო“, და სხვ. ასეა სხვა ჟურნალ-გაზეთებშიც.

ასეა პროფ. აკ. შანიძის ქართული

¹ იხეველბა კამათის წესით.

ენის გრამატიკაშიც (სინტაქსში), მეტიც: უცხოური ენების სახელმძღვანელოებშიც კი. ქართული ენის ბუნების საწინააღმდეგო ეს გამოთქმები გავრცელებული და გამტკიცებულია. და მართალია ვ. ჭელიძე, როცა ამბობს: ასეთი გამოთქმები „რომ დაიწუნოთ, გაელიმებათ კიდეც, ეს კაცი რამ გააგიჟა, რას იწუნებსო“ (იქვე, გვ. 116). ეს საკითხი იმდენად საკულისხმოა, რომ მასზე აქ ვრცლად შევჩერდებით და შევეცდებით, მეცნიერულ დებულებებზე დაყრდნობით, შეძლებისამებრ, დავასაბუთოთ ასეთი გამოთქმების ანტიქართული ბუნება და ხასიათი.

ჯერ გავითვალისწინოთ, თუ როგორ წესს ემყარება ინდოევროპულ ენებში მოყვანილი სიტყვები, ანუ, როგორც მას სხვანაირად უწოდებენ, პირდაპირი და ირიბი ნაოქვამები.

დავიწყოთ რუსული ენიდან.

ლ. ვ. შჩერბას რუსული ენის გრამატიკაში (ნაწილი II, სინტაქსი) წერია: Чужая речь передаваемая буквально, без всяких изменений, называется прямой речью, напр.: Брат сказал мне: „Я хочу с тобой поехать“. Чужая речь, передаваемая в измененной форме, называется косвенной речью, напр.: Брат сказал мне, что он хочет со мной поехать (см. изд. 1952 г. стр. 127), და სხვ.

ახლა ავიღოთ უცხოური ენების მოყვანილი სიტყვები და ისინი რუსულად გადავთარგმნოთ, მაგ. ფრანგულში: Mon camarade me dit: „Je lis un livre français“ — Мой товарищ мне сказал: „я читаю французскую книгу“ (პირდაპირი მიმართვა). Mon camarade me dit, qu'il lit un livre français — Мой товарищ мне сказал, что он читает французскую книгу (ირიბი მიმართვა). ასეა გერმანულ-ინგლისურშიც.

ამ ინდოევროპულ ენებში, როგორც ქვევით დავრწმუნდებით, პირდაპირი და ირიბი მიმართვა აზრობრივად ერთმანეთს არ ემთხვევა. ირიბი მიმართვა ზუსტად ვერ გადმოგვცემს იმ აზრს, რომელიც პირდაპირ მიმართვაშია გა-

მოთქმული, მაგრამ ხსენებული ენების არცერთ გრამატიკაში ეს ნაკლებად არის აღნიშნული, რადგან ამ სიტყვებისათვის ასეთი წყობა ბუნებრივია და მათ პირდაპირი მიმართვის (ნაოქვამის) შინაარსის ზუსტად გადმოცემის სხვაგვარი გრამატიკული საშუალება არ გააჩნიათ. ამ ენების ხსენებულ ნაკლს მხოლოდ ლათინურ ენასთან მათი შედარება გამოავლენს, რადგან უკანასკნელი (ლათინური) ამ მხრივ უნაკლო ენაა.

ახლა ავიღოთ მოყვანილი სიტყვები ლათინურ ენაში და ისინი ინდოევროპულ ენებს, მაგ. რუსულს შევადაროთ.

ვ. ნიკიფოროვის ლათინური ენის გრამატიკაში წერია: „Прямая речь: „Я победил, сказал он: Vinci, inquit (oratio recta); косвенная речь: „Он сказал, что он победил: Dixit se viciisse (oratio obliqua)“. ან კიდევ: „Miles dicunt se victores esse — Вонны говорят, что они одержат победу“ (см. 1909 г. стр. 168), და სხვ.

ვ. ნიკიფოროვი დარწმუნებულია იმაში, რომ ლათინური გრძელი ირიბი მიმართვა სიზუსტით არ ითარგმნება, ამიტომ ამბობს: „Длинную косвенную речь по-русски лучше переводить прямой речью“ (იქვე). ამასვე ამბობს ცნობილი კლასიკოსი ს. სობოლევსკი: „В русском языке нет особых грамматических средств для точной передачи длинной речи в косвенной форме; возможно только изложение содержания такой речи с прибавлением некоторых слов от имени рассказчика“ (см. изд. 1950 г., стр. 348). და ასეთ შემთხვევაში სიზუსტე რომ დაიცვას, ს. სობოლევსკი ფრჩხილებში თვითონ იძლევა განმარტებას, მაგ.: „Medici nunquam aegris dicunt, illo morbo eos esse morituros“. — Врачи никогда не говорят больным, что они (больные) умрут от данной болезни“ (см. там же, стр. 310).

ლათინური ირიბი მიმართვის რუსულად გადათარგმნისას გამოვლინებული ორზროვნება და უზუსტობა გარკვევი-

თაა დასაბუთებული დ. პოპოვის ლათინური ენის გრამატიკაშიც.

ახლა ვნახოთ, თუ როგორ თარგმნიან ქართულად ლათინურსა და ბერძნულს მოყვანილ სიტყვებს.

ლათინური ენის გრამატიკაში რუსული და ქართული ფრაზეოლოგია გაიკვივებულია, რის გამოც მისი ქართული თარგმანი სწორი და ზუსტი ვერ გამოდის, ქართული ენის თავისებურება არ არის გათვალისწინებული და ლათინური წინადადებები რუსულის მსგავსად ითარგმნება. აი, ამის საბუთები ლათინური ენის სახელმძღვანელოში:

„*Helvetii angulos se fines habere arbitrabuntur* — ჰელვეციელები ფიქრობდნენ, რომ მათ უჭირავთ ვიწრო საზღვრები“ (იხ. 1953 წ., გვ. 120).

აქ, როგორც ლათინურის რუსულად თარგმანშიც, სიზუსტე არ არის დაცული, და მათი სახით, ქართული გააზრებით, სხვები, არაპლევციელები იგულისხმებიან. ამიტომ ეს წინადადება ქართულად ასე უნდა გადაითარგმნოს: ჰელვეციელები ფიქრობდნენ, (რომ) ჩვენ ვიწრო საზღვრები გვკავიაო.

ლათინური ვრცელი მოყვანილი სიტყვების, ირიბი ნათქვამის რუსულის თუ სხვ. ინდოევროპული ენების მსგავსად გადათარგმნა კიდევ მეტ გაუგებრობას იწვევს. აი, ამის მაგალითიც ხსენებული ლათინური ენის სახელმძღვანელოში: *Helvetii existimabant Allobrogibus sese perniciuros (esse), vel vi coacturos (esse), ut per suos fines eos ire paterentur* — ჰელვეციელები ფიქრობდნენ, რომ ისინი (ე. ი. პლევციელები) ალობროგებს ან დაარწმუნებდნენ, ან აძულებდნენ. რათა იმათ (ე. ი. ალობროგებს) ნება დაერთოთ, რომ მათ (ე. ი. პლევციელებს) მათ მიწა-წყალზე გაეარათ“ (იქვე, გვ. 122).

ეს წინადადება ქართულად ასე უნდა გადაითარგმნოს: ჰელვეციელები ფიქრობდნენ, (რომ) ჩვენ ალობროგებს ან დაეარწმუნებთ, ან ვაძულებთ, (რომ) თავის მიწა-წყალზე გავატაროთ.

ს. სობოლევსკის ზემოთ ხსენებული წინადადება ლათინური ენის სახელ-

მძღვანელოში (1953 წ.) 122-ე გვერდზე რუსულიდან სიტყვასიტყვით ასე არის ნათარგმნი: „ექიმები არასდროს არ ეუბნებიან ავადმყოფთ. რომ ისინი (ე. ი. ავადმყოფები) მოკვდებიან ამ სენისაგან.“

აქ, გარდა იმისა, რომ თარგმანი უხეივოდ ზუსტი არ არის, ქართული ენის ხასიათის, ბუნების საწინააღმდეგოა და წინადადებაში სიტყვებიც სწორად არაა დაწყობილი. ქართული ენის შემდეგი თავისებურებაც უგულვებელყოფილია: ქართველი იტყვის: ვაშლი აბია, ვაშლები ასხია; ქვა ავღია, ქვები ყრია; კაცი მოკვდა, ხალხი დაიხოცა, და სხვ.

ეს წინადადება ასე უნდა გადაითარგმნოს: ექიმები ავადმყოფებს არასოდეს არ ეუბნებიან, (რომ) თქვენ ამ სენით დაიხოცებთო.

დოქ. ი. ნიჟარაძე (იხ. მისი ბერძნული ენის სახელმძღვანელო, 1951 წ., გვ. 238) ბერძნული ფრაზების ქართულად გადათარგმნისას სიზუსტეს ვერ იცავს, რადგან ქართული ენის სპეციფიკას უგულვებელყოფს. აი, ამის საბუთიც: „*Οι φιλαχες ηγγειλαν εις ινδιαν τους πι εμεις* — მცველებმა შეატყობინეს. რომ ნახეს მტერი“, ქართულად ეს წინადადება ასე უნდა გადაითარგმნოს: მცველებმა შეატყობინეს, (რომ) ჩვენ მტერი ვნახეთო.

პროფ. აკაკი შანიძე თავის ქართული ენის სინტაქსში წერს: „თუ ვისიმე ნათქვამი სიტყვა-სიტყვითაა უცვლელად გამოთრებული, ამას პირდაპირა ნათქვამი ქვია. მაგ. ლიახვმა თქვა: „ავდიდლები, არაგვს არ დავედარები“ (ხალხ.). იგივე ნათქვამი შეიძლება ირიბად გადმოიცეს — პირველი პირის ფორმის ნაცვლად შესამისა ვინმართ: ლიახვმა თქვა, რომ ადიდლება, არაგვს არ დაედარება. ბავშვს ვკითხვ: სად არის მამაშენი-მეთქი? ირიბად თქმისას ეს წინადადება ასეთ სახეს მიიღებს: „ბავშვს ვკითხვ, თუ სად იყო მამამი-

გრიგოლ შანიძე
მოყვანილი სიტყვების გარკვევისათვის

სი“ (იხ. ქართული სინტაქსი, ნაწ. II, 1956 წ., გვ. 105).

აქ, ამ განმარტებაში, მოყვანილი სიტყვები, „პირდაპირი და ირიბი ნათქვამები“ გაიგივებულია ინდოევროპული ენების, რუსულის, ფრანგულის თუ სხვა ენების მოყვანილ სიტყვებთან, „პირდაპირ და ირიბ ნათქვამებთან“ და ქართული ენის ბუნება, ხასიათი უგულვებელყოფილია. „ლიახვმა თქვა, რომ აღიღდება (ის), არაგვს არ დაედარება“ — განა აქ იგივე აზრია, რაც პირდაპირ ნათქვამში: „ლიახვმა თქვა: ავდიღდები (მე), არაგვს არ დავედარები“? სულაც არა. აქ აზრობრივად, შინაარსობრივად „პირდაპირი და ირიბი ნათქვამები“ ერთმანეთს შორდება: პირველ შემთხვევაში (პირდაპირ ნათქვამში) აღიღება მოქმელს — ლიახვს მიეკუთვნება, მეორე შემთხვევაში კი (ირიბ ნათქვამში) — სხვას, არა ლიახვს, არამედ, ვთქვათ, ძირულას. რადგან ის (აღიღდება) ქართულში, ფრანგულისა, რუსულისა და საზოგადოდ ინდოევროპული ენებისაგან განსხვავებით, ჩვენებითი ნაცვალსახელიცაა და უდავოდ მე-3 პირს, სხვას გულისხმობს. და ირიბ ნათქვამშიც („ბავშვს ვკითხე, თუ სად იყო მამამისი“) განა „იგივე ნათქვამია“, რაც პირდაპირში („ბავშვს ვკითხე: სად არის მამაშენი-მეთქი“)? რა თქმა უნდა, არა. ჯერ ერთი: აქ სხვადასხვა დროა წარმოდგენილი: პირდაპირ ნათქვამში აწმყო, ირიბში კი — ნამყო, და მეორეც — სხვადასხვა აზრია გადმოცემული: პირდაპირში ბავშვის მამა იგულისხმება („სად არის მამაშენი-მეთქი“), ირიბში კი — სხვისი მამა, არაბავშვისა („სად იყო მამამისი“).

ქართულში მოყვანილი სიტყვები ნაწილაკებით უნდა გაფორმდეს და მაშინ სიხუსტეც დაკული იქნება. ეს ნიმუშები მოყვანილი სიტყვებისა ქართულად ასეთ სახეს მიიღებს:

ა) ლიახვმა თქვა, (რომ) მე ავდიღდები, არაგვს არ დავედარებო; ბ) ბავშვს ვკითხე: სად არის მამაშენი-მითქი.

ქართული ენისათვის ამ შეუფერებელმა გამოთქმამ, მოყვანილი სიტყვე-

ბის მხრივ, ქართული სკოლებისათვის შედგენილს უცხოური ენების გრამატიკა-სახელმძღვანელოებშიც (გრამატიკა-სახელმძღვანელოებშიც) აღწია, მაგ. საშუალო სკოლის ფრანგული ენის სახელმძღვანელოში (1958 წ., გვ. 34), რომელიც ი. კვაჭაძის მიერ მ. ა. ბახარევას და ნ. ტ. ტეტკინის ფრანგული ენის (Français) გადამუშავებას წარმოადგენს, მოყვანილი სიტყვების ქართულად გადათარგმნის საფუძვლად სიტყვასიტყვით არის ამოწერილი პროფ. აკ. შანიძის სინტაქსიდან „პირდაპირი და ირიბი ნათქვამები“ (იხ. 1954 წ., გვ. 105).

აქ მოყვანილი „პირდაპირი და ირიბი ნათქვამების“ საფუძველზე ფრანგულს მოყვანილ სიტყვებს ივ. კვაჭაძე ასე თარგმნის: „Mon compagnon dit qu'il est fatigued par que notre voyage a été long et difficile — ჩემი ამხანაგი ამბობს, რომ ის დაღლილია, რადგან ჩვენი მოგზაურობა გრძელი და ძნელი იყო“ (გვ. 34.).

ამ სიტყვების თარგმანიც არ არის სწორი და „ირიბი ნათქვამიც“ არ არის ქართული, და უნდა იყოს: ჩემი თანამგზავრი (და არა ამხანაგი) ამბობს, (რომ) მე დავიღალე, რადგან ჩვენი მოგზაურობა ხანგრძლივი და გაძნელებული (და არა: გრძელი და ძნელი) იყო.

ასეთივე ამბავია ვ. ბახტაძისა და პ. იაშვილის IX კლასის გერმანული ენის სახელმძღვანელოშიც (1958 წ., გვ. 72), რომელიც ქართული სკოლებისათვის კ. მ. ბოგოლილოვის გერმანული ენის (Deutsch) სახელმძღვანელოს გადმოკეთებას წარმოადგენს.

ამრიგად, დაკანონდა ქართული ენის ბუნების საწინააღმდეგო კონცეფცია მოყვანილი სიტყვების მიმართ.

ახლა ვრცლად ამოვწერთ ცნობილი გრამატიკოს-მკვლევარის სილოვან ზუნდაძის შეხედულებასა და მოსაზრებას მოყვანილი სიტყვების ხმარების შესახებ.

ამ საკითხს პირველად 1901 წელს სილ. ზუნდაძე ეხება და არკვევს თავის „სალიტერატურო ქართულში“ (გვ.

126—136), შემდეგ ქართული ენის გრამატიკაშიც (1920 წ., გვ. 144—146), სადაც მოყვანილ სიტყვებს ასე განმარტავს: „როცა წინადადებაში სხვისი ნათქვამი სიტყვები მოგვყავს, ამისთანა სიტყვებს მოყვანილი სიტყვები ეწოდება“ (გვ. 144). მაგრამ მოყვანილი სიტყვების შესახებ თავის შეხედულებას კიდევ უფრო ვრცლად და დამაჯერებლად ასაბუთებს სილ. ხუნდაძე 1927 წელს გამოცემულს თავის ფუნდამენტალურ წიგნში — მართლწერისა და სწორების ძირითად საფუძვლებში: „მოყვანილ სიტყვებს, — ამბობს იგი, — ზოგიერთი მწერალი პირდაპირი მიმართვით ხატავს, ზოგი კი სხვადასხვა პირის მიხედვით, ნაწილაკებს — მეტი-ს, თქო-ს (ან — თქვა-ს) და — ო-ს ხმარობს“. „ვეფხისტყაოსანში“ თითქმის სულ პირდაპირი მიმართვა; მეორე პირის სათქმელში — თქო მხოლოდ ერთ ადგილას აქვს რუსთველს ნახმარი: „მიკითხოს, ჰკადრე, იყოთქო, აქა ერთისა წამითა“; პირველი პირის სათქმელი ყველგან პირდაპირი მიმართვით აქვს გამოხატული, მესამე პირისაში კი აქა-იქ აქვს იშვიათად ნაწილაკი — ო; „ვისრამიანში“ კი ამისთანა შემთხვევებში ნახმარია ნაწილაკები — მეტი, თქო, ან თქვა და ო (თითქმის ყველგან), იშვიათად პირდაპირი მიმართვაც იხმარება აქ; „სიბრძნე-სიცრუეშიც“ არეულად არის ნახმარი: ხან პირდაპირი მიმართვით, ხან ნაწილაკებით (მეტი, თქო და ო)“.

სილ. ხუნდაძე ასაბუთებს, რომ „მეორე პირის მისამართავ სიტყვაში თქვა-ს სჯობია ნაწილაკი თქო და მოყავს მაგალითები იმ სახით, როგორც მისი აზრით (და ჩვენს აზრითაც), მწერლობაში უნდა ვიხმაროთ:

1. „მე ვუთხარი სიმონს, (რომ) შენი შვილი კარგად სწავლობსმეთქი;

2. წადი და უთხარი სიმონს, (რომ) შენი შვილი კარგად სწავლობსთქო;

3. მასწავლებელმა უთხრა სიმონს, (რომ) შენი შვილი კარგად სწავლობსო.

ყველა ამ წინადადებაში, დაასკვნის მკვლევარი სილ. ხუნდაძე, შეიძლება

კავშირი სულ გამოვუშვათ და დასძენს: „ლექსებში თავისუფლად მათი ხმარება ძნელიაო“ (იხ. გვ. 58—60).

მოყვანილი სიტყვების შესახებ სილ. ხუნდაძის შეხედულებისა და მოსაზრების გასამტიკებლად ჩვენ შემდეგს დავამატებთ:

ქართულს საეკლესიო მწერლობაში მოყვანილ სიტყვებში პირდაპირი მიმართვა ყველგან ნახმარია უნაწილაკოდ. მაგ.: „და უღბრეს ნეტარსა ჰაბოს, ვითარმედ: „ესერა გეძიებენ შენ შეპყრობად, ტანჯვად და გუემად... ხოლო მან პრქუა მათ: „მე არა ხოლო ტანჯვად გამზადებულ ვარ, არამედ სიკუდილისცა“ (იხ. ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, 1949 წ., გვ. 192), და სხვ.

ხალხურ შემოქმედებაში პირდაპირი მიმართვა უპირატესად ნაწილაკითა ნახმარი, ძალიან იშვიათად უნაწილაკოდაც.

1) „მე ვუთხარი: ყავარჯენით დავდივარ-მეთქი“;

2) „ნაზირვეზირებმა ურჩიეს: „დაიბარე ის კაცი და შეუქეთე: მზეს რომ ოქროს ერკემალი ყავს, ის მომიყვანეთქო“; 3) „აქლემმა თქვა, რომ არ დამაჩოქებდნენ, ქვეყანას ავიკლებდიო“, და სხვ.

მეტად საგულისხმოა ამ საკითხზე მოსაზრება პროფ. გიორგი ახვლედიანისა.

პროფ. გ. ახვლედიანი ოავისი რუსული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოში (Учебник грам. русского языка, 1953 წ.) წერს: Прямая речь: „Я их оставлю позади“ — угрожающе сказала Одинцова“ (стр. 388); косвенная речь: „Одинцова угрожающе сказала, что она (Одинцова) оставит их позади“ (стр. 392). ანდა: „Мой дед землю пахал“, с надменной гордостью отвечал Базаров“ (стр. 392) — прямая речь. В кос-

გრიგოლ შანიძე

მოყვანილი სიტყვების გარკვევისათვის

венной речи: „Базаров с надменной гордостью отвечал, что его дед землю пахал“ (იქვე).

ჩანს, პროფ. გ. ახვლედიანი რუსული ენის თვისებას, მოყვანილ სიტყვის ორაზროვნებასა და არასიზუსტეს ვერ ამჩნევს და ქართულშიც ასეთი კონსტრუქცია მისაღებად მიაჩნია. აი ამის საბუთებიც: ზემოხსენებულ რუსულ წინადადებებს (გვ. 394) ასე თარგმნის: „ჩემი ბაბუა მიწას ხნავდა“, — მიუგო ბაზაროვმა“ (პირდაპირი ნათქვამი) და „ბაზაროვმა მიუგო, რომ მისი (ბაზაროვის) ბაბუა მიწას ხნავდა“ (ირიბი ნათქვამი), ანდა: „რად იჭერ ჩიტებს?—ჰკითხა უმცროსმა“, და „უმცროსმა ჰკითხა, თუ რად იჭერს ის ჩიტებს“ (გვ. 395), და სხვ. მაგრამ აქვე პროფ. გ. ახვლედიანი დაურობავს: „Однако в грузинском языке предпочитается передача автором прямой речи в неизменной форме, но с прибавлением частиц *მეტი, თქო, ო* к последнему слову прямой речи: „ბაზაროვმა უპასუხა, რომ ჩემი ბაბუა მიწას ხნავდაო“ (იქვე).

ამრიგად, პროფ. გ. ახვლედიანი მოყვანილი სიტყვების შესახებ ერთმანეთის დიამეტრალურად მოწინააღმდეგე კონცეფციების თანაბარი უფლებით დატოვება შესაძლებლად მიაჩნია, რაც არ შეიძლება გამართლდეს.

სამწუხაროდ, დღეს არც კი გრძნობენ იმის მოთხოვნილებას, რომ შეებრძოლონ ქართულ ენაში შემოჭრილ ამ სიმახინჯეს, პირიქით — მის გავრცელებას ხელსაც კი უწყობენ. მაგ. 1958 წელს გამოქვეყნდა დოც. ლ. კვაჭაძის ქართული ენის სინტაქსი. ავტორი განმარტავს პირდაპირსა და ირიბ ნათქვამს და ასეთი მაგალითი მოყავს: „როგორ მოგეწონა ეს ამბავი?“—ჰკითხა არჩილმა დას, როცა ოთახში შევიდნენ“ (ჭავჭავი). „ეს წინადადება,—ამბობს დოც. ლ. კვაჭაძე,—რომ ირიბად გადავაკეთოთ მივიღებთ: „როცა ოთახში შევიდნენ, არჩილმა ჰკითხა დას, თუ როგორ მოეწონა მას ეს ამბავი“. შემდეგ ავტორი განაგრძობს: „პირდაპირი ნათქვამი...

აზრის გამომეტყველებით, საშუალებებით მდიდარია ირიბ ნათქვამთან შედარებით, ცოცხალი და ემოციური მასში ხშირად გვაქვს მიმართვა, ჩართული სიტყვები და გამოთქმები, ნაწილაკები, სიტყვათა თავისებური წყობა და სხვები“ (იხ. გვ. 281—282).

ირიბი ნათქვამი, როგორც საეკლესიო და ძველი საერო მწერლობისა და ხალხური შემოქმედების შესწავლიდან ჩანს, ქართული ენის ბუნებისათვის უცხოა. და წინააღმდეგ ლ. კვაჭაძის მოსაზრებისა, პირდაპირი ნათქვამი შედარებით ირიბ ნათქვამთან არა მხოლოდ „მდიდარი, ცოცხალი და ემოციური“ა, არამედ იგი (პირდაპირი ნათქვამი) ნაწილაკებით ნახშირი ქართულში ერთადერთი ფორმაა მოყვანილი სიტყვების გამოსახატავად. ირიბი ნათქვამი ქართული ენის ბუნების საწინააღმდეგე ფორმაა და მისი განდევნისათვის უნდა ვიბრძოდეთ.

ამრიგად, ქართულში მოყვანილი სიტყვების შესახებ გვაქვს ორგვარი კონცეფცია: 1) რუსულის და საზოგადოდ ინდოევროპული ენების (ფრანგული, გერმანული, ინგლისური) მსგავსად მოყვანილი სიტყვების პირდაპირ და ირიბ ნათქვამებად დაყოფა და მათი გაფორმება, მაგ.:

ა) ლიახვმა თქვა: „ავდიდდები, არაგვს არ დავედარებო“ (პირდაპირი ნათქ.), და ბ) „ლიახვმა თქვა, რომ ადიდდება, არაგვს არ დავედარება“ (ირიბი ნათქვამი). — აკაკი შანიძე.

და 2) მოყვანილი სიტყვების შეუცვლელად, ე. ი. პირდაპირი ნათქვამის მხოლოდ შესაფერი ნაწილაკით გაფორმება, მაგ. იგივე ფრაზა: „ლიახვმა თქვა, (რომ) მე ავიდიდდები, არაგვს არ დავედარებო“, — სილ. ხუნდაძე.

მკვლევარის სილ. ხუნდაძისა და პროფ. აკ. შანიძის კონცეფციას შორის მოყვანილი სიტყვების შესახებ არსებითი განსხვავებაა და მათი გაიგივება, როგორც ეს პროფ. გ. ახვლედიანის ზემოხსენებული რუსული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოშია წარმოდგენილი, შესაწყნარებელი არ არის.

მოყვანილი სიტყვების შესახებ სილ. ზუნდაძის კონცეფცია უდავოდ ჩვენი ენის ბუნებას, ხასიათს შეფერის, ხოლო პროფ. აკ. შანიძის კონცეფციას, რომელიც ქართულ ენაში სხვა ენის გავლენითაა შემოჭრილი და გავრცელებული, ვერავითარი მოსაზრება ვერ გამართლებს და იგი უნდა უარცხოთ.

ზემოთ ითქვა, რომ ნაწილაკიანი მიმართვა წინადადებას მეტ სისრულესა და სიმტკიცეს ანიჭებს. ანალოგია ემფატიკური ნიშნის ხმარებისა, მაგ. წიგნი სტუდენტის და წიგნი სტუდენტისა, ან: ქალს და ვაჟს და ქალსა და ვაჟს, და სხვ. აქ, ემფატიკურ ნიშნიანებში (ა), სიტყვათწყობა უფრო გამართული და ხრულყოფილია, ვიდრე უემფატიკურობებში.

და ესეც არ იყოს, რაღა დღისთვის გვინდა ეს ნაწილაკები (-მითქი,-თქო, თ), თუ არა ამისთანა შემთხვევებისათვის?!

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პროფ. ა. შანიძის მოყვანილი სიტყვების ნიმუშები გაიგივებულია რუსულისა და საერთოდ ინდოევროპულ ენებში მოყვანილი სიტყვების ნიმუშებთან და, მაშასადამე, ისინი ყველა იმ ნაკლს (არასიზუსტეს, ორაზროვნებას) შეიცავენ, რომლებიც, როგორც დაეცაბუთეთ, ინდოევროპული ენებისათვის დამახასიათებელია. საილუსტრაციოდ ავი-

1 სომხურადაც ასეა: აირე მტაწუმე ვოლ ნაჯიშტე ვერაბერველ.

2 ასეა აფხაზურში, ქისტურში და კავკასიის სხვა ენებში (გარდა ოსურისა, აზერბაიჯანულისა და სომხურისა, რაც ჩამოთვლილი ენების ქართულთან ნათესაობას ააშკარავებს. მაგალითისთვის ავიღოთ ქართული ფრაზები: ივანემ თქვა, (რომ) მე მოსკოვს მივდივარო, და: ივანემ თქვა, (რომ) ის მოსკოვს მიდისო. ასეა ქისტურშიც: ივანეს ევლერ ხო მოსკუაბ უედ, და: ივანეს ევლერ ვე მოსკუაბ უედ. აფხაზურშიც: ივან იპეიტ სარა მოსკეაყა სცოიტ, და: ივან იპეიტ იარა მოსკეაყა დოცოიტ.

აქ პირველ ფრაზებში მთქმელია მოსკოვს წამსვლელი, მეორეში — არამთქმელი, სხვა (ის).

ღოთ წინადადებანი ვ. ნიკიფოროვი ლათინური ენის გრამატიკიდან და ისინი რუსულად, გერმანულად, ფრანგულად, ინგლისურად და ქართულად გადათარგმნოთ: 1. Pater putat se recte fecisse და 2. Pater putat eum recte fecisse — ესენი ორივე, როგორც წინათაც გვექონდა ნათქვამი, რუსულად და, მაშასადამე, ინდოევროპულ ენებშიც მიუხედავად მათ შორის შინაარსისა და ფორმის მხრივ არსებითი განსხვავებისა, ერთნაირად ითარგმნება:

რუსულად: Отец думает, что он поступил справедливо;

გერმანულად: Der Vater glaubt, daß er gehandelt hat;

ფრანგულად: Le père pensait qu'il a fait juste;

ინგლისურად: The father thinks that he behaved; just და მაშასადამე, ორაზროვნება და არასიზუსტე რჩება¹.

პროფ. აკ. შანიძის კონცეფციით ორივე ერთნაირად უნდა გადაითარგმნოს: მამა ფიქრობს, რომ ის სამართლიანად მოიქცა. ამ თარგმანშიც სიზუსტე არაა დაკუთვნილი, რადგან ქართული გააზრებით, ის მამას არ გულისხმობს, არამედ სხვას. სილ. ზუნდაძის კონცეფციის საფუძველზე პირველი ფრაზა: Pater putat se recte fecisse ასე უნდა გადაითარგმნოს: მამა ფიქრობს, (რომ) მე სამართლიანად მოვიქეციო, რადგან აქ, ლათინურ ფრაზაში, se მმართველ ზმნაში მამას მიეკუთვნება, ხოლო მეორე ფრაზა: Pater putat eum recta fecisse კი ასე გადაითარგმნება: მამა ფიქრობს, (რომ) ის სამართლიანად მოიქცაო, რადგან აქ eum მამას არ გულისხმობს, არამედ — სხვას. ნაცვალსახელი ის ქართული გააზრებითაც სხვას მიუთითებს².

მაშასადამე, აქ წინააღმდეგ რუსულისა, გერმანულისა და საერთოდ ინდოევროპული ენებისა, აგრეთვე წინააღმდეგ პროფ. აკ. შანიძის კონცეფციის

გრიგოლ შანიძე
მოყვანილი სიტყვების გარკვევისათვის

მიხედვით თარგმნისა, სილ. ხუნდაძის კონცეფციის მიხედვით თარგმნისას არასიზუსტად და ორაზროვნებად აცილებულია და ქართული ენის სპეციფიკად დაცული. აქ უახლოვდება ქართული ლათინურს, თუმცა ლათინურში ასეთ შემთხვევაში სხვადასხვა ნაცვალსახელია გამოყენებული, რასაც ქართულზე ვერ ვიტყვი. ქართულში ფრაზების შედგენა გააზრების საფუძველზე წარმოებს, ე. ი. თუ **მთქმელი** ჩანს ან იგულისხმება, როგორც სილ. ხუნდაძე აღნიშნავს, მაშინ იმ სახით უნდა გამოითქვას აზრი, როგორც თავდაპირველად იქნებოდა იგი წარმოთქმული, და თან პირის შესაფერი ნაწილაკი უნდა დაერთოს, მაგ.: ვანომ თქვა, (რომ) მე მოსკოვს მივდივარო, ან: დედამ შვილს უთხრა, (რომ) პეტრე (ის) მოსკოვს მიდისო. მესამე პირით უნაწილაკოდ, როგორც სილ. ხუნდაძე ამბობს, მხოლოდ მაშინ შეიძლება ამ შემთხვევაში აზრის გამოთქმა, როცა მოყვანილი სიტყვების **მთქმელი არცა ჩანს და არც იგულისხმება**. მაგ. ყველამ შეიგნო, რომ ყოველგვარი კოლონიალური ჩაგვრა უნდა მოისპოს. ფრაზა „შვილმა უთხრა დედას, რომ ის მიდის იქ, სადაც ამხანაგები ეგულება“, თავდაპირველად წარმოთქმულის საფუძველზე (ე. ი. მოქმედება მთქმელს მიეწერება) ქართული არ არის, ქართული ენის ბუნების საწინააღმდეგო ფრაზაა.

ზემოხსენებული ფრაზა (შვილმა

უთხრა დედას, რომ ის მიდის იქ, სადაც ამხანაგები ეგულება) პროფ. აქ. შანიძის კონცეფციის საფუძველზეა შედგენილი. უნდა იყოს: შვილმა უთხრა დედას, (რომ) მე იქ მივდივარ, სადაც ამხანაგები მეგულებაო. მაგრამ სხვაგვარ კონტექსტში ნაწილაკით გაფორმებული, ეს ფრაზა კანონიერი ქართული ფრაზაა: შვილმა უთხრა დედას, (რომ) ის (ზაზა) მიდის იქ, სადაც ამხანაგები ეგულებაო (აქ მთქმელს პოქმედება არ მიეწერება).

ამ სახით, როგორც დავრწმუნდით, ქართულ ენას რუსულთან და ინდოევროპულ სხვა ენებთან შედარებით უცხოური მოყვანილი სიტყვების, ფრაზების **სიზუსტით** გადათარგმნა-გამოხატვის მხრივ დიდი უპირატესობა აქვს.

პირდაპირ საოცარია, რატომ უნდა უარყვით ქართული ენის ეს უპირატესობა და გაუუთანაბროთ იგი ამ მხრივ სხვა ენებს?!

უდავოდ მართალია დიდი მეცნიერი ნ. მარი, როცა ქართული ენის შესახებ ამბობს: „ქართული ენით ყველაფერი გამოიხატება... რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ვერცერთ ენაში ვერ იპოვნით ისეთ აზრს, რომლის გამოთქმაც ქართულ ენას სრულყოფილად არ შეეძლოსო.“

და ესეც ხომ მისი ნათქვამია: „ქართული ენა იმდენად მდიდარია, რომ თავისი შინაგანი თვისებით მსოფლიო მნიშვნელობის ენას წარმოადგენსო.“

დასკვნა:

1. საეკლესიო და ძველს საერო კლასიკურ მწერლობაში, აგრეთვე ხალხურ შემოქმედებაშიც — ყველგან მოყვანილ სიტყვებში მხოლოდ პირდაპირი მიმართვა იხმარებოდა, ირიბი მიმართვა მათთვის უცხოა;
2. მოყვანილი სიტყვები შეუცვლელად პირდაპირი მიმართვით უნაწილაკოდ მხოლოდ საეკლესიო მწერლობაში გაღმობიციემოდა, ხოლო ძველს საერო კლასიკურ მწერლობასა და ხალ-

ხურ შემოქმედებაში (ფოლკლორში) იგი (მოყვანილი სიტყვები) წარმოდგენილია პირდაპირი მიმართვითვე, მაგრამ უპირატესად შესაფერი ნაწილაკების (-მეთქი,-თქო და-ო) დართვით, იშვიათად უნაწილაკოდაც გვხვდება;

3. მოყვანილი სიტყვების გაღმობიციემად ქართულში პირდაპირი მიმართვა (ნაწილაკით თუ უნაწილაკოდ) ერთადერთი ფორმაა და მოყვანილი სიტყვების პირდაპირ და ირიბად და-



ყოფა ინდოევროპული ენების გავლენას უნდა მიეწეროს;

4. მოყვანილი სიტყვების შესახებ ამ ორ მოწინააღმდეგე კონცეფციის (ქართულისა და ინდოევროპულის) გაიგივება და პარალელურად თანაბარი უფლებით მათი ხმარება შეუწყნარებელია.

5. მოყვანილი სიტყვების გადმოსაცემად უპირატესობა ნაწილაკიან პირდაპირ მიმართვას უნდა მიეკუთვნოს, რადგან:

ა) უნაწილაკო მიმართვა საეკლესიო და, მაშასადამე, კაბინეტის ენაა, ცოცხალ ცხოვრებას დაშორებული; ბ) საერთო მწერლობასა და ხალხურ შემოქმედებაში, პირდაპირ მიმართვასთან ნაწილაკების (-მეთქი,-თქო, ო) გაჩენა ენის განვითარების შედეგს წარმოადგენს, რადგან ხსენებული ნაწილაკები უფრო მტკიცედ და სრულყოფილად გადმოგვცემენ საკუთარსა და სხვის ნათქვამს, ვიდრე უნაწილაკო პირდაპირი მიმართვა.

6. ქართულში ნაწილაკიან პირდაპირ მიმართვას მოყვანილი სიტყვების გადმოცემის მხრივ ინდოევროპულ ენებთან შედარებით, გარდა ლათინურისა,

დიდი უპირატესობა ენიჭება — ქართულად ზუსტად გადმოიცემა უცხოური მოყვანილი სიტყვები, რასაც ინდოევროპულ ენებზე ვერ ვიტყვით;

7. ქართულში უნაწილაკოდ III პირით შეიძლება აზრის გამოთქმა მხოლოდ მაშინ, თუ მოქმედი არცა ჩანს და არც იგულისხმება;

8. მაგრამ როცა მოყვანილი სიტყვების მთქმელი არის ან იგულისხმება, მაშინ 2 შემთხვევაა აღსანიშნავი:

ა) როცა მთქმელს მოქმედებაც მიეწერება (მაგ. შეიღმა უთხრა დედას, (რომ) იქ მივდივარ, სადაც ამხანაგები მეგულებაო, ან: შეიღმა უთხრა დედას, (რომ) სადაც ამხანაგები მეგულება, იქ მივდივარო, და ბ) როცა მოქმედება მთქმელს კი არა, სხვას მიეწერება (მაგ. შეიღმა უთხრა დედას, (რომ) ის (პეტრე) მიდის იქ, სადაც ამხანაგები ეგულებაო). აქ მოყვანილი ორივე ფორმა ქართულში, სხვადასხვა გააზრების საფუძველზე, კანონიერი ფორმაა.

გრიგოლ შანიძე
მოყვანილი სიტყვების გარკვევისათვის



პრონალი კინეზოლოგი

პროფესორი აღმსარებელი ცაგარელი

დაბადების 120 წლისთავის გამო

აღ. ცაგარელს უდიდესი დამსახურება მიუძღვის ქართული ენათმეცნიერების, ლიტერატურისა და ისტორიის წინაშე. თავის დროზე სწორედ მისი ნაშრომებით გაიცნო და შეიყვარა უცხოელმა მკითხველმა ჩვენი ხალხის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა.

იგი ერთადერთი ქართველი მოღვაწეა, რომელიც XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ქართულ მეცნიერებას წინამძღოლობდა ორიენტალისტთა საერთაშორისო კონგრესებზე რუსეთსა და საზღვარგარეთ.

უანგარო მამულშვილი, მრავალმხრივი, საინტერესო და ნაყოფიერი მკვლევარი — ასეთი იყო აღექსანდრე

ცაგარელი, რომლის ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა იმის საუკეთესო მაგალითია, თუ როგორ უნდა უყვარდეს თავისი საქმე ქვეყნისათვის გულანთებულ ადამიანს.

აღექსანდრე ანტონის ძე ცაგარელი (ფომინი)¹ დაიბადა კასპში 1844 წლის 27 ნოემბერს (ძვ. სტილით) მღვდლის ოჯახში. მშობლიური ლიტერატურისა და ისტორიის სიყვარული პირველად დედამ — სალომე დიმიტრის ასულმა უთნელიშვილმა ჩაუნერგა, რომელიც გადმოცემით, მეტად ჭკვიანი და ქართული ენის კარგი მცოდნე ყოფილა.

აღექსანდრემ დედის ხალისიანი, მხიარული საუბრის კილო თუ შეითვისა, სამაგიეროდ, მამისაგან ახოვნება და სიღარბისლე გამოჰყვა. შვიდ და-ძმაში იგი ყველაზე უფროსი იყო და მამამისი მას თავის შემეცვლელად თვლიდა. ამიტომ პატარაობიდანვე წირვაზე დაჰყავდა და საეკლესიო რიტუალებში ავარჯიშებდა. მაგრამ ჯან-ღონით სავსე, მუდამ რაღაცის მაძიებელი და ამავე დროს პატივმოყვარე ჭაბუკი ნაკლებად ფიქრობდა მოძღვრის წოდ-

¹ აღექსანდრეს პაპა იყო თომა ცაგარელი. მან საკუთარი სახელი ფომინად გადაიქცია, ამიტომ თომას მემკვიდრეები დიდხანს ფომინ-ცაგარელებად იწოდებოდნენ. აღ. ცაგარელი ახალგაზრდობაში თავის ნაწერებს — ბიესებს, ფელეტონებს, მოთხრობებს ფომინს აწერდა. აღ. ფომინის ხელმოწერით დაიბეჭდა აგრეთვე სტატია ჟურნალ „ცისკარში“, 1865 წლის თებერვლის ნომერში, ხოლო მის ბიძას მელიტონს რუსულად გამოცემულ სასულიერო ხასიათის წიგნებზე მხოლოდ ფომინი აწეს მოწეროდა.

ბაზე, თუმცა სასულიერო სასწავლებელში შესვლაზე უარი არ უთქვამს.

სასწავლებელში იგი გაეცნო ქართული საერო და სასულიერო მწერლობის საუკეთესო ქმნილებებს. აქტიურ მონაწილეობას იღებდა მოსწავლეთა შემოქმედებით სიამოვნებზე, დაწერა ეგზოტიკური ხასიათის პირველი თხზულება.

სოფრომ მაგლობლიშვილის მეშვეობით იგი დაუახლოვდა ნიკო ლომოურს, ანტონ ნატროშვილს, ნიკო ხიზანიშვილს, ვასილ ბარნოვს, რომელთაც შემდეგ დაუმეგობრდა. იგი ხშირად ხვდებოდა სამწერლო ასპარეზზე ახლად გამოსულ აკაკი წერეთელს, რომელსაც ალექსანდრეს რვეულში ჩაუწერია ცენზორ კაიზმატოვისგან აკრძალული ლექსები „ჩემი ვინაობა“, „ჩუ, ქართველო“, „სუედიის ხმა.“

ალექსანდრემ ვადაწყვიტა უმაღლესი ფილოლოგიური განათლება მიეღო. სემინარიის დამთავრების შემდეგ მას კიევის სასულიერო აკადემიაში სახელმწიფო ხარჯზე ჩარიცხვა შესთავაზეს, მაგრამ მან უარი განაცხადა და კიევში გამგზავრებას გიმნაზიის მე-8 კლასში სწავლის გაგრძელება ამჯობინა, სადაც ძველი კლასიკური ენების საფუძვლიან შესწავლას შეუდგა.

ალ. ცაგარლისათვის გიმნაზიაში სწავლის პერიოდი სხვა მხრივაც ნაყოფიერი გამოდგა. ქართველი საზოგადოება ინტერესით კითხულობდა მის კრიტიკულ წერილებს ქურნალ „ცისკრის“ ნომრებში.

1866 წელს თბილისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ალ. ცაგარელი პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

სტუდენტებს ამ დროისათვის თავიანთ განკარგულებაში ჰქონდათ ძვირფასი ბიბლიოთეკა, რომელიც პეტერბურგში მცხოვრებმა სალომე ფარნავაზის ასულმა გადასცა ქართველ ახალგაზრდებს. ალექსანდრემ ყველა წიგნი გადაიკითხა და შეადგინა მათი კატალოგი. ამასთანავე იგი ინტერესით ადევნებდა თვალს ახლად გამოცემულ გამო-

კვლევებს, ესწრებოდა დავით ჩუბინიშვილის ლექციებს ქართულ ლიტერატურაში, რუსეთის ისტორიის უკეთესად პროფესორ ბაუერი. ერთდროულად გერმანულსა და ინგლისურ ენებში მეცადინეობდა.

მაგრამ ალ. ცაგარელმა პეტერბურგის ჰავა ვერ აიტანა და ექიმების რჩევით სწავლა მიუხეხნის უნივერსიტეტში განაგრძო. აქ იგი ახალ ინდურ ენაში პროფესორ ჰაუგის ლექციებს ისმენდა,

მან გაზეთ „დროებისათვის“ დაწერა სტატიების სერია: „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში“.

ცაგარელმა კრიტიკულად განიხილა XIX საუკუნის ქართული მწერლობის გამოჩენილი წარმომადგენლების (ალექსანდრე ჭავჭავაძე, გიორგი ერისთავი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე) შემოქმედების მთავარი საკითხები.

ალ. ცაგარელმა კვლევა-ძიების კრიტიკული მეთოდი ლიტერატურულ ნაწარმოებს სწორად მიუყენა და დამაჯერებლად ახსნა ქართული ლიტერატურული მწერლობის თავისებურება.

ამ დროიდან ალექსანდრე ცაგარელის მთავარი საზრუნავი ქართული ენის ბუნების შესწავლა გახდა. მიუხეხნევიც სწორედ ამ სურვილმა მიიყვანა.

ერთი წლის შემდეგ ძველ საუნივერსიტეტო ქალაქ ტიუბინგენში გადავიდა. სადაც სანსკრიტსა და შედარებით ენათმეცნიერებაში პროფესორ როთის ხელმძღვანელობით მეცადინეობდა. სანსკრიტის შესწავლა უფრო იმიტომ ვადაწყვიტა, რომ შემოწმებინა ენათმეცნიერების მამამთავრის ფრანც ბოპის მიერ წამოყენებული თეორია ინდოევროპულ ენებთან ქართულის ნათესაობაზე. აქვე უსმენდა იგი არაბული ენის პროფესორს მერქსა და სწავლობდა სომხურ ენას პროფესორ ჰიმპელთან. პარალელურად მეცადინეობდა აგრეთვე არაბულსა და სპარსულ ენებში.

უცხოეთში მყოფი ალ. ცაგარელი

კორნელი კინწორაშვილი
პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი

თვალს ადევნებდა საქართველოს ლიტერატურულ ცხოვრებას. ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობასთან ერთად იგი ეცნობოდა რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების: ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის და პისარევის პუბლიცისტურ ნაწერებს. როდესაც რუსეთის მოწინავე ახალგაზრდობა პისარევის გარდაცვალებას გლოვობდა, ალექსანდრე ტიუბინგენიდან კირილე ლორთქიფანიძეს სწერდა ქუთაისში: პისარევის სიკვდილი გუშინ შევიტყვე და ძალიან მეწყინა. მისმა ნაწერებმა რუსეთი გამოაფხიხლა და რაოდენ დასანანი ასეთი მოაზროვნის ნაადრევი განშორებო.

აღ. ცაგარელმა თავისი ნიჭით უნივერსიტეტში საყოველთაო ყურადღება მიიქცია. იგი უახლოვდება გერმანელ და პოლონელ ახალგაზრდებს. საღამოობით მათთან ერთად სეირნობს ტიუბინგენის ქუჩებში. „ძალიან კარგი და კეთილი ხალხნი არიან, პროფესორებმა კარგად მიმიღეს, როგორც შორიდან სწავლისათვის მოსული და ძალიან უყვართ საქართველოს ხალხზედ ლაპარაკი“, — სწერს იგი მამას.

ამ ხანებში ალექსანდრემ შეიტყო, რომ ვენის უნივერსიტეტში ქართული ენის საკითხებზე პროფესორი ფრიდრიხ მიულერი მუშაობდა, რომელიც კრიტიკულად იხილავდა ბოპის აზრს ქართულისა და ინდოევროპულ ენათა ნათესაობის შესახებ. ამიტომ ლექციების მოსასმენად ვენაში გადავიდა.

ვენაში აღ. ცაგარელი ქართული ენის თეორიული კურსის მოსმენით არ კმაყოფილდება. იგი ამავე დროს ესწრება პროფესორ ფ. მიულერის ლექციებს შედარებით ენათმეცნიერებაში. სწავლობს თურქულ ენას და განაგრძობს მეცადინეობას სომხურ ენაში.

ფრიდრიხ მიულერმა მალე შენიშნა აღ. ცაგარელის ნიჭი და დაიახლოვა. იგი მეცნიერს ხშირად ოსური სახარების გარჩევაში ეხმარებოდა.

აღ. ცაგარელმა ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში საფუძვლიანი ცოდნის მიღების შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა

ფაკულტეტზე საკანდიდატო გამოცდები ჩააბარა.

1871 წელს სამსახურის ვალის დასრულების გამო პეტერბურგის უნივერსიტეტს თავი დაანება პროფესორმა დავით ჩუბინიშვილმა. ქართული ენისა და სიტყვიერების კათედრა გაუქმების საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა. დ. ჩუბინიშვილის რჩევით აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის დეკანმა ვასილ გრიგორიევმა აღ. ცაგარელს წინადადება მისცა განთავისუფლებული ადგილი დაეჭირა.

ალექსანდრე თუმცა სამშობლოში დაბრუნებას აპირებდა, მაგრამ ვ. გრიგორიევის წინადადება მიიღო, ვინაიდან ამით ქართული მეცნიერებისა და კულტურისათვის დიდი სამსახურის გაწევა შეეძლო.

ერთი წლის განმავლობაში ალექსანდრე ცაგარელი კავკასიურ ენათა იბერიული ჯგუფის მორფოლოგიის კვლევით სამუშაოებს ეწეოდა. აქედან იწყება მისი ენათმეცნიერული მოღვაწეობის ხანმოკლე, მაგრამ განსაკუთრებით ნაყოფიერი პერიოდი.

პრივატ-დოცენტის წოდების მოსაპოვებლად აღ. ცაგარელმა საჯაროდ დაიცვა დისერტაცია „კავკასიურ ენათა იბერიული ჯგუფის მორფოლოგიის შედარებითი მიმოხილვა“ და წაიკითხა ორი საცდელი ლექცია. ამის შემდეგ 1872 წელს იგი ქართული ენისა და სიტყვიერების კათედრის პრივატ-დოცენტი გახდა.

„დროებამ“ თავის მკითხველებს აცნობა: „ამბავი მოგვივინა, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტში დავით ჩუბინაშვილის ნაცვლად ალექსანდრე ცაგარელი დაუნიშნავთ, რომელმაც თურმე კარგად იცის ქართული ენა და ისტორია და, მოაშადაამე, შეგვიძლია იმედოვნოთ, რომ სასარგებლო კაცი იქნება თავის სამშობლო ქვეყნისათვის. ვისურვებთ ქართული კათედრის დამკვირისათვის, რომ ყოველთვის იყოს მეცნიერების მოყვარე და შემაერთებელი და შემარიგებელი ქართულ ენასთან გამწყარალის სტუდენტებისაო.“

აღ. ცაგარელმა ხანგრძლივი, დაუღა-

ლავი შრომით გაამართლა ქართველი საზოგადოების იმედი. ლექციების კითხვასთან ერთად იგი კვლევით მუშაობას განაგრძობდა.

1873 წელს გამოაქვეყნა „ქართული ენის გრამატიკული ლიტერატურის კრიტიკული ნარკვევი“, რომელშიც ქართულ, რუსულ და ევროპულ ენებზე დაბეჭდილი თუ ხელთნაწერის სახით შოდწეული გრამატიკები განიხილა. ავტორი აქვე ქართული ენის ფონეტიკასა და მორფოლოგიაზე თავის შეხედულებებსაც ანვითარებს.

ამ დროისთვის ქართული ენათმეცნიერება ის იყო ფეხზე დგებოდა და, ბუნებრივია, ძალიან ცოტა იყო გაკეთებული ქართულის, მეგრულის, ლაზურის და სვანურის შესწავლის საქმეში.

ახალგაზრდა სწავლულმა მტიციედ გადაწყვიტა მათი მეცნიერული გამოკვლევა. „რა შრომასაც თქვენ შედგომხართ, ძალიან საქირაო, — სწერდა ალ. ცაგარელს დიმიტრი ბაქრაძე, — აქამდე ქართულ ენაზე და მის შტოებზე ფილოლოგიური ცნობები, როგორც სახურველია, ჩვენ არ გავაჩნია. მეტადრე მე ისტორიულს შრომაში ვგრძნობ, რომ უიმისოდ ისტორია არ დაიწერება. მასალები ყველა, რასაკვირველია, გაქვთ ფრანცისკუსს და მეტადრე ნემეცურს ენებზე. ჩემის ფიქრით, უკეთესია როზენის ლაზური ენის გამოკვლევა და მაქს მიულერის საზოგადოდ კავკასიის ენებზე და იმათ შორის ქართულს ენაზე. მე, სწორე ვიფიქრა, მენელებდა თქვენე პროგრამის შესრულებათ.“

მაგრამ ალექსანდრეს საგნის სირთულე არ აშინებდა. სამეგრელოში ჩამოსვლამდე მოსამზადებელ სამუშაოებს პეტერბურგშივე შეუდგა. ჩაიწერა რამდენიმე მეგრული სიმღერა. მერე მეგრულ-ქართული მოკლე ლექსიკონი შეადგინა. 1876 წლის ზაფხულში იგი საქართველოში გამოემგზავრა, მაგრამ მაშინ ფართო კვლევითი სამუშაოს შესრულება ვერ მოასწრო, რადგან ოქტომბრის თვეში აღმოსავლეთმცოდნეთა მესამე საერთაშორისო კონგრესი ტარდებ-

ოდა პეტერბურგში, სადაც ახალგაზრდა ქართველი მეცნიერი მოხსენებით უნდა გამოსულიყო.

სამაგიეროდ, მომდევნო წელს თითქმის მთელი სამეგრელო ფეხით მოიარა. მოსმენილ ტექსტებს რვეულში ინიშნავდა და მონაყოლს შემდეგ ამოწმებდა. მან ბევრი ზღაპარი, სიმღერა, ანდაზა და არაკი შეაგროვა. უმეტესი დრო საჩიხუოსა და სალაპარტიანოში გაატარა. მეგრული ხალხური პოეზიის საუკეთესო ნაწილი ზუგდიდში ჩაიწერა. იგი ალტაცებაში მოიყვანა ადგილობრივ მცხოვრებთა ფანტაზიამ და მახვილგონიერებამ.

თუმცა კვლევის პროგრამაში სვანურისა და ლაზურის შესწავლა არ შედიოდა, მაგრამ ალ. ცაგარელი შემთხვევით სარგებლობდა და სვანებს ეცნობოდა. მათი დახმარებით კი შეგროვილ მასალებს ამოწმებდა და ავსებდა. სოფელ გორდში დადიანის სამსახურში მყოფი სვანებისაგან ჩაიწერა რიცხვითი სახელები, სიტყვები და ფრაზები, ხოლო 1878 წლის ზაფხულში სოფელ ჯვარში საინტერესო მასალები შეაგროვა. იმავე წლის შემოდგომაზე ქუთაისში იგი მეცადინეობდა ბესარიონ ნიჟარაძესთან, რომლის დახმარებითაც შეადგინა სვანური ანბანი, შეამოწმა სვანური ტექსტები, აღადგინა მართლწერა; გაასწორა თარგმანი და გრამატიკული კომენტარები. ამავე დროს ჩაიწერა ახალი სვანური სიმღერები.

როგორც უკვე ითქვა, ალ. ცაგარელი წინასწარ შედგენილი პროგრამით არ შემოიფარგლა. დაათვალიერა გელათისა და მარტვილის ტაძრები, ამასთანავე ბეთანიის ეკლესიის საინტერესო აღწერილობა შემოგვიჩანა.

70-80-იან წლებში ჯერ კიდევ დაუმუშავებელი იყო საქართველოს ისტორიის სისტემატური კურსი, თუმცა მატინათა კრებულები და ქართული ქრონიკები გამოცემული იყო, მაგრამ ისინი უმთავრესად ქვეყნის საგარეო

კორნელი კინწურაშვილი
პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი

პოლიტიკას ეხებოდნენ. აუცილებლობას წარმოადგენდა ისეთი მასალების დაბეჭდვა, რომლებიც ხალხის ცხოვრებას ასახავდა. ასეთ დოკუმენტებს მიეკუთვნებოდა სიგელ-გუჯარები.

აკადემიკოსმა მარი ბროსემ XIX საუკუნის 40-იან წლებში სინოდალური კანტორის არქივში მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ვაარჩია და საქართველოს ისტორიისათვის ამ დოკუმენტთა შესწავლის დიდი მნიშვნელობა აღნიშნა.

ალექსანდრე ცაგარელმა 1877 წელს ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს არქივში კვლევა-ძიება სწორედ ამ მხრივ წარმართა და გუჯარების მოკლე აღწერილობა შეადგინა. მან შეისწავლა დოკუმენტები, რომლებიც იმერეთში სხვადასხვა კომისიებს გაუტრჩევა 1820-იან წლებში და სამეგრელოში 1859—1863 წლებში. მკვლევარმა შედარებით მცირე დროში 50 ათასზე მეტი სიგელ-გუჯარი შეისწავლა.

საქართველოში სამწლიანი მოგზაურობის შედეგად ალ. ცაგარელმა დაწერა გამოკვლევა „მეგრული ეტიუდები“, რომელიც 1880 წელს ორ წიგნად გამოიცა. აღნიშნული შრომები მეცნიერებისათვის უთუოდ დიდი შენაძენი იყო. პეტერბურგის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ მის ავტორს დოქტორის ხარისხი მიანიჭა.

„თავის დღეში ქართველებს ქართული ენის დოქტორი არ ყოლია. 19 ოქტომბერს კი შესანიშნავი ამბავი მოხდა. ამ დღეს დაკვებადა ერთი სწავლული, ქართული ენის დოქტორი ბატონი ალექსანდრე ცაგარელი“, — აუწყებდა თავის მკითხველებს გაზეთი „ივერია“.

ალ. ცაგარელს განზრახული ჰქონდა მეგრული ენის მორფოლოგიის კვლევა. ლექსიკონის შედგენას ლაზურისა და სვანურის ენათმეცნიერული დახასიათება უნდა მოყოლოდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ განზრახვაზე ხელი აიღო და თითქმის სამუდამოდ ჩამოშორდა ენათმეცნიერებას. სამავიეროდ, მთელი ენერგია ქართული სიძველეების შესწავლას მოახმარა.

ამ პერიოდში ალ. ცაგარელმა მტკიცედ გადასწყვიტა, გაცნობოდა იმ ქვეყნების წიგნთსაცავებსა და არქივებს, რომლებთანაც საქართველოს ადრე რაიმე ურთიერთობა ჰქონდა. მოსკოვის არქივების, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკისა და სიონის ტაძრის საეკლესიო მუზეუმში დაცული დოკუმენტების შესწავლის შემდეგ იგი საფრანგეთსა და გერმანიაში გაემგზავრა.

იმავე მიზანს ემსახურებოდა აღმოსავლეთის ქვეყნებში რვათვიანი მოგზაურობა, ხოლო შემდეგ კრაკოვში, რომში, ვენეციაში, პარიზსა და ლონდონში ჩატარებული კვლევითი სამუშაოები.

ქართული კულტურის საზღვარგარეთულ ცენტრებში მოგზაურობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ვიდრე იქ აღმოჩენილი ხელნაწერები დაიბეჭდებოდა. ქართველმა საზოგადოებამ თითქმის არაფერი იცოდა, თუ ჩვენი მწერლობისა და ისტორიის რა ძვირფასი საუნჯე ინახებოდა პალესტინასა და სინას მთაზე.

ალ. ცაგარელმა ხელმისაწვდომი გახადა აღმოსავლეთის ქვეყნებისა და საქართველოს ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია; შეისწავლა ძველ ქართველ შემოქმედთა ნაყოფიერი მოღვაწეობა და ის საბუთები, რომლებიც უამთა სიავეს გადაარჩენოდა და დღის სინათლეზე გამოამზეურებდას ელოდა.

როგორც განსვენებული აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე აღნიშნავდა, „ალ. ცაგარელის შრომამ ნათელი მოაფინა ჩვენი მწერლობის უძველეს ხანას. მან გამოამჟღავნა ქართველთა ინტენსიური ლიტერატურული შემოქმედება მახლობელი აღმოსავლეთის სხვადასხვა პუნქტებსა და ცენტრებში. დაამყარა ცნობები, რომელიც საფუძვლად დაედო შემდეგი დროის მუშაკთა გამოკვლევებს. მოკლე შენიშვნებს და მონოგრაფიებს“.

ალ. ცაგარელის ნაშრომი—„ცნობები ქართული მწერლობის ძეგლთა შესა-

ნებ“, რომლის პირველი ნაკვეთი 1886 წელს გამოიცა, ილ. ჭავჭავაძის „ივერიაში“ ასე შეაფასა: „ქართული მწიგნობრობისა და სიტყვიერების მოყვარულებს ვახარებთ ერთ ფრიად შესანიშნავ მოვლენას. ჩვენს ახლა ღარიბს, მაგრამ უწინ დიად მდიდარ ლიტერატურისას. ჩვენმა თანამემამულემ პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა ალ. ცაგარელმა ცალკე წიგნად დაბეჭდა ყოველი მხრით შესანიშნავი ცნობანი ჩვენს მწერლობაზე საზოგადოდ და სასულიეროზე განსაკუთრებით“.

ამ ძვირფას შენაძენს სიხარულით შეეგება მთელი ქართველი საზოგადოებრიობა. ისტორიკოსი დავით კარაიჭაშვილი ყოველკვირეულ სალიტერატურო-სამხატვრო გაზეთ „თეატრში“ შენიშნავდა: „ამ საუკუნეში ქართული მწერლობის ძეგლთა შეკრებისა და შესწავლის საქმე დაკისრებული აქვს ორ დიდებულ დაწესებულებას — პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიას და იქაური უნივერსიტეტის ქართული სიტყვიერების კათედრას. თუ ჩვენი მწერლობა რამდენადმე გამოკვლეული და შესწავლილია, ამ დაწესებულებებს უნდა ვუმაღლოდეთ. მათი მფარველობით ბევრი იღვაწეს ქართული მწერლობის გამოსარკვევად აკად. ბროსემ და პროფ. ჩუბინიშვილმა. დღეს ამავე საქმეს ადგია ერთადერთი კაცი, პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი, რომელიც მართლაც რომ ღირსეულად იცავს ქართული მწერლობის სახელს უფიცი სწავლულთა ცილისწამებისაგანო“.

მრავალი წლის განმავლობაში დაუღალავი შრომის შედეგად დაწერილმა გამოკვლევამ საეგზეთი სამართლიანად დაიმსახურა ქართველი საზოგადოების ასეთი მაღალი შეფასება. ალ. ცაგარელმა ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურის ძეგლები სამ წიგნად გამოსცა.

ამ საინტერესო გამოკვლევას სპეციალური სტატიები უძღვნეს აკადემიკოსებმა ვიქტორ როზენმა და ნიკოლოზ ვესელოვსკიმ.

ცალკე უნდა აღინიშნოს ალ. ცაგარელის აქტიური თანამშრომლობა რუსეთის ფილოლოგიური, არქეოლოგიური, გეოგრაფიული, პალესტინისა და სხვა საზოგადოებების საქმიანობაში. თავისი ერთ-ერთი პირველი მეცნიერული გამოკვლევა „ქართული ენის ინდოევროპულ და თურანულ ენებთან სავარაუდებელი ნათესაობა“ სწორედ ფილოლოგიურ საზოგადოებაში წაიკითხა, ხოლო მისი მოხსენება ქალაქ ტულაში დაცული ქართული სიძველეების შესახებ, მთლიანად დაიბეჭდა არქეოლოგიური საზოგადოების ორგანოში.

1890 წელს მოსკოვში რუსეთის მე-8 არქეოლოგიური ყრილობა უნდა ჩატარებულიყო. ამასთან დაკავშირებით ცაგარელმა ცალკე წიგნად გამოსცა მე-18 საუკუნეში ქართველი მეფეებისა და მთავრების მიმოწერა რუსეთის ხელმწიფეებთან. 1891 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის წლიურ აქტზე კი წაიკითხულ იქნა მისი მოხსენება „რუსეთის ურთიერთობა კავკასიასთან მე-16-18 საუკუნეებში“.

ცნობილია, რომ გასული საუკუნის 80-90-იან წლებში დიდი მოსამზადებელი კვლევა-ძიება გაიშალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობის სისტემატური კურსის შესადგენად. ამ საქმეში ხალისით ჩაებნენ როგორც რუსეთის უმაღლესი სასწავლებლების ქართველი მეცნიერები, ასევე ადგილობრივად მომუშავე მეკვლევარები.

ალბათ ასეთი ნაყოფიერი საქმიანობა თუ ჰქონდა მხედველობაში ქვეყნის დიდ მოჭირნახულეს ილია ჭავჭავაძეს, როცა ამბობდა: „მრავალგვარი მნიშვნელობა ისტორიისა ერის გამოცოცხლებისათვის კარგად იცოდნენ თავიანთი ხალხის გულშემატკივრებმა. სახელოვანი მამულიშვილები ყველაზე პირველად ერის გამოკეთებისათვის დავიწყებული ისტორიის აღდგენას შეეცადნენ და უგემური ძილისაგან ხალხის გამოფხიზლება სწორედ აქედან დაიწყო“-ო.

კორნელი კინწურაშვილი
პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი

აქ საგულისხმოა შემდეგი გარემოება: როცა რუსიფიკატორები ქართული კულტურის მონაპოვართა წინააღმდეგ ილაშქრებდნენ, ალ. ცაგარელმა მთავარი ყურადღება სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის დოკუმენტთა გამოცემას მიაქცია, რითაც დაუფასებელი სამსახური გაუწია ქართულ ისტორიულ მეცნიერებას.

ეს ის პერიოდი იყო, როცა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში გაბატონებული მკაცრი ცენზურა ჯანსაღ აზროვნებას გასაქანს არ აძლევდა. ასეთ ვითარებაში ისტორიული ჭეშმარიტების შემცველი დოკუმენტების გამოცემა კერძო პირთა ინიციატივა უფრო იყო, ვიდრე მეფის ხელისუფლების ბიუროკრატიული აპარატის საზრუნავი საქმე. ცარიზმისათვის, რომელიც ხალხთა დიდ საპყრობილეს წარმოადგენდა, ცხადია, ამგვარი დოკუმენტების პუბლიკაცია არახელსაყრელი იყო.

ალ. ცაგარელი სიტყვით თუ წერილობით ყველგან ამტკიცებდა ისტორიის საფუძვლიანი ცოდნისათვის პირველწყაროთა განუზომელ მნიშვნელობას. მას აწუხებდა ის გარემოება, რომ წყაროთა ზედაპირული ცოდნა უმეტეს შემთხვევაში სერიოზულ გაუგებრობასა და შეცდომებს იწვევდა არა მარტო მეცნიერებაში, არამედ პრაქტიკულ ცხოვრებაშიც. ისტორიული პერსპექტივის წარმოსადგენად აუცილებელი იყო მართალი, ფაქტიური მასალა. ეს ელემენტარული ჭეშმარიტება მაშინ ბევრისათვის გაუგებარი იყო. ამიტომ სახელოვანი მამულიშვილი ისტორიული დოკუმენტების გამომცემელთა წახალისებას მოითხოვდა.

მკვლევარი ყველაზე მეტად მე-18 საუკუნის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობით დაინტერესდა. მან მოსკოვის სავარეო საქმეთა სამინისტროს არქივში მრავალი დოკუმენტი შეისწავლა და პირველი შედეგები განათლების სამინისტროს ჟურნალში მოათავსა. ხოლო შემდეგ რუსეთის არქივებში მიკვლეულ მასალებზე დაყრდნობით 1891 წელს ცალკე შრომა გამოსცა სა-

თურით „მე-18 საუკუნის სიგელები და სხვა ისტორიული დოკუმენტები საქართველოს შესახებ“.

ალ. ცაგარელი მე-18 საუკუნის საქართველოს ისტორიის მასალების შესწავლაზე მუშაობას კვლავ განაგრძობდა. მეორე ტომის პირველი ნაკვეთი მან 1898 წელს გამოსცა, რომელშიც შევიდა დოკუმენტები 1768 წლიდან 1801 წლამდე. აღნიშნული ტომის მეორე გამოცემა 1902 წელს გამოვიდა, სადაც დოკუმენტები სამი ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენის მიხედვით დაჯგუფდა: რუსეთ-საქართველოს 1788 წლის მოლაპარაკება, ალა-მაჰმადხანის ლაშქრობა 1795 წელს და საქართველოს რუსეთთან შეერთება.

მკვლევარს გადაწყვეტილი ჰქონდა ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება. მაგრამ მეფის რუსეთის ხელისუფლებამ, რომელმაც აღნიშნულ დოკუმენტებში თავისი მტაცებლური პოლიტიკის მხილება დაინახა, მეცნიერს შემდგომი ტომების გამოცემის უფლება არ დაართო.

მარტო ზემოთ ჩამოთვლილი ნაშრომებით კი არა, მთელი მისი მამულიშვილური მოღვაწეობით ალ. ცაგარელმა ჩვენს ხალხს დაუფასებელი სამსახური გაუწია. იგი მუდამ მზად იყო მშობლიური კულტურის მონაპოვრები დაეცვა და ერის წარსული დიდების ამბავი ყველასთვის ემცნო. მრავალმხრივი ცოდნის წყალობით მასვე ხვდა წილად ქართული სამეცნიერო სკოლისათვის ღრმა კვალი დაემჩნია.

ალ. ცაგარელმა ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობით ევროპაშიც გაითქვა სახელი. მის შრომებს იცნობდნენ გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისსა და სხვა ქვეყნებში, მაგრამ მისი ფიქრი მუდამ თავის პატარა საქართველოს, ახლად გახსნილ ქართულ ეროვნულ უნივერსიტეტს დასტრიალებდა. და აი, ოცნებას ფრთები შეეხსა: 1920 წლის 8 მაისს ალ. ცაგარელი თბილისის უნივერსიტეტის დამსახურებულ პროფესორად აირჩიეს.

აქედან იწყება მისი ხანმოკლე მოღვაწეობა სამშობლოში.

ალ. ცაგარელი სიხარულს ვერ ფარავდა, მით უფრო, რომ მოზარდობას მეცნიერული კვლევა-ძიების ჩვენებს გადასცემდნენ მისი ყოფილი სტუდენტები: ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, აკაკი შანიძე, იოსებ ყიფშიძე და სხვები. ქართულ სასულიერო მწერლობას კორნელი კეკელიძე ასწავლიდა. თვით ალექსანდრე ცაგარელი ლექციებს ქართული ლიტერატურისა და საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიაზე კითხულობდა.

ამ პერიოდში ალექსანდრე ცაგარელმა საქართველოს სხვადასხვა კუთხე მოიარა. იმოგზაურა მცხეთასა და უფლისციხეში, მერე იმერეთს ეწვია, სადაც ქუთაისის ინტელიგენციამ გულთბილი შეხვედრა მოუწყო.

1922 წელს მას სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლისთავი შეუსრულდა.

უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ივანე ჯავახიშვილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ატყობინებდა: „პატივი გვაქვს გაუწყოთ, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტში გადახდილი იქნება საიუბილეო დღესასწაული დამსახურებული პროფესორის ალექსანდრე ანტონის-ძე ცაგარელის ორმოცდაათი წლის სამეცნიერო მოღვაწეობის აღსანიშნავად. ვინაიდან პროფესორ ა. ცაგარელს დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს წარსულის საქმეში, ამიტომ იმედი გვაქვს, რომ თქვენ პატივს სცემთ იუბილარის ღვაწლს და ამაგს დახდებთ აღნიშნულ დღესასწაულზე დასწრებით“.

იუბილეს წინა დღეებში საინტერესო

წერილები გამოაქვეყნეს კონსტანტინე გამსახურდიამ, გიორგი ლეონიძემ და აკაკი შანიძემ.

უნივერსიტეტში გადახდილი იუბილე დიდ ზეიმად გადაიქცა. ორატორები მადლობას უცხადებდნენ მსცოვან პროფესორს იმ დიდი შრომისათვის, რაც მან ქართული კულტურის განვითარებას მოახმარა.

„მე კარგად ვიცი, რომ ეს პატივისცემა არ შეეხება მარტო ჩემს პიროვნებას, არამედ იმ საგანსაც, რომელსაც მე დიდხანს ვემსახურებოდი, — როგორც სამშობლო ენას, ისე ქართულ ლიტერატურას, ისტორიას და ქართულ სიძველეებს“, — სთქვა ალექსანდრე ცაგარელმა.

1929 წლის 12 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე თბილისში მიიწვალა დიდი მამულიშვილი. კაცი, რომელმაც ხანგრძლივი სიცოცხლე სამშობლოს ინტერესებს შესწირა და მის სიყვარულში დაიფერებოდა.

როდესაც ქართული კულტურისა და საქართველოს ისტორიის წინაშე ალ. ცაგარელის დამსახურებაზე ვლაპარაკობთ, უნდა გვახსოვდეს ექვთიმე თაყაიშვილის სიტყვები: „პროფესორი ალ. ცაგარელი უნდა დარჩეს ჩვენს ხსოვნაში როგორც ერთი საუკეთესო, უანგარო მამულიშვილი, რომელიც შრომობდა თავისი ქვეყნის აღორძინებისათვის და რომელმაც მოგვცა შესანიშნავი შრომანი მეცნიერების დარგში, საქართველოს შესწავლაში... თავის სიცოცხლეში მას ნაკლებად სმენია გამამხნევებელი სიტყვა, ამიტომ ახლა მაინც მადლობით მოვიხსენიოთ მისი ღვაწლი“.

კორნელი კინწურაშვილი
პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი



მთი ფუკცედი სჰჰართველო-თუბრჰეთის უბრთიერტოჯის ისტორიიდან

XVII ს.

1609 წელს ოსმალეთის სულთანის აჰმედ პირველის სასახლეში მოიყვანეს ახალგაზრდა ქართველი უფლისწული. სულთანმა გადასწყვიტა მისი გამაჰმადიანება, მაგრამ ვერავითარი საშუალებებით ვერ შესძლო დასახული მიზნის განხორციელება. ვანრისხებულმა სულთანმა ქართველი უფლისწული ბნელ საკანში მოათავსა და მას მუღდივი პატიმრობით დაემუქრა.

ვინ იყო ეს ქართველი უფლისწული და ან რისთვის იყო იგი ჩასული კონსტანტინეპოლში?

როგორც ცნობილია, 1453 წელს ოსმალეებმა დაიპყრეს კონსტანტინეპოლი და გაანადგურეს ბიზანტიის იმპერია, ხოლო 1461 წელს — ტრაპიზონის იმპერია. ამიერიდან ოსმალეები უშუალოდ საქართველოს დაუმეზობლდნენ და ხელი მიჰყვეს მისი მიწა-წყლის დაპყრობას. ოსმალთა იერიშები საქართველოს წინააღმდეგ თანდათანობით ძლიერდებოდა. XVI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ოსმალეებმა საქართველოს დიდი ნაწილი დაიპყრეს. ქართველი ხალხი ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას განა-

გრძობდა და სხვადასხვა საშუალებებით ცდილობდა ოსმალთა ბატონობისაგან თავის დაღწევას. ამ ბრძოლას ქართლის მეფე სიმონ I მეთაურობდა. მან მთელი თავისი ენერგია ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას შეაღია. 1599 წელს ერთ-ერთი შეტაკების დროს ოსმალეებმა იგი დაატყვევეს. 1600 წელს სიმონ I სტამბოლში ჩაიყვანეს და იედი კულეს ციხეში მოათავსეს.

სიმონ მეფის დატყვევება ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლი ძალების მარცხი იყო. ამიტომ ქართველები შეეცადნენ ოსმალთა ტყვეობიდან მის განთავისუფლებას. „მეფის სვიმონის გამოშვებას ეაჯნეს, — წერს ფარსადან გორგიჯანიძე, — მრავალი ძვირფასის თვალმარგალიტი და (sic) გაუგზავნეს და გიორგი მეფის შვილი დავით მძევლათ მიჰგვარეს, რომ სვიმონ წამოიყვანონ... ქაროველთ სახსარმაც ცუდათ ჩაუარა და ბატონიშვილი დავითიც დაჰკარგეს და მეფე სვიმონ დარჩა ურუმში“.

დაახლოებით ანალოგიური შინაარსის ცნობა მოიპოვება „პარიჰის ქრონიკაში“: „მოციქულობა დაუწყეს ხონთ-

ქარსა და ქრთამი გაუგზავნეს და მხველად გიორგი მეფის შვილი დავით სიმონ მეფის გამოშვებისათვის გაუგზავნეს, სიმონ მეფე ედი-ყალუში მოკლეს და ბატონის შვილი დავითი დაიკარგა“.¹

დამოწმებული წყაროებიდან ჩანს, რომ გიორგი X შვილი დავითი სტამბოლში სიმონ მეფის ტყვეობიდან განთავისუფლების მიზნით გაგზავნეს. ამასთანავე ფარსადან გორგჯიანიძის გადმოცემით, დავითი სტამბოლში მძევლად გაუგზავნიათ, ხოლო „პარიჟის ქრონიკის“—კი მხველად. ვფიქრობთ, რომ ეს უკანასკნელი შეცდომა უნდა იყოს, ჩვენი აზრით. ეს შეცდომა, უეჭველად წყაროს გადამწერს უნდა მივაკუთვნოთ, რადგან სიტყვა მხვეალში ასო ხ-ს ნაცვლად ძ უნდა იყოს (მდრ. მხევალი, მძევალი). წყაროს შინაარსიდანაც ჩანს, რომ გიორგი მეფის შვილი დავითი არ შეიძლებოდა მხველად გაეგზავნათ, აქ უთუოდ მძევალზეა საუბარი და როგორც საფიქრებელია, სიმონის განთავისუფლების შემთხვევაში დავითი სულთანის კარზე მძევლად უნდა დარჩენილიყო.

აი ყოველივე ის, რაც ქართულ წყაროებშია შემონახული გიორგი X ძე დავით ბატონიშვილზე.

საქართველოს ისტორიის მკვლევარები არ იხსენიებენ დავით ბატონიშვილს. კიდევ უფრო მეტი, საქართველოს მეფეებისა და სამეფო გვარის გენეალოგიაში, შედგენილი მარი ბროსეს მიერ, ქართლის მეფე გიორგი X შვილებს შორის არ არის დასახელებული დავით ბატონიშვილი.

დავით ბატონიშვილზე ახალსა და

მეტად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის 1605—1610 წწ. კონსტანტინეპოლში მყოფი საფრანგეთის ელჩი-ქიპრიძე ვინტო ბირონ ბარონ დე სალინიაკი. იგი თავისი სამსახურეობრივი მოვალეობის გამო ვალდებული იყო საფრანგეთის მთავრობისათვის ეცნობებინა ყოველივე ის, რაც კონსტანტინეპოლში და, საერთოდ, ოსმალეთის იმპერიაში მოხდებოდა. სალინიაკის რედაქციებიდან ირკვევა, რომ იგი კარგად იყო ინფორმირებული ოსმალეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებში. მისი ცნობები სარწმუნოა ჩანს, რადგან სალინიაკი აღწერილი ამბების თვითმხილველი და თანადამხდური იყო.

სალინიაკი ნაწილობრივ ადასტურებს ქართულ წყაროებში დაცულ ცნობებს. ამასთანავე იგი ახალ და მეტად საყურადღებო ფაქტებს გვაწვდის კონსტანტინეპოლში ჩასულ დავით ბატონიშვილზე.

ქართულ ისტორიოგრაფიაში სალინიაკის დიპლომატიური საბუთები დღემდე არაავენ გამოუყენებია.

სალინიაკის ცნობები დავით ბატონიშვილზე მოთავსებულია 1609 წელს 2 ნოემბერს კონსტანტინეპოლიდან საფრანგეთის მეფისადმი გაგზავნილ წერილში სათაურით: „თურქების მიერ საქართველოს ახალგაზრდა უფლისწულის დატყვევება — ამ უფლისწულის მედგარი პროტესტი.“

სალინიაკი საფრანგეთის მეფეს ატყობინებდა: რამოდენიმე წლის წინათ გიორგი მეფემ უფროსი შვილი დავითი კონსტანტინეპოლში გაგზავნა თავისი მამის (სიმონის) ტყვეობიდან განთავისუფლების მიზნით. საფრანგეთის ელჩი ქართველ ბატონიშვილს შემდეგნაირად ახასიათებს: „ეს ახალგაზრდა ვაჟი ჯერ კიდევ არაა 14 წლისა, მაგრამ მეტად ჭკვიანი და კეთილი ბუნებისაა.“² ეს შესაძლებლობას გვაძლევს დაახლოებით დავადგინოთ დავით ბატონიშვილის და-

მიხეილ სვანიძე

ერთი ფურცელი საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან

¹ პარიჟის ქრონიკა ანუ ცხოვრება საქართველოსა, რედ. ზ. ჰიენიძე, თბ. 1903 წ. გვ. 22; სხვა ქართულ წყაროებში (ვახუშტი ბატონიშვილი, ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტი) თითქმის იგივე შინაარსის ცნობები მოიპოვება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მათში არაა მოხსენებული გიორგი X ძე დავით ბატონიშვილის სტამბოლში გაგზავნის ფაქტი.

² იქვე, გვ. 320.

ბადების წელი. იგი დაბადებული უნდა იყოს (საფრანგეთის ელჩის წერილი დათარიღებულია 1609 წლით) 1595—1596 წლებში. მაშასადამე, დავითი გიორგი X უფროსი ვაჟი კი არ ყოფილა, როგორც ეს სალინიაკს ჰგონია, — არამედ უმცროსი ვაჟი შვილი¹.

დავით ბატონიშვილი კონსტანტინეპოლში გაგზავნისას დაახლოებით 5-7 წლისა უნდა ყოფილიყო, რადგან საქართველოდან სიმონის განთავისუფლების მიზნით დელეგაციის გამგზავრება ოსმალეთში 1600 — 1603 წლებში (ე. ი. ირან-ოსმალეთის ომის დაწყებამდე) უნდა მომხდარიყო. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოება, რომ ირან-ოსმალეთის ომის განახლების შემდეგ ქართლ-კახეთის მეფეები შაჰ-აბასის მოკავშირეებად გამოდიოდნენ და ასეთ ვითარებაში, კონსტანტინეპოლში საქართველოდან სიმონ მეფის ტყვეობიდან განთავისუფლების მიზნით დელეგაციის გაგზავნა არ შეიძლებოდა ყოფილიყო მიზანშეწონილი.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ კონსტანტინეპოლში მყოფ საფრანგეთის ელჩთან დავით ბატონიშვილი რამდენჯერმე ყოფილა სადილოდ მიპატიჟებული. მართალია, სალინიაკი საფრანგეთის მეფეს არაფერს ატყობინებს დავით ბატონიშვილის მასთან მისვლის მიზეზებზე, მაგრამ საფიქრებელია, რომ ქართველი უფლისწული აუცილებლად ეტყოდა საფრანგეთის ელჩს მისი კონსტანტინეპოლში ჩასვლის მიზეზს და თხოვდა მას დახმარებას სიმონ მეფის ტყვეობიდან განთავისუფლების საქმეში.

საფრანგეთის მეფისადმი გაგზავნილი იმავე წერილიდან ავრთვე ირკვევა, რომ სიცილიის ვიცე-მეფემ (რომელსაც ცოლად ჰყავდა ესპანეთის მეფის და) სალინიაკს თხოვა დახმარება, რათა

მისი შვილი, რომელიც ოსმალეთში დაატყვევეს და კონსტანტინეპოლში გაგზავნეს, სულთანს ძალით არ გაემამადიანებინა. მაგრამ სანამ საფრანგეთის ელჩი ამ ამბავს შეიტყობდა, სიცილიის ვიცე-მეფის შვილს ნებაყოფლობით მიუღია ისლამი. ამ მაგალითით წახალისებულმა სულთანმა, — წერს სალინიაკი, — გადასწყვიტა ქართველი უფლისწულის დავითის გამამადიანებაც.

დავით ბატონიშვილი სასახლეში (პარამხანაში) მიიყვანეს და ცდილობდნენ მის დარწმუნებას, უარყო ქრისტიანობა და მიეღო მაჰმადის რჯული, როგორც ეს ვააკეთა ესპანელმა უფლისწულმა. მას გაუმზადეს ძვირფასი ტანსაცმელი და საფულე 2000 ეკიუს შემცველი თანხის ოდენობით. „მაგრამ არავითარი საშუალებებით, არც ფულით და არც საჩუქრებით, მან არ ისურვა სულთანის ნახვა, აცხადებდა პროტესტს, რომ იგი უწინ თავს ჩამოიხრჩობდა, ვიდრე უარყოფდა თავის რჯულსა და რელიგიას.“

განრისხებულმა სულთანმა დავითი გააძევა, ბნელ საკანში მოათავსა და მუღმივი პატიმრობით დაემუქრა.

ჩვენთვის არაა ცნობილი, შეძლო თუ არა სულთანმა დავით ბატონიშვილის წინააღმდეგობის დაძლევა და მისი გამამადიანება. ქართული წყაროებიდან ვიცით მხოლოდ, რომ დავითი სამშობლოში აღარ დაბრუნებულა და უცხოეთში დაასრულა თავისი წუთისოფელი. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა დავითის უფროსი ძმის ლუარსაბ II ხვედრი. იგი მოტყუებით წაიყვანეს სპარსეთში. შაჰ-აბას I მას გამამადიანება მოსთხოვა. ლუარსაბმა გამამადიანებაზე სასტიკი უარი თქვა. შაჰმა იგი ჯერ დაატყვევა, ხოლო შემდგომ მოკვლევინა (1616 წ.). ამგვარად, ორივე ძმამ, დავითმა ოსმალეთში, ხოლო ლუარსაბმა სპარსეთში თავი შესწირეს სამშობლოს კეთილდღეობისა და სარწმუნოების დაცვის საქმეს.

¹ გიორგი X უფროსი ვაჟი ლუარსაბ II 1592 წელსაა დაბადებული.

ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია

საცნობო-ბიბლიოგრაფიული ლიტერატურის შედგენას ჩვენში დიდი ტრადიცია აქვს. როგორც ამის შესახებ ივანე ჯავახიშვილი წერს, ჯერ კიდევ მე-10 საუკუნეში შეუდგენიათ ქართული ხელნაწერი წიგნის ბიბლიოგრაფია. ამ კეთილშობილურ საქმეს ხარკი გადაუხადა სოლომონ დოდაშვილმა, რომელმაც შეადგინა 300 ქართული წიგნის აღწერილობა. თავის დროზე ილია ჭავჭავაძე ბერ-მონაზვნებისაგან, რომელთა ხელში იყო მაშინ „ჩვენი საუნჯის გასაღები“, მოითხოვდა აეწერათ ქართული წიგნები, ხოლო სიები პრესაში გამოეჭყვეყნებინათ.

ყველა ახლად გამოცემულ წიგნს ბოლოში უხვად ურთავდნენ ქართული წიგნების აღწერილობებს, ხოლო ცნობებს ამ წიგნების შესახებ პერიოდულ პრესაში ბეჭდავდნენ. წიგნის მალაზიების პატრონები აქვეყნებდნენ ბიბლიოგრაფიულ სიებს, რომლებიდანაც ზოგს ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიის პრეტენზიაც კი ჰქონდა.

მაგრამ მეცნიერულ ბიბლიოგრაფიას მყარი ნიადაგი მაინც ჩვენს დროში დაუშკვიდრდა. ლენინის ცნობილი დეკრეტის — „ბიბლიოგრაფიის შესახებ“ —

საფუძველზე საქართველოში 1924 წელს შეიქმნა საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატა.

ბოლო წლებში სახელმწიფო ბიბლიოგრაფია საქართველოში იმ დონემდე ავიდა, რომ ამაზე ოცნებაც კი არ შეეძლოთ ილიას, აკაკის, ვაჟას და სხვა მამულიშვილთ. საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატამ შეადგინა და 1941 წლის ბოლოს გამოსცა „ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, ტ. I, 1929—1920“ და ამ ნაშრომის მეორე ტომი (სამ ნაკვეთად), რომელიც წარმოადგენს 1921—1945 წლებში გამოცემული ქართული წიგნის რეპერტუარს.

მოგვარდა სახელმწიფო ბიბლიოგრაფიის მატრიანების სისტემატური გამოცემა.

მაგრამ ყოველივე ეს მაინც ცოტაა. მეცნიერები, მკვლევარები, მკითხველთა ფართო მასები მოითხოვენ საცნობო-ბიბლიოგრაფიული შრომების იმ მასშტაბით შედგენა-გამოცემას, რომელიც საშუალებას მისცემს მათ, დროის დაუკარგავად მოძებნონ მათთვის საჭირო ლიტერატურის წყარო.

ამ საქმეში მკითხველთა ფართო მასებს დიდ დახმარებას უწევს კ. მარქ-

სის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიბლიოთეკა არა მარტომის სივრცეში დაცული უმდიდრესი ფონდებით, საკატალოგო მეურნეობით, გამოფენებით, ლექცია-საუბრებით, რომლებსაც აწყობს ბიბლიოთეკის საქმის მცოდნე და მუყაითი კოლექტივი, არამედ სხვადასხვა ბიბლიოგრაფიული ნაშრომების შედგენა-გამოცემითაც.

ამ მხრივ, პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის სფეროდან უდიდესი მნიშვნელობის საძიებლის შედგენა-გამოცემა.

ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის შედგენა-გამოცემა მას შემდეგ, რაც ხელთ გვაქვს ქართული წიგნის სრული რეპერტუარი, გადაუდებელი ამოცანაა, რომელსაც ბიბლიოთეკა წარმატებით ახორციელებს.

ჯერ კიდევ სამამულო ომის წინ ბიბლიოთეკამ გამოსცა „ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ სამი ტომი და ომის შემდეგ „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ II ტომი (პირველი ტომის ორი ნაწილი — „პირველი ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“ და „ტფილისის ვედომოსტები (ტფილისის უწყებანი)“ „დაიბეჭდა — პირველი 1942 წელს (შემდგენელი ტ. კასრაძე), ხოლო მეორე — 1948 წელს „ბიბლიოგრაფიის მოამბეში“ (ან. აბრამიშვილის მიერ შედგენილი). ამ ბიბლიოგრაფიის სრული I ტომი, სამწუხაროდ, ჯერაც არ არის გამოცემული.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ქართული პრესის ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის შედგენა-გამოცემის პირველი ცდა განახორციელა პეტროგრადის ქართველ სტუდენტთა ჯგუფმა. 1916 წელს პეტროგრადში ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით და თანაავტორობით გამოიცა „ქართული ბიბლიოგრაფია“, რომელიც მოიცავს 1852—1911 წლებში ქართულ პერიოდულ პრესაში (და „ერთდროულში“) გამოქვეყნებული სტატიების აღწერილობებს ენათმეცნიერებიდან, გეოგრა-

ფიდან, ეთნოგრაფიიდან, არქეოლოგიიდან, ისტორიიდან, ქართული სიტყვიერებიდან და სხვა. ბიბლიოგრაფიის შედგენაში მონაწილეობა მიიღეს: ივ. ჯავახიშვილმა, ვუკ. ბერიძემ, კ. დონდუამ, ს. ყაუხჩიშვილმა, დ. და ი. ყიფშიძეებმა, ვლ. ფატურჩიძემ, გ. ჩიტაიამ და აკ. შანიძემ (ბიბლიოგრაფიის რედაქტორია ი. ყიფშიძე). ამიტომ, ბუნებრივია, როცა „ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ I ტომი გამოცემისთანავე მოწიწებით მიაბრუნეს ივ. ჯავახიშვილს, მას განუცხადებია, ასეთი ბიბლიოგრაფია ჩემი ახალგაზრდობის ოცნება იყო.

„ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ II ტომში აღწერილია გაზეთების: „დროებისა“ და „შრომის“ სრული კომპლექტების სტატიები.

გაზეთ „დროებაში“, რომელიც გამოდიოდა 1866—1885 წლებში, თანამშრომლობდნენ ილია, აკაკი, ი. გოგებაშვილი, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, გ. წერეთელი და სხვა. ხოლო „შრომა“, რომელიც ქუთაისში 1881—1883 წლებში იბეჭდებოდა, წარმოადგენდა ერთადერთ სერიოზულ გაზეთს, რომელიც დასავლეთ საქართველოში გამოდიოდა და რომელმაც ღრმა კვალი გაავლო ვასტული საუკუნის ოთხმოციანი წლების ქართული საზოგადოების აზროვნების ისტორიაში. ამიტომ II ტომის გამოცემას თავის დროზე მკითხველები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ.

ამ ცოტა ხნის წინ გამოვიდა „ამავე ბიბლიოთეკაში შედგენილი და „ცოდნის“ მიერ გამოცემული მომდევნო, აგრეთვე ფუნდამენტალური ნაშრომი „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, ტომი III, ნაკვეთი I (მეორე ნაკვეთი იბეჭდება).

„ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ III ტომი მოიცავს გაზეთებში — „ივერია“ (1886 — 1892), „ცისკარი“ (1887) და „თეატრში“ (1890) დაბეჭდილი სტატიების აღწერილობებს.

გაზეთ „ივერიას“ ქართველი ხალხის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი

უკავია. არ დარჩენილა არც ერთი ცოტად თუ ბევრად საჭირობოროტო საკითხი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ, რომელთა შესახებაც „ივერიას“ მკითხველისათვის თავისი სიტყვა არ ეთქვას.

მიუხედავად ამისა, ამ გაზეთის შესახებ მონოგრაფია ჯერაც არ დაწერილა, მაგრამ ჩვენი სარეცენზიო წიგნის გამოცემა მეტად გაუადვილებს მეცნიერ-მკვლევარებს შეადგინონ ნაშრომი, რომელიც მკითხველს მისცემა სრულსა და ყოველმხრივ წარმოდგენას „ივერიის“ სულისა და გულის — ი. ჭავჭავაძისა და მის თანამებრძოლთა შრომასა და შემართებაზე.

სარეცენზიო წიგნის წინასიტყვაობის ავტორი, ბიბლიოგრაფიული რედაქტორი, მდიდარი საძიებლების დამრთველი, საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარი თამარ მაჭავარიანი მეტად საინტერესო მასალას აწვდის მკითხველს. გამოქვეყნებულია ი. მეუნარგიას წერილი — მიწერილი ნ. ნიკოლაძისადმი. წერილი აქამდე უცნობი იყო. იგი მეუნარგიას პეტერბურგში გაუგზავნია 1886 წლის 10 აპრილის თარიღით. „ნიკო-ჯან! შენ წარმოიდგინე, — სწერს მეუნარგია ნ. ნიკოლაძეს, — რაც „ივერია“ გამოდის, ორ-სამ მოწინავე სტატიებს გარდა, რაც რამ პოლიტიკური და სხვა არაპოლიტიკური სტატიები იყო, სულ ილიასი არის“.

ბიბლიოგრაფიულ ნაშრომში სტატიების აღწერილობანი განლაგებულია ცამეტ თავში. თვითეული თავი შეიცავს რუბრიკებსა და ქვერუბრიკებს, რომლებშიც ლიტერატურული წყარო ისეა თავმოყრილი, რომ მკითხველი ადვილად იპოვის მისთვის საჭირო სტატიის აღწერილობას. მაგალითად, II განყოფილების მე-18 რუბრიკა ასეა წარმოდგენილი: „ბიოგრაფიები ქართველ მოღვაწეთა“, რომელიც თავის მხრივ მოიცავს 11 ქვერუბრიკას (ი. ანდრონიკაშვილი, გრ. გურიელი, დ. ბაქრაძე, ნ. დადიანი, კ. ლორთქიფანიძე,

ლ. მეღლიშვილი, ან. მუსხელიშვილი, დ. ყიფიანი, მ. ყიფიანი, დ. ჩუბინაშვილი), ხოლო მე-6 განყოფილება ნომიკა — შეიცავს 10 რუბრიკას და 30 ქვერუბრიკას. ამ განყოფილების მეოთხე რუბრიკა — „ტრანსპორტი“ ასეა წარმოდგენილი: „ა. რკინიგზა საერთოდ“, „ბ. კახეთის რკინიგზა“, „გ. ჭიათურის რკინიგზა“, „დ. სასოფლო გზები და ხილები“, „ე. ეტლით მიმოსვლა“, „ვ. ნავსადგურები და ნავით მიმოსვლა“, „ზ. ფოსტა“. ყველა განყოფილება დანაწევრებულია, რაც ერთობ აადვილებს ბიბლიოგრაფიული ნაშრომის სარგებლობა-გამოყენებას.

წიგნით სარგებლობა იმითაც არის გაადვილებული, რომ დართული აქვს მდიდარი სამეცნიერო აპარატი — საძიებლები. ასეთია: „პირთა სახელების საძიებელი“, „გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი“, „ქართული თეატრის რეპერტუარი“, „რედაქციებისა და საზოგადოებების საძიებელი“.

ძლიერ დასაანანი, რომ ეს დიდად სასარგებლო წიგნი მცირე ტირაჟით (1.500) არის გამოცემული. ამასთან, ძალზე ბევრია კორექტურული შეცდომა.

სარეცენზიო ნაშრომი პოლიგრაფიულად ისე დაუდევრად არის გამოცემული, რომ წარმოდგენს წუნს: არ მოსჩანს ქართული შრიფტის ლაზათი, ჯერ დაბეჭდილია წიგნის შინაარსი, შემდეგ წინასიტყვაობა, ბევრ ადგილას არ შეიმჩნევა შრიფტი, თვით ნაკვეთის აღმნიშვნელი „I“-ც კი. ხოლო საძიებლებით სარგებლობა კორექტურული შეცდომებისა და ცუდი საღებავის გამო, ერთობ გაძნელებულია. ქაღალდიც სხვადასხვა ფერისა და ხარისხის არის ნახმარი. ესეც ამცირებს წიგნის ღირსებას.

მაგრამ ვერავითარი პოლიგრაფიული წუნი და დაუდევრობა ვერ შებღალავს დიდი ცოდნითა და სიყვარულით შედგენილი წიგნის — ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ტ. III, ნაკ. I“-ის მნიშვნელობას.

უპირატესო

აფრიკის ზომავალი — სოციალიზმი

„მსოფლიო ცხოვრობს მლეღარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციების ეპოქაში, — ვკითხულობთ პარტიის ახალ პროგრამაში. — სოციალიზმის წარმოშობა მოასწავებს, რომ დადგა ჩაგრული ხალხების განთავისუფლების ერა“. „დადგა მსოფლიო ისტორიის ახალი პერიოდი, რომელიც გენიალურად განჭვრიტა დიდმა ლენინმა 1922 წელს, აღმოსავლეთის ხალხთა განთავისუფლებელი ბრძოლის გარიჟრაჟზე, პერიოდი, როცა საბოლოოდ გამოიღვიძებდნენ იმპერიალიზმის მიერ დაჩაგრული ხალხები და დაიწყებოდა გადამწყვეტი, ხანგრძლივი ბრძოლები მათი განთავისუფლებისათვის“.

ეროვნულ-განმათავისუფლებელ რევოლუციათა ბოშოქარი გრივად, რომელიც დიდი ოქტომბრის გამარჯვებით დაიწყო და სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნით გიგანტურ მასშტაბს მიადგინა, ამჟამად იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის ფაქტურად დამსხვრევით დაგვირგვინდა. ამ დიადმა ქარიშხალმა ერთი თაობის მანძილზე აღგავა იმპერიალისტ-კოლონიზატორთა ბატონობა მსოფლიოს უდიდეს ნაწილზე და თავისუფლება და დამოუკიდებლობა მოუტანა მის ხალხებს. სულ მოკლე ისტორიულ მონაკვეთში ძირეულად შეიცვალა მსოფლიოს პოლიტიკური რუკა — დაიმსხვრენ უზარმაზარი, კოლონიური იმპერიები და მათ ნანგრევებზე აღმოცენდა 55-ზე მეტი სუვერენული სახელმწიფო.

იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის მსხვერვის დიადმა პროცესმა ამ უკანასკნელ წლებში ყველაზე მკაფიოდ აფრიკის მატერიკზე იჩინა თავი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გიგანტურად აზვირთებულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ სულ მოკლე დროში ძირეულად შეცვალა ვითარება ამ მატერიკზე. მისმა

უშრეტმა შინაგანმა ძალებმა ვულკანით ამოხეთქა. მრავალტანჯული და დამონებული აფრიკელი ხალხები მასობრივად გამოვიდნენ ისტორიის ავანსცენაზე, საბრძოლო იარაღს მოკიდეს ხელი და მედგრად აღსდგნენ კოლონიალიზმის ხუნდების დასამხოზად.

1950—1964 წლებში მოგიზგიზე დიდმა განთავისუფლებელმა კოცონმა შთანთქა კოლონიზატორთა ბატონობა აფრიკის უდიდეს ნაწილზე, მონობის ბორკილი ახსნა ხალხებს და თავისუფლება და ეროვნული სუვერენიტეტი მოუტანა მათ. მარტო 1960 წელს, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ „აფრიკის წელს“, აფრიკის 17 სახელმწიფო განთავისუფლდა კოლონიური მონობისაგან და ჩადას სუვერენულ სახელმწიფოთა რიგებში.

1961—1964 წლები აღინიშნა აფრიკელი ხალხების განთავისუფლებელი ბრძოლის ახალი, პრწყინვალე გამარჯვებით. 1962 წლის პირველი ივლისს გვირმა ალჟირელმა ხალხმა წარმატებით დააგვირგვინა 1954 წლის ნოემბრიდან წარმოებული განთავისუფლებელი ბრძოლა და დამოუკიდებლობა მოიპოვა. მან სამარცხვინო დამარცხება აგება და ფარ-ხმალი დააყრევინა ისეთ ძლიერ მტერს, როგორცაა საფრანკეთის იმპერიალიზმი. განთავისუფლების ფრონტმა შორს — სამხრეთისაკენ გადაიწია და დიდმნიშვნელოვანი ზღუდეები გამოტაცა იმპერიალისტ-კოლონიზატორებს. დაიწყო „ბრიტანეთის“ აღმოსავლეთი აფრიკის დიდი მასივის დაშლა. ამ ხანმოკლე დროის განმავლობაში კიდევ 7 ახალი სახელმწიფო შეემატა აფრიკის თავისუფალ სახელმწიფოთა დიდ ოჯახს.

1964 წლის შუალედისათვის აფრიკის მატერიკზე ამჟამად ფრიალებდა 34 სუვერენული სა-

ხელმწიფოს ალამი. ამჟამად თავისუფალ აფრიკაზე მოდის მთელი ტერიტორიის ოთხი მეხუთედი (25,6 მილ. კვ. კმ) და მოსახლეობის 90%-ზე მეტი (235 მილ. კაცი). ეს არის გვიანდელი ნახტომი აფრიკის ცხოვრებაში, აფრიკელი ხალხის მსოფლიო ისტორიული გამარჯვება. 60-იან წლებში კოლონიური ბატონობის საბოლოო ლიკვიდაცია აფრიკაში, როგორც ხატოვანად აღნიშნავს ცნობილი ინგლისელი პროგრესული ისტორიკოსი ჯეიმს უოლისი, მეოცე საუკუნის უდიდესი ნიშანსვეტი გახდა. 60-იან წლებში აფრიკელი ხალხების ცხოვრებაში მომხდარი ამ გრანდიოზული ცვლილებების შედეგად აფრიკის კონტინენტი კოლონიური ნაკადიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ეროვნული აღორძინების კერად გადაიქცა.

მაგრამ თავისუფალი აფრიკის გვერდით ჯერ კიდევ არსებობს მეორე, თუმცა შედარებით მცირე აფრიკა, მას დღემდე არ მოუპოვებია თავისუფლება. იქ მცხოვრები მრავალი მილიონი აფრიკელი ისევ იტანჯება კოლონიური მონობისაგან. სამხრეთ როდეზიის, ბეჩუანალენდის, სამხრეთ-დასავლეთი აფრიკის, ანკოლის, მოზამბიკის, ე.წ. პორტუგალიის გვირგვინის, ესპანეთის კოლონიების, ბასუტოლენდის, სვამილენდის და აფრიკის კუნძულების დიდი ნაწილის ხალხები დღემდე რჩებიან კოლონიური მონების მდგომარეობაში. მხეცური რასობრივი დისკრიმინაციის, აპარტჰეიდისა და მონური შრომის ვითარებაში უხდებთ ცხოვრება სამხრეთ აფრიკის რასისტული რესპუბლიკისა და სამხრეთ როდეზიის მკვიდრ მოსახლეობას.

მაგრამ კოლონიალიზმის ამ უკანასკნელ ზღუდებსაც მოედო ქარიზმალი და შეღუფა იმპერიალისტ-კოლონიზატორთა ბატონობის კარიბჭეები. მისი მოსახლეობა ენერგიულად აღსდგა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. აფრიკის ამ ნაწილში დანთებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ბოშოქარი ხანძარი დიდ სიგრძეს მოედო და საყოველთაო სახე მიიღო. ამაზე მკაფიოდ მეტყველებს ანკოლისა და გვირგვინის ხალხების გმირული შვირადღებელი ბრძოლა პორტუგალიელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ, რამაც მთელი პროგრესული კაცობრიობის აღფრთოვანება გამოიწვია. ამის მარჯვენაელია მოზამბიკის ამოქმედება და განმათავისუფლებელი ბრძოლის გზაზე დაღობა, ინგლისელ კოლონიზატორთა მიერ შეკონწიწებული ცენტრალური აფრიკის ფედერაციის—აფრიკის ამ ნაწილის რასისტული სატუსალოს დანერგვა და ნიასალენდისა და ჩრდილო-როდეზიის ხალხების უშუალოდ მიახლოება თავისუფლების ზღუდესთან. ამის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და სამხრეთ-როდეზიის მოსახლეობის გმირული ბრძოლა იქ გაბატონებული კოლონიური მონობის, რასობრივი ტერორისა და აპარტჰეიდის მხეცური რეჟიმის წინააღმდეგ, ინგლისის საპროტექტორების — სვამილენდის, ბასუტოლენდის,

ბეჩუანალენდის, სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის მკვიდრი მოსახლეობის გამოსვლა ელემენტარული ადამიანური უფლებებისათვის საბრძოლველად. ეს ბრძოლა იქ მიმდინარეობს ხელშეწყობილია და საერთაშორისო ვითარებაში. იგი აფრიკის ხალხების ერთიანი ბრძოლის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. თავისუფალი აფრიკა, სადაც მკვიდრად მოივიდა ფეხი აფრიკულმა პატრიოტიზმმა და აფრიკული ერთიანობის იდეამ, ყოველმხრივ ეხმარება მებრძოლ აფრიკას. მის მხარეზეა მთელი სოციალისტური ბანაკი და მშვიდობის, დემოკრატიისა და თავისუფლების ძალები მთელ მსოფლიოში. ყოველივე ეს იმის უტყუარი საწინდარია, რომ სამხრეთ აფრიკის ხალხთა მისწრაფება თავისუფლების, დემოკრატიული უფლებებისა და პროგრესისაკენ დაუძლეველია და სულ მალე მსოფლიო ისტორიული გამარჯვებით დაგვირგვინდება.

აფრიკის ყოფილი კოლონიების მიერ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვება და მათი თავისთავადი ეროვნული განვითარების გზაზე დადგომა მსოფლიო ისტორიის ახალი თავია. იგი უპირველესი და უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია ყველა სახეობის დამოკიდებულებისაგან, იმპერიალისტური მონოპოლიების ექსპლოატაციისაგან მათი სრული განთავისუფლების საქმეში. მაგრამ იგი მაინც იმ დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტის პირველი ნაბიჯია, რაც დასახულია აფრიკის ახალგაზრდა სუვერენული სახელმწიფოების წინაშე ნათელი მომავლის აგების გზაზე. სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მოპოვების შემდეგ მათ წინაშე დაისვა არანაკლებ რთული და დიდმნიშვნელოვანი ამოცანები. ეს ამოცანებია კოლონიალიზმის ღრმა ნაშთების აღკვირდაცია, მოპოვებული სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის განმტკიცება, იმპერიალიზმის ეკონომიური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლება, კულტურული ჩამორჩენილობის დაძლევა და მოსახლეობის ცხოვრების დონის მკვეთრი ამაღლება.

აფრიკას ბუნებრივ სიმდიდრეთა უზარმაზარი მარაგი აქვს. იმ მინერალური ნედლეულის დირეულება, რასაც ყოველწლიურად იღებენ აფრიკაში, 3 მილიარდ დოლარს აღემატება. აფრიკაში მოპოვება ოქრო, ალმასი, კობალტი, თუთია, სპილენძი, ურანი, ბოქსიტები, ქრომი, სურმა, მარგანეცი, მაგნეზიტი, ვანადიუმი, კალა, აზბესტი... მინერალური რესურსებით განსაკუთრებით მდიდარია კონგოს რესპუბლიკის სამხრეთი ნაწილი — კატანგა, რომელსაც „გეოლოგიურ სასწაულს“ უწოდებენ. იქ შედარებით მცირე ტერიტორიაზე თავმოყრილია ალმასის, კობალტის, ურანის, ოქროს, კალის, მარგანეცის, სპილენძის დიდი რაოდენობა. ბევრი სხვა ფერადი და ნახევარლითონები... აფრიკაზე მოდის კაპიტალისტური სამყაროს ალმასის მოპოვების 96-97

ვარლამ დონაძე
აფრიკის მომავალი — სოციალიზმი

პროცენტი, კობალტისა — 75-80, პლატინისა — 62, ოქროსი — 59-60, ვანადიუმის — 49-50, ფოსფორიტების — 42, მაგნეზიტისა — 40, ქრომისა — 38-40, მარგანეცისა — 36, სურმის — 24, სპილენძის — 24, აზბესტის — 14 პროცენტი და ა. შ. უკანასკნელ წლებში ჩატარებულმა გეოლოგიურმა მივებმა საპარასა და ჩრდილო აფრიკაში (ლიბია, ალჟირი, მაროკო...) აღმოაჩინა ნავთობის, გაზის, რკინის მადნის, ტყვიის და სხვა წიაღისეულის კოლოსალური მარაგები.

აფრიკას გააჩნია პირობენერჯის უდიდესი რესურსები. მისი კლიმატური პირობები და ნიადაგი ხელსაყრელია სოფლის მეურნეობის მრავალფეროვანი დარგების გასავითარებლად. მის ტექნიკურ უხვად მოიპოვება ძვირფასი სამრეწველო ჯიშის ხეები, ტექნიკური ნედლეულისა და საკვების მომცემი მცენარეები.

მაგრამ აფრიკის დამოხვეულ ხალხებს უკანასკნელ დრომდე არ ჰქონდათ შესაძლებლობა, ეს სიმდიდრე საკუთარი კეთილდღეობისათვის გამოეყენებინათ. დიდი ხნის განმავლობაში მკვეთრად ჩამორჩენილი იყო მათი ეკონომიური ცხოვრების საფუძველთა საფუძველი — სოფლის მეურნეობა, მეტად დაბალი იყო საწარმოო ძალეუბის განვითარებისა და მოსახლეობის ფართო ფენების ცხოვრების დონე. იქ ბატონობდა შიმშილი, გადამდეები სენი და მასობრივი სიკვდილიანობა.

ცხოვრებამ სასაცილოდ აიგო იმპერიალისტთა ეკლისმწამებლური მონაპოვრი აფრიკის ხალხთა გონებრივ-მორალური ჩამორჩენილობის შესახებ.

„აფრიკის ხალხები, — როგორც მართებულად აღნიშნავდა გენეის რესპუბლიკის პრეზიდენტი სეკუტუ რე, — არც გონებრივად და არც მორალურად არ ჩამორჩებიან სხვა კონტინენტის ხალხებს — თეთრებს“. მათ არა ნაკლებ შეუძლიათ ათევისონ მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევები, ჩაწვდენენ ბუნების ძალების საიდუმლოებებს და გამოიყენონ იგი პროგრესის ინტერესებისათვის“. კოლონიზატორთა ხანგრძლივი პარაზიტიზმის და კოლონიური ძარცვის ის მხეცური მეთოდები, რასაც მიმართავდნენ ინგლისელი, ფრანგი, ბელგიელი, პორტუგალიელი კოლონიზატორები თავიანთ კოლონიებში, მათი ბუნებრივი რესურსების მტაცებლური ექსპლოატაცია საერთაშორისო მონოპოლისტური გაერთიანებების მიერ, აი, რამ განაპირობა აფრიკის მკვეთრი ჩამორჩენა.

იმპერიალისტ-კოლონიზატორებმა აფრიკა აქციეს თავისებურ ნაკრძალად, ექსპლოატაციის მათი ეკონომიური სისტემის უუფლებო დანამატად. ხელოვნურად გაითიხრა და დააქუცმაცეს იგი ეკონომიურად და პოლიტიკურად, დაარღვიეს მისი ბუნებრივ-ისტორიული ერთიანობა. ინგლისის, საფრანგეთის, პორტუგალიის, ბელგიის კოლონიები ამ ქვეყნების კოლონიური ბაზრის დამატება იყო. ამიტომ მათ შორის არავითარი ეკონომიური კავშირი არ არსებობდა.

აფრიკაში ცხოვრობს მსოფლიოს მოსახლეობის

8 პროცენტი, მისი წილი კი მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში ერთ პროცენტს არ აღემატება. მოპოვებითი და გადამამუშავებითი მრეწველობის ხვედრითი წონა განვითარებული კაპიტალისტურ ქვეყნების მივლი სახალხო მეურნეობის პროდუქციაში უდრის 80-90 პროცენტს, აფრიკაში კი — 25-26% შორის მერყეობს.

აფრიკას, პაქისა და ნიადაგის ხელსაყრელი პირობების მიუხედავად, მკვეთრად ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობა აქვს. შემორჩენილია მიწათმოქმედების არქაული ფორმები, პრიმიტიული სასოფლო-სამეურნეო იარაღები. მინიმალურად იყენებენ ახალ ტექნიკასა და აგრომიდწვევებს. ამიტომ ძალზე დაბალია სოფლის მეურნეობაში მომუშავე მშრომელთა შემოსავალი და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. სოფლის მშრომელების წლიური შემოსავალი უდრდა: კონგოში (ლეოპოლდვილი) — 35 დოლარს, კენიაში — 25 დოლარს, უგანდამი — 44 დოლარს და ა. შ. ეს 30-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ამერიკელი ფერმერის საშუალო შემოსავალი. აფრიკის ამა თუ იმ ქვეყანაში სოფლის მეურნეობის ესა თუ ის კულტურა იყო გაბატონებული. მაგალითად, განასა — კაკაო, გუინეასა და სენეგალში — არა-ხისი, კონგოში — კაუჩუკი და პალმის ზეთი, ნიგერიაში — კაკაო.

აფრიკაში მოპოვებული მრავალფეროვანი წიაღისეულის 90% -ზე მეტი და სასოფლო-სამეურნეო საწარმის უდიდესი ნაწილი დღემდე კაპიტალისტურ ბაზარზე გადის და აშშ, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მონოპოლისტთა გამდიდრებას ემსახურება. აფრიკის კონტინენტი აკაპოფილებს ამერიკის ძირითად მოთხოვნილებას ურანზე, ალმასზე, ნიობუმზე, კობალტზე, გუმარაბიტზე, პალმის ზეთზე, წითელ ხეზე და ა. შ. ინგლისი იკმაყოფილებს თავის სამომართო მოთხოვნებს სურმასა და ტექნიკურ ალმასზე — 90%-ით, კობალტზე — 82, ასბესტზე — 66, ქრომის მადანზე — 50, ზოქსიტზე — 47, სპილენძზე — 46, მარგანეცის მადანზე — 37, ზოქსიტების, რკინის მადნისა და ზამბის — 1/3 და ა. შ. საფრანგეთს აფრიკიდან შეაქვს ფოსფორიტის 90% -ზე მეტი, ტყვიის — 84, თუთიის — 51, რკინის მადნის — 36, ყავის — 72, კაკოს — 90, ზამბის — 31% და ა. შ.

აფრიკის ხალხთა სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვენ კოლონიალიზმის ამ მძიმე მემკვიდრეობის უმოკლეს გადამოღწევადაც. ამის გარეშე შეუძლებელია ახალი აფრიკის შექმნა, ეკონომიური აღორძინება, თვითმყოფი კულტურის აყვავება და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება.

ხეჩმავლადატეხილი კოლონიალიზმი არ აპირებს ნებაყოფლობით დასტოვოს ისტორიის სარბიელი. მაგრამ იგი იძულებულია შეეგოს შეცვლილ ვითარებას. შეინადნოს თავი, ნეოკოლონიალიზმის ქვეტი ჩაიკვას და უწყინარი კრების სახე მიიღოს. „ახალი მეთოდებთა და ახალი ფორმებით იმპერიალისტები ცდილობენ შეინარჩუნონ

კოლონიური ექსპლოატაცია, — ვითხოვლობთ სკკპ ახალ პროგრამაში, — იმპერიალისტები მიმართავენ ყველა საშუალებას (კოლონიურ ომებს, სამხედრო ბლოკებს, შეთქმულებებს, ტერორს, ძირ-გამომხრელ საქმიანობას, ეკონომიურ ზეგავლენას, მისიკდვას), რათა მორჩილებში ჰყავდეთ განთავისუფლებული ქვეყნები... წარათვან ამ ქვეყნებს დამოუკიდებლობა, შეინარჩუნონ ძველი პოზიციები, დაიპყრონ ახალი პოზიციები... დანერგონ სამხედრო-დესპოტიზმი რეჟიმები...» ამ პოლიტიკის უშუალო სტრატეგიული მიზანია არიან ამერიკის შერიგებული შტატების უმსხვილესი მონოპოლისტები, ინვლისის, დასავლეთ გერმანიის, საფრანგეთის მაგნატები და მათ ზურგს უკან მყოფი იმპერიალისტური მთავრობები.

ზემოთ აღნიშნული ყველაზე თვალსაჩინოდ ჩანს კონგოს რესპუბლიკისა და საფრანგეთის ყოფილი აფრიკული კოლონიების უმრავლესობის მაკავალთებზე. კონგომ ოთხი წლის წინათ მოიპოვა დამოუკიდებლობა, მაგრამ დღემდე ვერ ეღივსა სიმშვიდე, ვერ ჩადგა კალაპოტში, მან ვერ განახორციელა ენერგიული ღონისძიებები კოლონიური წარსულისა და ეკონომიური მოშლილობის დასაძლევად. ხალხის ცხოვრების დონის ასამაღლებლად, კულტურის წინ წასაწევედ. ამის მიზეზია დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოების სერიოზული ეკონომიური და სამხედრო-სტრატეგიული ინტერესები კონგოში, უმსხვილესი საერთაშორისო მონოპოლისტურ გაერთიანებათა პარაში ამ ქვეყანაში. მათ ადგილობრივი რეაქციული ძალების მეშვეობით მხეცურად მოკლეს გამორჩენილი კონგოელი პატრიოტი, კონგოლებზელი ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლი პატრის ლუმუმბა და მისი თანამებრძოლები. მათ გამოიყენეს ჩომბეს ტიპის ეროვნული საქმის მოღალატეები ქვეყნის დასანაწილებლად, ძმათა შინაომის გასაჩაღებლად და ბუნებრივი რესურსების გასანაწილებლად. ეს ძალები წარმართავენ კონგოს ახლანდელი ანტიხალხური მთავრობის ანტიდემოკრატიულ საქმიანობას, სისხლში ახშობენ კონგოელ პატრიოტთა განთავისუფლებელ ბრძოლას, აწყობენ სამკოთა საელჩოს ბარბაროსულ დარბევას და ანტიკომუნისტურ შხამით წამაღვენ მოსახლეობას. კონგოს დღევანდელი ძნელბედობა ნეოკოლონიალიზმის ბოროტმოქმედებათა შედეგია.

საფრანგეთის იმპერიალიზმი აფრიკის ხალხების განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად იძულებული გახდა უკან დაეხია და ჯერ კიდევ 1958-1960 წლებში დამოუკიდებლობა მიეცა მისი კოლონიების უმრავლესობისათვის. 1962 წლის 1 ივლისს მან ფარ-ხმალნი დაყარა ალკირელი ხალხის წინაშე, ხელი აიღო მის წინააღმდეგ უიმედო, სახელგატეხილ ომზე და იტყოს მისი დამოუკიდებლობა. მაგრამ დე გოლის ხელისუფლება, რომელიც საფრანგეთის მონოპოლისტური ბურჟუაზიის ინტერესების დამცველია, უადრესად რთულ, მოჭნილ და მუხანათურ პოლიტიკას აწარმოებს იმისათვის, რომ იქ ძველი პოზიციე-

ბი შეინარჩუნოს, დე გოლის ხელისუფლებამ მოახერხა და ამ ქვეყნების ნაწილის ხელისუფლების სათავეში ჩააყენა სენგორის, ტომბუბაქინის აბატ იულიუსის ტიპის მარიონეტები. აი, ასეთი ლაქიების დახმარებით, მოსყიდვის, შანტაჟისა და დაყენების მეოთხედის მომარჯვებით ფრანგი კოლონიატორები ძირითადად ინარჩუნებენ იქ თავიანთ პოლიტიკურსა და ეკონომიურ-ფინანსიურ პოზიციებს. საფრანგეთს თავისი ყოფილი კოლონიების ურავლელობისათვის აქვს რეკონსტრუქციის სამხედრო შეთანხმებები, რომელთაც ინარჩუნებს მათ საზღვაო, სახმელეთო და საავიაციო ბაზებს, საშუალება აქვს იყოლოს იქ თავისი ჯარები და ავიაცია, მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში და ა. შ. საფრანგეთმა, ამასთან ერთად, მათ თავზე მოახვია შეთანხმება სამხედრო და ტექნიკური დახმარების, კულტურულ-მეცნიერული თანამშრომლობისა და ურთიერთნოსაყრელი ვაჭრობის უწყსახებ. დაბოლოს, საფრანგეთის დიპლომატიის უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით შეიქმნა საფრანგეთის ყოფილი 12 კოლონიის რეაინალური გაერთიანება აფრიკულ-მალაგაშური კავშირი, რომელთაც დე გოლი შეიქცადა ეს სახელმწიფოები საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის ფარგლებში მოაქცია და აფრიკის იმ თავისუფალ სახელმწიფოებისათვის დაეპირისპირებინა, რომლებმაც დამოუკიდებელი საარაო პოლიტიკური კურსი აიღეს. ეს რეაინალური კავშირი, ათრისკის ერთიანობის ორგანიზაციის (ადის-აბე-ბაში) შექმნის შემდეგაც ნაწილობრივ სახემეცვლილი ანაგრობის არსებობას.

მთავრობის ნიშნითა დაფარული და ნიოკოლონიალიზმის დროებით ხორანილობა გერმანიის თითარაკიული რესპუბლიკის მონოპოლისტთა საქმიანობა გერმანიის ყოფილ აფრიკულ კოლონიებსა და აფრიკის სხვა ქაიანებში. ამ იოტა ხნის წინათ შეიქმნა „განვითარების გერმანული სამსახური“, დასავლეთ გერმანელ მონოპოლისტებს „მეგობრული დახმარების“ ნიღბით ხელი უნდა შეუწყოს აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოების ეკონომიურ და პოლიტიკურ ექსპანსიაში. ინვლისი, იტალია, ბელგია, იზრაილი აგრეთვე ნეოკოლონიალიზმის მეთოდებით მოქმედებენ თავისუფალ აფრიკაში, რათა ხელთ იკაფონ მისი ნედლეული, ბაზარი, დაბანდონ ჰყარონ კაპიტალი და ადგილობრივი რესურსებისა და მოსახლეობის მტკავრელები ექსპლოატაციით აქციონ იგი თავისი მაგნატების გამდიდრების წყაროდ.

დასავლეთეობრივი იმპერიალისტები ამავე მიზნებისათვის იყენებენ დასავლეთ ევროპის ფინანსური ოლიგარქიის სახელმწიფო-მონოპოლისტურ შეთანხმებას — „საერთო ბაზარს“. იმპერიალისტები აიძულებენ იმ ქვეყნებს, რომლებმაც

ვარლამ დონაძე
აფრიკის, რომავალი—სოციალიზმი
149

თავიანთი ბედი დაუკავშირეს „საერთო ბაზარს“, შეინარჩუნონ ეკონომიკის ძველი, მახინჯი, კოლონიური სტრუქტურა. ისინი მათგან მოითხოვენ ადგილობრივი ნაწარმის იაფად გაყიდვას, ევროპის საქონლის უბაჟო შეტანას, ადგილობრივი ნაწარმობის დახურვას.

მრავალფეროვანი მეთოდებით მოქმედებს ნეოკოლონიალიზმის მთავარი ბურჟი და გამტარებელი—ამერიკის შერთებული შტატები. დიპლომატიური შანტაჟის, „ეკონომიური დახმარების“ მეთოდების გვერდით გასა ამ მიზნისათვის შექმნა ე. წ. „შვიდობის კორპუსი“. იგი ნებაყოფლობის პრინციპზე დაკომპლექტებულია ინჟინრებით, ექიმებითა და მასწავლებლებით. ამერიკის შერთებული შტატების მთავრობა ყოველმხრივ ნიღბავს „შვიდობის კორპუსის“ ნამდვილ მიზანს და მას სუსტად განვითარებული ქვეყნებისადმი უანგარო დახმარების გამოხატულებად თვლის. სულ სხვაგვარი შეფასება მისცეს მის საქმიანობას აფრიკის ხალხებმა. პირველ ყოვლისა, აშშ-დობის კორპუსის“ შემადგენლობას ნაკლები ცოდნა და სუსტი კვალიფიკაცია აქვს. იგი რასისტული ცრუმორწმუნეობით არის ვაჭვნილი და ოდნავდაც ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას. მეორეც, იგი უფრო ანტიკომუნისტური ისტერიის გავლევით, ძირგამომხრულ, საღაზვერეო დავალებების შესრულებით არის ვართული. ვიდრე აფრიკის ხალხებისათვის დახმარება გაწევით, „შვიდობის კორპუსი“, როგორც სამართლიანად წერდა ვანის ვაჭვით „საბაკი“, ხელსაყრელი საფარველია აფრიკის იმ ნაწილებში შეღწევისათვის, სადაც აშშ-ს არა აქვს სამხედრო ბაზები, არ გააჩნია დიპლომატიური კონტროლი, ან არ ენდობა დიპლომატიურ წარმომადგენლებს. „შვიდობის კორპუსი“ კოლონიალიზმის აკენტურაა.

მოკლედ, ძალზე რთული ამოცანები დაუსაბა ცხოვრებამ აფრიკის ახალგაზრდა სუვერენულ სახელმწიფოებს. მრავალნაირია ის სიძნელებები, რომელიც აღმართულია მათ წინაშე ახალი ცხოვრების მშენებლობის პროცესში. ვადაუდებელი ისტორიული აუცილებლობა ამ ჩამორჩენის ლიკვიდაცია დროის მოკლე ისტორიულ მანაკვეთში, ერთი ან ორი თაობის სიკოცხლის მანძილზე. როდესაც აფრიკის ახალგაზრდა სუვერენული სახელმწიფოების დიდ ჩამორჩენასა და მისი დაძლევის ამოცანებზეა ლაპარაკი, ჩვენ არ შეიძლება მხედველობიდან ვაუღწიო ვეგრტომელი ყოფის ფორმების დიდი ხვედრითი წონა, ტომობრივი და ენობრივი სიჭრელე, სხვადასხვა რეგიონურ ჯგუფთა დაბირისპირება, კუთხურ-სეპარატისტული ტენდენცია და შორეული წარსულის სხვა ვადამონაშთები, რისი კონსერვაციაც იმპერიალისტ-კოლონიზატორებმა მოახდინეს.

ძალზე ძნელ და რთულ პირობებში უხდებთ აფრიკის ახალგაზრდა სუვერენულ სახელმწიფოებს აღნიშნული ჩამორჩენილობის ლიკვიდა-

ცია, კოლონიური წარსულის მიმე მეკვიდრეობის აღმოფხვრა, უცხოური მონოპოლიების ტირანიისაგან თავის დაღწევა, თავიანთი სახელმწიფოების ფეხზე წამოყენება და ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის საძირკვლის ჩაყრა. საამისოდ მათ ძალზე მცირე ვაკოცილებდა გააჩნიათ და, პირველყოვლისა, სსრკ-სა და სხვა სოციალისტური ქვეყნებიდან იღებენ სათანადო მავალით.

კოლონიალიზმისაგან აფრიკის სრული გაწმენდასა და ახალგაზრდა სახელმწიფოთა დიად მიზანდასახულობათა განხორციელების ერთ-ერთი პირობა და საფუძველია აფრიკის ხალხთა ერთიანობა. ვაგაერთიანოთ მთელი ძალები, შევავსარედეთ, არ მივცეთ კოლონიურ სახელმწიფოებს შესაძლებლობა ვაგეთმონ და ვაგეპაპირსპირონ ვაგამყაროთ ურთიერთშორის სრულყოფილი პოლიტიკური და ეკონომიურ-კულტურული თანაშრომლობა, ასეთია აფრიკის დემოკრატიულ ვადერთა სეკუ ტურეს, მოდებო კიიტას, კეამე ნკრუმას, ბენ ბელას, კომო პენიატასა და სხვათა საბრძოლო მოწოდება, რომელიც ავამად სისხლსა და ხორცს ისხამს და პრაქტიკულად ინერგება ცხოვრებაში. აფრიკის ერთიანობის იდეა ღრმად ვადეულა აფრიკელ ხალხს და უდიდეს დამრავზე ძალად იქცა. ვანსაკუთრებით დიდი ნაბიჯები ვადაიდა ვა მიმართულებით აფრიკის 31 სახელმწიფოს მეთაურთა ადის-აბების კონფერენციის შემდეგ, რომელიც 1963 წლის მაისში ვაგტარდა. ტყუილად როდი უწოდა კვამე ნკრუმამ ამ კონფერენციას ვადამწყვეტი მობრუნების პუნქტი აფრიკის ხალხთა ცხოვრებაში. რამდენდაც უფრო ვანმტკიცდება ეს ერთიანობა, იმდენად შემცირდება დროის ის სტორიული მონაკვეთი, რაც საჭიროა აფრიკის ჩამორჩენის დასაძლევად.

ახალგაზრდა აფრიკა, როგორც სამართლიანად აღნიშნავს გვინების რესპუბლიკის პრეზიდენტი სეკუ ტურე, არ ვანივთარდება იმ მზა ფორმულის მიხედვით, რომელსაც მას თავს ახვევენ მისი ნებასურვილის წინააღმდეგ. იგი უნდა ვანივთარდეს თავის საკუთარ ჩარჩოებში, საკუთარი ინდივიდუალიზმის შესაბამისად, აფრიკის სოციალ-ეკონომიური პირობების თავისებურებათა ვათვალისწინებით. არ შეიძლება აგრეთვე აფრიკისათვის დაისახოს ერთიანი ვზა, რომელსაც უნდა მისდიოს მისმა ყველა სახელმწიფომ. აფრიკას თავისი სპეციფიკა აქვს, თავისი ჩვეულებები... ქეშმარიტად აფრიკული აფრიკის აგებინათვის ყოველივე ამას ანგარიში უნდა ვაგწიოს. მზა დასავლური ან აღმოსავლური კოსტუმის მორგება აფრიკისათვის დაუშვებელია.

ავამადა, როცა მსოფლიოში არსებობს ორი, დიამეტრალურად მოწინააღმდეგე კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემები, კოლონიური უღლისაგან ვანათვისუფლებული აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოებისათვის ვანივთარების გზის არჩევა თვითონ ამ ისტორიულ ვზაჯვარედინზე მყოფი ქვეყნების ხალხების საქმეა და

მათ საზინაო საქმეებში ჩარევის უფლება არავის არა აქვს.

საერთაშორისო იმპერიალიზმში თავისუფალი აფრიკის ფეოდალურ-რეაქციულ წრეებთან კავშირით ცდილობენ, აფრიკის ქვეყნებს თავს მიახვიონ ანტიკომუნისტური პოლიტიკა და დასავლეთის ორიენტაციაზე ააღებინონ გეზი. ისინი ყოველმხრივ ცდილობენ, რომ მათ განვითარების კაპიტალისტური გზა აარჩევიონ. მათი მთავარი იარაღი — ანტიკომუნისტური — ამ შხაბით არის გაყენებული გამოკვლევები აფრიკის შესახებ. ისინი თვალის ასახვევად გმობენ კოლონიალიზმს, იზიარებენ აფრიკის პროგრესული ძალების ანტიკოლონიალიზმს და დახმარებასაც კი სთავაზობენ მათ. განვითარების კაპიტალისტური გზის ასოლოკატები ქება-დიდებას უძღვნიან ამ გზას, შესაბამის ეკონომიურ რეკეტებს უწერენ აფრიკის ხალხებს და ყოველმხრივ სახელს უტყენ მათ თვალში მოწინავე ეკონომიკის აგების საბჭოთა გამოცდილებას, ამცირებენ ევროპისა და აზიის სხვა სოციალისტურ ქვეყნებში წარმოებულ მშენებლობის მიღწევებს. აფრიკის ისტორიულ-გეოგრაფიულ სპეციფიკაზე მითითებით ისინი ცდილობენ თეორიულად დაასაბუთონ განვითარების სოციალისტური გზის შეუთავსებლობა აფრიკულ ცხოვრებასთან. აფრიკა ერთხელ და სამუდამოდ დაკავშირებულია დასავლეთთან და მან კომპრომისული შეთანხმება უნდა დადოს მასთან. დასავლეთმა ხელი უნდა შეუწყოს აფრიკის ეკონომიურ რევოლუციას, რათა ამით თავიდან აიცილოს კომუნისტების გავლენა. დასავლეთს, თუ იგი ერთიანი ფრონტით გამოვა აფრიკაში, შეუძლია მიიღოს აღმოსავლეთის გამოწვევა, შეეჯიბროს მას და გაიმარჯვოს, — აი, რას აცხადებენ ისინი.

განვითარების კაპიტალისტური გზა, რა წარმტაცი ფერებითაც არ უნდა ხატავდნენ მას იმპერიალიზმის აშკარა თუ შენიღბული აპოლოგეტიკი, მიუღებელია აფრიკის ხალხებისათვის. იგი არა თუ ვერ უწამლებს მათ და განკურნავს წყლულებისაგან, არამედ კიდევ უფრო გაართულებს მათ მდგომარეობას.

განვითარების კაპიტალისტური გზა, როგორც აღნიშნულია პარტიის პროგრამაში, ხალხის ტანჯვის გზაა. მას არ შეუძლია აფრიკის დიდი ზამორჩენის ლიკვიდაცია. იგი ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკის სწრაფ პროგრესს, სიღატაკის ლიკვიდაციას: სოციალური უთანასწორობა გაღრმავდება, სოფლის კაპიტალისტური განვითარება კიდევ უფრო გააღატაკებს გლეხობას... წვირილი ბურჟუაზია გაისრისება მსხვილ კაპიტალისტებთან კონკურენციულ ბრძოლაში. კულტურისა და განათლების სიკეთე მიუწვდომელი დარჩება მსახლისათვის. ინტელიგენცია იძულებული იქნება ივაჭროს თავისი ტალანტით.

ძველი სუერენული სახელმწიფოს ლიბერიისა და საფრანგეთის იმ ყოფილი კოლონიების ნაწილის, დასავლეთთან კავშირში რომ რჩებიან, მავალითი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ კაპიტა-

ლიზმი, პირიქით, აძლიერებს სოციალურ კონტრასტებს, სიმდიდრის გვერდით წარმოშობს დიდ სიღატაკებსა და მასობრივ პაუპერიზმს. ეკონომიკის სწრაფი განვითარების ნაცვლად იგი ხელს უწყობს კრიზისებს, აღრმავებს დაპირისპირებას სოფელსა და ქალაქს შორის, აძლიერებს ეკონომიურ დამოკიდებულებას.

უღიდესია ეკონომიური ჩამორჩენილობის, მსგებნის სიღატაკისა და უმეცრების ლიკვიდაციის ამოცანები. მაგრამ შრომისუნარიანი მოსახლეობის უღიდესი ნაწილი ვერ პოულობს თავისი შრომის მწარმოებლურ გამოყენებას. ასეთი მდგომარეობაა ორთავე კონკრეტულ, სენეგალში, მალგაშში, სილიოს ძელის ნაპირზე, კამერუნში და აფრიკის ზოგიერთ სხვა ქვეყანაში, რომლებიც დღემდე არ დადგომიან რომელიმე ვარკვეულ გზას. ამ ქვეყნებში მასობრივი უმუშევრობის გვერდით შემოღებულია იძულებითი შრომა, რასაც იყენებენ მრეწველობაში, ტრანსპორტზე, მშენებლობაზე. დიდია სოციალური კონტრასტები, დაბალია ხელფასი, ადგილი აქვს დისკრიმინაციას, გამოძალვის უხეშ ფორმებს და ა. შ.

ერთადერთი რეალური გზა, რომელიც ხელსაწრელია აფრიკის ხალხებისათვის, სოციალისტური ი გზაა. ამ გზის სისწორე თეორიულად დამტკიცებულია არა მარტო მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების მიერ, არამედ ციყხალი პრაქტიკითაც: სსრკ-ის, ჩინეთის, მონღოლეთის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკებისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ხალხთა ცხოვრების უმდიდრესი გამოცდილებით. ამ გზამ მიიყვანა საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე, მისი მუშევრებით მათ უნახარბიელეს ეკონომიკისა და კულტურის აყვავებას, მიაღწიეს მოსახლეობის კეთილდღეობას.

თანამედროვე ისტორიულ ვითარებაში შექმნილია ხელსაყრელი საერთაშორისო და საზინაო პირობები იმისათვის, რომ აფრიკის ხალხები მტკიცედ დაადგნენ სოციალისტურ გზას და განუხრებლად იარონ წინ.

საერთაშორისო ხასიათის ერთ-ერთი ასეთი მთავარი წინამძღვარია სოციალისტური სისტემის არსებობა, მისი შეუერებელი ზრდა და იმპერიალიზმის ბანაკის დაცემა, — მისი მოქმედების სფეროს შეზღუდვა. იგი აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოების დამოუკიდებლობისა და თავის-თავადი განვითარების მტკიცე გარანტიაა. იგი ხელ-ფეხს უბოძავს იმპერიალისტურ ქვეყნებს და არ აძლევს მათ საშუალებას, ძალით ჩაახშონ ამ ქვეყნების მისწრაფება — განთავისუფლდნენ მათი გავლენისაგან და დადგნენ საკუთარ ეკონომიურ ბაზაზე.

ასეთივე მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირში სოციალიზმის აგების უმდიდრეს ისტორიულ გა-

ვარლამ დონაძე
აფრიკის მომავალი — სოციალიზმი

მოცილებებს, მის მიერ სამეურნეო-კულტურულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დარგებში მოპოვებულ წარმატებებს და იმ მრავალფეროვნებას, რომლითაც სოციალისტურ სისტემაში შემავალი სახელმწიფოების აწინებენ სოციალისტებს.

ამას უნდა დავმატოვო საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების უანგარო ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური, ეკონომიური და მეცნიერულ-კულტურული დახმარება. ის პოლიტიკური სისტემა და საზოგადოების ორგანიზაციის გარდამავალი ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდა აფრიკის განვითარებას, საბოლოოდ ჩამოაშორებს მას იმპერიალიზმის გავლენას და მტკიცედ დააკავშირებს აფრიკის ახალგაზრდა ქვეყნებს სოციალისტური სისტემის სახელმწიფოებთან—არის ეროვნული დემოკრატიის სახელმწიფო. ამ სახელმწიფოს „...პოლიტიკური საფუძველი,—როგორც ფორმულირებულია პარტიის ახალ პროგრამაში,— ბლოკი მთელი პროგრესული პატრიოტული ძალებისა, რომლებიც იბრძვიან სრული ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ფართო დემოკრატიისათვის, ანტიიმპერიალიზტური, ანტიფეოდალური, დემოკრატიული რევოლუციის ბოლომდე მიყენებისათვის“. პროგრესული, პატრიოტული ძალების დამარზამავი როლი ასეთ სახელმწიფოში უნდა შეასრულოს ახალგაზრდა მუშათა კლასმა, თქმა არ უნდა, აფრიკის ქვეყნების მტ-ნაკლები სოციალურ-ეკონომიური განვითარების გამო ეროვნული დემოკრატიის სახელმწიფოს იქ შეიძლება ახასიათებდეს ზოგიერთი თავისებურება. მაგალითად: იმ ქვეყნებში, სადაც კაპიტალისტურმა წყობამ ვერ მოახერხა ჩამოყალიბება და, მაშასადამე, სუსტი მუშათა კლასი და ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებული ეროვნული ბურჟუაზია, ერთიანი ფრონტის ჩასახვის პროცესში მყოფი მუშათა კლასი, რევოლუციური გლეხობა და პროგრესული ინტელიგენცია. ასეთ ქვეყნებში ძირითადი ამოცანა მასების განათავსებლობა არა ბურჟუაზიისა, არამედ ფეოდალურ-მემამულური იდიოლოგიისა და გეარტომული გადმონათობისაა.

აფრიკის ახალგაზრდა მუშათა კლასი და გლეხობა, რომლებიც მოსახლეობის დიდ უმრავლესობას წარმოადგენენ, სისხლირიცულად არიან დანტერესებული სოციალისტური განვითარებით. იგი უზრუნველყოფს მათი ცხოვრების დონის მკვეთრ ამაღლებას, აღმოფხვრის უმრავლესობისა და შიმშილის მუდმივ საფრთხეს, გამოტყვევებს მათ ექსპლოატატორთა ბრწყვალებისაგან. პირველ ყოვლისა ეს ითქმის მუშათა კლასის შეახება, რომელიც მოკლებულია კერძო საკუთრებას და საწარმოო საშუალებებს. ამიტომ მან უნდა შეასრულოს გლეხობის, პროგრესული ინტელიგენციისა და სხვა პატრიოტული ჯგუფების ამარაზმავი როლი.

დიდად მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის ძირეული გადახალისების, დემოკრატიული აგრარული რეფორმის საკითხი. სოფლად ბოლო

უნდა მოეღოს ფეოდალიზმს და დაინერგოს ახალი სოციალური ურთიერთობანი. ამის გარეშე შეუძლებელია აფრიკის სოფლის საწარმოების სწრაფი განვითარება, უმრავლესობისა და შიმშილის მოსპობა, შრომის ნაყოფიერების გააღებდა და გლეხური მასის კოოპერირება. სოფლის მეურნეობის სწრაფი განვითარება და მის ბაზაზე ხალხის ფართო მასების კეთილდღეობის ამაღლება ხელს შეუწყობს შინაგანი ბაზრის ტევადობის მკვეთრ გაზრდას და მით მძლავრ სტიმულს მისცემს ეკონომიკის სხვა დარგების, პირველ რიგში კი, მრეწველობის განვითარებას.

დემოკრატიული აგრარული რეფორმის პარალელურად განვითარების სოციალისტურ გზაზე დამდგარ ქვეყნებში დაჩქარებით ტემპით უნდა მოხდეს მრეწველობის განვითარება, ე. წ. დემოკრატიული ინდუსტრიალიზაცია. ამის საჭიროებას განაპირობებს მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფა, საწარმოო ძალების სწრაფი ზრდა და შრომის საზოგადოებრივი მწარმოებლობის შეუქრებელი აღმავლობა. ამ გზით უნდა გააქეთონ მათ დიდი ნახტომი წინ და დაუწიონ ეკონომიურად განვითარებულ ქვეყნებს. დაგეგმვა და სახალხო მეურნეობის სახელმწიფო სექტორის შექმნა, სახელმწიფო საწარმოთა მშენებლობა, რასაც აწარმოებენ აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოები შინაგანი რესურსების მობილიზაციისა და სოციალისტური ქვეყნების დახმარებით, დიდ-მნიშვნელოვანი მოვლენა ამ ხალხთა ცხოვრებაში. იგი აძლიერებს ანტიკაპიტალისტური სახელმწიფოების მარეგულირებელ როლს სახალხო მეურნეობაში და მით აჩქარებს ინდუსტრიალიზაციის პროცესს. ინდუსტრიალიზაციის დაჩქარება სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის გაძლიერების პირობებში, იმ სახელმწიფოების, რომლის სათავეში მოექცევა მუშათა კლასი, ერთ-ერთი რეალური წინამძღვარი იქნება იმისა, რომ მომავალში განვითარების კაპიტალისტური სტადიის გაუვლელად მომზადდეს ნიადაგი უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისათვის.

განვითარების არაკაპიტალისტური გზის საკითხი დიდი ხანია გაცდა თეორიულ სფეროს. აფრიკის ზოგიერთმა ახალგაზრდა სახელმწიფომ პრაქტიკულად დანერგა ცხოვრებაში ეს გზა და მას დაუკავშირა ბენინური მერმისის მშენებლობა. აფრიკის ლიდერების ნაწილმა — კვამე ნკრუმამ, სექუ ტურემ, მოდიბო კეიტამ, ბენ ბელამ — არათუ მხარი დაუჭირეს განვითარების სოციალისტურ გზას, არამედ იცნეს მეცნიერული სოციალიზმი და იგი თავიანთი ქვეყნების წინსვლის თეორიულ მოძღვრებად აღიარეს.

რაც შეეხება საერთოდ სოციალიზმს, იგი იმდენად აწინამტავი გახდა, რომ აფრიკის სუვერენული სახელმწიფოების ლიდერების უმრავლესობა გადაჭრით აცხადებს: აფრიკა პარმონიულად უნდა განვითარდეს, მისი მომავალი მხოლოდ და მხოლოდ სოციალიზმი.

ჩვენი ეკონომიკის გარდასაქმნელად ჩვენ ავირ-

ჩიეთ სოციალიზმის გზა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს არის ერთადერთი გზა, რომელსაც შეუძლია მიგვიყვანოს კოლონიალიზმის ნაშთების ლიკვიდაციამდე. — არაერთხელ განუხატებია განის რესპუბლიკის პრეზიდენტს კეამე ნჯრუმას. ჩვენ ავირჩიეთ სოციალიზმი. მაღი მტკიცედ დააღვა სოციალიზმის გზას, — აღნიშნა ახალი წლის წინათვის (1962 წ.) მალის რესპუბლიკის პრეზიდენტმა მოდიბო კეიტამ. ჩვენ დარწმუნებული ვართ სოციალიზმის გამარჯვებაში, იგი არის ერთადერთი სისტემა, რომელსაც შეუძლია ბედნიერება მოუტანოს ხალხს. — განაცხადა ალჟირის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბენ ზელამ საბჭოთა ყურნალისტებთან საუბარში 1963 წელს. ჩვენი გზა არაკაპიტალისტური გზაა, იგი სოციალიზმისაკენ წინსვლის ახალი მავალითაა გადებული ქვეყნების პრობლემა. ეს არის ჩვენთვის ერთადერთი გზა, რადგან ეს გზა იცავს მთელი საზოგადოების ინტერესებს. — აღნიშნა ვენიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სკუ ტურემ 1963 წელს.

განის, გვინეის და მალის რესპუბლიკები და ახლახან განთავისუფლებული ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა სიტყვიდან საქმეზე გადავიდნენ. მათ მტკიცედ განახაზვერეს წინსვლის გზა და გაბედულად მიდიან ამ მიზართულებით. მათი მთავრობები, რომელთაც სათავეში ღდგანან დიდი პატრიოტები, მშვიდობისა და დემოკრატიის გამოჩენილი მედროშეები, ენერგიულად იბრძვიან აფრიკის ხალხთა ერთიანობისათვის.

განის, გვინეისა და მალის რესპუბლიკებმა მიიმარჯვეს სახალხო მეურნეობის დაგეგმვა და გეგმვა მოიცავს სახალხო მეურნეობის ყველა დარგს და ხორციელდება სახელმწიფოს უშუალო ხელმძღვანელობით.

განის რესპუბლიკა ჯერ კიდევ 1958 წელს შეუდგა გემიურ-ეკონომიურ მშენებლობას და 1962 წელს წარმატებით შეასრულა იგი (ხუთწლიანი გეგმა). 1963 წელს კი დაიწყო შვიდწლიანი გეგმის შესრულება. გვინეის რესპუბლიკამ 1963 წლის შემოდგომაზე შეასრულა სამწლიანი გეგმა, 1964 წელს კი აქაც შვიდწლიანი გეგმის განხორციელებას შეუდგნენ. მალის რესპუბლიკამ 1961 წელს მიიღო ხუთწლიანი გეგმა და მის საფუძველზე აწარმოებს ეკონომიურ რეკონსტრუქციას. გემიურ საწყისებს ეყრდნობა ის პირველი პროგრესული ღონისძიებები, რასაც ახორციელებს ალჟირის ახალგაზრდა სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა.

ეროვნული სახელმწიფო აბარატისა და ეროვნული არმიის შექმნა, ბანკების, სადაზღვევო კომპანიათა და მთელ რიგ უცხოურ საწარმოთა ნაციონალიზაცია, ეროვნული ვალუტის შემოღება და სახელმწიფო ბანკის შექმნა, საგარეო ვაჭრობის მონოპოლია, მრეწველობაში სახელმწიფო სექტორის განმტკიცება და მრავალ ახალ საწარმოთა მშენებლობა, სერიოზული ნაბიჯები სოფლის მეურნეობის გარდასაქმნელად. შინაგანი

ვაჭრობის გაფართოვება, არსებული გზების გაქმნა და ახლის გაყვანა, მოსახლეობის დასაქმების გაზრდა, ექსპორტის მოცულობის გაზრდა, ფართოვება, კომპაერების წახალისება (საფოსტო სახალხო განათლების ქსელის გაფართოვება, პირველი ნაბიჯები მშრომელთა მატერიალურ-კულტურული ღონისძიებებში და სხვა პროგრესული ღონისძიებები, რაც მოკლე დროში გატარდა ამ ქვეყნებში, გემიურ მშენებლობის განუყოფელი ნაწილი იყო. მას თან სდევდა ღონისძიებები კერძო კაპიტალისტური ელემენტების შესაზღვრავად ვაჭრობისა და აღებ-მიცემობაში და სოფლად გვარტომულ ყოფასა და ფეოდალურ წესებზე შეტევა. აღნიშნული სახელმწიფოები სისტემატურად ავიწროებენ უცხოური კაპიტალის მოქმედების სფეროს. მკვეთრად ზღუდავენ უცხოელ მონოპოლისტთა მოგების გაზიდვას საზღვარგარეთ, უარს აცხადებენ დასავლეთის მიერ შემოთავაზებულ „ეკონომიურ დახმარებაზე“ და აძლიერებენ შინაგანი რესურსების მოპოვებას.

იმპერიალისტური სახელმწიფოებისა და შინაგანი რეაქციული ძალების მტრული დამოკიდებულება მალის, გვინეისა და განის რესპუბლიკებში განხორციელებულ სოციალურ-ეკონომიურ ღონისძიებებს წინააღმდეგ იმაზე მიგვივითებს, რომ ეს ქვეყნები სწორ მოზიციანე ღდგანან და მათ მიერ აღებული წინსვლის კურსი საცხებით უპასუხებს ეროვნულ ინტერესებს და მოსახლეობის ფართო ფენების მისწრაფებებს შეესაბამება. ეს არის სწორედ განვითარების სოციალისტური გზა, რომელიც კიდევ უფრო ნათელ ბერსაქტრეებს შლის ამ ქვეყნების სოციალისტური მომავლის მშენებლობაში.

ზოლოდ სამ წელზე ცოტა მეტი გავიდა მის შემდეგ, რაც ალჟირელმა ხალხმა დამოუკიდებლობა მოიპოვა და ხელი მიჰყო ახალი ცხოვრების მშენებლობას. მიუხედავად ამ მოკლე დროისა, ალჟირის სახალხო დემოკრატიულმა რესპუბლიკამ პრეზიდენტ ბენ ზელას ხელმძღვანელობით ეფექტური რევოლუციური გარდაქმნები განახორციელა. მან მიიღო დემოკრატიული კონსტიტუცია, გაატარა რევოლუციური აგარარული რეფორმა, მკვეთრად შეზღუდა უცხოელი მონოპოლიათა და ადგილობრივ კაპიტალისტთა საქმიანობის სფერო, მოახდინა ფრანგ კოლონიატორთა ხელში არსებული მიწების, სამრეწველო-კომუნალურ საწარმოთა ნაციონალიზაცია, შექმნა მრეწველობის სახელმწიფო სექტორი და საფუძველი ჩაუყარა სოფლად მეურნეობის კოლექტიური ფორმებს. პარალელურად ამისა, სერიოზული მუშაობა ჩატარდა მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოსაფხვრელად, სახალხო განათლების ქსელის გასაფართოებლად, მოსახლეობის ფართო ფენების მისათვის მმართველობაში, უმუშევრობის აღმოსაფხვრელად. დამოუკიდებე

ვარლამ დონაძე
აფრიკის მომავალი — სოციალიზმი

ლი ეკონომიკის საძირკვლების ასაგებად და შრომელთა ცხოვრების დონის ასამაღლებლად.

ალკირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ ეროვნული აღორძინების გზაზე ხანმოკლე დროში მოპოვებული დიდი წარმატებები მიღწეულია განვითარების არაკაპიტალისტურ გზაზე გაბედულად დადგომის მეოხებით. მიღწეულმა წარმატებებმა შეაზღაურა პირობები კიდევ უფრო ღრმად გადახვეული ცვლილებებისათვის ალკირელი ხალხის სოციალურ ყოფასა და ეკონომიკაში. ამ მიღწევებმა, რომლის კეთილშედეგი ნაყოფი უკვე იხილეს მილიონობით ფელაზებმა, მუშებმა, ქალაქის ღარიბობამ და წვრილბურჟუაზიულმა წრეებმა, ცოცხალი პრაქტიკით დაანახეს მათ, რომ არ არსებობს აყვავების სხვა გზა, გარდა სოციალისტური გზისა. სწორედ ამიტომამა, რომ საზღვარგარეთულ პრესაში ამ უკანასკნელ ხანებში ალკირს „აფრიკის კუბას“, ბენ ბელას კი „აფრიკელ ფიდელ კასტროს“ უწოდებენ. ამიტომამა, რომ ასე გააფთრებთ ესხმიან თავს ალკირის რევოლუციური მთავრობის პროგრესულ საშინაო ღონისძიებებს და ნეიტრალისტურ სავარეო პოლიტიკას ალკირელი ხალხის ბოროტი მტრები — საერთაშორისო იმპერიალიზმის შინაური რეაქციული ბანაკის ძალები. ჩანს, ალკირის „სენი“ აფრიკის სხვა ქვეყნებსაც გადაედო და იქაც გამოაცალა იმპერიალისტ-კოლონიზატორებს თავიანთი პოზიციები. კენიის, უგანდის, ტანგანია-ზანზიბარის გაერთიანებული რესპუბლიკის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ალკირის მეზობლის — ტუნისის უკანასკნელი მკვეთრი ანტიკოლონიალისტური ღონისძიებები ამის უტყუარი საბუთია.

საერთაშორისო იმპერიალიზმი ყველა საშუალებებით ხელს უშლის აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოების დაახლოებას სოციალისტურ ბანაკთან, აშინებს მათ კომუნისმისა და „საბჭოთა იმპერიალიზმის“ არარსებული საფრთხით. „მეგობრულად“ ურჩევს მათ თავი შეიკავონ სსრკ და სხვა სოციალისტური ქვეყნებისაგან შეთავაზებულ უანგარო დახმარებაზე და არ გამოიყენონ მათი უმდიდრესი გამოცდილება. ამიტომ იყო, რომ

ალკირის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ბენ ბელას მეგობრულ განცხადებით საბჭოთა კავშირში 1964 წლის მაისში და 1964 წლის 25 მაისს ქაიროში გამოქვეყნებულ ერთობლივ განცხადებას ასეთი გამოხატებით და ცოფმორეული ღმუილით შეეგებნენ დასავლეთში.

მაგრამ შეცვლილი საერთაშორისო ვითარება, აფრიკის ერთიანობის მებრძოლი იდიის ხორც-შესხმა, ეკონომიური ურთიერთდახმარებისა და ასოციაციის პირველი ნაბიჯები, მშვიდობის ძალების გაძლიერება, მალის, განის, გვინის, ალკირის და აფრიკის ზოგიერთი სხვა ქვეყნის მიერ მოპოვებული დიდი წარმატებები, სსრკ და სხვა სოციალისტური ქვეყნების მზარდი უანგარო მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური და კულტურული დახმარება, მორალურ-დიპლომატიური მხარდაჭერა, აფრიკის ახალგაზრდა სუვერენული ქვეყნებისა და სოციალისტური ბანაკის უფრო და უფრო დაახლოება — ისეთი კოლონიალური ძალის ფაქტორებია, რომლებიც საშუალებას აძლევენ აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოებს, დაძლიონ ყველა სახის დაბრკოლებები და განუხრებლად წავიდნენ წინ აღებული კურსის შესაბამისად.

აფრიკას მხოლოდ ანტიკაპიტალისტური განვითარების გზით შეუძლია დაძლიოს კოლონიალიზმის მძიმე მემკვიდრეობა, მიაღწიოს ტექნიკურ-ეკონომიურ აღორძინებას, შექმნას აყვავებული ეკონომიკა და კულტურა, აამოძაროს მილიონთა უშრეტე ენერგია და მკვეთრად აამალოს მოსახლეობის ცხოვრების დონე. აფრიკის ხალხთა ცხოვრებაში ამ უკანასკნელ ხანებში მომხდარი უდიდესი ცვლილებები იმის უტყუარი საწინდარია, რომ აფრიკის ხალხები სულ მალე ამოძირკვავენ კოლონიალიზმის უკანასკნელ ფესვებს, ძლიერდებიან დაამთავრებენ განმათავისუფლებელ ბრძოლას და სოციალისტური ბანაკის მიერ გაკვალული გზით გასწივენ წინ ბედნიერი მერმისის ასაგებად. მომავალი აფრიკაში, ისე როგორც სხვაგან, მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებას ეუფთვნის.



მადამ ვონგის ფოტოსურათი

პორტუგალიის პოლიცია მაკაოში გვარაიან თანხას იძლევა მადამ ვონგის თუნდაც ერთ მკაფიო ფოტოსურათში. ვინც კი მადამ ვონგს შეიპყრობს, შეუძლია მოითხოვოს იმდენი თანხა, რამდენიც მოესურვება. იაპონიის, ჰონკონგის, ტაივანის, ფილიპინებისა და ტაილანდის მთავრობები მის შესაპყრობად არაფერს არ იშურებენ, რადგან მადამ ვონგი ამ მხარის მთავარი მეკობრეა.

წყნარი და ინდოეთის ოკეანეების წყლებში დიდი ხანია მეკობრეები დათარეშობენ. მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დროს მიწყნარდა მათი თარეში, მაგრამ ერთმა მეკობრემ მაინც მოახერხა ომის წლებში თავისი ბიზნესი გაედიდებინა. ეს იყო ვონგ კუნგიტი, ჩანკაიშის მთავრობის ჩინოვნიკი. 1940 წელს მან სამსახური მიატოვა და მეკობრეობას მიჰყო ხელი. მისი ახალგაზრდა, მომხიბლავი ცოლი—მანი გათხოვებამდე კანტონის ლამის კლუბში ცნავედა.

1946 წლის დეკემბრის ერთ ღამეს ვონგმა შეიტყო, რომ ჰონკონგს სამი დატვირთული ჯონკა უახლოვდებოდა. ვონგი წავაში დიდი მოტორიანი ნავეებით გავიდა და საკაბილოსკენ გაემართა. ვონგს აღარ ეჩერა უკან დაბრუნება: ჯონკების ეკიპაჟი სამხედრო მეზღვაურებისაგან შესდგებოდა.

ვონგის სიკვდილმა დიდი

ხენსაცია გამოიწვია. ვონგის ორმა დამქაშმა იფიქრა, მეკობრის ნამდვილი მემკვიდრეობა ჩვენ დაგვრჩაო და მადამ ვონგს უთხრეს—კეთილი ინებეთ და მოგვმორდითო. ქალმა ორივე იქვე ტყვიით დაცხრილა. მადამ ვონგთან ამ თემაზე სასაუბროდ სხვას აღარავის გამოუღვია თავი...

მადამ ვონგს ჰონკონგის მახლობელ კუნძულებზე ედო ბინა და აქედან დაიწყო თავისი მეკობრული ქსელის გაფართოება.

ერთხელ, 1951 წლის მარტში მადამ ვონგის ორმა ხომალდმა, — რომელიც ადრე იაპონელებს მოპარეს, — გააჩერა პორტუგალური, 4 ათასი ტ. წყალწყვის გემი „ოპორტო“, რომელიც მაკაოსკენ მიემართებოდა. 22 კაციან განშტოვებული ეკიპაჟი ბორტზევე დახვრიტეს. მხოლოდ ერთმა უშველა თავს. ფიცარს ჩაჭიდებული მეზღვაური მოგვიანებით პორტუგალურმა საეცკადრო ნაღმოსანმა აიყვანა ბორტზე. მეზღვაურმა რამდენიმე დღის შემდეგ განუთქვა სული. მის მიერ სიტყვიერად აღწერილი მადამ ვონგის პორტრეტი ერთადერთი სარწმუნო წყაროა ამ ქალის ვეგვის, 1949 წლის დროინდელ სურათთან ერთად.

1951 წლის აგვისტოში ბრიტანულმა სანაოსნო კანტორამ წერილი მიიღო: „თქვენს ვეგს, რომელიც 29 აგვისტოს გამოდის ნავსადგურიდან, თავს და-

ესმიათ გამგზავრების ვადის გადაწევა არაფერს გიშველით. თუ გნებავთ გემი მშვიდობიანად დაგიბრუნდეთ, გადაიხადეთ 20 ათასი ჰონკონგური დოლარი“. წერილში მითითებული იყო როგორ და სად უნდა გადაეხადათ ფული.

სანაოსნო კანტორამ ბრძანება შეასრულა. იმიტომ კი არა, რომ ყველა ინგლისური სამხედრო ხომალდი კორეასთან ომში იყო ჩაბმული, ეს უბრალოდ ყველაზე მარტივი გამოსავალი იყო. სხვა კომპანიებიც ღებულობდნენ მსგავს ბარათებს ჰონკონგში, კანტონში, მაკაოში, საიგონში და სინგაპურშიც კი. ჰონკონგის ბრიტანულ საზღვაო პოლიციას მიაჩნია, რომ მეკობრეობით შემოსული თანხა ყოველწლიურად მილიონობით დოლარს აღწევს. რა თქმა უნდა, ამ შემოსავლიდან მადამ ვონგს ლომის ულუფა ხვდება ხოლმე.

ამბობენ, რომ მადამ ვონგი ხშირად ჩამოდის ზოლდე მაკაოში, ჰონკონგში, სინგაპურსა და ტოკიოში, სადაც არა მარტო ინფორმაციებს კრეფს და თავის კლიენტებს ხვდება, აჯარტულ თამაშებსაც არ აკლებს ხელსო. ეს მადამ ვონგის ერთადერთი გატაცება ყოფილა. მაკაოს პოლიციას ექვიც არ ეპარება, რომ მადამ ვონგი კუნძულების იშვიათი სტუმარი როდია. თამაშობს იქაურ სათამაშო სახლებში. მაგრამ მისი ცნობა შეუძლებელია.

ბელია. სწორედ ამან აძალა პორტუგალიის პოლიცია, ათი ათასი გირვანჯა სტერლინგი დანერხა მაღამ ვონგის ფოტოგრაფიისთვის.

ერთი თვის შემდეგ პოლიციამ მიიღო პაკეტი ასეთი წარწერით: „ეს ფოტოები ალბათ დაგინტერესებთ, რადგან მაღამ ვონგთან არიან დაკავშირებული“.

პოლიციამ მოუთმენლად გახია პაკეტი და ფოტოები ამოიღო. სურათებზე გამოსახული იყო ორი ადამიანის დაკეპილი გვამები. იქვე იუწყებოდნენ, რომ ისინი დაიჭირეს იმ მომენტში, როცა მაღამ ვონგს უპირებდნენ სურათის გადაღებას.

ახლანან მეგობრებმა კუანგის სანაოსნო კომპანიას წინააღმდეგობა 150 ათასი დოლარის საფასურად „მფარველობა“ შესთავაზეს. კომპანიამ უარი თქვა. დიდხანს არ გაუფლავა, რომ კუანგის ერთი გემი ნაღმის აფეთქებით დაზიანდა. აფეთქებამ 17 კაცი იმსხვერპლა.

1962 წლის ივნისში ფილიპინების ვიცე-პრეზიდენტმა ემანუელ პელაესმა მანილას გარეუბანში თავის დიდებულ სასახლეში ვახშამი გამართა. ორას სტუმარს შორის იყო ძვირფასად ჩაცმული ქალი — მაღამ სენკაკუ, რომელმაც თითქმის მთელი საღამო სათამაშო მაგიდებთან გაატარა. ქალი დიდ თანხებს ჩამოიღოდა. პელაესი დაინტერესდა სტუმრის გულგრილობამ და მიმართა: „თქვენ ისე მშვიდად თამაშობთ და ისე ბევრს ჩამოიღებთ, თითქოს მაღამ ვონგი იყოთ.“

— მე სწორედ მაღამ ვონგი გახლავართ, — მშვიდად მიუგო ლედიმ, — სენკაკუ ჩემი ფსევდონიმია.

იქ დამსწრეებმა თავაზიანად გაიცინეს. რამდენიმე კვირის შემდეგ კი ვიცე-პრეზიდენტმა მაკაოდან მოკლედ ბარათი მიიღო: „გმადლობთ სასიამოვნო საღამოსათვის. ვონგ-სენკაკუ“.

არავინ იცის რამოდენა მაღამ ვონგის ბანდა. ზონკიონ

გის ბრიტანული ზღვისუფროსთა აზრით ბანდაში სამი ათასი კაცი უნდა იყოს. ვინაიდან გალელეები ამტკიცებენ — რვა ათასი კაცი და კიდევ მრავალრიცხოვანი ინფორმაციები. იაპონელები ამბობენ, მისი ფლოტი 150 გემისა და ნავისაგან შედგება.

1963 წლის მაისში იაპონელებმა კინალამ მიიღეს მაღამ ვონგზე ძვირფასი ინფორმაცია. მისი ერთი თანაშემწე დათანხმდა კობეში პოლიციის წარმომადგენელს შეხვედროდა. იგი ღაპრებშია მებრ გამოცხადდა კიდევ ადგილზე, მაგრამ ენაამოგლეჯილი და ხელებმოკვეთილი. მან რამდენიმე კვირა იცოცხლა, მაგრამ ვერავითარი ინფორმაციის მწოდება ვერ შესძლო.

ამბობენ, მაღამ ვონგმა 1963 წლის ზაფხული საფრანგეთის რივიერაზე გაატარა. და მართლაც, პირადედ ჩემს მიერ შეგროვილი ცნობებით, ის თავის ახალ ქმართან ერთად ავჯისტოში მონტე-კარლოში ბრძანდებოდა.

ჯონ ლანდინი

აშშ

„მის მოკლა კენედის“

იტალიური წარმოშობის ამერიკელმა მწერალმა ჯან-კარლო ფუსკომ დაწერა სცენარი ფილმისთვის — „ვინ მოკლა კენედი“. ფუსკოს ნება დართეს ესარგებლა ყველა საარქივო მასალით, რომელიც კი შეეხებოდა დალასში მომხდარ „საუკუნის დანაშაულს“.

ის შეიძლება მოხდეს...

პრეზიდენტის არჩევნებს აშშ-ში, როგორც ცნობილია, წინ უსწრებს წინასაარჩევნო კომპანიის ხმაური. ამ კომპანიის ციბერი „საშვარტული“ არის დახატული ფელტჩერ ნიბელას და ჩარლზ ბეილის ახალ რე-

მანში „კრილომა“. ესენი არიან ავტორები პოპულარული ანტისამხედრო რომანის „მილის შვიდი დღე“, რომლის მიხედვითაც ფილმი გადაიღეს.

...ჩარლზ მანჩესტერი, ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატი, გამოდის პრეს-კონფერენციაზე. ის ეუბნება ჟურნალისტებს, რომ მისი აზრით, ამერიკული არმია უკვე ისედაც კბილებამდეა შეიარაღებული. თანაც, შენიშნავს მანჩესტერი, იგი ვერავის ხედავს, რომ ემზადებოდეს ამერიკაზე თავს დასასხმელად. ამიტომაც არ ღირს გავადიდოთ მომავლი ნებელი იარაღის უზარმაზარი მარჯი. ამგვარმა მსჯელობამ კანდიდატი გაიტაცა და გაუფრთხილებლად სთქვა შემდეგი ფრაზა: „თუ მე ამირჩევენ

პრეზიდენტად, ყოველგვარ ღონეს ვინმარ, რომ გავაუქმო შორი რადიუსის მოქმედების ახალი ბალისტიკურ რაკეტების შექმნის მთავრობის კონტრაქტი მსხვილ სამხედრო კონტრაქტებთან“.

ამგვარმა გაცხადებამ ისეთი გავლენა მოახდინა, თითქოს ყუბმარა გასკდაო. აქამდე „ნამდვილი“ კანდიდატის პოლიცია სწრაფად შეიკრა. გავლენამა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა იწყეს მანჩესტერის „გრძობაზე მოყვანა“. რომ გადარჩინათ მსხვილი სამხედრო შეკვეთა, მონოპოლიტიკურად მოსყიდულმა გასუთებმა იწყეს უვირილი „წითელ საფრთხეზე“, „სამშობლოს დაცვაზე“.

ჟურნალ „ბუკ უიკის“ კრიტიკოსი დედვი ბრინკლი აღნიშნავს, რომ ავტორებმა დამა-

გერებლად გადმოსცეს აშშ-ში წინასაარჩევნო კომპანიების ატმოსფერო. დასასრულს კრიტიკოსი აღნიშნავს: „თუ რომელიმე პრეზიდენტობის კანდიდატი იმდენად დაუფიქრებელი აღმოჩნდება, რომ გამოთქვამს მსხვილი სამხედრო დაკვეთის გაუქმების სურვილს, მაშინ, მე ვფიქრობ, მას მოუვლდება მანჩესტერის ბედი გაიზიაროს, — მას გარს შემოერთებთან ყოველის მხრიდან და დაუწყებენ მუქარას, შენი პოლიტიკური კარიერა გათავდება“.

ბრაზილია

ბარაბინცალა ხანილია მიირაელისი

როგორც რიო-დე-ჟანეიროდან იუწყებიან, გარდაიცვალა ცნობილი ბრაზილიელი პოეტ ქალი სესილია შეირელიისი. ბრაზილიისა და პორტუგალიის ლიტერატურული კრიტიკა შეირელისის იხსენიებს, როგორც თავისი დროის უდიდეს პოეტს.

გღრ

ვილი ბრედელი

ცნობილი მწერლის ვილი ბრედელის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ყოველკვირულმა ჟურნალმა „ზონტაგმა“ და გღრ-ის ცენტრალურმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს წერილები მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. კერძოდ, ალექსანდრე აბუშმა აღნიშნა, რომ ბრედელის ნაწარმოებებს დიდი ღვაწლი მიჰმდევით გერმანიის სოციალისტური ლიტერატურის განვითარების საქმეში.

„ვილი ბრედელი იყო მშვიდლობისა და სოციალიზმის საქმისთვის დაუღალავი მებრძოლი, — წერს კურტ ზაგერი. — მწერლის შემოქმედებაში მკვეთრად აისახა მარქსიზმ-ლენინიზმისა და ჩვენი პარტიის პროგრამის უდიდესი ძალა.“

ანა ზეგერსმა მწერალი მოახსენია, როგორც „განათლებ-

ბული, პატოსანი და მამაცო აღამიანი... ხალხისთვის მუდამ სამავალითოდ დარჩება ბრედელის ცხოვრება და შემოქმედება.“

ესპანეთი

საჯაროდ გაუიღვა

უცხოეთის პრესამ გამოაქვეყნა ცნობა ესპანეთის ნაციონალური კულტურის განმძურთა გაყიდვის შესახებ. ამას წინათ აშშ-მ ესპანეთში იყიდა სან-ფერმინ-დე-ფუნენტიდუენიას სამლოცველო (სეგოვიას პროვინცია), რომელიც ხელოვნების ეს დევერები აშუამდ ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ-მუზეუმშია“ გამოფენილი. სან-ბერნარდო-დე-საკრამენტოს ეკლესია (სეგოვიას პროვინცია) მაიაშიმე გადაიტანეს. სან-ფრანცისკოს საზოგადოება „ქრისტეს გულმა“ შეიძინა სანტა-მარია-დე-ავილას ეკლესია. ეს ეკლესია ნაწილებად დაშალეს და ასე გადაიტანეს ოკეანის გაღმა. მაგრამ, საუბედუროდ, ნ.წილებს თავი ვერ მოუყარეს და ეს ძველიძველი შენობა დღესაც აუწყობელა.

ინფორმაცი

„ლიტლ ტიპტ ბრუკისის სპეიტაქლეპი“

მშრომელ ხალხს, თანამედროვე ბენგალიის უბრალო აღმანებეს უძღვნის კალკუტის „ლიტლ ტიეტრ გროუპი“ თავის სპექტაკლებს. თეატრის ხელმძღვანელია ცნობილი რეჟისორი უტპალ დატი.

ჰველადე მეტად საინტერესოდ გაზეთ „ნიუ ეიჯის“ რეცენზენტი თვლის დატის ორ უკანასკნელ ნამუშევარს, სექტაკლებს: „მდინარეს ეძახიან ტიტაუს“ ბენგალიელი მეთევზეების ცხოვრებაზე და მემბოზეთა არმია“. დატის მიერ დაწერილი დრამას „მემბოზეთა არმია“ საფუძვლად დაედო ნამდვილი ამბები 80-იან წლების ბენგალიელი გლეხო-

ბის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან. „ეს არის მოსწონება უამრავ პატრიოტზე, რომლებმაც თავი დადეს სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის, — წერს რეცენზენტი, — წვლილი ათასობით უსახლო გამირის ხსოვნისა, რომლებმაც საკუთარი სისხლით ახალი ფურცლები ჩაწერეს ინდოეთის ისტორიაში.“

ინგლისი

ფილმის ჩვენების დროს წუთი...

ფილმი „სიჩუმით გარემორტყმული აღამიანი“ მსახიობები არ თამაშობენ. მთნაცვლად გამოუყენებულა ესპანელი პატრიოტი მხატვრის, ბულოგის ციხის ტუხალის, აგუსტინ იბაროლას სურათები. ასევე, დიქტორის ტექსტად გამოუყენებულა პოეტ მარკოს ანას ლექსები. ეს პოეტის კარგა ხნის განმავლობაში ბულოგის ციხის პატიმარი იყო.

ფილმი გადაიღო სტუდია „ხალხს ენდ ბერლორ ფილმშია“. გაზეთ „დეილი უორკერის“ რეცენზენტი იდი ვუდსი წერს, რომ ეს ფილმი, რომლის ჩვენებასაც მხოლოდ 8 წუთი სჭირდება, ამდელ-ვებელი პროტესტია ფრანკოს ფაშისტური ტირანიის წინააღმდეგ. ფილმის მთელი შემოსავალი ესპანელი პოლიტიკატიმრების ამნისტიისთვის შექმნილ კომიტეტს ბარდება.

საპერიოდა... ქაღრილი

საზღვარგარეთის ეკრანებზე ხშირად უჩვენებენ დეტატიტურ და პოლიციურ ფილმებს. ამას წინათ ლონდონის გაზეთ „ტაიმსმა“ გამოაქვეყნა განცხადება: „ეინოსტრულის ტექნიკურ კონსულტანტად სასწრაფოდ სჭირდება „გადამდგარი... ჯიბის ქურდი“ განცხადებაში აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ ქურდს არავითარი საფრთხე არ ელის.“

ლაპარაკობს ჯონ პრისტლი

ამას წინათ ჯონ პრისტლის 70 წელი შეუსრულდა. ამასთან დაკავშირებით ინგლისის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ინტერვიუ, რომელშიც მწერალი თეატრებში გავრცელებული ავანგარდისმის მანკიერ სტილს ეხება. „ჩემი აზრით, — სთქვა პრისტლიმ, — ავანგარდიზმს თეატრისთვის მხოლოდ ზიანი მოაქვს. ავანგარდისტ-ავტორებისთვის დამახასიათებელია მე-სიმისმი, სიცოცხლისადმი სიძულვილი. ამიტომაც არ ეტანება თეატრს მასურბეული. დარწმუნებული ვარ, რომ შექსპირი, მოლიერი და ჩეხოვი ჩემს აზრს გაიზიარებდნენ.“ პრისტლიმ საზოგადოებრივ სამსჯავროზე გამოიყვანა ის ავტორები, რომლებიც კინოსთვის სწერენ სცენარებს მხოლოდ იმიტომ, რომ გასამრჯელო იქ უფრო მეტია.

იტალია

თანამედროვე „ელემბრა“

რეჟისორი ლუკინო ვისკონტი იღებს ფილმს: „დიდი დათვის თანავარსკვლავედის უნილავი ვარსკვლავები“, რომელშიც აღწერილია 48 საათის განმავლობაში მომხდარი ამბავი. ფილმის ცენტრშია ერთი ოჯახის ხუთი წევრი. მათ თავი მოიყარეს მეექვსის ხსოვნის პატისაცემად: ეს კაცი იყო ცნობილი ფსიქიატრი და ერთ-ერთი კლინიკის ხელმძღვანელი. იგი პიტლერელებმა შეიპყრეს და გეტოში გაგზავნეს. ვინ არის ეს ხუთი ადამიანი? დაღუპულის ქვრივი (სულთი ავადმყოფი), ქვრივის მხოლოდ საყვარელი, შვილები — სანდრა (მსახ. კლაუდია კარდინალი) და ჯანი (მსახ. ჟან სორელი), სანდრას ქმარი — ამერიკელი (მსახ. მაიკლ კეიჯი). ვისკონტი თავის ფილმს „ელემტრას“ უნათესავეებს და ამბობს: „ეს იქნება

კლასიკური ტრაგედია დღევანდელი გმირებით. ფილმში ნახავთ ავანგარდის, რომელიც იღუპება; ნახავთ კლიტემნესტრას, რომელიც ეგისთეს მიჰყვება ცოლად და შვილების უნდობლობას იმსახურებს და ბოლოს, ნახავთ ელექტრასაც, რომელიც ამერიკელი პილადის ცოლი გახდება“. სცენარის ავტორები არიან: ვისკონტი, ცეკი და მედიოლი.

„თავისუფალი ესპანეთი“

იტალიის ქალაქ რომინში გაიხსნა გამოფენა „თავისუფალი ესპანეთი“, რომელმაც პრესის დიდი ყურადღება მიიპყრო. გამოფენაზე გამოტანილია იმ მხატვართა ნამუშევრები, რომლებმაც თავი არ აღმოჩინა ადგილი ვენეციის საერთაშორისო ბიენალზე ფრანკისტული ესპანეთის პავილიონში.

გამოფენა მოაწყო იტალიის ხუთი ქალაქის მუნიციპალიტეტმა (რომინი, რეჯო-ემილია, ფერარი, ფლორენცია, ვენეცია). რომინის შემდეგ გამოფენა გალანდნილ იქნება უკვე ზემოჩამოთვლილ ქალაქში და დაიხურება ვენეციაში 1965 წლის აპრილში. თანამედროვე ესპანური ხელოვნების ინიციატორები არიან იტალიის პროგრესულად მოაზროვნე მხატვრები, რომინის, რეჯო-ემილიასა და ფერარის მერები—კომუნისტები, ფლორენციის მერი ჯორჯო ლაპირა, აგრეთვე ცნობილი ანტიფაშისტი, იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ფერუჩო პარი, რომლის კალმასაც ეკუთვნის გამოფენის კატალოგს წამმდგარებელი წინასიტყვაობა.

მიუხედავად იმისა, რომ გამოფენა ნახევრადოფიციალურ სახეს ატარებს (გამოფენის გახსნაზე სიტყვით გამოვიდა იტალიის მინისტრი, სოციალ-დემოკრატი პრეტი) და საგაზეთო სტატიებშიც მოხსენიებულია, როგორც მხოლოდ წმინდა მხატვრული და არა პოლიტიკური ღონისძიება, მაინც უკვე დასრულებულია გამოფენის ნამუშევრები და მისთვის არის და მისთვის არა მარტო ექსპონატები, რომლებიც ნიღაბს ხდინან ქვეყანაში გაიფიქრებულ ჩაგვრას, სინდელს, ფაშისმს, ფრანკისტულ დიქტატორებსა და კოლონიალიზმს, არამედ თვით გამოფენის სათაური და მასში მონაწილეობა სახელები...

გამოფენაზე წარმოდგენილ მხატვართა შორის თვალსაჩინო ადგილს იკავებს პაბლო პიკასო, რომლის ბოლოდროინდელ ნამუშევრებს (კრძოლ, ომისაწინააღმდეგე სახატებსა და კერამიკას) სპეციალური დარბაზი აქვს დათმობილი. გამოფენას ანტიფაშისტურ და დემოკრატიულ ხასიათს აძლევს დეკორატიული გარდაცვლილი მხატვრების — ხულიო გონსალესისა და ოსკარ ლომინიკისის ნამუშევრები, ასევე ფრანკოს ციხეებში გამოკეტულ აგუსტინ იბაროლასა და საფრანგეთში ემიგრირებულ ხოსე გარსია ორტიგას სურათები.

დიდი მოქალაქეობრივი სიამაყე გამოიჩინეს ესპანეთში მცხოვრებმა მხატვრებმა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს გამოფენის მოწყობაში. ესენი არიან: ალვარესი, კანოგარი, პაჩეო, ხიმენესი და სხვები. „თავისუფალი ესპანეთის“ მოწყობა უდავოდ დიდი გამარჯვებაა როგორც ესპანეთის პროგრესული ძალებისა, ასევე მათი იტალიელი მეგობრებისა.

იუგოსლავია

ეროვნული ლიტერატურის ისტორია

დაიწყო მუშაობა „იუგოსლავური ლიტერატურის ისტორიის“ გამოსაცემად. სარდაქციო კოლეგიის შემადგენლობაში არიან იუგოსლავიის ყველა ეროვნული ლიტერატურის წარმომადგენლები. გაზეთ „ბრძოლის“ კორესპონდენტის ცნობით „იუგოსლავური ლი-

ტერატურის ისტორია“ ოთხი ტომისგან შედგება. გამოცემა სერბოხორვატულ ენაზე განზარახულია 1968 წლისთვის. შემდეგში კი გამოიცემა სლავურ და მაკედონურ ენებზე.

„ეს ნაშრომი, არსებითად, წარმოადგენს ჩვენი ეროვნულ ლიტერატურის განვითარების, მათი ურთიერთკავშირისა და ერთიანობის გაშუქების პირველ ცდას მარქსისტული თვალსაზრისით“, — წერს კორესპონდენტი.

კუბა

რასაველ ალბერტის პიესის წარმატება

პავანის სატელევიზიო თეატრი დიდი მოწონებით ხარგებლობს მაყურებლებში. თეატრის დადგმები გამოირჩევა ბრწყინვალე რეჟისორული გადაწყვეტით, მსახიობთა შესანიშნავი თამაშითა და კარგად შერჩეული რეპერტუარით. თეატრში წარმატებით იდგმება ლორკასა და ბრეტის ნაწარმოებები. გაზეთ „ოსი“ თეატრალური კრიტიკოსის აზრით ამ ნიჭიერი კოლექტივის ყველაზე დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ცნობილი ესპანელი მწერლის რაფაელ ალბერტის პიესის — „ომის ღამე პრადოს მუზეუმში“ — დადგმა. მოქმედება ვითარდება 1937 წლის მადრიდში. ეს ის დროა, როცა რესპუბლიკურმა მთავრობამ პრადოს მუზეუმის საგანძურის გადამაღვის ბრძანება გასცა. სექტაკლში გოიას ნაწარმოებთა პერსონაჟებიც მოწაწილეობენ. პიესა დადა რეჟისორმა რიკარდო როლდანომ. კრიტიკოსის აზრით, „ომის ღამე პრადოს მუზეუმში“ ხალხის მიერ შექმნილი სიმღერაა მადრიდის დაცველთა სადიდებლად.“

კოლონეთი

„პინჯინი“

ეთი სტეფან სტავინსკი საკუთარი სცენარის მიხედვით იღებს თავის მეორე ფილმს—

„პინჯინი“. ეს იქნება რომანტიკული ისტორია 20 წლის ყმაწვილკაცზე, რომელსაც მომედრალი ქალი შეუყვარდება. სტავინსკის სურს, წინა პლანზე უჩვენოს ახალი თაობის გრძნობები და მისწრაფებები. მთავარ როლედში არიან: ანჟელი კოხაკი და კრისტინა კონარსკია.

„ღამნაშავეთა კუნძული“

„სათავგადასავლო, ახალგაზრდული, კომედიური“, — ასე ახასიათებს თავის ფილმს „ღამნაშავეთა კუნძული“ რეჟ. სტანისლავ ენდრიკა.

ფილმის სცენარი ეკუთვნის ზებიგენე ნენაცკის. ფილმში ნაჩვენებია იქნება სასაფლაო, მიწაში ჩაფლული განძი, მდინარი, ტყე, ნორჩი პიონერები, რომლებიც საშინელი ბოროტმოქმედების საიდუმლოს ამოხსნაში შევლიან უფროსებს, ანთროპოლოგიური ექსპედიცია, რომელიც ბოროტმოქმედებას ადასტურებს, მოხეტიალე ტურისტები, პროფესორი და დეტექტივისთვის დამახასიათებელი ამბები.

ფილმში მთავარ როლებს შეასრულებენ: იან მახლსკი, იონა ენდრიკა, ზიგმუნდ ზინტელი, იან კოხერი და სხვ.

რუმინეთი

მიროღანის პიესის წარმატება

ლუჩია სტურდა ბულანდრას ხახელობის თეატრში შედგა ალექსანდრე მიროღანის ახალი პიესის „ღამე საუკეთესო მრჩეველი“ პრემიერა. გაზეთ „სკიპტიანს“ მიმომხილველის აზრით, ეს მახვილი პოლემიკური თემაა. ისევე როგორც დრამატურგის სხვა ნაწარმოებებში, ძირითად კონფლიქტს განსხვავებული შეხედულებანი თანამედროვეობის მდგომარეობაზე და მოვლენებზე.

პიესის რიგი პერსონაჟებისათვის დამახასიათებელია ვიწრო შეხედულებანი და პრაქტიციზმი, მეორეთათვის —

ოცნება მშვენიერ მომავალში პირველის მატარებელია დიდი დაწესებულების ხელმძღვანელი ინჟინერი, თვითღარწმუნებული, რომ იგი არ შეცდება აღამიანებში. მას უპირისპირდება ქარხნის პარტორგანიზაციის მდივანი, რომელმაც შენანიშნავად იცის არამარტო უზარმაზარი კომპინატიც საწარმოო პროცესი, არამედ აღამიანების განწყობილება და სულიერი მოთხოვნილებები.

მიმომხილველი მაღალ შეფასებას აძლევს პიესის „ღამე საუკეთესო მრჩეველი“ და აღნიშნავს, რომ მან მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

საბერძნეთი

სამაკლენიო ხელისუფლების ბაიძეპარობა

უმაღლესმა საეკლესიო ხელისუფლებამ რეკომენდაცია მისცეს ათენის ეროვნულ თეატრს ხელი აეღოს შუა საუკუნეების დრამის „Χρισტოს სტრაჟდუში“ დადგმზე რადგანაც თითქოს იგი შეურაცხყოფს ხალხის რელიგიურ გრძნობებს. „საპლანეტარისო მოვლენათაგანების ემოქაში, — წერს ამასთან დეკლარაციით გაზეთ „ავგის“ მიმომხილველი, — წმინდა სინოდმა თავის სურვილებში აჯობა შუასაუკუნის მოწაწვნიებს.“

საბერძნეთის საზოგადოებრიობის აღშფოთებებს იწვევს აგრეთვე ეროვნული თეატრის დირექციის პოზიცია, რომელიც დათმობებზე მიღის საეკლესიო მესვეურებთან და მათ ჩარევას საბერძნეთის კულტურულ ცხოვრებაში თვისის სამართლიანად. „ვის იცის, — განაგრძობს მიმომხილველი, — საეკლესიო დოგმების გვერდით, იქნებ აკრძალვის სხვა მომენტებიც არსებობდეს? ძალიან ბევრმა ბერძენმა იწვინა ქრისტეს წაშება ამ უყანასენელი წლების მანძილზე, განსაკუთრებით კი პოლიტიკურმა პატივრგებმა, რომლებიც უკვე 25 წელია ციხეებში იტანჯებიან.“



საფრანგეთი

„პარიზს პარიზელები არ იცნობენ“

პარიზის პოლიცია ცდილობს ბელი შეუშალოს დოკუმენტური ფილმის „პარიზის შიგნითა პირის“ გადაღებას. ფილმის დამდგმელის აზრით, ეს იქნება „საფრანგეთის დედაქალაქის დაფარული, მეორე მხარის ჩვენება, რომელსაც თვით პარიზელებიც კი არ იცნობენ“.

საშავრო რეკომენდაცია

საფრანგეთის კინოთეატრებში უჩვენებენ ფილმებს, რომელთა მიზანია, საყოფაცხოვრებო რეკომენდაციები გაუწიონ მაყურებელს.

ასე მაგალითად: „როგორ მივთხოვდეთ მილიონერს“. ან „...პრემიერ-მინისტრს“, „როგორ მივალწიოთ წარმატებას სიყვარულში“, „როგორ გავქურდოთ ბანკი“, „როგორ მოვიგოთ ქალიშვილის გული 24 საათის განმავლობაში“ და სხვ. სამწუხაროდ, ჯერ არც ერთ ფრანგ რეჟისორს აზრად არ

მოსვლია, გადაიღოს ფილმი სათურით: „როგორ გამოვუშვათ ეკრანზე კარგი ფილმი“...

განზრახულია პიესის ეკრანზე. მთავარი როლი უკვე სასრულებლად ალბათ სოფია ლორენს მიიწვევენ.

პიესა მერლინ მონროს შესახებ

ამერიკელმა დრამატურგმა არტურ მილერმა დაწერა პიესა „დაცემის შემდეგ“. პიესის მთავარი გმირი ქალის პროტოტიპი არის მერლინ მონრო, რომელმაც, როგორც ცნობილია, თვითმკვლელობით დაასრულა თავისი სიცოცხლე.

პარიზის თეატრ „უიშნაჟში“ ამ პიესას დგამს იტალიელი რეჟისორი ლუკინო ვისკონტი. მთავარ როლს შეასრულებს ანი უიარდო (საბჭ. მაყურებელისთვის იგი ცნობილია ფილმიდან „როკო და მისი ძმები“). ანი უიარდოს გარდა სპექტაკლში მონაწილეობას მიიღებს მსახ. მიშელ ოკერი.

სტოკჰოლმის თეატრის სცენაზე ამ პიესის დადგმას განხორციელებს რეჟ. ინგმარ ბერგმანი. მთავარ როლებს შეასრულებენ მაქს ფონ ზუილოვი და ბიბი ანდერსენი.

ჩეხოსლოვაკია

„ხუთი ცოდვილი“

რეჟისორი იაროსლავ ბალიკი („რეპეტიცია გრძელდება“, „ტარზანის სიკვდილი“) სტუბლია „ბარანდოვში“ იღებს ფილმს — „ხუთი ცოდვილი“. ეს იქნება მოთხრობა პირველი მსოფლიო ომის მიერ მორალურად და ფიზიკურად გატეხილ ადამიანებზე. მთავარ როლებს შეასრულებენ რუდოლფ გრუშინსკი, ვაცლავ ვოსკა, ირჟი გოლი, ირჟი ვრშტალია და სხვ.

კოკოუტი—კინორეჟისორი

დრამატურგმა პაველ კოკოუტმა (ავტორი პიესისა „როცა ასეთი სიყვარულია“) გადაწყვიტა, ბელი სცადოს კინორეჟისურაშიც. მისი სარეჟისორო დებიუტი იქნება ტრაგიკომედია „პირობითი ქორწილი“.



შპატერულა რედაქტორი ტიტე შევილაძე ტექნიკური რედაქტორი მედეა შონია

რამაქციში შემოსული მასალები, მოცულობით ერთ თაბახანზე, ავტორებს უკან არ დაუბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენანოვის პროსპ. № 91.

ტელეფონები: რამაქტორის — 5-08-75, პ/მ მღივნის — 5-08-86, განყოფილებაგან: კრიტიკისა და კუბლიცისტების — 5-08-85, კოეჯინისა და პროზის — 5-08-85.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/II-65 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შვევ. 215. უე 02973. ქალაქის ზომა 70x108. ტირაჟი 10 500.



მოთხილაშურეები



ორი ბრავიკული
მოტივი



სოფელი ლახში



ბაქათსებოლის კლდედონი



ბაზილიკა

ქაჯაყის პირველი კვირის
კლდედონის კლდედონი

ქაჯაყის პირველი კვირის კლდედონი
ეზენის მარჯვენა და მარჯვენა.

3360 60 333.

3360 60 333.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„ЦИСКАРИ“

ИЗДАТЕЛЬСТВО
„ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“

ИНДЕКС 76236

3360 60 333.